

თავი V

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1 სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

1.1.1 საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით;
- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 696.8 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 697.4 ათასზე მეტი, მარტში - 697.2 ათასზე მეტი, აპრილში - 698.5 ათასზე მეტი, მაისში - 699.6 ათასზე მეტი, ივნისში - 700.3 ათასზე მეტი, ივლისში - 701.5 ათასზე მეტი პირზე, აგვისტოში - 703.9 ათასზე მეტი პირზე, სექტემბერში - 705.1 ათასზე მეტი პირზე, ოქტომბერში - 706.7 ათასზე მეტი პირზე, ნოემბერში - 707.2 ათასზე მეტი და დეკემბერში 707.7 ათასზე მეტი პირზე, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარში 20.4 ათასზე მეტი მიმღებზე, თებერვალში-ოქტომბერში 20.5-20.5 ათასზე მეტი მიმღებზე, ნოემბერში-20.6 ათასზე მეტი და დეკემბერში-20.7 ათასზე მეტი მიმღებზე;
- 2015 წლის 1 იანვრიდან 500 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა;
- მიმდინარე წლის სექტემბრიდან „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გაიზარდა ასაკით პენსიის ოდენობა და შეადგინა 160 ლარი;

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 1 399.0 მლნ ლარამდე.

1.1.2. სოციალური დახმარებები (პროგრამული კოდი 35 02 02)

- საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 418.7 ათასზე მეტი, თებერვალში - 410.0 ათასზე მეტი, მარტში - 407,6 ათასზე მეტი, აპრილში - 403,1 ათასზე მეტი, მაისში - 404,6 ათასზე მეტი, ივნისში - 377,9 ათასზე მეტი, ივლისში - 317.4 ათასზე მეტი, აგვისტოში - 322.0 ათასზე მეტი, სექტემბერში - 343.0 ათასზე მეტი, ოქტომბერში - 356.5 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში - 371.3 ათასამდე პირი და დეკემბერში - 398.6 ათასამდე პირი;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 1 055 პირს, თებერვალში - 902 პირს, მარტში - 1 124 პირს, აპრილში - 1 005 პირს, მაისში - 832 პირს, ივნისში - 1 066 პირს, ივლისში - 1 139 პირს, აგვისტოში - 1 177 პირს, სექტემბერში - 1 042 პირს, ოქტომბერში - 1 235 პირს, ნოემბერში - 1 181 პირს, ხოლო დეკემბერში - 1 137 პირს;
- დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იანვარში შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 215.5 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 221,3 ათასზე მეტი პირი, მარტში - 220.9 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 221.0 ათასზე მეტი პირი, მაისში - 220.2 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 224.0 ათასზე მეტი პირი, ივლისში - 229.2 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში - 228.1 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში - 228.3 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 227.7 ათასამდე პირი, ნოემბერში - 227.1 ათასზე მეტი პირი და დეკემბერში - 226.5 ათასზე მეტი პირი;
- რეინტეგრაციის შემწეობა იანვარში გაიცა 290 მიმღებზე, თებერვალში - 294 მიმღებზე, მარტში - 296 მიმღებზე, აპრილში - 297 მიმღებზე, მაისში - 294 მიმღებზე, ივნისში - 290 მიმღებზე, ივლისში - 296 ბავშვზე, აგვისტოში - 298 მიმღებზე, სექტემბერში - 299 მიმღებზე, ოქტომბერში - 298 მიმღებზე, ნოემბერში - 299 მიმღებზე, ხოლო დეკემბერში - 300 მიმღებზე;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 162.1 ათასზე მეტ მიმღებზე, თებერვალში - 162.1 ათასზე მეტ მიმღებზე, მარტში - 162.3 ათასზე მეტ მიმღებზე, აპრილში - 162.2 ათასზე მეტ მიმღებზე, მაისში - 161.8 ათასზე მეტ მიმღებზე, ივნისში - 161.4 ათასზე მეტ მიმღებზე, ივლისში - 161.4 ათასზე მეტ მიმღებზე, აგვისტოში - 161.3 ათასზე მეტ მიმღებზე, სექტემბერში - 160.9 ათასზე მეტ მიმღებზე, ოქტომბერში - 160.6 ათასზე მეტ მიმღებზე, ნოემბერში - 160.4 ათასამდე მიმღებზე და დეკემბერში - 160.6 ათასზე მეტ მიმღებზე. 2015 წლის სექტემბრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ყველა პირისთვის (დაახლოებით 25 ათასამდე პირი) სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 10 ლარით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ყველა ბავშვისათვის (დაახლოებით 9 200 შშმ ბავშვი) სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 60 ლარით;

- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ მიმდინარე წლის იანვრში შეადგინა 32.9 ათასზე მეტი პირი, თებერვალში – 32.6 ათასზე მეტი პირი, მარტში – 32.3 ათასზე მეტი პირი, აპრილში – 32.1 ათასზე მეტი პირი, მაისში – 31.9 ათასზე მეტი პირი, ივნისში – 31.6 ათასზე მეტი პირი, ივლისში – 31,5 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში – 31.4 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში – 31.2 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში - 31.0 ათასზე მეტი, ნოემბერში - 30.8 ათასზე მეტი პირი, ხოლო დეკემბერში - 30.6 ათასამდე პირი;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით იანვრის თვეში დახმარება მიიღო 986 პირმა, თებერვალში - 980 პირმა, მარტში - 974 პირმა, აპრილში - 967 პირმა, მაისში - 956 პირმა, ივნისში - 953 პირმა, ივლისის თვეში - 950 პირმა, აგვისტოს თვეში - 947 პირმა, სექტემბრის თვეში - 952 პირმა, ოქტომბერში - 978 პირმა, ნოემბერში - 971 პირმა, ხოლო დეკემბერში - 998 პირმა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 ივნისიდან, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო ფულადი დახმარება მიიღო იანვარში 1 955 პირმა, თებერვალში - 2 257 პირმა, მარტში - 2 562 პირმა, აპრილში - 2 848 პირმა, მაისში 3 133 პირმა, ივნისში 3 375 პირმა, ივლისის თვეში - 3 715 პირმა, აგვისტოს თვეში - 4 010 პირმა, სექტემბრის თვეში - 4 357 პირმა, ოქტომბერში - 4 707 პირმა, ნოემბერში - 5 036 პირმა და დეკემბერის თვეში - 5 283 პირმა;
- „9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის მონაწილე-1 097 პირმა მიიღო ფულადი დახმარება 1 000 ლარის ოდენობით და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულმა 428 პირმა - 500 ლარის ოდენობით.

სულ სოციალური დახმარებების პროგრამაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 615.0 მლნ ლარი, მათ შორის „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 1 156.5 ათასი ლარი.

1.1.3 სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

საანგარიშო პერიოდში სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვის ზოგიერთი ქვეპროგრამის ამოქმედება მოხდა სხვადასხვა თვეში, ასევე ბენეფიციართა მომართვიანობაც იყო განსხვავებული თვეების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია:

- „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 855 ბენეფიციარს, თებერვალში – 975 ბენეფიციარს, მარტში – 978 ბენეფიციარს. აღნიშნული პროგრამა აპრილში გაუქმდა და შესაბამისი ბენეფიციარებისათვის კვების ვაუჩერის დარიგება გათვალისწინებულ იქნა „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, როგორც ერთ-ერთი კომპონენტი;
- „ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 394 ბენეფიციარს, თებერვალში – 452 ბენეფიციარს, მარტში – 448 ბენეფიციარს, აპრილში - 456 ბენეფიციარს, მაისში - 398 ბენეფიციარს, ივნისში - 443 ბენეფიციარს, ივლისში - 465 ბენეფიციარს, აგვისტოში - 325 ბენეფიციარს, სექტემბერში - 466 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 471 ბენეფიციარს, ნოემბერში - 477 ბენეფიციარს, ხოლო დეკემბერში - 458 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის“ ფარგლებში შესაბამისი კატეგორიის ბენეფიციარებს ჩაუტარდათ იანვარში – 295 კურსი, თებერვალში – 327 კურსი, მარტში - 395 კურსი, აპრილში - 498 კურსი, მაისში - 603 კურსი, ივნისში - 448 კურსი, ივლისში - 465 ბენეფიციარს, აგვისტოში - 325 ბენეფიციარს, სექტემბერში - 466 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 494, ნოემბერში - 485 და დეკემბერში - 614 კურსი;
- „დღის ცენტრების პროგრამის“ ფარგლებში იანვარში -1 403 ბენეფიციარს, თებერვალში -1 483 ბენეფიციარს, მარტში - 1 500 ბენეფიციარს, აპრილში - 1 515 ბენეფიციარს, მაისში - 1 511 ბენეფიციარს, ივნისში - 1 520 ბენეფიციარს, ივლისში - 1493 ბენეფიციარს, აგვისტოში -1 517 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 513 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 516 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1 513 ბენეფიციარს და დეკემბერში - 1 531 ბენეფიციარს.
 - ✓ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შემთხვევაში: იანვარში – 472 ბენეფიციარს, თებერვალში – 509 ბენეფიციარს, მარტში – 510 ბენეფიციარს, აპრილში - 525 ბენეფიციარს, მაისში - 533 ბენეფიციარს, ივნისში - 528 ბენეფიციარს, ბენეფიციარს, ივლისში - 488 ბენეფიციარს, აგვისტოში - 239 ბენეფიციარს, სექტემბერში - 497 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 496 ბენეფიციარს, ნოემბერში - 490 ბენეფიციარს და დეკემბერში - 489 ბენეფიციარს.
 - ✓ შშმ ბავშვების შემთხვევაში: იანვარში – 459 ბენეფიციარს, თებერვალში – 488 ბენეფიციარს, მარტში – 504 ბენეფიციარს, აპრილში - 503, მაისში - 500, ივნისში - 515, ივლისში - 537 ბენეფიციარს, აგვისტოში - 340 ბენეფიციარს, სექტემბერში - 540 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 542 ბენეფიციარს, ნოემბერში - 544 ბენეფიციარს და დეკემბერში - 559 ბენეფიციარს.
 - ✓ 18 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირების შემთხვევაში: იანვარში – 420 ბენეფიციარს, თებერვალში – 433 ბენეფიციარს, მარტში – 433 ბენეფიციარს, აპრილში - 435, მაისში - 427, ივნისში - 429, ივლისში - 415 ბენეფიციარს, აგვისტოში - 310 ბენეფიციარს, სექტემბერში - 424 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 428 ბენეფიციარს, ნოემბერში - 429 ბენეფიციარს და დეკემბერში - 435 ბენეფიციარს.

✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შემთხვევაში: იანვარში – 52 ბენეფიციარს, თებერვალში – 53 ბენეფიციარს, მარტში – 53 ბენეფიციარს, აპრილში - 52 ბენეფიციარს, მაისში - 51 ბენეფიციარს, ივნისში - 78 ბენეფიციარს, ივლისში - 53 ბენეფიციარს, სექტემბერში - 52 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 50 ბენეფიციარს, ნოემბერში - 50 ბენეფიციარს და დეკემბერში - 48 ბენეფიციარს.

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 334 ბენეფიციარს, თებერვალში – 334 ბენეფიციარს, მარტში – 332 ბენეფიციარს, აპრილში - 334 ბენეფიციარს, მაისში - 329 ბენეფიციარს, ივნისში - 323 ბენეფიციარს, ივლისში - 331 ბენეფიციარს, აგვისტოში - 338 ბენეფიციარს, სექტემბერში - 337 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 334 ბენეფიციარს, ნოემბერში - 326 ბენეფიციარს და დეკემბერში - 329 ბენეფიციარს;
- „მინდობით აღზრდის პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 1 208 ბენეფიციარს, თებერვალში – 1 197 ბენეფიციარს, მარტში – 1 205 ბენეფიციარს, აპრილში - 1 205 ბენეფიციარს, მაისში - 1 212 ბენეფიციარს, ივნისში - 1 220 ბენეფიციარს, ივლისში - 1 231 ბენეფიციარს, აგვისტოში - 1 232 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 223 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1235 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1255 ბენეფიციარს და დეკემბერში - 1238 ბენეფიციარს;
- „სათემო ორგანიზაციების პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 168 ბენეფიციარს, თებერვალში – 171 ბენეფიციარს, მარტში – 170 ბენეფიციარს, აპრილში - 172 ბენეფიციარს, მაისში - 169 ბენეფიციარს, ივნისში - 170 ბენეფიციარს, ივლისში - 170 ბენეფიციარს, აგვისტოში - 174 ბენეფიციარს, სექტემბერში - 171 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 172 ბენეფიციარს, ნოემბერში - 175 ბენეფიციარს და დეკემბერში - 175 ბენეფიციარს;
- „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მომსახურება საანგარიშო პერიოდში გაეწია ივნისში 63 ბენეფიციარს, ივლისში - 33 ბენეფიციარს, აგვისტოში - 18 ბენეფიციარს, სექტემბერში (არ მოუმართავთ); ოქტომბერში - 18 ბენეფიციარს, ნოემბერში - 14 ბენეფიციარს და დეკემბერში - 3 ბენეფიციარს;
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 60 ბენეფიციარს, თებერვალში - 64 ბენეფიციარს, მარტში - 68 ბენეფიციარს, აპრილში და მაისში - 66-66 ბენეფიციარს, ხოლო ივნისში - 60 ბენეფიციარს, ივლისში - 65 ბენეფიციარს, აგვისტოში - 67 ბენეფიციარს, სექტემბერში - 56 ბენეფიციარს, სექტემბერში - 56 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 64 ბენეფიციარს, ნოემბერში - 60 ბენეფიციარს, ხოლო დეკემბერში - 62 ბენეფიციარს;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში იანვარში 73 ბენეფიციარს, თებერვალში – 78 ბენეფიციარს, მარტში - 73 ბენეფიციარს, აპრილში - 74 ბენეფიციარს, მაისში - 76 ბენეფიციარს, ხოლო ივნისში - 72 ბენეფიციარს, ივლისში - 95 ბენეფიციარს, აგვისტოში - 95 ბენეფიციარს, სექტემბერში - 86 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 94 ბენეფიციარს, ნოემბერში - 101 ბენეფიციარს, ხოლო დეკემბერში - 121 ბენეფიციარს;

- „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ყოველთვიურად მონაწილეობას იღებდა 10 სურდო–თარჯიმანი და მიიმართა სულ - 47 955 ლარი;
- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის პროგრამით“ გათვალისწინებულ მომსახურებათა შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 313, თებერვალში - 167, მარტში - 99, აპრილში - 119, მაისში - 119, ივნისში - 190, ივლისში - 404 შემთხვევა, აგვისტოში - 594 შემთხვევა, სექტემბერში - 438 შემთხვევა, ოქტომბერში - 390 შემთხვევა, ნოემბერში - 270 შემთხვევა და დეკემბერში - 113 შემთხვევა. მათ შორის:
 - ✓ სავარძელ–ეტლებით (მექანიკური) უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში - 58, თებერვალში - 9, მარტში - 17 შემთხვევა, აპრილში - 16, მაისში - 8, ივნისში - 7 შემთხვევა, სექტემბერში - 39, ოქტომბერში - 98, ნოემბერში - 111 და დეკემბერში - 42 შემთხვევა;
 - ✓ სავარძელ–ეტლებით (ელექტრო) უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა თებერვალში - 3, მარტში - 9, აპრილში - 3, მაისში - 17 შემთხვევა;
 - ✓ საპროთეზო–ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში - 18, თებერვალში - 71, მარტში - 47, აპრილში - 60, მაისში - 79, ივნისში - 110, ივლისში - 94 შემთხვევა, აგვისტოში - 53, სექტემბერში - 75, ოქტომბერში - 71, ნოემბერში - 57, დეკემბერში - 21 შემთხვევა;
 - ✓ ყავარჯნებით, ხელჯოხ–ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში - 23, თებერვალში - 18, მარტში - 9, აპრილში - 14, მაისში - 15, ივნისში - 12, ივლისში - 26, აგვისტოში - 28, სექტემბერში - 13, ოქტომბერში - 24, ნოემბერში - 11, ხოლო დეკემბერში - 6 შემთხვევა;
 - ✓ სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში - 198, თებერვალში - 66, მარტში - 1, ივლისში - 249, აგვისტოში - 478, სექტემბერში - 276, ოქტომბერში - 162, ნოემბერში - 28, დეკემბერში - 7 შემთხვევა;
 - ✓ კოხლეარული იმპლანტით კომპონენტის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტი გადაეცა 20 ბენეფიციარს, ხოლო სარეაბილიტაციო ღონისძიებებებით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ იანვრის თვეში შეადგინა 16 შემთხვევა, მარტში - 16, აპრილში - 26, მაისში - 26, ივნისში - 36, ივლისში - 35, აგვისტოში - 35, სექტემბერში - 35, სექტემბერში - 35, ოქტომბერში - 35, ნოემბერში - 63 და დეკემბერში - 37 შემთხვევა;
- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამის“ ფარგლებში:

- ✓ კვების ვაუჩერი მიიღო აპრილში - 986 ბენეფიციარმა, მაისში - 993 ბენეფიციარმა, ივნისში - 979 ბენეფიციარმა, ივლისში - 987 ბენეფიციარმა, აგვისტოში - 999 ბენეფიციარმა, სექტემბერში - 996 ბენეფიციარმა, ოქტომბერში - 947 ბენეფიციარმა, ნოემბერში - 937 ბენეფიციარმა, დეკემბერში - 943 ბენეფიციარმა.
- ✓ შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით დახმარება გაეწიათ მარტში - 320 ოჯახს, ივლისში - 186 ოჯახს, სექტემბერში - 225 ოჯახს, ოქტომბერში - 144 დეკემბერში - 393 ოჯახს.
- „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ოქტომბერში მომსახურება გაეწია 17 ბენეფიციარს, ნოემბერში - 26 ბენეფიციარს, დეკემბერში - 26 ბენეფიციარს.

1.2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.2.1 მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 734.5 ათასზე მეტი შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების 240.1 ათასზე მეტი შემთხვევა, კარდიოქირურგიის - 3.5 ათასი შემთხვევა, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის 50.8 ათასზე მეტი შემთხვევა, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის 44.4 ათასზე მეტი შემთხვევა, გეგმური ამბულატორიის 2.8 ათასი შემთხვევა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 570.7 მლნ ლარი.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

- „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში სხვადასხვა სახის სკრინინგული კვლევა ჩატარდა 60.5 ათასზე მეტი ბენეფიციარს, მათ შორის, ძუძუს კიბოს სკრინინგი - 16.0 ათასამდე ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 24.2 ათასზე მეტი ბენეფიციარს, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 6.3 ათასზე მეტი, პროსტატის კიბოს სკრინინგი - 9.0 ათასზე მეტი, ხოლო კოლონოსკოპიური სკრინინგი - 190 ბენეფიციარს. ასევე, „საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის პილოტის“ კომპონენტის ფარგლებში (პროგრამის მიმწოდებელი - ა(ა)იპ „კახეთი-იონი“, პილოტი ხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით) საანგარიშო პერიოდში სკრინინგი (Pap-ტესტი) ჩატარდა 1.2 ათას ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კოლონოსკოპიური სკრინინგი 105 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 1-6 წლის ასაკის 683 ბავშვს, მათ შორის ჩატარდა ნევროლოგის კონსულტაცია, ძილის დარღვევების კვლევა - 682, ნეიროფსიქოლოგიური კვლევები - 671, ეპილეფტოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური კვლევები - 88;
- „ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ გამოკვლეულ იქნა 1 544 პაციენტი, პირველადი სკრინინგი-ნევროლოგის კონსულტაცია ჩატარდა - 1 544 პაციენტს, 1461-ს ჩატარდა პირველადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი, 1175-ს ელექტროენცეფალოგრაფიული სკრინინგი, 1171-ს - ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, ხოლო 1188-ს ეპილეფტოლოგიური დასკვნითი დიაგნოსტიკა.

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

- მოსახლეობის მართვადი ინფექციებისგან დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (სამშობიარო-1 წლამდე ასაკი) 57.1 ათასამდე აცრა, ჰეპატიტი „B“ საწინააღმდეგოდ (სამშობიარო-1 წლამდე ასაკი) 54.3 ათასზე მეტი აცრა, პოლიომიელიტის საწინააღმდეგოდ (2 თვე-15 წლამდე ასაკი) 152.9 ათასზე მეტი აცრა, დიფთერია, ტეტანუსი, ყვიანახველა, ჰეპატიტი ბ, ჰემოფილუს ინფლუენცა ბ ტიპის საწინააღმდეგოდ (2 თვე-1 წლის ბავშვები) 152.9 ათასამდე აცრა, დიფთერია, ტეტანუსის საწინააღმდეგოდ (1-6 წელი) ჩატარებულია 58.5 ათასზე მეტი აცრა, ტეტანუსი-დიფთერიის საწინააღმდეგოდ (7-14 წელი) 35.8 ათასზე მეტი აცრა, წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგოდ (1-14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 139.6 ათასზე მეტი აცრა, როტას საწინააღმდეგოდ (12-24 კვირა) ჩატარებულია 84.1 ათასზე მეტი აცრა, პნევმოკოკური ვაქცინით ჩატარებულია 130.2 ათასზე მეტი აცრა;
- საანგარიშო პერიოდში ანტიდიფთერიული შრატი-დახარჯულია 5 კომპლექტი, დაფიქსირებულია დიფთერიის 1 შემთხვევა; ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი (ადამიანის) -

დახარჯულია 65 კომპლექტი, დაფიქსირებულია ტეტანუსის 5 შემთხვევა. გველის შხამის საწინააღმდეგო პოლივალენტური შრატი დახარჯულია 36 ფლაკონი 32 ბენეფიციარზე; ანტიბოტულინური შრატი დახარჯულია: „A“ ტიპი – 16, „B“ ტიპი –16, „E“ ტიპი - 16 კომპლექტი, დაფიქსირებულია ბოტულიზმის 16 შემთხვევა; ანტირაბიული იმუნოგლობულინი მოხმარდა – 10.7 ათასზე მეტ ბენეფიციარს, რაზეც დაიხარჯა 25 443 ფლაკონი იმუნოგლობულინი; ანტირაბიული ვაქცინით აცრა ჩატარდა - 58.1 ათასამდე ბენეფიციარს, დაიხარჯა 193 602 დოზა ვაქცინა, აღინიშნა ცოფის– 1 შემთხვევა; ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთდა-601 ბენეფიციარს, დაიხარჯა 610 დოზა;

- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

- საანგარიშო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა მალარიის (ტროპიკული მალარია) 5 შემთხვევა (მ.შ. 4 შემთხვევა აფრიკიდან შემოტანილი, 1 - მეორადი). განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) შედეგების 20% გადამოწმება ცენტრის ლაბორატორიაში და აგრეთვე, პრეპარატების ხარისხის რეგულარული კონტროლი. სულ შემოსულია 292 პრეპარატი, ყველა მათგანის შედეგი იყო უარყოფითი;
- ჩატარდა სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად 1071 კვლევა. „მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკის და კონტროლის გაუმჯობესების“ კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას, განხორციელდა ინსექტიციდის (სოლფაკი) განაწილება, რათა სეზონურად მოხდეს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დამუშავება. კერძოდ, სადეზინსექციო სამუშაოები ჩატარდა 887 370 მ2 ფართობზე;
- ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 328 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა, ვირუსული დიარეების კვლევის ფარგლებში სულ განხორციელდა მწვავე დიარეის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ 0-14 წლის ბავშვთა 94 შემთხვევის ფეკალის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევა და შედეგად დადებითი გამოვლინდა: ადენოვირუსზე – 3 ნიმუში, როტავირუსზე – 15 ნიმუში, ნოროვირუსზე - 4 ნიმუში, ხოლო ვეროტოქსინზე დადებითი შემთხვევები არ დაფიქსირებულა. WHO-ს პროექტში ჩართული საყრდენი ბაზიდან მოწოდებული 496 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგად ადენოვირუსზე დადებითად გამოვლინდა 25 ნიმუში, ხოლო ნოროვირუსზე – 60 ნიმუში;

- გრიპის გავრცელების პრევენციის მიზნით შესყიდულ იქნა გრიპის ვაქცინის 10 000 დოზა (ინფლუვაკი - 5000 შპრიც/დოზა, ვაქსიგრიპი - 5000 შპრიც/დოზა), რომელიც ქვეყნის მასშტაბით განაწილდა და გამოყენებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის მაღალი რისკის მოსახელობის ფენებზე. საქართველოს 65 რაიონში და დესჯეც-ში სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინით აიცრა 9 993 პირი.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

- პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 68.4 ათასამდე დონაცია, მათგან 16.7 ათასზე მეტი იყო უანგარო დონორი. დონორული სისხლის ნიმუშების კვლევისას გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 58 შემთხვევა, „C“ ჰეპატიტზე სავარაუდო - 993, „B“ ჰეპატიტზე - 657, ხოლო სიფილისზე კვლევისას 452 სავარაუდო შემთხვევა.

1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

- პროგრამის ფარგლებში 5 საწარმოებში ჩატარდა ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური კვლევები;

1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში 18 984 ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი მომსახურება, დაფინანსდა - 19.0 ათასამდე შემთხვევა.

1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 47.1 ათასამდე ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 21.5 ათასზე მეტ პაციენტს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 2.1 ათასზე მეტ პირს და დაფიქსირდა 104.1 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ლაბორატორიული კონტროლის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 49.8 ათასზე მეტი ბაქტერიოკოპული კვლევა; სადიაგნოსტიკო კვლევა 26.5 ათასამდე, ხოლო ქიმიოკონტროლი - 23.2 ათასი, ჩატარებული ბაქტერიოლოგიური (კულტურალური) კვლევების რაოდენობა - 15.4 ათასი, ანტიბიოტიკომგრძნობელობა I რიგის - 3.5 ათასი, ანტიბიოტიკომგრძნობელობა II რიგის 1.0 ათასი.

1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 35.6 ათასზე მეტი შემთხვევა და სტაციონარული მომსახურების 694 შემთხვევა. ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 3.1 ათასამდე პირმა, ხოლო სტაციონარულით - 364-მა პირმა;
- ჩატარდა 27.5 ათასზე მეტი სკრინინგული გამოკვლევა (გამოკვლევულ იქნა 26 304 პირი), მათგან გამოვლინდა 794 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 641. ასევე ჩატარდა 19.1 ათასზე მეტი ტესტის წინა, 18.9 ათასზე მეტი ტესტის შემდგომი კონსულტაცია და 100 კონფირმაციული კვლევა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით;
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩატარდა 5 668 პატიმარს, მათგან გამოვლინდა აივ-ინფექციაზე საექვო 15 შემთხვევა და კონფირმაციული მეთოდით დადასტურდა 14 შემთხვევა.

1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ანტენატალური მეთვალყურეობით გათვალისწინებული 170.4 ათასამდე ვიზიტი; ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიზზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლევული იქნა 59.4 ათასზე მეტი ახალშობილი (61.1 ათასზე მეტი შემთხვევა);
- გენეტიკური პათოლოგიების გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 5.2 ათასზე მეტი ორსულის სკრინინგული გამოკვლევა. დაფიქსირდა მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის 3.5 ათასზე მეტი შემთხვევა;
- B ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათამანგზე სწრაფი-მარტივი ტესტ-სისტემებით გამოკვლევულ ორსულთა რაოდენობა შეადგენს 38.9 ათასზე მეტ ორსულს. „B“ ჰეპატიტზე დაკონფირმირდა 678 ორსულის სისხლის ნიმუში, ხოლო სიფილისზე - 89 ორსულის სისხლის ნიმუში. „B“ ჰეპატიტის იმუნოგლობულინი გაუკეთდა 627 ბენეფიციარს.
- ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიზზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლევული იქნა 59.4 ათასზე მეტი ახალშობილი;
- კომბინირებული ტესტებით („B“ ჰეპატიტი, აივ-ინფექცია/შიდსი, სიფილისი და C ჰეპატიტი) გამოკვლევულ ორსულთა რაოდენობა მოიცავდა 1836 ორსულს;
- ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში, ქ. თბილისის სამშობიარო სახლებში პირველადი სკრინინგი ჩატარდა 23.2 ათასზე მეტ ახალშობილს. სმენის მეორადი სკრინინგი ჩატარდა 1.0 ათას ახალშობილს, ასევე ტიმპანომეტრია

ჩაუტარდა 1.0 ათას ახალშობილს, კომპიუტერული აუდიომეტრული გამოკვლევა - 5 ახალშობილს.

1.2.2.10 ნარკომანია (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

- ჩანაცვლებელითი თერაპიით მომსახურება გაეწია 3.5 ათასამდე ბენეფიციარს, ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 626 პაციენტმა.

1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიები. ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის (მ.შ. ტრენინგები პჯდ სპეციალისტებისათვის თამბაქოსათვის თავის ხანმოკლე კონსულტაციების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ტექნიკის სწავლებაზე (გადამზადდა 300 პჯდ სპეციალისტი);
- ჩატარდა თვისობრივი კვლევა (ფოკუს ჯგუფების მეთოდით, სულ 17 ფოკუს-ჯგუფი) ჯანმრთელობის ხელშეწყობის პრიორიტეტულ თემებზე სამიზნე პოპულაციაში;
- განხორციელდა თამბაქოს არსებული კანონმდებლობის აღსრულებისა და დანერგვის შეფასება სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში, სადაც კანონით აკრძალულია/შეზღუდულია მოწევა, რეალიზება და რეკლამირება.

1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფა/C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

- საანგარიშო პერიოდში დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 6 000 პირმა.

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 324-მა ბავშვმა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 110-მა პაციენტმა, ხოლო ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 22.6 ათასამდე პაციენტმა, ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 579 პაციენტს;
- ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ფარგლებში მომსახურება ჩაუტარდა 5.1 ათასამდე

ბენეფიციარს, ხოლო ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურებით ისარგებლა 1 112-მა პირმა, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტით ისარგებლა 111 პირმა;

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ 846 დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა, ხოლო სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარებით ისარგებლა 4.9 ათასამდე პაციენტმა.

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურების 16.3 ათასზე მეტი შემთხვევა და პროგრამით ისარგებლა 148-მა ბენეფიციარმა.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

- პროგრამის ფარგლებში ჰემო და პერიტონეული დიალიზით მკურნალობის პროგრამაში ჩართული იყო 2.7 ათასზე მეტი პაციენტი; სულ დაფიქსირდა ჰემო და პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფის 294.3 ათასზე მეტი შემთხვევა;
- დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 31 შემთხვევა;
- განხორციელდა ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 18.2 ათასზე მეტი ვიზიტი, 912 პაციენტს გაეწია შესაბამისი მომსახურება;
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 5,1 ათასზე მეტი საწოლ-დღე, მომსახურება გაეწია 728 პაციენტს.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

- პროგრამის ფარგლებში სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 250-მდე ბავშვს, ხოლო ამბულატორიული მომსახურება -153 ბავშვს;
- ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 231 პაციენტს, დაფიქსირდა 4.5 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

- პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ტრანსპორტირებს-რეფერალური დახმარება გაეწია 23.9 ათასზე მეტ პაციენტს. დაფიქსირდა 28.4 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ცენტრის მართვაში არსებული ბრიგადების რაოდენობა 31 დეკემბრის მდგომარეობით 206 ერთეულს შეადგენდა (გარდა ბათუმი/ხელვაჩაურის 13 ბრიგადის; ერთი ბრიგადის დამატება მოხდა ქუთაისის რაიონში); ამასთან საანგარიშო პერიოდში ბრიგადების რაოდენობა იყო 207 იმისგათვალისწინებით, რომ ერთი ბრიგადა ქობულეთში იყო სეზონურად და სეზონის დამთავრების შემდეგ მოხსნეს.
- საანგარიშო პერიოდში ცენტრმა მიიღო და შეასრულა 703 250 გამოძახება;
- მიმდინარეობდა ცენტრის ბრიგადის ექიმთა ტრენინგები.

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

- სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა). ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის;
- პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით აყვანილია 1 277 ექიმი და 1 541ექთანნი;

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 23.9 მლნ ლარზე მეტი.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 8.0 ათასზე მეტი შემთხვევა, მომსახურება გაეწია 5.4 ათასზე მეტ პაციენტს.

1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

- პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულიად გამოკვლეულ იქნა 18.2 ათასზე მეტი წვევამდელი. ჩატარდა 1.5 ათასი წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა. წვევამდელთა რიცხვი ყოველწლიურად დგინდება „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის დადგენილებებით.

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

- განხორციელდა დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესისა და შეფასების მექანიზმების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებები.

1.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური;
- ✓ სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი.
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.3.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)

- მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, აგრეთვე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- განხორციელდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მიმდინარე საქმიანობის მართებულობის, რესურსების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების ანალიზი.

1.3.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)

- მიმდინარეობდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი. შშმ პირთა სტატუსის მინიჭების მართლზომიერება შემოწმდა 74 დაწესებულებაში. 493 სამედიცინო დაწესებულებაში შემოწმდა პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. სამედიცინო დაწესებულებებში შესწავლილ იქნა სალიცენზიო, სანებართვო და ტექნიკური რეგლამენტის პირობები. სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია გაცემულ იქნა 17 დაწესებულებაზე;
- საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 141 სააკრედიტაციო განაცხადი; განხორციელდა 81 სააკრედიტაციო ვიზიტი, ადგილზე შესწავლილ იქნა 242 დაწესებულება, მათ შორის 174 აფილირებული დაწესებულება;
- გაცემულ იქნა 95 ნებართვა ავტორიზებულ აფთიაქზე და ფარმაცევტულ წარმოებაზე. რეალიზაციის უფლება მიეცა 684 აფთიაქს. შეტყობინების საფუძველზე რეალიზაცია შეწყვიტა 538-მა ფარმაცევტულმა დაწესებულებამ.
- მომზადდა და გაიცა იმპორტზე 186 წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი, მათ შორის ნარკოტიკულ საშუალებებზე - 18; ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე - 153; ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე - 12 და პრეკურსორების იმპორტზე - 3;
- ფარმაცევტული პროდუქტის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია გაიარა 1039-მა ფარმაცევტულმა პროდუქტმა; უარი ეთქვა 237 ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციას და/ან ცვლილებას. აღიარებითი რეჟიმით დარეგისტრირდა 498 პროდუქტი. გაკეთდა 375 განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანის შეტყობინება. უარი ეთქვა შეფუთვა-მარკირებით შემოტანის 112 შეტყობინება.
- განხორციელდა 180 ფარმაცევტულ დაწესებულებაში 10 000 ლარის ღირებულების 628 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა;
- 224 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი ლაბორატორიული ანალიზისთვის გადაეგზავნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ

ბიუროს. 135 სამკურნალო საშუალებაზე განხორციელდა ქიმიური ექსპერტიზა, 147 სამკურნალო საშუალებაზე კი - მიკრობიოლოგიური.

- კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული იქნა 73.7 ათასამდე ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევით არსებული ფარმაცევტული პროდუქტი;
- პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ განხილულ იქნა 205 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.

1.3.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა.

1.3.4 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)

- მიმდინარეობდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავება და მართვა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალური დახმარების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული) დახმარების მიმღებ ბენეფიციართა დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- შეიქმნა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკი;
- განხორციელდა მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მათი განხორციელების მონიტორინგი.

1.3.5 სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)

- ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაეწიათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება, მათ შორის: ფსიქოლოგიური მომსახურება - 6 პირს, სამედიცინო - 5 პირს, კანონიერი ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა - 25 პირი, პირადი კონსულტაცია გაეწია 27 პირს, კომპენსაცია გაიცა 18 პირზე; ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მიმდინარეობდა საინტეგრაციო პროგრამები, რამაც ხელი შეუწყო მათ დასაქმებას. ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მომსახურებით ისარგებლა 189-მა მოქალაქემ.
- განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით მომსახურება:
 - ✓ თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა ოჯახში ძალადობის 66-მა სრულწლოვანმა და 122-მა არასრულწლოვანმა;
 - ✓ მსხვერპლებს გაეწიათ შემდეგი სახის დახმარებები: სამედიცინო – 91 ბენეფიციარს, ფსიქოლოგიური - 135 ბენეფიციარს, იურიდიული დახმარება – 44 ბენეფიციარს, ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 52 მოქალაქეს;
 - ✓ სასამართლოში წარსადგენად მომზადდა 7 განცხადება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით, აქედან სასამართლო წარმომადგენლობა გაეწია 5 ბენეფიციარს. 2 - ქონებრივი დავა, 5 განქორწინებასა და ალიმენტის მოთხოვნასთან დაკავშირებით, 1 განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენაზე. სისხლის სამართლის საქმეზე წარმომადგენლობა განხორციელდა 2 ბენეფიციარზე.
 - ✓ მოქმედებს 24 საათიანი ცხელი ხაზი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის. ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 1143-მა მოქალაქემ.
- მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციონალური პატრონაჟი – მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღეღამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები. შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნა 479 ბენეფიციარი;
- საანაგროშო პერიოდში ფონდის მიერ ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებში საჯარო სკოლებში მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის მიწოდებული იქნა ინფორმაცია, როგორც ძალადობის, ასევე ტრეფიკინგის შესახებ. მოეწყო პრევენტაციები, დარიგდა საინფორმაციო სახის ბროშურები. შეხვედრები მიმდინარეობდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც. ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის თემებზე დამზადდა აუდიო რეკლამა. ფონდმა გააფორმა ხელშეკრულება საინფორმაციო ცენტრ 118 09-სთან, რომლის მიხედვით,

ცენტრის თითოეული აბონენტი ავტომატურად ხმოვანი შეტყობინებით იგებდა ტრეფიკინგის საკონსულტაციო ცხელი ხაზის ნომერს;

- მიმდინარეობდა სისტემური შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან; სატელევიზიო და ბეჭდური მედიის გამოყენებით აქტიურად მიმდინარეობდა ტრეფიკინგის პრევენციული საქმიანობა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით უზრუნველყოფა.
- ფონდის მიერ გარემონტდა და მოეწყო სენსორული ოთახი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში. ჩატარდა ტრეინინგი თემაზე „სენსორული ინტეგრაცია“.

1.3.6 სამედიცინო მედიაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 06)

- სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დაზღვევის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით მედიატორის როლის შესრულების კუთხით, განხილულ იქნა 29 სარჩელი
- მოსახლეობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სადაზღვევო პირობების სრულყოფილ მიწოდებაზე მუდმივი ზედამხედველობისას, სახელმწიფო სადაზღვევო და ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში სამსახურში დაფიქსირდა 2.3 ათასზე მეტი მომართვა, აქედან 2.1 ათასზე მეტი შემოსულია ცხელი ხაზის მეშვეობით, 184 შემოსულია წერილობით. რიგი მომართვების შემთხვევაში იდენტიფიცირდა დარღვევა და დამრღვევ მხარეს გაეწია რეკომენდაცია დარღვევის გამოსწორების თაობაზე, ხოლო ნაწილი მომართვებისა დასრულდა მოგვარებით
- სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური ლიკვიდირებულია 2015 წლის 1 ივნისიდან „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სამედიცინო მედიაციის სამსახურის უფლებამონაცვლეობისა და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 ივლისის N316 დადგენილებით.

1.3.7 ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 07)

- ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის და ხანგრძლივი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება;
- სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი. ლიკვიდირებულია 2015 წლის 1 ივნისიდან „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ ზოგიერთ საჯარო სამართლის

იურიდიულ პირთა დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N122 დადგენილებით.

1.3.8 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 08)

- მიმდინარეობდა მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა);

1.4. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- განხორციელდა ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების, დაზიანებული გარე ფასადის მინების და საკეტების შეცვლის სამუშაოების, მოძრავი ტიხრების მოწყობის სამუშაოების და სანიტარული მომსახურების შესყიდვა.
- განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ტერიტორიაზე არსებული სპეციალურად განკუთვნილი სამარაგო ფართის:
 - ✓ სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
 - ✓ ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვა;
 - ✓ სამარაგოს დაშვების სისტემა-სიგნალიზაციის შესყიდვა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ბორჯომის (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთის (დაბა თიანეთი), თეთრიწყაროსა (ქ. თეთრიწყარო) და ქალკის (ქ. წალკა)) მოქმედი შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრების (მოძრავი და უძრავი) ქონების გამოსყიდვა;
- მიმდინარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ რუხში მშენებარე მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის და დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები (ნაწილობრივი დაფინანსება);
- დაიწყო დაბა-ხარაგაულისა და დაბა ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოების სამშენებლო სამუშაოები.
- განხორციელდა სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ბავშვთა კორპუსის საპროექტო სამუშაოები და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები;
- განხორციელდა შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა“ და შპს „აბასთუმნის

ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს" ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობებით უზრუნველყოფა;

- სსიპ - „სასწრაფო ამედიცინო დახმარების ცენტრის“ შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის შექმნილი იქნა 20 ერთეული მაღალი გამავლობის სასწრაფო დახმარების მანქანა, სამედიცინო მოწყობილობები, კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკა;
- სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით შესყიდულ იქნა მობილური ამბულატორია.

1.5 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურების მომარაგება მედიკამენტებით, სახარჯი მასალებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით;
- გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიციური დახმარება (სტაციონარული და ამბულატორიული) გაეწია 3.9 ათასზე მეტ პაციმარს, ხოლო თავისუფლების აღკვეთ დაწესებულებებში სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ 26.2 ათასზე მეტ პაციმარს გაეწიათ სამედიცინო კონსულტაცია;
- ანტიტუბერკულოზური მკურნალობის („DOTS” და „DOTS+”) საჭიროების მქონე პაციმართა რიცხვმა საპაციმრო დაწესებულებებში ტუბერკულოზის გავრცელების შემცირების ფონზე, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაიკლო 6 ერთეულით და შეადგინა 128 პაციენტი;
- დადებითი დინამიკა აღინიშნება სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით - სიკვდილიანობის მაჩვენებელი გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 50%-ით შემცირდა;
- N2, N3, N12, N14, N15, N16, N17, N18 დაწესებულებებში განახლდა აფთიაქები და სისტემის ყველა დაწესებულებებში ჩატარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პრევენციული გამოკვლევები;
- C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს სკრინინგი ჩატარდა 5.5 ათას ბრალდებულს/მსჯავრდებულს, ხოლო 155 პაციენტმა წარმატებით დაასრულა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი, ამასთან 2015 წლის სექტემბრიდან პენიტენციურ სისტემაში ამოქმედდა „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც შესაძლებელი გახდა

სისტემაში მყოფი პაციენტების მკურნალობა ახალი მედიკამენტით - სოფოსბუვირით. აღნიშნული პრეპარატით მკურნალობა უკვე დაიყო 206-მა პაციენტმა.

1.6 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; მიმდინარეობდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხის და ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

1.7 სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 54 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური;

- გაფორმდა მემორანდუმი სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლას შორის და ვეტერანების 6-17 წლამდე ასაკის შვილები ერთი წლის განმავლობაში უფასოდ სწავლობდნენ ხელოვნების სკოლაში სხვადასხვა საგნებს;
- ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები და გვირგვინებით შემკობილი იქნა საბრძოლო და დიდების პეგლები, მემორიალური კომპლექსები;
- ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა ღონისძიება 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს გადაეცათ საიუბილეო მედლები;
- 17 ოქტომბერს აღინიშნა ვეტერანის დღე;
- სამსახურში მომზადებული შუამდგომლობების საფუძველზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ომში დაღუპული გმირების სახელები მიანიჭა ქ.თბილისში არსებულ უსახელო ქუჩებს;
- ა(ა)იპ შინდისისი გმირების მემორიალის ფონდს გამოეყო თანხა შინდისში გმირულად დაღუპული გმირების მემორიალის აგების მიზნით;

- საბრძოლო და დიდების ძეგლების, მემორიალური კომპლექსების პასპორტიზაციის და მოვლაპატრონობის, უზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების, საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა (ყოფილ სამხედრო ტყვეთა) საფლავების მოძიების და აღრიცხვის მიზნით მოძიებული იქნა ინფორმაცია ქ.კიევიში, ისტორიის მუზეუმში დაცული „გროს ლაზარეთის“ სიებში აღრიცხული, დიდ სამამულო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების შესახებ, ასევე საქართველოს მასშტაბით მოძიებული იქნა უცნობი ჯარისკაცის საფლავები;
- დამზადდა სარეკლამო ვიდეო რგოლი და დოკუმენტური ფილმი „ვეტერანი“, „რადისონ ბლუ ივერიაში“ მოეწყო ფილმისა და ვიდეო რგოლის პრეზენტაცია, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას;
- ვეტერანებისათვის უწყვეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ცხელი ხაზის მეშვეობით და ასევე სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდის საშუალებით, ონლაინ რეჟიმში, ვეტერანებს და სხვა დაინტერესებული პირებს უმოკლეს დროში მიეწოდებოდა ამომწურავი პასუხები;
- ვეტერანთა დასაქმებისა და სათანადო ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ებრაულ კომპანია „Fortuna Holdings“-ს შორის, აღნიშნულმა კომპანიამ განახორციელა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წარმოადგინა შედეგები ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო თემის შექმნისათვის;
- ვეტერანთა მიმართ სოციალური დაცვის მიზნით, ერთდღერადად ფინანსდებოდა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, ასევე, გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახის წევრებზე (460 ბენეფიციარი) გაიცა ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება 500 ლარის ოდენობით;
- 2015 წლის სექტემბერში გაფორმდა სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, შშმპ სარეაბილიტაციო ცენტრსა და გერმანულ საპროთეზო ფირმა „Ottobok“-ს შორის, რომელიც ითვალისწინებს შშმპ ვეტერანებისთვის მაღალი ხარისხის პროთეზების დამზადებას, აღნიშნული პროექტის ფარგლებში 33 შშმპ ვეტერანს დაუმზადდა მაღალი ხარისხის პროთეზები;
- დასრულდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტზე ერთობლივი მუშაობა, ვეტერანთა რეაბილიტაციისათვის პროფესიული ორიენტაციისა და კადრების მომზადება/გადამზადება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების, აგრეთვე ვეტერანებთან დაკავშირებული საერთაშორისო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებს მიზნით;
- დაჭრილი მებრძოლების, ვეტერანებისა და შშმპ პირების მხარდაჭერის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის მიზნით თბილისის ქუჩებში გაიმართა მართონი სახელწოდებით „ერთად ვიმარჯვებთ“. 5,5 კილომეტრიან გარბენში მონაწილეობა მიიღეს ვეტერანებმა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლებმა;

- ჟურნალისტებისთვის ჩატარდა სემინარი, სადაც განხილული იქნა სამსახურის მიერ ზოგადი მუშაობის პრინციპები, განხორციელებული და მიმდინარე პროექტები და სამომავლო გეგმები;

1.8 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
 - ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა - 6 000, ხოლო თვისებრივი კვლევის ფარგლებში - 240 კომპანია;
 - 2015 წელს დაიწყო აქტიური მუშაობა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვასა და განვითარებაზე;
 - განხორციელდა სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი. შრომის მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ შემოწმებულ იქნა 80 სხვადასხვა საწარმო/ორგანიზაცია (მათ შორის 25 სახელმწიფო და 55 კერძო კომპანია) 100-ზე მეტი ობიექტი, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით. შემოწმების შედეგად დამსაქმებლებს მიეცათ წერილობითი რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების აღკვეთასთან დაკავშირებით;
 - სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით 2015 წელს ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა დასაქმების ხელშეწყობის ფორუმი და კვირეული, სადაც 60-მდე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. Worknet.gov.ge-ზე 1600-მდე სამუშაოს მაძიებელი დარეგისტრირდა. დამსაქმებლებმა 255 პოზიციაზე, 610 ვაკანსია წარმოადგინა. ქუთაისში ჩატარდა დასაქმების ფორუმი იმერეთის რეგიონისათვის, დასაქმდა 125 ადამიანი. ხოლო თბილისსა და თელავში ჩატარებული ფორუმით, სადაც 100 ვაკანსია იქნა წარმოადგენილი დასაქმდა 40 ადამიანი.

1.9 შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- ექიმებთან მიღება გაიარა 83 885 პაციენტმა, სტომატოლოგიური მკურნალობა ჩატარდა 6 536 პაციენტს, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 950 გამოკვლევა, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 5 491 გამოკვლევა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში ჩატარებულ იქნა 15 436 პროცედურა, რენტგენოლოგიურ კაბინეტში მიღებულ იქნა 15 753 პაციენტი, ლაბორატორიული ანალიზი ჩატარდა 39 130 პაციენტს, საინექციო კაბინეტში ჩატარდა 3 551 პროცედურა, მასაჟის კაბინეტში მიღებულ იქნა 4 747 პაციენტი, სულ კომისია გაიარა 4 942 პირმა. სტაციონალური სამედიცინო მკურნალობა გაიარა 1 594 პაციენტმა.

1.10 ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 57 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი

- საანგარიშო პერიოდში სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა და დაამტკიცა სიმსივნით დაავადებული 169 ბავშვისა და 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მათ შორის 79 შემთხვევაში საქართველოში, ხოლო 90 შემთხვევაში – როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ. აღნიშნული ღონისძიებების დაფინსება ხორციელდებოდა ფონდში მობილიზებული სახსრების მეშვეობით.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.1 შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი;

- დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა 2016-2019, რომელიც აღნიშნულ პერიოდში თავდაცვის სამინისტროს ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს;
- შემუშავდა და დამტკიცდა თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო, რომლის მიზანია განსაზღვროს მითითებები და რეკომენდაციები პროგრამის კოორდინატორებისა და მენეჯერებისათვის 2016-2019 წლების პროგრამული ბიუჯეტის ეფექტიანი შემუშავების

მიზნით. დოკუმენტი ასახავს თავდაცვის პროგრამულ სტრუქტურას (2016-2019 წლებში განსახორციელებელ ძირითად პროგრამები და ღონისძიებები), ბრძანებით ასევე განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს პროგრამის კოორდინატორები, მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

- შემუშავდა პროექტი „თეთრი წიგნი“, რომელიც წარმოადგენს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის წლიურ ანგარიშს;
- მიმდინარეობდა შეიარაღებული ძალების კომპონენტების სტრუქტურული ოპტიმიზაცია, გრძელდება მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა; დაიგეგმა სტრატეგიულ-ოპერატიული დონის სავსე მართვის პუნქტების აღჭურვა და დახვეწა;
- მიმდინარეობდა რადიოკავშირების მანქანებში არსებული რადიოსადგურების მოდერნიზაცია;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი „უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობის ორგანიზაციის შესახებ“;
- ხელმოწერილია/შეთანხმებულია ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები 8 ქვეყანასთან (ლიტვა, ესტონეთი, საფრანგეთი, მოლდოვა, გერმანია, უნგრეთი, უკრაინა, ბულგარეთი);
- შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები განხორციელდა შემდეგი შეთანხმებების მიმართ:
- „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმება; „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ნატოს გონივრული თავდაცვა: „მრავალეროვანი სამხედრო საჰაერო ეკიპაჟის ტრეინინგის (MMFCT) პროექტის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი; „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თურქეთის შეიარაღებული ძალების სამეკავშირეო და ტერმინალის შენობის გამოყენების უფლების შესახებ“ ოქმზე; „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის თბილისში თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ატაშატის სამეკავშირეო შენობის გამოყენების უფლების შესახებ“ ოქმზე; „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საბერძნეთის რესპუბლიკის ეროვნულ თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებაზე;
- გაფორმდა მემორანდუმები თანამშრომლობის თაობაზე იაპონიის თავდაცვის სამინისტროს, ალბანეთის თავდაცვის სამინისტროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმი;
- სამხედრო დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელთა დონეზე (რეგიონი - აშშ ფორმატით) ჩატარდა „შავი ზღვის და კასპიის ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სიმპოზიუმი“;
- საქართველოს მთავრობას, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი „კავკასიელი არწივის სპეციალური ძალების სწავლების შესახებ“;

- შემუშავდა ქვითი ბრიგადების საინჟინრო დანაყოფების და საინჟინრო ბრიგადის განვითარების გეგმა;
- შეერთებული შტატების ევროპული სარდლობის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) მიერ გაიმართა ტრენინგი თემაზე: „რეზერვის შემადგენლობის მობილიზაცია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სამინისტროსა და გენერალური შტაბის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა;
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარების მიზნით მონაწილეობა იქნა მიღებული ქალაქ ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) ნატოს ეროვნული სარეზერვო ძალების კომიტეტის გაფართოებულ შეხვედრაში;
- შემუშავდა „საველე არტილერიის განვითარების კონცეფციის“ და „სამხედრო რეკრუტირების კონცეფციის“ პროექტი;
- შემუშავდა ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების კონცეფციის და ჯავშანსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების შესაძლებლობებისა და ტაქტიკის გაუმჯობესების განვითარების გეგმის პროექტები;
- მიმდინარეობდა მუშაობა საჰაერო თავდაცვის განვითარებისა და მოდერნიზების გეგმაზე; შემუშავდა საჰაერო თავდაცვის კონცეფციის პროექტი და ავიაციის განვითარების კონცეფცია;
- ჩატარდა ჰაერსაწინააღმდეგო ასეულის საველე შეკრება და II საარტილერიო ბრიგადის მეზენიტების მომზადება.
- დამტკიცდა „სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარების სტრატეგია 2015-2020“;
- შემუშავდა სპეციალური დანიშნულების ჯგუფის სტანდარტული სამოქმედო პროცედურების სახელმძღვანელო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს სპეციალური ჯგუფების მოქმედებების პროცედურებს - დაგეგმვის, მომზადების და აღსრულების პროცესში;
- ჩამოყალიბდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNPG) ხელშეწყობისათვის სპეციალური ოპერაციების ძალების მხრიდან მოთხოვნათა პაკეტის და მიმდინარეობდა აღნიშნული პაკეტის აღსრულების ღონისძიებები;
- საზღვაო მობილიზაციის დახვეწის მიზნით მიმდინარეობდა საზღვაო სამობილიზაციო წესების შემუშავება;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში განხორციელდა საშტატო-სტრუქტურული რეორგანიზაცია: შეიქმნა სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონები;
- გენდერული მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს (ბელგიის სამეფო) ნატოს შტაბ-ბინაში გამართულ ნატოს გენდერულ პერსპექტივებზე კომიტეტის ყოველწლიურ კონფერენციაში. ამასთანავე, ნატო-ს გენდერულ პერსპექტივებზე კომიტეტის ყოველწლიურ კონფერენციასთან დაკავშირებით ნატოს შტაბ-ბინაში თავდაცვის სამინისტროს მიერ გაიმართა ფოტო გამოფენა „ქალი სამხედროები“ თემატიკაზე;

- საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია გენდერის თემაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სხვა სამთავრობო უწყებების, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის, გენდერის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განსახორციელების ფარგლებში დასრულდა გენდერული აუდიტის დასკვნითი ფაზა, რომელიც მოიცავდა ორდღიან მონაწილეობით სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო აუდიტის პირველადი შედეგების განხილვა და ანალიზი. გენდერული აუდიტის დოკუმენტში წარმოდგენილი რეკომენდაციების გაანალიზების შედეგად, მოხდება გენდერული თანასწორობის განმტკიცებისა და გაეროს რეზოლუციების სამოქმედო გეგმის განახლება. აღნიშნული გეგმის ფორმატში, გენდერული პოლიტიკით გათვალისწინებული საკითხებისადმი ცნობიერების ამაღლების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი პირებისათვის ჩატარდა სემინარი თემაზე: დისკუსია გენდერული თანასწორობის საკითხებზე, აუდიტის შედეგების მიმოხილვა და გენდერი სამშვიდობო ოპერაციებში;
- გენდერული თანასწორობის საკითხებზე 2015 წლის მანძილზე გადასროლის წინა სწავლებების პროცესში გადამზადდა 700 სამხედრო მოსამსახურე.
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ დოქტრინებზე: „დამხმარე სახელმძღვანელო მთაში ბრძოლისათვის“; „მთაში ბრძოლის ზოგადი პრინციპები“, „მცირე ზომის ქვეითი ქვედანაყოფების სამთო პრინციპები“, „მებრძოლისათვის განსაკუთრებულ პირობებში მოქმედების სამახსოვრო“, „საბრძოლო საინჟინრო ოცეული“, „ჯავშანსატანკო შეიარაღების და ტექნიკის შენახვის სახელმძღვანელო“, „დამხმარე სახელმძღვანელო საერთო-საჯარისო დაზვერვის შესახებ“, „ჯარისკაცის სამახსოვრო ქიმიური და ბიოლოგიური იარაღისაგან დაცვის საქმეში“, „დამხმარე სახელმძღვანელო დასახლებულ პუნქტში ბრძოლისათვის“;
- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში დასრულდა მუშაობა და დამტკიცდა „საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“ ;
- საანგარიშო პერიოდში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში შემუშავდა და დამტკიცდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა ამ კუთხით თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე და სამომავლო პროექტები;
- თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს თავდაცვის საფრთხეების შემცირების სააგენტოსა (DTRA) და აშშ-ის საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის

ოფისის (ODC) მიერ ორგანიზებულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვული საფრთხეებზე ცნობიერების ამაღლების შესახებ სემინარში;

- განახლდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კეთილსინდისიერების სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისათვის და გაიწერა მისი შესრულების ვადები;
- შემუშავებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის“ პროექტი, რომლითაც განისაზღვრა სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, სამიზნე აუდიტორია და კომუნიკაციის გზები;
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის პოპულარიზაციის მიზნით მიმდინარეობდა საგაზეთო ჩანართის მომზადებაზე მუშაობა, რისი მეშვეობითაც აქტიურად ხდებოდა თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმებისა და ნატოში ინტეგრაციის პროცესში გადადგმული ნაბიჯების შესახებ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირება; ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- საანგარიშო პერიოდში სოციალური, სამედიცინო და ფინანსური დახმარების საკითხების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დახმარება გაეწია მოქმედ და დათხოვნილ მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს. კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე დახმარება გაეწია 329 პირს, მათ შორის 268 სამხედრო მოსამსახურეს, 59 სამოქალაქო პირს და 2 სამხედრო ვეტერანს;
- მიმდინარეობდა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაციისა და პროთეზირების პროცესის უზრუნველყოფა;
- მომზადდა პროექტი „მხარი-მხარს“, რომლის მთავარი მიზანია სუიციდის პრევენცია და სამხედროების ფსიქოსოციალური მხარდაჭერა. პროექტის განხორციელების პროცესში თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ჩატარდა „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (Resolute Support Mission - RSM) ამერიკის შეერთებული შტატების კონტიგენტის დაქვემდებარებაში მონაწილეობის მისაღებად წარსაგზავნი 1 065 და მისიიდან დაბრუნებული 218 მოსამსახურის ფსიქოლოგიური შემოწმება;
- ლოგისტიკური ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 24 ობიექტს, სამშენებლო სამუშაოები - 27 ობიექტს, ხოლო 68 ობიექტისათვის შეიქმნა სამშენებლო პროექტები;
- საქართველოს შეირაღებულ ძალებში კვების სისტემის გაუმჯობესების ფარგლებში განხორციელდა შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, სასადილო ინვენტარით აღჭურვა. მე-2 საარტილერიო ბრიგადაში გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების ტექნიკით აღჭურვილი სასადილო. მიმდინარეობდა ხუთი სასადილოს შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა 10 ახალი და 15 სარეკონსტრუქციო სასადილოს პროექტებისა და სამუშაოების შესყიდვა;

- წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესების ფარგლებში ჩატარდა 11 ობიექტის რეაბილიტაცია;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გაიმართა ნატოს სტრატეგიული სამხედრო პარტნიორობის კონფერენცია (Strategic Military Partners Conference 2015). სადაც ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსებს შესაძლებლობა ქონდათ ერთმანეთისათვის სტრატეგიულ საკითხებზე სამომავლო ხედვები გაეზიარებინათ. კონფერენციის მიზანია, ხელი შეუწყოს ტრანსატლანტიკური თანამეგობრობის ქვეყნებში ტრანსფორმაციის შესახებ აზრთა გაზიარებასა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას.
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) ფარგლებში განხორციელდა ნატოს შემფასებელთა ჯგუფის სამუშაო ვიზიტები; ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის (JTEC) პროექტის შესრულების ფარგლებში საქართველოში ნატოს შემფასებელთა ჯგუფის რიგით მეოთხე ვიზიტი განხორციელდა; აღნიშნული ნატოს ჯგუფი 1 აგვისტოდან მოვლენილ იქნა საქართველოში, რომელიც JTEC-ის პროექტის ქართველ ხელმძღვანელთან ერთად აქტიურად მუშაობს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის ჩამოყალიბებაზე;
- ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატოს თავდაცვის მინსიტერიალი, რომლის ფარგლებშიც ასევე ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა;
- ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტის ფარგლებში კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე ოფიციალურად გაიხსნა ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი. რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ასპირანტი სახელმწიფოს, ნატოში გაწევრიანების პროცესს. ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის, ისევე როგორც პაკეტის სხვა ინიციატივების მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება, თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და ნატოსთან თავსებადობის გაზრდა;
- ნატოს შტაბ-ბინაში (ქ. ბრიუსელი, ბელგიის სამეფო) გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის შეფასების (PARP Assessment) განხილვა ალიანსის წევრ ქვეყნებთან. ვიზიტის ფარგლებში ნატოს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლებთან გაიმართა კონსულტაციები 2015 წლის ANP-ის თავდაცვის ნაწილზე;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უმასპინძლა ნატოს თავდაცვის კოლეჯის უმაღლესი დონის კურსის (NDC Senior Course) სასწავლო ვიზიტს. ვიზიტის მიზანს კოლეჯის კურსანტებისთვის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის პრიორიტეტების, თავდაცვის სფეროში მიმდინარე სამხედრო რეფორმების, ქვეყნის ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის არსებული ვალდებულებების განხორციელების და სხვა საკითხების გაცნობა წარმოადგენდა;
- მიმდინარეობდა ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის

სამსახურს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმებით განსაზღვრული პროგრამების (GDP RSM) ფარგლებში „ქართული კონტინგენტის ამოცანის რეპეტიციის წვრთნის შესახებ“ და „ქართული განლაგების პროგრამა ავღანეთში განსალაგებელი ძალების გაწვრთნის შესახებ“;

- გაიმართა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეხვედრა „ამბასადორიალი 2015“;
- ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები, ასევე მომზადდა 2014 წელს აღებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ ანგარიში. ამასთან ერთად, ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, (ENP) მომზადდა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს გაეზავნა 2014 წლის ანგარიში თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ;
- განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები, სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთდა დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერასა და ზოგადად სამხედრო მოსამსახურეთა უფლებების დაცვა-მონიტორინგზე, გენდერულ საკითხზე, შიდა აუდიტის განვითარებაზე, სამხედრო პოლიციისა და გენერალური ინსპექციის რეფორმაზე, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობაზე. მომზადდა 2015 წელს აღებული ვალდებულებების განხორციელების შესახებ 1 წლის ანგარიში. ასევე, მომზადდა 2016 წლისათვის ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით კომუნიკაციის სტრატეგიის თავდაცვის სამინისტროს აქტივობები. აღნიშნული დოკუმენტები მიეწოდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს.
- ქართული ქვედანაყოფები მონაწილეობას იღებდნენ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მისიაში;
- დასრულდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ახალ სამხედრო მრჩეველთა მისიაში 5 სამხედრო მოსამსახურით მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებული საკითხები და მოხდა მათი გადასროლა ოპერაციის რაიონში;
- სპეციალური ოპერაციების ძალების პირადი შემადგენლობა სპეციალური დანიშნულების ჯგუფის შემადგენლობით მონაწილეობდა თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარებულ სამმხრივ საერთაშორისო (საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანი) სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფების სწავლებაში „კავკასიის არწივი“;
- სპეციალური ოპერაციების ძალების პირადი შემადგენლობა სპეციალური დანიშნულების ჯგუფის და მეკავშირე ოფიცრების შემადგენლობით მონაწილეობდა რუმინეთში მიმდინარე საერთაშორისო სპეციალური ოპერაციების ქვედანაყოფების სწავლებაში (ROUSOFEX 15);

- ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სპეციალური ოპერაციების ძალებსა და ესტონეთისა და ლიტვის სპეციალური ოპერაციების ძალების წარმომადგენლების სპეციალური ოპერაციების ტაქტიკური ქვედანაყოფების (SOTUs) ერთობლივი სპეციალური წვრთნები. საქართველოში ჩატარდა ერთობლივი სპეციალური ტაქტიკური საველე წვრთნა სპეციალური ჯგუფების შემადგენლობით მთიან და მკაცრ კლიმატურ პირობებში, ჯავშანტექნიკის საშუალებების გამოყენებაზე, ასევე პარაშუტით თავისუფალი ხტომები;
- სპეციალური ოპერაციების ძალების მიერ ეროვნული სასწავლო ცენტრი კრწანისის სიმულაციურ ცენტრში ჩატარდა სომ-ის წლიური სამეთაურო-სამტაბო სწავლება;
- სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონებიდან შერჩეული პირადი შემადგენლობით ჩამოყალიბდა ერთი ოცეული (30 ს/მ), რომელიც მონაწილეობას მიიღებს „გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიაში“, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, 52-ე ბატალიონის შემადგენლობაში;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სწავლებები და კურსები:
- საარტილერიო მემიზნის კურსი; ორმხრივი სწავლება „Agile Spirit 2015“; II ქვეითი ბრიგადის 24-ე საარტილერიო ბატალიონის საველე სწავლება; მეწინავე მეთვალთვალების მომზადების კურსი; ინფორმაციული სისტემების კურსი; II კლასის რადიო ოპერატორების კურსი; ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სპეციალიზაციის კურსი; შუალედური სამთო მომზადების ზამთრის კურსი; საბაზისო სამთო მომზადების ზამთრის კურსი; ინსტრუქტორთა მომზადების და გადამზადების კურსი; III ქვეითი ბრიგადის ტანკსაწინააღმდეგო ასეულის საველე შეკრება ჩატარდა სიმონეთის პოლიგონზე, 43-ე ბატალიონის გადასროლისწინა მომზადება; საარტილერიო მემიზნის მომზადების კურსი; გამომთვლელის კურსი; მეწინავე მეთვალთვალების მომზადების კურსი; საბრძოლო მაშველის მომზადების კურსი; კავშირგაბმულობის ათეულის მეთაურის მომზადების ძირითადი კურსი; სერჟანტთა მომზადების ძირითადი კურსი; სერჟანტთა სამეთაურო-სამტაბო კურსი; საბაზისო სამთო მომზადების ზაფხულის კურსი (აშშ ორმხრივი); საბაზისო სამთო მომზადების ზაფხულის კურსი (PFP); საინჟინრო მესანგრეთა ძირითადი კურსი; ოცეულის სერჟანტის კურსი; სერჟანტთა სამეთაურო-სამტაბო კურსი; გათვლის მეთაურის მომზადების კურსი; ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო სპეციალიზაციის კურსი; ქვეითთა საბრძოლო მანქანის (ქ.ს.მ) მემიზნე ოპერატორების კურსი; მძღოლ-მექანიკოსებისა და მეთაურების მომზადების კურსი; 22-ე ბატალიონის გადასროლისწინა მომზადება; 31-ე ბატალიონის ასეულის (RSM) გადასროლისწინა მომზადება; ეროვნული გვარდიის გაძლიერებული ოცეულის (RSM) გადასროლისწინა მომზადება; ინსტრუქტორთა მომზადების და გადამზადების კურსი; ჩატარდა დაზვერვის ოფიცრის ძირითადი კურსი და სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის და ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის რადიოდაზვერვის სპეციალისტების სპეციალიზაციის კურსი; სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობას დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში ჩატარდა შემდეგი სწავლებები: II და III ქვეითი

ბრიგადების საარტილერიო ბატალიონების საველე სწავლება; ასევე, საარტილერიო სკოლაში 14 ს/მოსამსახურემ დაასრულა გამომთვლელის კურსი; სნაიპერთა მომზადების კურსი; სამხედრო პოლიციის მომზადების კურსი;

- დასრულდა მუშაობა სამინისტროს სასაქონლო მარაგების სისტემურ ელექტრონულ ლექსიკონზე;

2.2 საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემაჯალი და სხვა სამსახურების მიერ გამოვლენილი დანაშაულისა თუ სამართალდარღვევების ცენტრალიზებული აღრიცხვა, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
- სისტემატიურად გაიცემოდა სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციები სხვადასხვა სამსახურებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად. პერმანენტულად მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი, მათ შორის ოჯახურ კონფლიქტებთან და ძალადობებთან, საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევებთან. სტატისტიკისა და კრიმინალური სოციოლოგიის განყოფილებაში აღირიცხა 1 519 362 ადმინისტრაციული ოქმი, საკადრო შემოწმება გაიარა 115 314 პირმა, გაიცა 119 460 ცნობა ნასამართლეობაზე, ნასამართლეობაზე შემოწმდა და ოპერატიული შემოწმება გაიარა 105 713 პირმა, განხორციელდა 7 471 პირის იდენტიფიცირება, ინფორმაციულ ბაზასთან მიმართებაში ჩატარებულია 8 226 სხვადასხვა ოპერაცია, ასევე სისტემატიურად ხორციელდებოდა მონაცემთა ბაზაში არსებული შეცდომების აღმოჩენა და სათანადო დანაყოფებისთვის გადაგზავნა შემდგომი რეაგირების მიზნით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებრივ რესურსებზე წვდომის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობები გაცემულია უფლებამოსილ თანამშრომლებზე (2 813 ერთეული);
- კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა აღკვეთის მიზნით საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე დაკავებულია 65 პირი; სასაზღვრო რეჟიმის დარღვევაზე - 39 პირი; გამოვლენილ იქნა უკანონო თევზჭერის - 5 ფაქტი; უკანონო ხე-ტყის ჭრის - 12 ფაქტი; დაფიქსირდა საჰაერო სივრცის დარღვევის - 6 შემთხვევა. სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ საქართველოს

საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 226 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და გამოვლენილ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულის 2 ფაქტი. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ შეადგინა 1.3 მლნ ლარი;

- ჩატარდა სამაშველო ოპერაციები ზღვაზე ადამიანის ძეხვის და მისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით;
- გრძელდებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. დასრულდა მცხეთის, თეთრიწყაროსა და გორის იზოლატორების რემონტი; ასევე დასრულებულია საგარეჯოსა და ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორების სრული რეაბილიტაცია და გაუმჯობესდა ყოფითი პირობები;
- სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტში შეიქმნა სამედიცინო მომსახურების ჯგუფი, რომელიც მოვალეობებს შეასრულებს დეპარტამენტის 8 იზოლატორში;
- დაკავებულთა ინფორმირებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს მასშტაბით ყველა დროებით მოთავსების იზოლატორში თვალსაჩინო ადგილას (საკნებთან და საგამოძიებო ოთახებთან) განთავსებულია ბრალდებულის სახით და ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა პროცესუალური უფლებების ნუსხა 6 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური, არაბული);
- ორმხრივი ხელშეკრულებებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან და პოლიციის ატაშეებთან განხორციელდა სამუშაო შეხვედრები, რომლის დროსაც გაიწერა სასწავლო პროგრამები და სამომავლო გეგმები;
- განხორციელდა სამუშაო შეხვედრები შემდეგი ქვეყნების დელეგაციებთან:
 - ✓ კანადა - განხილულ იქნა სასაზღვრო უსაფრთხოებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები;
 - ✓ რუმინეთი - განხილულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები;
 - ✓ დიდი ბრიტანეთი - განხილულ იქნა სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობა, პოლიციელთა შესამდებლობების განვითარება კონკრეტული მიმართულებით გამოძიების წარმოების კუთხით, სანაპირო დაცვის სფეროში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები;
 - ✓ თურქეთის რესპუბლიკა - განხილულ იქნა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტრეფიკინგის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, ამ სფეროში არსებული თანამშრომლობა და გამოწვევები, ასევე სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობა. განისაზღვრა მხარეთა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები;
 - ✓ დიდი ბრიტანეთის საელჩო - განხილულ იქნა არსებული თანამშრომლობა და საგანგებო სიტუაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი

დანაყოფების კომპეტენციები, ასევე კრიზისული სიტუაციებისას უცხო ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;

- ✓ კოლუმბიის რესპუბლიკა - კოლუმბიის რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო წლებში გატარებულ სტრუქტურულ რეფორმებს, რომლის შედეგადაც დამკვიდრდა წარმატებული პრაქტიკა ელექტრონული მმართველობის, ბიუროკრატის შემცირებისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სფეროში;

• ხელი მოეწერა:

- ✓ „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას;
- ✓ „საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებას;
- ✓ „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმების განხორციელების“ ოქმს;

• საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა ყოველკვირეული რადიო-გადაცემა „კანონის ფარგლებში“, შინაგან საქმეთა სამინისტროს საიმიჯო შემაჯამებელი 1 ვიდეორგოლი, დეტექტიური ჟანრის მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის 5 სერია;

• განხორციელდა სოციალური კამპანია „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამა“ სლოგანით „შენი გულისთვის - შენი უსაფრთხოებისთვის“;

• შს სამინისტროს ინიციატივით, როგორც თბილისის ისე რეგიონების 20 საჯარო და კერძო სკოლაში განხორციელდა საგანმანათლებლო პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“;

• მიმდინარეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი ადმინისტრაციული შენობების სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის:

- ✓ ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ ქ. გურჯაანში, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს, კახეთის საექსპერტო კრიმინალისტიკური სამსახურის შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს შენობაში, პოლიციის პირველი განყოფილების ფართის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო

- სამუშაოები, ასევე სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე, სტრატეგიული ობიექტების დაცვის დეპარტამენტის საკონტროლო გამშვები პუნქტის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაწყობე დანიშნულების შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქ. მცხეთაში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები;
- ✓ ქ. ახალქალაქში მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობისა და სამცხე ჯავახეთში სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის განყოფილების შენობაში სარემონტო სამუშაოები;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული დროებითი მოთავსების იზოლატორების სარემონტო სამუშაოები;
- წლის განმავლობაში საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდებოდა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

2.3 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
 - ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
- გატარდა რიგი ღონისძიებები პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემაში მყოფ მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების, მათი კვებითი უზრუნველყოფის და მოქალაქეთა მომსახურების სრულყოფისათვის;
 - პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისათვის, ასევე პრობაციის სისტემის სრულყოფისათვის განხორციელდა მრავალი სახის ღონისძიება, მათ შორის მოხდა მსჯავრდებულთა დასაქმება, მათი ჩართვა სხვადასხვა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებში. გარემონტდა და თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სათაო ოფისი.

2.3.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით პენიტენციური სისტემის 15-ვე დაწესებულებაში დასრულდა ცალკეული შენობებისა და ოთახების კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, მათ შორის: 3 დაწესებულების ეზოში მდებარე სადალაქოს კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; ერთი დაწესებულების ტერიტორიაზე აშენებული ახალი ადმინისტრაციული შენობის ეზოს კეთილმოწყობა და 2 დაწესებულებაში დასრულდა შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები; ასევე, დასრულდა 2014 წელს დაწყებული N16 დაწესებულების ტერიტორიაზე საწარმოო ზონისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- დასრულდა საბადრაგო სამსახურის შენობის მშენებლობა ქ.ბათუმში;
- სამ პენიტენციურ დაწესებულებაში დასრულდა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრის „ატლანტის“-ს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გაგრძელდა 2012 წელს დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში;
- ბრალდებულ/მსჯავრდებულებს განუახლდა რბილი ინვენტარის ნაწილი; ასევე სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებსა და სისტემის თანამშრომლებს განუახლდა რბილი ინვენტარისა და უნიფორმის ნაწილი;
- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც ჩართულია საშუალოდ 1 754 მსჯავრდებული, ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია საშუალოდ 1 520 მსჯავრდებული, კულტურულ ღონისძიებებში, ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრებში და კონკურსებში ჩართულია 717-მდე მსჯავრდებული;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 65 სპორტული და 198 კულტურული ღონისძიება;
- საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმდა 839 მსჯავრდებული;
- პენიტენციური სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილი იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით;
- განხორციელდა 14-21 წლამდე მსჯავრდებულთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები;
- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 192.9 ათას მომსახურებაზე მეტი;

2.3.2 სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- დასრულდა სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისის მშენებლობა, რომელშიც ასევე განთავსებულია თბილისის პრობაციის ბიურო. საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილ ბიუროს ახალ ოფისში პირობით მსჯავრდებულთათვის მოწყობილია თანამედროვე ტიპის სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრებისა და ჯგუფური თერაპიის ოთახები, პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის კაბინეტები, ვიდეოპაემნის სერვისი. აგრეთვე ყველა პირობაა შექმნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
- ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 8 238-მა და პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები - 225-მა პრობაციონერმა, საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობაში ჩართული იქნა 1 223 პრობაციონერი, ხოლო დასაქმდა 124 პირობით მსჯავრდებული
- პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და დასაქმების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: მოლდოვის რესპუბლიკის პრობაციის ცენტრალურ ოფისთან, ბულგარეთის რესპუბლიკის სასჯელთა აღსრულების გენერალურ დირექტორიატთან, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტთან, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრსა“ და სსიპ „ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან“;
- 2015 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელიც აღესრულება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში გლდანის თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გაიხსნა სოციალური საწარმო - ხის გადამამუშავებელი საამქრო. საწარმოში დასაქმდა 7 მსჯავრდებული (3 მათგანი გათავისუფლდა, ხოლო 4 დღესაც აგრძელებს მუშაობას).

2.4 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პროკურატურა

- განრიდებულ იქნა 300-მდე არასრულწლოვანი და 2 000-მდე სრულწლოვანი პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია 10 491 პირს (2 507 დაზარალებულს, 1 655 მოწმეს, 1 374 ბრალდებულს, მისი ოჯახის წევრს/ნათესავს ან მის ადვოკატს, 4 002 განმცხადებელსა და 953 სხვა პირს);

- პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურა“ ფარგლებში ჩატარდა 154 ღონისძიება (საგანმანათლებლო – 116, სპორტული – 21, კულტურული – 10, სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიება – 7), სადაც მონაწილეობა მიიღო სულ 5 800-მდე პირმა;
- შემუშავდა:
 - ✓ რეკომენდაციები ოჯახური დანაშაულის გამოძიებისას გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ;
 - ✓ სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ, სახელმძღვანელო პრინციპები საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ და გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო;
- პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათ საქმიანობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დანერგვის მიზნით საანგარიშო პერიოდში ყველა მოქმედმა პროკურორმა გადამზადება გაიარა თემაზე – „აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით“. ამ თემაზე თბილისსა და რეგიონებში ჩატარდა 20-მდე ტრენინგი, რომელიც ევროსაბჭოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობით განხორციელდა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში განხორციელებული სიახლეების სწორად დანერგვის და ამ მიმართულებით პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების სპეციალიზაციის მიზნით განხორციელდა გადამზადების ინტენსიური კურსები. სასწავლო პროცესში მონაწილეობდა სისტემის 180-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის, 43 მენეჯერი. პროექტი ევროკავშირსა და გაერო-ს განვითარების ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობით განხორციელდა;
- საანგარიშო პერიოდში პროკურორებისათვის დამოუკიდებელი ტრენინგი განხორციელდა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის თემაზე. სასწავლო პროგრამა განრიდებისა და მედიაციის საკითხებთან ერთად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, საერთაშორისო სტანდარტებსა და ბავშვის ასაკობრივი განვითარების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს მოიცავდა. პროექტი ევროკავშირისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა, მონაწილეობდა 30-მდე პროკურორი;
- ოჯახში ძალადობის საქმეებზე ეფექტიანი სამართლებრივი დევნის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან (UN WOMEN) თანამშრომლობით ჩატარდა 3 ტრენინგი, მონაწილეობდა 60-მდე პროკურორი, მათ შორის, პროკურატურის სისტემის საშუალო რგოლის მენეჯერები.

2.5. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;

- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სამეცნიერო თემატური კვლევები, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, კვლევების მეთოდების სრულყოფა, ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავება, მოდიფიცირებული და ახალი ექსპერიმენტული ნიმუშების დამზადება და მათი ლაბორატორიული გამოცდა და ასევე, მიმდინარეობდა სამუშაოები საბაზო კვლევებისა და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებებით.
- მიმდინარეობდა სექციის საწინააღმდეგო სისტემის, საცეცხლე წერტილების და მეტეოროლოგიური რადარების მართვის ცენტრის სამონტაჟო და მოდერნიზაციის სამუშაოები. კომპურების და რაკეტების გამშვები პლატფორმების დაპროექტება და დამზადება;
- შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღებისა და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება/აღდგენაზე;
- ჩატარდა ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხება, შეფასება, უტილიზაცია, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავება და ასევე, ჰუმანიტარული განაღმვითი სამუშაოები;
- ფეთქებადი ნივთიერებებისაგან დაბინძურებული ტერიტორიების დასუფთავებისთვის შეჯავშნული მძიმე ტექნიკის პროექტირება და დამზადება;

2.6 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სსაქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

- ჩატარდა პირადი შემადგენლობის სწავლება, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, პრევენციის და მზადყოფნის კუთხით;
- ხანძრების პროფილაქტიკის, დასახლებების და ორგანიზაცია-დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, დაიწყო მუშაობა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პრინციპების შემუშავების თაობაზე;
- სამოქალაქო უსაფრთხოების განხორციელების მიზნით, ჩატარდა სტიქიური მოვლენების შედეგად გამოწვეული სამაშველო, სამძებრო, დაწმენდით და სხვა სახის სამუშაოები;

- შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველთა ყოველდღიური და სპეც უნიფორმები;
- რეგიონების მასშტაბით მიმდინარეობდა სააგენტოს შენობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების სამშენებლო - სარემონტო სამუშაოები.
- სააგენტოს მოსამსახურეებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კუთხით ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები;

2.7 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური

- სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანის, საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის მინიმუმამდე შემცირებისა და ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად;

2.8 ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- უზრუნველყოფილ იქნა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტებისა და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვა.

2.9 პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციული სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად საჭირო პოლიტიკის შემუშავება, ამავე მიზნით გაგრძელდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განხორციელებული პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში მოხდა საქვეუწყებო დაწესებულების - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მისი სამინისტროში ინტეგრაცია.

2.10 საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამუშაოები საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის, ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების, აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებით.

2.12 კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;

- ყოველდღიურ რეჟიმში ამოქმედდა კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების 24/7 მექანიზმი;
- სრულყოფილად გაიმართა ინფორმაციული სისტემის და ელექტრონული სერვისები;
- მოხდა ბიუროსთვის კომპიუტერული ლაბორატორიისთვის შექმნილი აპარატურის ინსტალაცია;
- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სფეროში საფრთხეებისა და რისკების სწრაფი იდენტიფიცირების, კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების და პრევენციული ზომების უზრუნველყოფა;
- ბიუროს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სწავლებებში „ინფო 2015“, „დიდგორი 2015“, კიბერსწავლება CyberExe 2015, „Locked Shields 2015, „Cyber Coalition 2015“.;

- ნატოს სამეკავშირეო ოფისის, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამისა (PDP) და თავდაცვის ეროვნული აკადემიის პროფესიული განვითარების ცენტრის (PDC) მხარდაჭერით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ბიუროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

2.13 დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში:
 - ✓ დაფიქსირდა 900-მდე მომართვა, პროგრამის სერვისებით ისარგებლა 700 ბენეფიციარმა (მ.შ. 111 ქალი, 21 არასრულწლოვანი და 46 პოლიტპატიმარი);
 - ✓ უფასო სამგზავრო ბარათი დაუმზადდა 250 ბენეფიციარს;
 - ✓ იურიდიული კონსულტაცია გაეწია 200-ზე მეტ ბენეფიციარს (მ.შ. 177 სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის იურისტთან); ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მომსახურება გაეწია 90-ზე მეტ ბენეფიციარს;
 - ✓ ჯანმრთელობის სერვისები უფასოდ მიეწოდა 300-ზე მეტ ბენეფიციარს;
 - ✓ თავშესაფრით უზრუნველყოფილ იქნა 6 ბენეფიციარი;
 - ✓ სპორტულ-საგანმანათლებლო აქტივობებში ჩაერთო 300-ზე მეტი ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრი;
 - ✓ უფასო ID ბარათი დაუმზადდა 16 ბენეფიციარს;
 - ✓ სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა 110-ზე მეტი ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრი;
- განრიდებულ იქნა 300-მდე არასრულწლოვანი, რომელთაგან 143-ის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაციის კომპონენტი. განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული სარეზერვო პროკურორებისათვის ჩატარდა ტრენინგი;
- დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის ფარგლებში განხორციელდა პროექტები: „ორი თაობა“, „მოხალისე“, „იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის, „დებატების კლუბი“, „ლიდერთა სახლი“, დანაშაულებრივი ქცევის გააზრებაზე მიმართული ტრენინგი (ა(ა)იპ „საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი – აფხაზეთი“), ანტისოციალური ქცევის გააზრებაზე მიმართულ ტრენინგი (წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)).
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე მიმართულ ტრენინგებში ჩართულ იქნა 15 ბენეფიციარი, ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია გაიარა 70-მა ბენეფიციარმა, ხოლო თერაპიული ჩარევა მოხდა 34 ბენეფიციარსა და 14 მშობელთან;

- 10 ბენეფიციარი იმყოფებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ბანაკში („მომავლის ბანაკი“) ანაკლიაში;
- ტრენინგებში – „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ და „კონფლიქტების მართვა“ და „ადამიანის უფლებების თვე“- ჩაერთო 35 ბენეფიციარი (მ.შ. 15 არასრულწლოვანი);
- არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის მიზნით, მიმდინარეობდა 7 საგრანტო პროექტი, სადაც ჩართული იყო 350-მდე არასრულწლოვანი. ასევე, საგრანტო პროექტის „ყოფილ მსჯავრდებულთა სტაჟირების ხელშეწყობა“ ფარგლებში 13 ბენეფიციარმა დაიწყო სტაჟირება სხვადასხვა ორგანიზაციაში, ხოლო „ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში 16 ბენეფიციარმა მიიღო ბიზნეს გრანტი;

2.14 სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

- მიმდინარეობდა არსებული სტრატეგიული მარაგების სრულყოფილი მომსახურება. შესრულდა უიმედო დებიტორული დავალიანების ბალანსიდან მოხსნისა და ჩამოწერის სამუშაოები;
- ჩატარდა საკონტროლო შემოწმებები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციაში და უწყებებში;
- მიმდინარეობდა სამუშაოები პოლონეთის და სლოვაკეთის რესპუბლიკების სახელმწიფო რეზერვების სამსახურების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;
- ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები ნორმატიული დოკუმენტების ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- მიმდინარეობდა დაგროვილი მარაგებისა და მათი მოვლა-პატრონობის თაობაზე თანამედროვე მეთოდოლოგიის შემუშავება.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3.1.2 გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი - 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის ღონისძიებების ფარგლებში:
 - ✓ 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების უმეტეს ნაწილზე დასრულდა სამუშაოები, ხოლო 2016 წელს გარდამავალ ობიექტებზე უკვე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ გრძელდება ასფალტობეტონის ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაცია;
 - ✓ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით 2015 წელს ჩასატარებელი სამუშაოების ნაწილი დასრულებულია, დანარჩენზე მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები.
- „გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში“ ღონისძიების ფარგლებში 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს. მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კუთვნილების კეთილმოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.
- სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში:
 - ✓ ნაპირსამაგრი სამუშაოები 2014 წლიდან 2015 წელს გარდამავალ 3 ობიექტებზე დასრულებულია;
 - ✓ 2015 წელს დასრულდა 15 ობიექტზე სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხოლო 2016 წელს გარდამავალ 3 ობიექტებზე მიმდინარეობდა სამუშაოები, ხოლო დანარჩენ ობიექტებზე სატენდერო პროცედურები;
- თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის სამუშაოები, ასევე წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა შეფერხებებით და დაბალი ტემპებით.
- ქ. ქუთაისი (ნიკეა ქუჩა) - გეგუთის კვანძის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების ფარგლებში დასრულდა სატენდერო პროცედურები და გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია;
- სტეფანწმინდა-სამების ეკლესიის საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობის სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობდა განსახლების სამოქმედო გეგმის განხილვა;
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში მიმდინარეობდა დარჩენილ 2 ობიექტზე, კერძოდ, თბილისი-თიანეთი ს/გზის კმ39-კმ51 მონაკვეთის და ჭიათურა-პერევისა-სვერი-თვალუეთი-გეზრული ს/გზის კმ8 - კმ22 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დამთავრდება 2016 წლის პირველ ნახევარში, ასევე PBC ობიექტებზე გაფორმდა ხელშეკრულება და შესაბამისი კლიმატური პირობების დადგომისთანავე დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში საანგარიშო პერიოდში 3 ობიექტზე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. საპროექტო მომსახურების კონტრაქტორის მიერ

მიმდინარეობდა დარჩენილ ობიექტებზე საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;

- კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში სასადილო-სიონის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. ასევე, საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები დასრულდა 9 მონაკვეთზე.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი - 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის კმ-143 რიკოთის გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
 - ✓ დასრულდა ბეტონის საფარის, საგზაო საფარის საფუძვლის და მიწის ვაკისის მოწყობის, გზაგამტარებისა და ხიდების მშენებლობა, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ გზაგამტარებზე შესრულდა მალის ნაშენის გამაერთიანებელი ფილის მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ მიმდინარეობდა გამყოფი ზოლის „ნიუ-ჯერსი“-ს ტიპის ბარიერებით და გზის პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე ლითონის მრუდხაზოვანი ძელებით შემოფარგვის სამუშაოები;
 - ✓ ნაწილობრივ შესრულდა სატრანსპორტო კვანძებზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აგარა-ზემო ოსიაური კმ114-126 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში მიმდინარეობდა ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის და დასაწყობების, მიწის და ყრილის მოწყობის, წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელის მოწყობის, ცემენტობეტონის საფარის საფუძვლის მოწყობის და კომუნიკაციების (წყლის მილების) გადატანის სამუშაოები;
- საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის (ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა) (აზიის განვითარების ბანკი) ფარგლებში:
 - ✓ ლოტი I - ახლად აშენებულ 12.4 კმ მონაკვეთზე მოძრაობა გახსნილია. დასრულდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი, საზედაშედეგლო კომპანიის მიერ წარმოდგენილი

იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. კმ30-კმ33 მონაკვეთზე დასრულდა გაბიონის კედლების მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა საბოლოო ანგარიშსწორების სერთიფიკატის მომზადების პროცედურები;

- ✓ ლოტი II - მიმდინარეობდა ხიდების ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების და რიგელების მოწყობის, მალის ნაშენის, მიწის ვაკისის და რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა N1 გვირაბის ექსკავაციისა და დროებითი მოკეთების მოსაწყობად ტორკრეტირების სამუშაოები, ხოლო N2 გვირაბზე მიმდინარეობდა პროექტით გათვალისწინებული ღია წესით ექსკავაციის სამუშაოები. დასრულდა კომუნიკაციების გაზსადენის მილსადენის გადალაგების სამუშაოები.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის (იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო) ფარგლებში:
 - ✓ ქუთაისის შემოვლითი გზის კმ0+000-კმ17+300 მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები დასრულდა (2015 წლის მარტიდან მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი), ახლად აშენებულ მონაკვეთზე მოძრაობა გახსნილია;
 - ✓ ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის კმ0+000-კმ24+045 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები. დასრულდა ძირითადი სამშენებლო სამუშაოები. კერძოდ, ხიდებისა და გზაგამტარების სამშენებლო, მთავარ გზაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობის, ნაპირსამაგრი სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში გაიხსნა ახლად აშენებულ 14.8 კმ-იან მონაკვეთზე მოძრაობა, ხოლო დანარჩენ 9.2 კმ-იან მონაკვეთზე მიმდინარეობდა სამუშაოები;
 - ✓ ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი ს/გზის კმ0+000-კმ15+172 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის და წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების მოწყობის სამუშაოები. განხორციელდა ხიდებზე რკინა-ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონებისა და რიგელების მოწყობის სამუშაოები, წინასწარდაძაბული რკინაბეტონის კოჭების წარმოება და მონტაჟი. ძირითად გზაზე მიმდინარეობდა ცემენტობეტონიანი საგზაო სამოსის მოწყობა. ძირითადად დასრულდა კომუნიკაციების გადაადგილების სამუშაოები (მაღალი და საშუალო წნევის გაზსადენი მილები და საშუალო და მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზები). ნაწილობრივ დასრულდა გამყოფი ზოლის „ნიუ-ჯერსი“-ს ტიპის ბეტონის ბარიერებისა და გზის ლითონის მრუდხაზოვანი ძელების საშუალებით შემოფარგვის სამუშაოები.
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0-კმ50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის (ევროპის საინვესტიციო ბანკი) ფარგლებში:
 - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის ლოტი I კმ0+000 - კმ11+500 მიმდინარეობდა მცენარეული ფენის მოხსნა-დასაწყობებისა და მიწის ვაკისის მოწყობის, გზაგამტარებზე და ხიდებზე რკინა-ბეტონის, ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებისა და როსტვერკების მოწყობის, მიწის ვაკისის ქვეშ ვერტიკალური დრენაჟებისა და გეოგრიდების მოწყობის სამუშაოები;
 - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის ლოტი II კმ11+500 - კმ30+000 მონაკვეთზე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია და გაფორმდა ხელშეკრულება;
 - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის ლოტი IV კმ42+000 - კმ51+570 მონაკვეთზე დასრულდა მოსამზადებელი და სამობილიზაციო სამუშაოები. განხორციელდა ჰუმუსოვანი ფენის

მოხსნისა და დასაწყობების სამუშაოები. მიმდინარეობდა პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე მიწის ვაკისის ქვეშ ქვის სვეტების მოწყობის და კომუნიკაციების (ელექტრო ხაზები) გადატანის სამუშაოები.

3.2. რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;
- ✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;
- ✓ შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“;
- ✓ შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“.

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა, როგორც 2015 წლამდე დაწყებული პროექტების განხორციელება, ასევე 2015 წელს დაწყებული ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა მუნიციპალური და კულტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას.
- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების, ნაპირსამაგრი, კულტურული, ტურისტული, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

3.2.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი - 25 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მიმდინარეობდა:
 - ✓ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის ნორმალური საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით ქ. თბილისში 300

- ადგილიანი, თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით აღჭურვილი, სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა;
- ✓ ქალაქებში: თელავში, ამბროლაურში, ზუგდიდში, მცხეთაში, გორსა და ახალციხეში ახალი მუნიციპალური ორგანოების განსათავსებლად საჭირო ადმინისტრაციული შენობების რეკონსტრუქციისა და კაპიტალური შეკეთების სამუშაოები;
 - ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: დიდი ხურვალეთი, გუგუთიანთკარი, კომკა, დიცი, ქვეში და ზარდიანთკარი; ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელში წაღვლი და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში ატოცი და კნოლვეი ელექტროენერჯით მომარაგებისა და მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი ქსელების რეაბილიტაცია-მშენებლობა;
 - ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის სამშენებლო სამუშაოები, საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების, გამყვანი კოლექტორის და წყალმომარაგების ახალი ჭაბურღილის მოწყობისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
 - ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
 - ✓ სოფელ რომკასა და არხოტის (ახიელი-ჭიმდა-ამდა) დამაკავშირებელი გზის მშენებლობისა და ფუნქციონირების გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, გარემოზე ზემოქმედების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებისა და გზის შესაბამის პერიმეტრზე განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
 - ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სიონში ბაგა-ბაღის მშენებლობა;
 - ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ რომკასა და არხოტის (ახიელი-ჭიმდა-ამდა) დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
 - ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ რომკა-არხოტის უღელტეხილზე სოფელ ამდას საავტომობილო გზის მონაკვეთისა და სოფლების ახიელი-ჭიმდას დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სამუშაოების შესყიდვა;
 - ✓ დაბა თიანეთში, ბეწუკელის ქუჩის და ფიროსმანის ქუჩის მონაკვეთიდან ვაჟა-ფშაველას სახელობის პარკამდე მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფისა და გარე განათების მოწყობა;
 - ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
 - ✓ ქ. ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების საკანალიზაციო ქსელის გარე საკოლექტორო სისტემაზე მიერთების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
 - ✓ დაბა ჩხოროწყუს, გარახის უბანში, 25 ადგილიანი (სეზონური გაფართოვებით - 50 ადგილი) საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა;
 - ✓ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ხობის მონასტერი“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ✓ მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერი დიდი-ჭყონის მეურნეობის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხელედურზე საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მშენებლობისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო მომსახურების შესყიდვა;
- ✓ ცაგერის მუნიციპალიტეტის ქალაქ ცაგერში, ლესელიძისა და ნინოშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ ქ. ბოლნისის პეტრე-პავლეს სახელობის მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, „ქოჩების ტბასთან“ სარეკრეაციო ზონის მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანიშვილის სახლმუზეუმის ტერიტორიაზე არსებული მე-19 საუკუნის საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ უბანში სახლების სადარბაზოების ამოშენება-შემინვის სამუშაოები;
- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან „გეგუთის მეფეთა სასახლის კომპლექსი“ მისასვლელი გზის სარეაბილიტაციოდ საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სათაფლიას აღკვეთილის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად სამშენებლო სამუშაოები;
- ✓ საჩხერის მუნიციპალიტეტში, საჩხერე-საირხე-ჭორვილა-გორისის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციოდ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, შ-55 გზიდან მარელის-ტყეპარკის კოტეჯამდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ასპინძის მუნიციპალიტეტში, ვანის ქვაბთა მამათა მონასტერსა და წუნდის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია;
- ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ სიღნაღში „ორმილას“ დასახლებასთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. თბილისში, არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრში, სამზარეულოსა და სარდაფის ვენტილაციის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა;
- ✓ სხვადასხვა პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი მოქალაქეთა განსახლების ღონისძიებების დაფინანსება.

3.2.2 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (I ფაზა) (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (I ფაზა) ფარგლებში განხორციელდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 57-60 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე და გურჯაანის წყალმომარაგების რეაბილიტაციის პროექტზე საბოლოო ანგარიშსწორებები.

3.2.3 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსების ფარგლებში პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სამუშაოები დასრულდა 2015 წლამდე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ბოლო ეტაპის სამუშაოები, კერძოდ: კონტრაქტორზე გადარიცხული იქნა საბოლოო ანგარიშსწორების თანხები, ქალაქ ონში ჩაჩაშვილის ქუჩაზე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

3.2.4 მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მშენებლობა-მოდერნიზაცია (I და III სექცია), მასთან დაკავშირებული განსახლების ხარჯები (მიწის ნაკვეთების შესყიდვა და კომპენსაციების გაცემა). ასევე, აღნიშნული გზისპროექტის ფარგლებში (მონაკვეთი 2, კმ 5.2-6.9) შესყიდული იქნა საკონსულტაციო მომსახურების, შენობებზე ვიზიტის, ხმაურის ზემოქმედების და მათი სტრუქტურული მთლიანობის კვლევის მომსახურება;
 - ✓ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტირება, შესყიდვები, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა (3);
 - ✓ თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის კმ4+000-კმ10+800 მონაკვეთზე არქეოლოგიური კვლევის მომსახურება;

- ✓ თბილისი-რუსთავის ურბანული პროექტის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმოების მიზნით სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ინდივიდუალური კონსულტანტის დაქირავება და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა;
- ✓ ქ. თბილისის მეტროპოლიტენის მეორე ხაზის გაგრძელებისა და მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტირება, შესყიდვა, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა;
- ✓ ქ. თბილისში მეტროპოლიტენის მეორე ხაზის (საბურთალოს მიმართულება) გაგრძელება და მეტროსადგური „უნივერსიტეტის“ მშენებლობა;
- ✓ ანაკლიის ნაპირდაცვითი სამუშაოების წარმოება (I ფაზა) და ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა (II ფაზა);
- ✓ ანაკლიის ნაპირგამაგრების სამუშაოების პროექტირება და ზედამხედველობა;
- ✓ ქ. ბათუმის ნაპირგამაგრების პროექტის მომზადება, შესყიდვები, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა;
- ✓ თვინინგის პროგრამისა და ინსტიტუციონალური განვითარების პროექტისათვის საერთაშორისო ინდივიდუალური კონსულტანტის დაქირავება;
- ✓ აზიის განვითარების ბანკის საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, სესხის მომსახურების, პროექტების მართვის საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება.

3.2.5 რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
- რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ძველი შუამთა, ახალი შუამთა, იყალთო და ყოვლადწმინდა) და იყალთოს ეკლესიის საკონსერვაციო სამუშაოები (ფაზა 2). ასევე, საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
 - ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნინოწმინდისა და დავით გარეჯის მცირე რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ფაზა 2). ასევე, საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება;
 - ✓ უჯარმის, გურჯაანისა და ხირსას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ქალაქ გურჯაანში კურორტ ახტალის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტების აღმოფხვრა;
 - ✓ ქ. თელავში ბატონის ციხის (სასახლე) რესტავრაცია (ფაზა 2), რეაბილიტაცია (მუზეუმი და ტერიტორია) (ფაზა 2), ციხის ტერიტორიაზე ახალი მუზეუმის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო მომსახურება, არქიტექტურული კომპლექსისთვის ვიზიტორთა მართვის გეგმის განვითარება და ექსპოზიციის მოწყობა;
 - ✓ ქ. თელავში ქეთევან წამებულის ქუჩაზე არსებული „თელავის ხევი“-ს რეაბილიტაცია;

- ✓ ქ. თელავის შესასვლელში, სოფელ ვარდისუბანთან სამშენებლო ნარჩენების საყრელის ტერიტორიის გასუფთავება და აღდგენა;
- ✓ თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ შალაურში ღვინის მარანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ✓ თუშეთის გზაზე უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ შენობების რეაბილიტაცია და ტურისტული ზონის მოწყობა სოფელ დართლოში და თუშეთის სხვა სოფლებში (ფაზა 2);
- ✓ სოფელ დართლოში სარეაბილიტაციო სახლების პროექტირების მიზნით სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსაგან შესაბამისი მომსახურების შესყიდვა;
- ✓ სოფელ ომალოში კანალიზაციის, წყალსადენის და გამწმენდის პროექტირება;
- ✓ ქვევრის სკოლა-სახელოსნოს მშენებლობა იყალთოში;
- ✓ კახეთის რეგიონში მიმდინარე მსოფლიო ბანკის საინვესტიციო პროექტებზე საინჟინრო ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა;
- ✓ კახეთის რეგიონში ტურისტულ სექტორში მუშახელის განვითარებისა და უნარჩვევების გაძლიერების საკონსულტაციო მომსახურება. ასევე, ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ კახეთის პროექტის ფარგლებში განსახლების საკომპენსაციო ხარჯების გაწევა;

3.2.6 რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ სამონასტრო კომპლექსის „მოწამეთა“-ს მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის და კაცხის სამონასტრო კომპლექსის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მამათა საცხოვრებლისა და მომლოცველთა სახლის რეკონსტრუქციისათვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
 - ✓ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის მონასტრისთვის მართვის გეგმის მომზადება;
 - ✓ გელათის და უბისას მონასტრებთან კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა;
 - ✓ ქ. წყალტუბოს წრიული გზის სანიაღვრე სისტემის და წრიული გზის საფარის რეაბილიტაცია (ფაზა 2);
 - ✓ ქ. წყალტუბოს „ცივი ტბის“ და ცენტრალური პარკის გზების, ბილიკების და სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაცია (ფაზა 2), ტერიტორიის გამწვანება/კეთილმოწყობა და სარწყავი სისტემის მონტაჟი და გარე განათების რეაბილიტაცია;
 - ✓ ქ. წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისის, პარკში და „ცივი ტბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ზომის ტურისტული შენობა-ნაგებობების მშენებლობა;

- ✓ ქ. წყალტუბოს გამგეობისა და თეატრის შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. წყალტუბოს საკრებულოს და რკინიგზის შენობის აღდგენის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და მცირე ზომის საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაცია;
- ✓ ქ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია (მუზეუმის ახალი მინაშენის დასრულება) (ფაზა 2);
- ✓ რეგიონული განვითარების პროექტი II-ის ფარგლებში იმერეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ გელათის მონასტრის სარესტავრაციო საკონსერვაციო სამუშაოები;
- ✓ ვანის არქეოლოგიური ძეგლების დამცავი გადახურვის და ვანის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ვანის მუზეუმის რეზერვაციისათვის და ვანის არქეოლოგიური მუზეუმისათვის;
- ✓ იმერეთის რეგიონში ტურისტულ სექტორში მუშახელის განვითარებისა და უნარჩვევების გაძლიერების საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ იმერეთის რეგიონში ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ კაცხის და უბისის მონასტრების საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებათა პაკეტის მომზადება;
- ✓ განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისთვის „ვიზიტორების მართვის გეგმის“ შემუშავება;

3.2.7 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (მსოფლიო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 03 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:
 - ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფლების ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა;
 - ✓ ქ. გურჯაანში ბესიკის, ბარათაშვილის, ჭავჭავაძის ქუჩების და სოფელ მირზაანში შიდა ასფალტის საფარიანი გზის რეაბილიტაცია;
 - ✓ გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩალაუბნის გზის რეაბილიტაცია;
 - ✓ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის შიდა გზების და ხიდების რეაბილიტაცია;
 - ✓ ასპინძის მუნიციპალიტეტში N1 და N2 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია;
 - ✓ ქუთაისში ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია;

- ✓ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელ მეორე სვირისა და სვირის სადგურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ✓ მესტიის მუნიციპალიტეტში, სოფელ მულახის ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტსკოლის (სათემო ცენტრის) რეკონსტრუქცია;
- ✓ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ფახულანის თემის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ✓ მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფლების სალხინო-ლევცავე-ბაღდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ✓ მარტვილში, თამარ მეფის ქუჩის და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;
- ✓ ოზურგეთის, ფოთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებისათვის 4 ერთეული B ტიპის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის 1 ერთეული A ტიპის სანაპირო ზოლის გამწმენდი აღჭურვილობის, 2 ერთეული თვითმცლელი მისაბმელის და 6 ერთეული ტრაქტორის მიწოდება;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტის სოფლების: ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის და ზემო ხვითის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია ქალაქ კასპში;
- ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია;
- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები მანქანის შეძენა;
- ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელ მუხროვანის შიდა გზების რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ბაკურციხის კულტურის კლუბის რეაბილიტაცია;
- ✓ ქალაქ მარნეულში, 26 მაისის სახელობის ქუჩაზე N3 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების მეორე პროექტის (SRMIDP) ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა;
- ✓ საერთაშორისო კონსულტანტის მომსახურება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად;

3.2.8 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი - 25 03 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
- საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა ქვეპროგრამის ფარგლებში შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ საანგარიშო პერიოდში დასრულებული პროექტები:
 - ✓ ქალაქების ფოთის, საჩხერეს, ხაშურის, ნინოწმინდის, ბოლნისის, თერჯოლის დედოფლისწყაროს, საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

- ✓ დაბა ბაკურიანის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის, მოწესრიგებასთან დაკავშირებულ შემოღობვისა და ჭიშკრის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
 - ✓ საავტომობილო სასწორების მოწყობა ქალაქებში: ფოთში, თერჯოლაში, სამტრედიაში, მარნეულში, ხაშურიში და კასპში;
 - ✓ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შავი ზღვის სანაპირო-საკურორტო ზოლისთვის (ფოთის, ოზურგეთისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებისათვის) ნაგვის შემგროვებელი ავტომანქანების, ლითონის და პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა;
 - ✓ გადამტვირთი სადგურისათვის (ქ. ყვარელი, დ. ურეკი) კონტეინერების და სპეც-ავტომობილების შეძენა;
 - ✓ კომპანიის კუთვნილ ნაგავსაყრელებზე საექსპლუატაციო სამუშაოების შესასრულებლად ბულდოზერების შეძენა;
 - ✓ ქალაქების ასპინძის, ონის და დმანისის, დაბის თიანეთის და სტეფანწმინდის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ნაპირდაცვა (გაბიონის მოწყობა).
 - ✓ იმერეთის (ქ. ხონი, ქ. ხარაგაული და ქ. ჭიათურა) ნაგავსაყრელების დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
 - ✓ შიდა ქართლის (ქ. მცხეთა და ქ. ქარელი) ნაგავსაყრელების დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
 - ✓ ქალაქების აბაშის, ყვარელის, სენაკის, ხობის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის ნაგავსაყრელის დახურვის და გადამტვირთი სადგურის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.
 - ✓ ქალაქების თელავის, გორის, ახალციხის, ამბროლაურის, ქუთაისის, საგარეჯო, წნორი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, ბოლნისი, მარნეული, ხაშური, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ფოთი, ბორჯომი, ნინოწმინდა, დუშეთი და კასპის ნაგავსაყრელებზე სასმელი წყლის სამარაგო ავზისა და ხელსაბანის, ასევე საპირფარეშოების მოწყობის სამუშაოები.
 - ✓ ქალაქ ზუგდიდის არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის პოლიგონის 120 მეტრი სიგრძის მავთულხლართით შემოღობვის სამუშაოები.
- „საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა“ ქვეპროგრამის ფარგლებში შპს „მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ საანგარიშო პერიოდში მიმდინარე პროექტები:
 - ✓ ქალაქ ზესტაფონის ნაგავსაყრელის დახურვის სამშენებლო-სამონტაჟო და ნაპირდაცვის (ბერმის მოწყობა) სამუშაოები;
 - ✓ ქალაქ ჩოხატაურის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო და ნაპირდაცვის (ბერმის მოწყობა) სამუშაოები;
 - ✓ დაბა ურეკის ნაგავსაყრელის დახურვის და გადამტვირთი სადგურის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

3.2.9 ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KfW) (პროგრამული კოდი 25 03 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;

- პროექტის ფარგლებში, KfW-ს სახელმძღვანელო პრინციპებისა და რეგულაციების შესაბამისად ჩატარებული ტენდერების შედეგად შერჩეულ ორ საკონსულტაციო კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულებები საკონსულტაციო მომსახურებაზე:
 - ✓ პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტი - კომპანია ERM, (ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 9 ივნისს) რომელიც ფინანსდება სესხის ფარგლებში.
 - ✓ დამხმარე ღონისძიებების კონსულტანტი - კომპანია PEM Consult, (ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 21 აპრილს) ფინანსდება გრანტის ფარგლებში.
- პროექტით გათვალისწინებული სანიტარული ნაგავსაყრელისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე (რომელის წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ყოფილ სამხედრო ბაზას) განხორციელდა გაწმენდითი სამუშაოები კომპანიის მიერ დაქირავებული ბრიტანული ჰუმანიტარული გამწაღმველი ორგანიზაციის მიერ.
- პროექტის განმახორციელებელი საკონსულტაციო კომპანიის მიერ შესწავლილი იქნა გადამტვირთი სადგურების განსათავსებლად პოტენციური ტერიტორიები, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ამბროლაურის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში. მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური შედეგების შეფასებისა და განახლების პროცესი. ნაგავსაყრელის დიზაინის შემუშავების მიზნით, შერჩეული კონსულტანტის მიერ ჩატარდა ნაგავსაყრელისთვის განკუთვნილი ტერიტორიის ტოპოგრაფიული კვლევა და შემუშავდა დოკუმენტები (როგორც ნაგავსაყრელის დიზაინის საფუძველი).

3.2.10 სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა-შენახვა ზემო სვანეთში (პროგრამული კოდი 25 03 11) ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“;

ქვეპროგრამის ფარგლებში:

- მიწის სამუშაოებზე მომუშავე კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 95% დასრულებულია;
- კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ხორციელდებოდა RMS-ის ხელშეკრულების ფარგლებში T2 საბაგიროს დასრულების სამუშაოები. ასევე, ამ პერიოდისთვის დასრულდა ადმინისტრაციული შენობის, საკონტროლო ოთახების, ავტოფარეხების და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა T3 და T4 საბაგიროების სამონტაჟო სამუშაოები.
- TH და T7 საბაგირო გზისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის საპროექტო მომსახურებაზე გაფორმდა ხელშეკრულება და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები.

3.2.11 ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (Government of France) (პროგრამული კოდი 25 03 12)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“.

2015 წლის განმავლობაში ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ფრანგულმა კომპანიამ „Pomagalski“-მ განახორციელა საბაგირო გზების მიმართულებების კვლევა და დადგენა. მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაიწყება გამოსყიდვის პროცედურები, მიმდინარეობდა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

3.2.12 რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 19)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.
- რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული სამუზეუმო კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
 - ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტში, ბაგინეთის არქეოლოგიურ კომპლექსთან მისასვლელი გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
 - ✓ გერგეთის ტაძართან მისასვლელი გზის და სამებამდე მისასვლელი საფეხმავლო ბილიკის კეთილმოწყობა და დარიალის მონასტრის პარკინგისა და კელიებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
 - ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტში, საფარას მონასტერთან მისასვლელი გზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, გაფორმდა ხელშეკრულება აღნიშნულ გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად და სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად;
 - ✓ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოგაშენის მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და უსაფრხოების ღონისძიების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
 - ✓ გაფორმდა ხელშეკრულება ბაკურიანის ცენტრალური ბილიკის მოწყობის და ბაკურიანის რეკრეაციულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად;

- ✓ ანანურის ხუროთმოძღვრული კომპლექსის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება;
- ✓ რეგიონული განვითარების მესამე პროექტისთვის ეკონომიკური და ფისკალური ანალიზის მომზადების საკონსულტაციო მომსახურება;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსთვის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში UNESCO-ს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა;

3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
 - ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
 - ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:
 - ✓ 2015 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა როგორც 2015 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე, 2015 წელში დაწყებული ახალი პროექტის განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

3.3.1 ქობულეთის წყალანარინების პროექტი (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საექსპორტო პროგრამა) (პროგრამული კოდი - 25 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- ქობულეთის წყალანარინების პროექტი (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ნიდერლანდების განვითარების საექსპორტო პროგრამა) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა ქობულეთის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა.

3.3.2 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი) (პროგრამული კოდი - 25 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (ევროპის საინვესტიციო ბანკი) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დასრულდა ქალაქების: ჩოხატაურის (ფაზა 3) და ზესტაფონის, ხოლო მიმდინარეობდა თერჯოლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

3.3.3 წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი) (პროგრამული კოდი - 25 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი) ქვეპროგრამის ფარგლებში:
 - ✓ მიმდინარეობდა ახმეტის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თელავი-კურდღელაურის, გურჯაანის, ონის, ტყიბულის, ზესტაფონის, აბაშის, ხობის, სენაკის, ოზურგეთის, ქარელის, თეთრიწყაროს, წალკის, ბოლნისის, ახალციხე-ასპინძის, ლიკანი-წაღვერის, დუშეთის, წნორის, სიღნაღის წყალსადენისა და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;
 - ✓ დასრულდა ონისა და გურჯაანიის წყალსადენისა და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;
 - ✓ ევროპის საინვესტიციო ბანკის პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით საინჟინრო-საკონსულტაციო ზედამხედველობის მომსახურება.

3.3.4 საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო) (პროგრამული კოდი - 25 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

- საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ✓ თელავის ჩამდინარი წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება და წყალტუბოსა და თელავის გამწმენდი ნაგებობებისთვის ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება;
- ✓ წყალტუბოსა და თელავის გამწმენდი ნაგებობებისათვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადება.

3.3.5 ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) (პროგრამული კოდი - 25 04 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- პროექტი REG-01 ფარგლებში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები ქალაქებში ქუთაისში, ფოთში, ანაკლიაში, მათ შორის: ქუთაისში დასრულდა რეზერვუარების, სატუმბი სადგურების, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა, ფოთში მიმდინარეობდა რეზერვუარების და სატუმბი სადგურის მშენებლობა, ანაკლიაში დასრულდა რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, ჭაბურღილის, მაგისტრალური მილსადენის მშენებლობა;
- პროექტი URE-01 ფარგლებში ურეკსა და შეკვეთილში - მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მოიცავდა რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენის მშენებლობას;
- პროექტი KUT-01 - ფარგლებში (მეორე ფაზა) - ქალაქ ქუთაისში მიმდინარეობდა რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა. პროექტის დასრულების შედეგად, ქუთაისში უზრუნველყოფილი იქნება 24 საათიანი წყალმომარაგებით მოსახლეობის მომსახურება;
- პროექტი MES-02 - ფარგლებში მესტიაში დასრულდა სასმელი წყლის და კანალიზაციის ქსელების მშენებლობა. პროექტის შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით და კანალიზაციით მოსახლეობისა და ტურისტების მომსახურება;

3.4 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.4.1 რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 36 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

- ახალი 220/110კვ ქვესადგურის „ხორგა“ მშენებლობა - დასრულებულია საკაბელო არხების დალაგების სამუშაოები. დასრულების ფაზაშია პირველადი მოწყობილობების სამონტაჟო სამუშაოები, ქვესადგურის მართვის შენობის მოწყობის, ასევე ქვესადგურის შემოღობვისა და კაბელების ჩაწყობის სამუშაოები. მიმდინარეობდა ქვესადგურის შიდა გზების დაგების, მეორადი წრედების გაწყობისა და ავტოტრანსფორმატორების ქვესადგურზე მიღების მოსამზადებელი სამუშაოები.
- 500/220/110კვ „ქსანი“ ქვესადგურის რეაბილიტაცია - დასრულების ფაზაშია დეტალური დიზაინი, 500კვ მხარეს მიმდინარეობს ლითონ-კონსტრუქციების დემონტაჟის და ახლის მონტაჟისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, ასევე 500 კვ სალტეთა სისტემისთვის გათვალისწინებული მილების შედუღების სამუშაოები. პარალელურად მიმდინარეობდა მოწყობილობების ფუნდამენტების ჩამოსხმა ქვესადგურის ტერიტორიაზე და მათი განთავსება წინასწარ მომზადებულ მიწის ქვაბულებში ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში, მიმდინარეობდა ტვირთების შეტანა და მათი დასაწყობება, 10 კვ-ის მხარეს ტარდებოდა მოსამზადებელი სამუშაოები ახალი დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის მოსაწყობად. დამთავრდა მუშაობა საოფისე ოთახების მოწყობაზე, მოწყობილია და აღჭურვილია 3 დამატებითი საოფისე ოთახი. მიმდინარეობდა პირველადი ელექტრული მოწყობილობების დამზადების სამუშაოები.
- 220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგურის გაფართოება 500კვ ფრთით - დასრულდა დეტალურ დიზაინზე მუშაობა, მიმდინარეობდა ფუნდამენტის მოწყობის, კედლების არმირების, ბეტონის ჩასხმის და მიწის ქვაბულების მოწყობის სამუშაოები.
- 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა - წარმოდგენილი და დამკვეთთან (სსე) შეთანხმებულია ავტოტრანსფორმატორის ფუნდამენტის მოწყობის დიზაინი. მიმდინარეობდა ავტოტრანსფორმატორი 1-ის დემონტაჟისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, მიღებულია და განხილვის პროცესშია დეტალური გეგმა და სამუშაო გრაფიკი, ასევე მიმდინარეობდა მომუშავე პერსონალის შეთანხმება/დამტკიცება.

3.4.2 ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

- 500/220კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში - დასრულდა 220 კვ მოწყობილობების მონტაჟი და მიმდინარეობდა მუშაობა 500 კვ მოწყობილობებზე. მიმდინარეობდა ლითონ-კონსტრუქციების მონტაჟი. დასრულდა მუშაობა საკონტროლო შენობის კარკასსა და ფასადზე, მიმდინარეობდა შიდა სამუშაოები. სამივე რეაქტორი ჩამოსული და განთავსებულია. მიმდინარეობდა სადრენაჟო სისტემის მოწყობა. დასრულდა ძალოვანი ტრანსფორმატორების საქარხნო ტესტირება. ნაწილობრივ განხორციელდა ტრანსფორმატორის დამონტაჟება ქვესადგურის ტერიტორიაზე. მიმდინარეობდა დამიწების კონტურების განთავსება.
- 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ქ/ს „ჯვარი“ - ქ/ს „ხორგა“ (60კმ) და არსებული 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის კავკასიონის შექრა ქ/ს-ში „ჯვარი“ (8 კმ) - დიზაინის 99% წარმოდგენილი, განხილული და შეთანხმებულია. მიმდინარეობდა 220კვ და 500კვ ელექტროგადამცემი ხაზების ფუნდამენტების მოწყობა. მიღებულია ყველანაირი თანხმობა ხეების მოჭრის შესახებ, გარდა წითელ წიგნში შეტანილი ხეებისა. მიმდინარეობდა 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის მისასვლელი გზების მშენებლობა.

3.4.3 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB) (პროგრამული კოდი 36 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

- 2015 წელს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და ინდურ კომპანია KEC-ს შორის გაფორმდა კონტრაქტი ახალციხე-ბათუმის 220კვ-იანი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს ბათუმიდან ახალციხის მიმართულებით დაახლოებით 142კმ სიგრძის, 220 კილოვოლტიანი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას. მიმდინარეობდა დეტალურ დიზაინზე მუშაობა, სამშენებლო ტერიტორიის კვლევითი და მოსამზადებელი სამუშაოები. დამტკიცდა განსახლების სამოქმედო გეგმების ნაწილი, დარჩენილ სამ გეგმაზე მიმდინარეობს მუშაობა.

3.5 ენერჯეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

3.5.1 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 36 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში შესაბამისი სფეროს ექსპერტებთან ერთად, შემუშავებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებები. ასევე, გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიის დოკუმენტზე. ქვეყნის ენერგომატარებლებით მომარაგების დივერსიფიცირების, მოსახლეობის ელექტროენერგიასა და ბუნებრივ გაზზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ამაღლების, ენერგოინფრასტრუქტურის განვითარების, საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდისა და საკანონმდებლო ბაზის ევროპულთან მიახლოების კუთხით.
- სხვადასხვა ენერგეტიკული პროექტის განვითარების მიზნით ხელი მოეწერა 52 ურთიერთგაგების მემორანდუმს 63 პროექტის განვითარების თაობაზე. ასევე, გამოცხადდა 14 ინტერესთა გამოხატვა ელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით. სულ 104 პროექტია განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 3000 მგვტ. აღწევს, ხოლო მოსალოდნელი გამომუშავება დაახლოებით 12 მლრდ კვტ/სთ იქნება.
- საანგარიშო პერიოდში სამინისტრო მონაწილეობდა LE DS-Georgia „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება სუფთა ენერჯის პროგრამა“-ში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საქართველოს ენერგეტიკული სექტორის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის მოდელის MARKAL-Georgia-ს გამოყენება, შესაძლო ენერგეტიკული სცენარების განსაზღვრის მიზნით. ასევე, აწარმოებდა ქვეყანაში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოების ყოველთვიურ აღწერას, დამუშავებას, ანალიზს, სამინისტროს მართვაში არსებული კომპანიების საქმიანობისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების მონიტორინგს.
- 2015 წლის დეკემბერში სამინისტრომ საქართველოს სახელით უმასპინძლა ენერგეტიკულ ქართიას, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის 200-მდე წარმომადგენელი დაესწრო.
- სამინისტრო მონაწილეობდა ელექტროგადამცემი ქსელის გაუმჯობესების პროექტში, „წყლის რესურსებისა და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასების ელექტრონული სისტემის დანერგვის“ სამუშაო ჯგუფსა და მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირების სამუშაო ჯგუფში.
- სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ და „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის“ შესახებ ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში, ასევე თანამშრომლობდა ნატოსთან „წლიური

ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში. ზემოთ აღნიშნული თანამშრომლობის ფორმატში, წლის დასაწყისში მომზადდა 2014 წლის შესაბამისი სამოქმედო გეგმების შესრულების მდგომარეობა და 2015 წლის სამოქმედო გეგმები. ასევე, მიმდინარეობდა „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“ გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების შემდგომი რაუნდის მოსამზადებელი სამუშაოები.

- „კახეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ანაზღაურებულ იქნა კახეთის რეგიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური, სულ - 4.4 მლნ ლარის ოდენობით.
- ხელი მოეწერა ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების ხელშეკრულებათა პაკეტს. 280 მგვტ. სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური სვანეთში მდინარე ენგურის შენაკადზე აშენდება. მისი წლიური გამომუშავება 1.2 მლრდ კვტ/სთ იქნება. სადგურის მშენებლობას 2015 წლის 16 სექტემბერს ჩაეყარა საფუძველი და ელექტროენერჯის გამომუშავება 2019 წლიდან დაიწყება.
- მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „ხუდონჰესის“ პროექტში. ნაცვლად არსებული პირობისა, რომელიც გულისხმობდა გამომუშავებული ელექტროენერჯის 3 თვის განმავლობაში საქართველოში დატოვებას, ინვესტორი ვალდებულია შიდა მოხმარებისთვის გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული მოცულობა დატოვოს, რაც ქვეყანას წლიურად დამატებით 1.5 მლრდ კვტ/სთ-ით უზრუნველყოფს.
- საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა ფშაველა ჰესი - დადგმული სიმძლავრე 1.9 მგვტ წლიური გამომუშავება 9.5 მლნ კვტ/სთ, დასრულდა დებედაჰესის პროექტირება დადგმული სიმძლავრე 2.5 მგვტ. ასევე, მიმდინარეობდა რაჩხა ჰესის და საგურამო ჰესის მშენებლობა, ჯამური დადგმული სიმძლავრე - 14.45 მგვტ, ხოლო წლიური გამომუშავება დაახლოებით 68 მგვტ/სთ.
- შეტანილ იქნა ცვლილებები „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში და „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების ეროვნული მარეგულირებელი წესები“-ს კანონში.
- მიმდინარეობდა ცვლილებების შემუშავება პროდუქციის წილობრივი განაწილების სამ ხელშეკრულებაში, ლიკვიდირებული და კონსერვირებული ჭაბურღილების მდებარეობის დაზუსტება და მათი ტექნიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის აღწერა, ჭაბურღილებზე მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირება, მიმდინარე სეისმური კვლევითი სამუშაოებისა და კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი.
- შპს „გლობუსზე“ და შპს „ზდ ნავთობის კომპანიაზე“ გაიცა ნავთობის გადამუშავების ლიცენზია (ნედლი ნავთობის გადამუშავება ნავთობპროდუქტების მიღების მიზნით). შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაიცა ნავთობის გადამუშავების ლიცენზია (კომპაუნდირება). მიმდინარეობდა „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“, „კანარგო ჯორჯიას“, „ჯინდალ პეტროლეუმ (ჯორჯია) ლიმიტედის“, „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“ ჭაბურღილების მიმდინარე კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ინსპექტირება.

- ხელი მოეწერა დამატებებს პროდუქციის წილობრივი განაწილების ექვსი ხელშეკრულებისთვის VIII, XIG, XIA, XIM, XIN და XIH სალიცენზიო ბლოკებზე, მომზადდა დამატებები პროდუქციის წილობრივი განაწილების 5 ხელშეკრულებისთვის.
- ინვესტორ კომპანიებთან „GOG KAVTISKHEVI LIMITED“-სა და „KARTLI PETROLEUM LIMITED“-თან შეთანხმდა VIII სალიცენზიო ბლოკის პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინიმალური სამუშაო პროგრამის ცვლილებები.
- მომზადდა კომპანია „VECTRA PETROLEUM LIMITED“-თან VIII სალიცენზიო ბლოკის ხელშეკრულების დამატება.
- საერთაშორისო ღია ტენდერისთვის შემუშავდა და მომზადდა გეოლოგიური ბლოკების საინფორმაციო პაკეტი და თანდართული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების სამუშაო ვერსიები ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან განსახილველად.
- კომპანიებისგან მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარეობდა ხელშეკრულების პირობების ზედამხედველობა და ანალიზი, ჭაბურღილებზე მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირება და კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი.
- საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 1 241 ჭაბურღილს (ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ჭაბურღილების გარდა) ჩაუტარდა მონიტორინგი გარემოს დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მიმართულებით. აღირიცხა და დაზუსტდა მათი კოორდინატები. მიმდინარეობდა მოძიებული მასალის რედაქტირება და მომზადება არქივირებისათვის. ჩატარებული მონიტორინგის მასალების საფუძველზე გამოსაცემად მომზადდა კრებულის სასიგნალო ეგზემპლარი.
- OMV exploration&Production GmbH და Repsol Exploracion S.A. კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სააგენტოსა და ზემოხსენებული კომპანიების გეოლოგებთან ერთად განხორციელდა იმერეთის, გურიის, აჭარის, სამეგრელოს რეგიონებში გეოლოგიური ინფორმაციის შეგროვება, ქანების ნიმუშების აღება, სალიცენზიო ბლოკების ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილების დათვალიერება.
- მიმდინარეობდა მუშაობა თანამედროვე საკოორდინატო სისტემა WGS 84 -ზე გადასასვლელად.
- ხუთ ტომად გამოიცა კატალოგი ლიკვიდირებული, კონსერვაციასა და ექსპლუატაციაში მყოფი ჭაბურღილების ტექნიკური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესახებ.

3.5.2 მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

- „საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, მიმდინარეობდა ლაგოდეხის, ქარელის, კასპის, ონის, დუშეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ტყიბულის, წყალტუბოს, ზესტაფონის, აბაშის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების სოფლების გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების განხორციელების მიზნით შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ კაპიტალში შეტანილი იქნა 20 მლნ ლარი. გაზიფიცირებულია 58 დასახლებული პუნქტი. ასევე, დასრულდა ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე 60 დასახლებულ პუნქტში აბონენტთა გაზმომარაგების ქსელზე დაერთების სამუშაოები. ბუნებრივი გაზი ხელმისაწვდომია 12 672 აბონენტისათვის.
- საანგარიშო პერიოდში დასრულდა ელექტრიფიცირების სამუშაოები. ექსპლუატაციაში შევიდა სოფლების ნოჯა, კომკასყელი (წობანო), ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალის, ჩონთოს და მოლიანის დასახლების (ნატანები) ელექტრომომარაგებისათვის საჭირო ელექტროგადამცემი ხაზები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. დასრულდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელუბანის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ექსელიძეების (შრომა) ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობდა მისი ექსპერტიზა.
- ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბავარი, მანანაური, ცხუმალდი, ხაჩეში - ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და გატარებულ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები.
- გაფორმდა ხელშეკრულებები ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის უსაფრთო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფისათვის.

3.5.3 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

- გაზგამანაწილებელი კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2014 წლის პირველი დეკემბერიდან 2015 წლის პირველ დეკემბრამდე მოხმარებული ბუნებრივი აირის

ღირებულების ანაზღაურება 3.4 მლნ ლარის ოდენობით. მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 8.4 კუბური მეტრი შეადგინა.

- „ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ბუნებრივი გაზით უწყვეტი მომარაგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, განხორციელდა 2013 წლის 15 ოქტომბრიდან 2014 წლის 15 მაისამდე და 2014 წლის 15 ოქტომბრიდან 2015 წლის 15 მაისამდე პერიოდში საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის მოხმარებული და აუნაზღაურებელი/გადაუხდელი ბუნებრივი გაზის 898.7 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების ანაზღაურება, სულ 2.3 მლნ კუბური მეტრი.

3.6 ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.6.1 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU) (პროგრამული კოდი 36 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა ელექტრომექანიკური კონტრაქტის ფარგლებში ვარდნილჰესის N3 და N2 აგრეგატების რეაბილიტაცია; დასრულდა 220 და 110 კვ ღია გამანაწილებელი სადგურის რეაბილიტაცია; მიმდინარეობდა კომისირების სამუშაოები სს - ელექტროსისტემასთან ერთად, დაიგეგმა N1 აგრეგატის რეაბილიტაცია.
- სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის ფარგლებში დასრულდა სიღრმული წყალსაშვის მშენებლობა და მიმდინარეობდა უქმი წყალსაშვის რეაბილიტაცია. მიმდინარეობდა დამეწყრილი ფერდის გამაგრებითი სამუშაოები და მთლიანად დასრულდა 4 კმ ბეტონის საფარიანი მისასვლელი გზის მშენებლობა; დაიგეგმა არხის გაწმენდა-რეაბილიტაციის სამუშაოები უქმი წყალსაშვისა და დამეწყრილი ფერდის გამაგრებითი სამუშაოების შემდეგ.
- ფიდრომექანიკური სამუშაოების კონტრაქტის ფარგლებში დასრულდა N2 და N3 სადაწნეო მილსადენების რეაბილიტაცია და დაიგეგმა N1 მილსადენის რეაბილიტაცია N1 აგრეგატის რეაბილიტაციის პარალელურად; დასრულდა სიღრმული წყალსაშვის, გამყვანი არხის, უქმი

წყალსაშვისა და წყალმიმღების ფარების, ამწეებისა და სხვა ჰიდრომექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია.

3.6.3 ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID) (პროგრამული კოდი 36 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

- ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დახმარების შესახებ ხელშკრულებაში შევიდა ცვლილება და მიღწეულ იქნა გადაწყვეტილება სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 35/10/6კვ გამანაწილებელი და გამჭიმი მოწყობილობების შესყიდვა-მონტაჟზე 12 ქვესადგურისათვის: ფერო, რუსთავი, ზესტაფონი, ბათუმი, გორი, ხაშური, მარნეული, მენჯი, წყალტუბო, ზუგდიდი, გარდაბანი, გურჯაანი.

3.7. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველო წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე: EMITT (სტამბოლი); FITUR (მადრიდი); Balttour (რიგა); IMTM (თელ-ავივი); BIT (მილანი); HUNGEXPO 2015 (ბუდაპეშტი); ITB (ბერლინი); UITT (კიევი); AITF (ბაქო); COTTM(პეკინი); KITF (ალმა-ატა); ATM (დუბაი); IMEX 2015 (ფრანკფურტი); CTF-Tbilisi (თბილისი); ExpoBatumi (ბათუმი); KOTFA (სეული); JATA 2015 (ქ. ტოკიო); IFTM 2015 (ქ. პარიზი); Skipass (ქ. მოდენა); Ski Expo (ქ. ჰელსინკი); WTM და Ski & Snowboard Show (ქ. ლონდონი); Bewi's Ski and Snowboard Expo (ქ. ბოსტონი); EIBTM (ქ. ბარსელონა); TT Warsaw (ქ. ვარშავა);
- ქ. ვენაში მონაწილეობა იქნა მიღებული „ევროვიზია 2015“-ის თანმხლებ ღონისძიებაში „ევროპული სოფელი“, რომელზეც გავრცელდა საქართველოს საპრომოციო მასალა და ჩატარდა ქართული ღვინის დეგუსტაცია. ასევე, საქართველოს საპრომოციო და სარეკლამო მასალები გავრცელდა ქ. პარიზში, ფრანგული ღვინისა და ვაზის ეროვნულ სააგენტოსა და

საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაზე „ქართული ღვინის დღეები“;

- ქ. ლიონში გამართულ ყოველწლიურ ღონისძიებაზე „საკონსულო ზეიმი“ საქართველო წარდგა საიმიჯო კარვით, სადაც წარდგენილი იყო ინფორმაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ და შესაბამისი საპრომოციო მასალა ფრანგულ და ინგლისურ ენებზე;
- ქ. ბრიუსელში, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს ორგანიზებით გამართულ ბიზნეს კონფერენციაზე „Georgia’s new opportunities in free trade with the EU“ გავრცელდა ტურისტული პოტენციალის ამსახველი ბეჭდური მასალა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ჩინეთში (ქ. სიენში) გამართულ საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენასა და ფორუმში „19th Investment and Trade Forum for Cooperation between East and West China & Silk Road International Exposition“;
- ქ. ლონდონში, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, ჩატარდა ღონისძიება „Taste Georgia“, სადაც გავრცელდა სუვენირები და საპრომოციო მასალა ინგლისურ ენაზე, ხოლო ქ. კრაკოვში, „Weekend Tbilisi“ ღონისძიების ფარგლებში საქართველოს შესახებ გამართულ პრეზენტაციაზე წარდგენილ იქნა ქვეყნის ტურისტული პოტენციალი და გავრცელდა შესაბამისი ინფორმაცია;
- სხვადასხვა მიზნობრივი ბაზრებიდან მოეწყო 70 პრეს და გაცნობითი ტური;
- სარეკლამო კამპანია განხორციელდა ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის აეროპორტებში;
- გაიმართა მასშტაბური ზაფხულის სარეკლამო მარკეტინგული კამპანიები სხვადასხვა ქვეყნებში (ისრაელი, უკრაინა, თურქეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ყაზახეთი, უნგრეთი, ლატვია, რუსეთი);
- დაგეგმილი სარეკლამო კამპანიის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ბელორუსის, უკრაინასა და ყაზახეთის რეიტინგული ტელე-არხების დილის გადაცემების ეთერში განთავსდა საქართველოს შესახებ მომზადებული სიუჟეტები და საქართველოს ზამთრის საიმიჯო რგოლი, ხოლო რუსეთის ერთ-ერთი რეიტინგული ტელე-არხის (CTC) საახალწლო ეთერში ერთი სრული გადაცემა დაეთმო საქართველოს;
- მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების ეთერის საშუალებით განხორციელდა სარეკლამო კამპანიები, რომლის ფარგლებშიც CNN-ზე გავიდა საქართველოს საპრომოციო ვიდეო-რგოლი, ხოლო Euronews-ზე გადაიცემოდა საქართველოს საიმიჯო ვიდეო-რგოლი და თბილისის შესახებ ვიდეო რეპორტაჟები;
- სამიზნე ქვეყნებში ზამთრის ტურისტული პროდუქტების პრომოციისა და შესაბამისად მოგზაურების მაქსიმალური მოზიდვის მიზნით, წარიმართა საქართველოს ზამთრის სარეკლამო ონლაინ მარკეტინგული კამპანია (ბანერები, სტატიები და საქართველოს ზამთრის ვიდეორგოლი „Winter in Georgia“), რომელმაც მოიცვა ადგილობრივი პოპულარული ტურუსტული თემატიკის ვებ-გვერდები, სოციალური მედია და საძიებო სივრცე;
- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, ქ. თბილისში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „ოლიმპიური ფესტივალი Tbilisi

2015“-ის, საერთაშორისო ფორუმის „Routes Silk Road 2015“ (დაესწრო სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე ავიაკომპანიის, აეროპორტის და ტურისტული ორგანიზაციის 300-მდე წარმომადგენელი) და ასევე, „სუპერ-თასი 2015“-ის ფარგლებში გავრცელდა ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ამსახველი მასალა;

- საქართველოს ზამთრისა და ზაფხულის კურორტების პოპულარიზაციის მიზნით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და „AirBaltic“-ს შორის შემდგარი შეთანხმების საფუძველზე, დაიწყო მარკეტინგული კამპანია შემდეგი ელემენტებით: ონლაინ კამპანია, რეკლამა საბორტო ჟურნალში, პრეზენტაცია ადგილობრივი ტურ-ოპერატორებისთვის, პრეს-ტური;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გახდა საკრედიტო ბარათის მფლობელი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ინტერნეტ სივრცეში მარკეტინგული კამპანიის სწრაფად და ეფექტურად განხორციელება (მათ შორის „Facebook“-ის, „Google“-ის და სხვა პლატფორმებზე). Facebook-ზე განხორციელდა კამპანია, რომლის მთავარი მიზანი იყო ზამთრის კურორტების პოპულარიზაცია, ელექტრონული ვიზის პორტალის შესახებ ინფორმაციის სამიზნე ქვეყნებში განთავსება, შიდა აუდიტორიის ინფორმირება და საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის პოზიციონირება. მიმდინარეობდა „Summer in Georgia“ ტურისტული ვიდეო რგოლის რეკლამირება პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანისა და უნგრეთის აუდიტორიაზე;
- მთის კურორტის პოპულარიზაციის მიზნით, ღონისძიება „მედია ლამპრობის“ ფარგლებში მედიის 50 წარმომადგენლისთვის მოეწყო გაცნობითი ტური მესტიის ტურისტულ ადგილებში და მომზადდა შესაბამისი რეპორტაჟები, ხოლო სამეგრელოს ტურისტული პოტენციალის გასაცნობად გაიმართა პრეს-ტური სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლებისათვის;
- ზამთრის კურორტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაბა გუდაურსა და მესტიაში გაიმართა ზამთრის სეზონის გახსნის ღონისძიება, ხოლო ბაკურიანში - კობტას ახალი საბაგრო გზის გახსნასთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიება;
- „გაიცანი საქართველო“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა პრეს-ტურები საქართველოს რამოდენიმე რეგიონში (აჭარა, ხევსურეთი, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი), საირმეში, გუდაურსა და მესტიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა და ასევე, მომზადდა ორმოცზე მეტი ვიდეო რგოლი სხვადასხვა პროფესიის ცნობილი სახეების მონაწილეობით;
- გუდაურსა და ბაკურიანში ველო ტურიზმის განვითარების მიზნით, მოეწყო ახალი ველო ბილიკიკები და შიდა ტურიზმის სტიმულირებისა და ახალი ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის განხორციელდა პრეს-ტური ქართული მედიის წარმომადგენლებისათვის;
- გაიმართა საერთაშორისო ტურნირი ქვიშის ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნებმა: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, ლიტვა, ლატვია, უკრაინა და პოლონეთი;

- ქ. სიღნაღში გაიმართა ქართული პროდუქციის ფესტივალი „არტგურმანი“, საზოგადოებისათვის ქართველი მწარმოებლების გაცნობისა და ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით,;
- განხორციელდა კახეთში (თელავი–ყვარლის გზატკეცილზე) გამართული სპორტული ღონისძიების „Wings for Life World Run“ საინფორმაციო მხარდაჭერა;
- ბორჯომის რაიონის სოფელ ჩითახევში ჩატარდა საქართველოს მეხუთე ჩემპიონატი ჯომარდობაში „მედია ჯომარდი 2015“;
- საქართველოს მოზარდი თაობისათვის ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამონადირეო ტრადიციების გაცნობა/პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა საქართველოს მეიარაღეთა და ბაზიერთა მეორე ფესტივალი;
- თბილისის ზღვის ახალ ქალაქში ჩატარდა ფესტივალი „Tbilisi Open Air“, ქ. რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის ტერიტორიაზე გაიმართა მეგაფესტივალი „Global Gathering“, ხოლო ბათუმში, ბულვარის საზაფხულო თეატრში, მოეწყო „მსოფლიოს 7 საოცრება“ პროექტის პრეზენტაცია თანამედროვე ტექნოლოგიების და 3D ვიზუალური ეფექტების საშუალებით;
- გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიმართა ფესტივალი „არტ-გენი“, სადაც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, წარმოდგენილ იქნა ხალხური მედიცინა და ქართული სამზარეულო და ასევე, მოეწყო „შავფაროსნების“ ქართული საბრძოლო ხელოვნების შოუ;
- აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაცნობის, ტურისტული სეზონის გახანგრძლივებისა და შიდა ტურიზმის სტიმულირებისათვის ბათუმში განხორციელდა პროექტი „ჰით ბათუმი 2015“;
- ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ და დაიბეჭდა გამარჯვებული სტუდენტების ნაშრომების კრებული, რომლის პრეზენტაცია მოეწყო ტურიზმის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე;
- მომზადდა სახელმძღვანელო სამოგზაურო საიტებზე რეგისტრაციის გასავლელად, რაც ტურისტული პროდუქტის მფლობელებს გაუმარტივებს საკუთარი პროდუქტის დარეგისტრირების პროცედურებს;
- დასრულდა მუშაობა სახელმძღვანელოზე „ტურიზმის ბიზნესში წარმატების მისაღწევად“ და მიმდინარეობდა მისი დიზაინის დამუშავება შემდგომში დაბეჭდვის მიზნით;
- დაიბეჭდა სახელმძღვანელო „შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად“, რომელიც მოიცავს ბიზნესის დაგეგმვის ეტაპებს, ტურიზმის თანამედროვე ტენდენციებს, მიზნობრივი ბაზრების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რჩევებსა და რეკომენდაციებს;
- ქართულ ენაზე ითარგმნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ძირითადი სახელმძღვანელო „ტურიზმის სტატისტიკის 2008 წლის საერთაშორისო რეკომენდაციები“;
- დასრულდა მუშაობა ტურიზმის სტრატეგიაზე და დოკუმენტი გამოქვეყნდა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

- კომპანია „Euromonitor International“-საგან შესყიდულ იქნა გამყვანი ტურიზმის მონაცემთა ბაზა. აღნიშნული ბაზების საფუძველზე მომზადდა გამყვანი ტურიზმის ანგარიშები, სადაც განხილულია გამყვანი მოგზაურების ძირითადი მახასიათებლები, მათი ამსახველი სტატისტიკური მონაცემები და გრაფიკულ-ანალიტიკური მასალა;
- ჩატარდა საცდელი კვლევა ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების გაზომვისათვის. შემუშავდა სპეციალური კითხვარი და სხვადასხვა ლოკაციებზე განხორციელდა უეფას „სუპერ თასი - 2015“-ის თამაშზე ჩამოსული ტურისტების გამოკითხვა;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდის (www.gnta.ge) ფარგლებში შეიქმნა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიებისათვის ვებ-გვერდი, რომელიც მოიცავს ქვეყნის წარდგენის მიზნით შექმნილ პრეზენტაციებს, ტურისტული ბროშურების ელექტრონულ ვერსიებს, საქართველოს ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველ ფოტო და საპრომოციო ვიდეო მასალებს, ბროშურებს საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვის შესახებ და ინფორმაციას ქვეყანაში მედიკამენტების შემოტანასთან დაკავშირებული აკრძალვების შესახებ;
- საქართველოს საქმიანი ტურიზმის (MICE-ტურიზმი) პოტენციალის წარმოჩენის მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ბროშურის განახლება და მომზადდა რუსულენოვანი ბროშურა, ხოლო ქ. ფრანკფურტში გამართულ ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაზე „IMEX 2015“ გაიმართა პრეზენტაციები საქართველოს MICE-ტურიზმის პოტენციალის შესახებ;
- დანიაში (ქ. ორჰუსი და ქ. კოპენჰაგენი) მოეწყო სამი პრეზენტაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ და გაიმართა საქმიანი შეხვედრები დანიურ კომპანიებთან, სადაც განხორციელდა კოპენჰაგენის საკონვენციო ბიუროს გამოცდილების გაზიარება და ინფორმაციის გაცვლა საქმიანი ტურიზმის სფეროს ტენდენციებთან დაკავშირებით;
- ეირ-არაბიასა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის თანამშრომლობის შედეგად ქ. მუმბაისა და ქ. დელიში გაიმართა პრეზენტაციები საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ;
- გაფორმდა შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, ხელი მოეწერა „ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს“ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და კორეის ტურიზმის ორგანიზაციას შორის;
- ქ.თბილისში გამართულ „ამბასადორიალი - 2015“-ის ფარგლებში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებისათვის მოეწყო პრეზენტაცია მიმდინარე პროექტების, გეგმებისა და სტატისტიკური მონაცემების გაცნობის მიზნით;
- მონაწილეობა იქნა მიღებული კოლუმბიის (ქ. მედელინში) მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) 21-ე გენერალურ ასამბლეაში, სადაც საქართველომ მეორე ვადით მოიპოვა (2020 წლამდე) სტატისტიკისა და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების კომიტეტის წევრობა;

- ჩატარდა კონკურსი „The Best Destination“ და ყოველთვიური ფოტოკონკურსი „Georgian Travel Moments“;
- შემოწმდა ქ. თბილისში მდებარე 150 განთავსების ობიექტი, ანაკლიასა და განმუხურში ჩატარდა არსებული ობიექტების ხელახალი ინვენტარიზაცია და ასევე, ჩატარდა ძველი თბილისის ტურისტული ობიექტების ინვენტარიზაცია და პრობლემების გამოკვეთა (ინფრასტრუქტურა, ტურისტული ადგილები, საჯარო სივრცეები და სხვა);
- მიმდინარეობდა ვებ-გვერდების mygeorgia.ge/tourism და www.hotelguide.ge მუდმივი განახლება (არსებულ ბაზას დაემატა 65 ახალი განთავსების ობიექტი);
- ადმინისტრაციასა და „GPS Georgia-ს“ შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე განხორციელდება ტურისტებისთვის უფასო ინტერნეტის მიწოდება;
- სერვისების გაუმჯობესების მიზნით ფუნქციონირებდა ონლაინ ჩეთი და უფასო ცხელი ხაზი, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეუფერხებლად აწვდიდა მათთვის საჭირო ინფორმაციას და ახორციელებდა შემოსული ზარების მონიტორინგს, პრობლემის ანალიზს და შემდგომ რეაგირებას, ხოლო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საინფორმაციო ცენტრის ოპერატორებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროფესიული უნარ-ჩვევების დასახვეწად;
- გაიმართა შეხვედრები სასტუმროების („Radisson Blu Iveria“, „Tbilisi Marriott“, „Courtyard Marriott“, „Tbilisi Rooms Hotel Mercure Tbilisi“ და „Leogrand Batumi Hotel“) მენეჯერებთან, რომელიც მიზნად ისახავდა ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას. შეხვედრებზე განიხილებოდა ადმინისტრაციის მომავალი მარკეტინგული აქტივობები მიზნობრივ ბაზრებზე და საშეღავათო სისტემის ჩამოყალიბება;
- ჩატარდა გამოკითხვა/კვლევები, რომელიც მიზნად ისახავდნენ ტურისტულ კომპანიებს შორის რუსეთის ფედერაციიდან და ისრაელიდან ტურისტების შემომყვანი და „heli skiing“ მიმართულებით მომუშავე კომპანიების გამოვლენას და ასევე, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ინსტრუქტორ-გამყოლის კვალიფიკაციის დონის შემოწმებას, მათი რაოდენობის დადგენასა და პროფესიული გადამზადების საჭიროებას;
- გაიმართა შეხვედრა სავაჭრო პალატის წარმომადგენლებთან, ავიაკომპანიებთან და შემომყვან ტურისტულ სააგენტოებთან სავიზო რეგულაციების საკიხებთან დაკავშირებით და მოეწყო ელექტრონული ვიზის პორტალის www.evisa.gov.ge პრეზენტაცია;
- სასტუმროების გენერალურ მენეჯერებთან, ტურისტული კომპანიებისა და ავიაკომპანიების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მოეწყო ზამთრის ახალი ვიდეო-რგოლის, ზაფხულის სეზონის შემაჯამებელი ანგარიშისა და შემოდგომა-ზამთრის სეზონის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციები და ასევე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საინფორმაციო სახელმძღვანელოს „შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დაგეგმვა“ პრეზენტაცია;

- მე-13 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისა და უეფას სუპერ თასის მატჩის ფარგლებში ჩამოსული სტუმრებისათვის, ტურისტული კომპანიების მიერ მომზადდა 1, 2, 3 დღიანი სხვადასხვა თემატიკის ტურები და განთავსდა ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე;
- ჩატარდა შემდეგი ტრენინგები:
 - ✓ ქ. თბილისში არსებული სასტუმროების მომსახურე პერსონალისთვის ტრენინგი თემაზე „სასტუმროს მომსახურების უნარ-ჩვევები“;
 - ✓ მთის კურორტების განთავსების ობიექტებისათვის (ქ. ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, დაბა სტეფანწმინდა და დაბა მესტია) ტრენინგი თემაზე „ტურიზმის სფეროს საბაზისო ინგლისური ენის კურსები და მომსახურებების უნარ-ჩვევები“, რაჭის რეგიონში არსებული სასტუმროების მომსახურე პერსონალისთვის - „საბაზისო ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები“, ხოლო რეგიონებში ტაქსის მძღოლებისათვის - „საბაზისო ინგლისური ენის კურსები და მომსახურებების უნარ-ჩვევები“ (ქ. თბილისი, ქ. მცხეთა, დაბა სტეფანწმინდა, თელავი, ყვარელი, სიღნაღი, ქუთაისი, წყალტუბო, ზუგდიდი, დაბა მესტია);
 - ✓ რეგიონებში არსებული განთავსების ობიექტებისათვის ტრენინგი თემაზე „სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები“ (ქ.თელავი, ქ. ყვარელი, ქ. სიღნაღი, ქ. ქუთაისი, ქ. წყალტუბო, ქ.ზუგდიდი, ქ. გორი, ქ. ამბროლაური და ქ. ონი);
 - ✓ ტრენინგი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მომსახურების უნარ-ჩვევები“;
 - ✓ ტრენინგი „აგროტურისტული ობიექტების ოპერირება და მომსახურების უნარ-ჩვევები“ (რაჭისა და კახეთის რეგიონი) და ტრენინგი „გიდების უნარ-ჩვევები“ (რაჭის რეგიონში);
 - ✓ ალპური გამყოლის გადამზადების ტრენინგი დაბა სტეფანწმინდაში;
 - ✓ ტრენინგი საგადასახადო კოდექსსა და ფინანსურ ანგარიშგებაში (დაბა მესტია, ქ. ამბროლაური, ქ. ონი და დაბა ბაკურიანი);
 - ✓ „პირველადი დახმარება“ - მთის კურორტების განთავსების ობიექტების მომსახურე პერსონალისთვის (მონაწილეობა მიიღო ქ. ბორჯომის 15 სასტუმრომ, დაბა ბაკურიანის 15 სასტუმრომ, დაბა მესტიის 20 სასტუმრომ და კურორტ გუდაურის 15 სასტუმრომ);
- მომზადდა ტურისტულად მიმზიდველი ქალაქებისა და დაბებისათვის რუკების ციფრული ფაილები (ქ. თბილისში შეირჩა 18 ლოკაცია);
- რეგიონების ტურისტულად მიმზიდველი ქალაქებისა და დაბების მოედნებისა და ცენტრალური ქუჩების (შეირჩა 44 ლოკაცია) მანათობელი ბილბორდის კონსტრუქციებისთვის მომზადდა ინდივიდუალური ბანერები, რომლის ერთ მხარეს ასახულია რუკა ადგილმდებარეობის მონიშნებით, ხოლო მეორეზე - რეკომენდირებული სანახავი ადგილების ანოტაციები;

- მომზადდა და დაიბეჭდა მართლმადიდებლური პილიგრიმული კატალოგი;
- ქვეყნის ტურისტულად მიმზიდველ 15 ქალაქსა და დაბაში განხორციელდა ტურისტებისათვის საინტერესო ობიექტების მიმართულების 625 მანიშნებელის მონტაჟი;
- „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში ჩამოსული სტუმრებისთვის გაიმართა თბილისისა და მცხეთის ტურისტული პოტენციალის გაცნობა და მათთვის ტურის ორგანიზება. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიაზე განთავსდა დროებითი სტენდი და დეკორატიული ფოტოპანოები, მოეწყო ფოტოგამოფენა აეროპორტის VIP ზონაში, დაიბეჭდა 2 500 ცალი თბილისის რუკა და 2 500 ცალი თბილისის გასართობი ობიექტების კატალოგი.

3.9 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარეობდა მუშაობა ტექნიკური და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, მათ შორის:
 - ✓ „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან შესაბამისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე;
 - ✓ შემუშავდა შემდეგი სტანდარტების პროექტები: „მადნეული და არამადნეული საბადოების მიწისქვეშა წესით დამუშავების უსაფრთხოების წესები“ და „კარიერების უსაფრთხოების წესები“.
 - ✓ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილებების შეტანაზე;
 - ✓ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილებების შეტანაზე;
- საანგარიშო პერიოდში შემოწმდა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები: 129 ამწე მოწყობილობა; 960 ლიფტი; 57 ესკალატორი; 27 საბაგირო მოწყობილობა; 39 წნევაზე მომუშავე ჭურჭელი; 7 საქვაბე დანადგარი; 2 შახტი; 15 მაღარო (მათ შორის 11 - გეგმიური და 4 - არაგეგმიური); 48 კარიერი; 2 მღვიმე; 20 იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა; 22 მაგისტრალური გაზსადენი; 6 ნავთობბაზა; 2 ჰაერის დაყოფის დანადგარი; 8 რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის

ჩაჭირხვნა; 1 ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი; 95 აირგასამართი და აირსავსები სადგური;

- განხილულ იქნა პროექტები: ნავთობის ბაზების გაფართოება და რეკონსტრუქცია - 4; IV კლასის ობიექტების პროექტი - 52; ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტი - 1; ბითუმის დასამზადებელი და განთავსების ქარხნის პროექტი - 1; აირტურბინული თბოსადგური - 1; საშუალო წნევის გაზსადენი - 6; აირსავსები სადგურები - 8; V კლასის მაგისტრალური გაზსადენის პროექტი - 48; ნავთობის ბაზა - 10;
- გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 26 ნებართვა;
- ტექნიკური ინსპექტირების შედეგად უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დაჯარიმდა 181 ობიექტი;
- სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის 90 ნებართვა, მათ შორის 17 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება; შეთანხმდა 139 IV კლასის ობიექტი; ზედამხედველობა განხორციელდა 80 ობიექტზე; არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 29 ობიექტი; ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 31 ობიექტი;
- მიმდინარეობდა: გეოინფორმაციული სისტემების დანერგვის პროცესის მეორე ეტაპისთვის განსაზღვრული ღონისძიებები (სერვერული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა/ინსტალაცია, არსებული მონაცემთა ბაზის სერვერზე განთავსება, გამართვა, დონეების ჩამოყალიბება და სერვერზე განთავსება, შიდა მომხმარებლისთვის რუკების და შიდა ვებ-აპლიკაციის შექმნა); ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, ასევე სანებართვო პირობების შესრულების ზედამხედველობის კუთხით.

3.10 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 4 ობიექტის გამოსყიდვა. რთული რელიეფური პირობებიდან გამომდინარე, სარკინიგზო მაგისტრალის

მშენებლობის პროექტში შეტანილ იქნა ცვლილება, რამაც განაპირობა დამატებით 250-ზე მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის აუცილებლობა. მიმდინარეობდა საჭირო ტერიტორიის კვლევა.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

4.1 ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები.

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 239 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 429.7 მლნ ლარი.

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

- „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ჩართული იყო 188 მონაწილე, ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრში - 182 მონაწილე, რომლებიც ახორციელებდნენ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში (აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო, ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სულ 30 რაიონის 101 საჯარო სკოლა). 2014-2015 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში პროგრამაში მონაწილე 19 კონსულტანტ-მასწავლებელს დაუფინანსდა მაგისტრატურის სწავლის საფასური, ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სწავლის საფასური დაუფინანსდა 18 კონსულტანტ-მასწავლებელს;

- პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 47 საჯარო სკოლაში დასაქმებული იყო 47 ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებელი, ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრის მდგომარეობით, პროგრამაში ჩართული იყო 44 უცხოენოვანი მოხალისე მასწავლებელი: 27 ინგლისურენოვანი, 1 ფრანგულენოვანი და 16 ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებელი;
- პროგრამების „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში 2014-2015 სასწავლო წლის I სემესტრში განაწილებულ იქნა 198 დამხმარე და 87 ტრენერ-მასწავლებელი, ხოლო 2015-2016 სასწავლო წლის მე-2 სემესტრისთვის პროგრამის ფარგლებში ჩართული იყო 95 კონსულტანტ-მასწავლებელი და 113 დამხმარე მასწავლებელი. კონკურსის შედეგად შერჩეულ 19 ახალ კონსულტანტ-მასწავლებელს და 50 ახალ დამხმარე მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგები. მოეწყო ინტეგრირებული საზაფხულო ბანაკი, სადაც ჩართული იყო 150 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლე და 30 კონსულტანტ-მასწავლებელი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები: „მოდულურ სწავლებაში პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისთვის - შესავალი კურსი“ (მიიღო მონაწილეობა 18 საჯარო პროფესიული სასწავლებლისა და ერთი კერძო პროფესიული სასწავლებლის 545 პედაგოგი), „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში - შეფასების ინსტრუმენტების განვითარება“ (ჩატარდა 19 საჯარო კოლეჯში და გადამზადდა 460 პედაგოგი), „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლებისას და პროფესიული ტესტირება - ნაწილი I“ (ჩატარდა 16 საჯარო კოლეჯში და გადამზადდა 399 პედაგოგი). დასრულდა მუშაობა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიურ გზამკვლევაზე;
- „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი პროფესიული სასწავლებლების მასწავლებლებისათვის“ ჩატარდა 17 კოლეჯში (ტრენინგი გაიარა 452-მა პედაგოგმა). ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ტრენინგები 29 დასაწერგი მოდულური პროფესიული პროგრამის მიმართულებით (ტრენინგი გაიარა 210-მა მასწავლებელმა);
- მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ისტ-ის საბაზო კურსის ტრენინგი, რომელსაც ესწრებოდა 1 362 მასწავლებელი და ისტ-ის მეორე დონის ტრენინგები, რომლის ფარგლებში გადამზადდა გაიარა 1 463 მასწავლებელმა. ამასთან, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად ჩატარდა ისტ-ის მოკლე კურსები, რომელიც გაიარა 280 - ზე მეტმა მასწავლებელმა;

- ინტელის ძირითადი კურსის „პროექტებით სწავლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება“ ფარგლებში მომზადება გაიარა 4 300-ზე მეტმა მასწავლებელმა, ჩატარდა 1:1 ელექტრონული სწავლების დანერგვის ტრენინგების მეორე ეტაპი და გადამზადდა 2 500-ზე მეტი მასწავლებელი, ჩატარდა ტრენინგი „შებრუნებული საკლასო ოთახი“, რომლის ფარგლებში მომზადდა 1 200-ზე მეტი მასწავლებელი;
- „ქოუჩინგის“ მეთოდის გამოყენებით კონსულტაცია გაეწია პირველი და მეორე კლასის მასწავლებლებს, განხორციელებულ იქნა 2 400 - მდე ვიზიტი. აქედან, პირველი კლასის მასწავლებლებთან 1 700 - მდე ვიზიტი და დაახლოებით 700 - მდე ვიზიტი მეორე კლასის მასწავლებლებთან;
- „ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში“ გაიარა 300-მდე მასწავლებელმა;
- ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზო უნარების გასავითარებლად პროფესიულ საქმიანობაში ტრენინგი გაიარა 170-მა ბიბლიოთეკარმა;
- დაიბეჭდა ტრენინგის დამხმარე სახელმძღვანელოები: „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზო კურსი მასწავლებლებისთვის“ (2 600 ცალი) და „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ ტრენინგის სახელმძღვანელო (1 700 ცალი), ასევე 500 ცალი 1:1 ელექტრონული სწავლების სახელმძღვანელო, რომელიც გადაეცა ტრენინგის მონაწილეებს. მომზადდა ვიდეო გაიდები, რომელიც განთავსდა ციფრული რესურსების პორტალზე ict.tpdc.ge. შექმნილია 1 200-მდე ინოვაციური ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგაკვეთილო გეგმა და სასწავლო პროექტი, რომელსაც თან ერთვის შესაბამისი ელექტრონული რესურსი და განთავსებულია ვებ სივრცეში;
- გამოიცა ჟურნალ „მასწავლებლის“ ექვსი გეგმიური და ერთი სპეციალური ნომერი, ასევე „მასწავლებლის წიგნი“;
- „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის“ პროგრამის ფარგლებში რევიზია გაეწია და განახლდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების პროფესიული სტანდარტები;
- კონკურსის წესით შეირჩა საჯარო სკოლის ფიზიკის 15 მასწავლებელი, რომელიც გაემგზავრა ჟენევის ბირთვული კვლევების ცენტრში კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის (სპეციალური მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი, ფსიქოლოგი) შემუშავდა „შესავალი კურსი სპეციალურ პედაგოგიაში“, რომელიც გაიარა ინკლუზიური განათლების 240-მა სპეციალისტმა, „რთული ქცევის მართვა“ - გადამზადდა 20 მასწავლებელი, „აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა სწავლების ძირითადი პრინციპები“, დაესწრო 15 სპეციალისტი, რომლებიც მუშაობენ აუტიზმის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებულ კლასში, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში“ (მოდული

გაიარა 81-მა პედაგოგმა), „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მასწავლებლის პორტფოლიო“ (მოდული გაიარა 40-მა პედაგოგმა);

- „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მართვის“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 2011-2014 წლებში სქემაში ჩართული მასწავლებლების პროფესიული პორტფოლიოს შეფასების დოკუმენტაცია, განაცხადის ფორმა და რუბრიკები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან თანამშრომლობით შეიქმნა შეფასების ელექტრონული სისტემა (eschool) და მასში განთავსდა შესაფასებელი დოკუმენტაცია და შეფასების შედეგები, შეფასდა 5 300 - მდე მასწავლებელი;
- „უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის“ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა და გამოქვეყნდა სქემის გზამკვლევის I ნაწილი, აგრეთვე მომზადდა გზამკვლევის II ნაწილი. შეიქმნა და დამტკიცდა მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი. საჯარო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები თემაზე „სკოლის ადმინისტრაციის ფუნქცია-მოვალეობები სქემაში“. მომზადდა ტრენინგმოდული „მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი და პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა“, რომლის მიხედვითაც გადამზადდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფასილიტატორები.
- ქალაქ ბრიუსელში, პროგრამა „eTwinningPlus“-ის 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განხორციელდა გამარჯვებულ პროექტში ჩართული 5 ქართველი მასწავლებლის დაჯილდოება;
- თბილისის მასწავლებლის სახლსა და საქართველოს ექვს რეგიონში ჩატარდა ტრენინგები საგნობრივი მიმართულებით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (გადამზადდა 126 პედაგოგი), განათლების დაწყებით საფეხურში (გადამზადდა 301 პედაგოგი), ინგლისური ენაში (გადამზადდა 104 პედაგოგი), რუსულ ენაში (გადამზადდა 73 პედაგოგი). პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ სემინარებში მონაწილეობის მისაღებად, პროგრამაში ჩართული 7 მასწავლებელი გაემგზავრა სომხეთში, ხოლო 2 მასწავლებელი - ბრიუსელში;
- „მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების) პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის და მასწავლებლებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისთვის, საბავშვო ბაღების მეთოდისტებისა და აღმზრდელთათვის (ტრენინგი გაიარა 16 700 - ზე მეტმა მსმენელმა);
- ოკუპურებულ ტერიტორიებზე არსებული საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა ტრენინგები საგნობრივი მიმართულებით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, განათლების დაწყებით საფეხურში და რუსულ ენაში. სულ გადამზადდა გაიარა 34-მა პედაგოგმა;
- სსიპ - გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ერთობლივად დაიგეგმა და ჩატარდა

საინფორმაციო შეხვედრა „ნარჩენების კოდექსით განსაზღვრული სანქციების გაცნობა პედაგოგებისთვის“, რომელსაც ესწრებოდა 100 მასწავლებელი;

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონის (ქუთაისი, გორი, რუსთავი, მცხეთა, სამტრედია, საგარეჯო, სიღნაღი, გურჯაანი) ინგლისური ენის 800-მდე პედაგოგს ჩაუტარდა სემინარი, რომელსაც უძღვებოდნენ აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან მოწვეული სპეციალისტები;

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

- საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე 1 166 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვას, მანდატურები გადანაწილებულნი იქნენ 419 საჯარო და 3 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 უმაღლეს საგანმანათლებლო უნივერსიტეტში;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურობის კანდიდატმა (215 ერთეული) გაიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, მანდატურებს ჩაუტარდათ გადამზადების ტრენინგები: „ბავშვის განვითარების ეტაპები“, „კომუნიკაცია“, „კონფლიქტების მართვა და მედიაცია“, „ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი“, „ფსიქოლოგიური ტრავმა და ძალადობა“, „ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიკაცია და გადამისამართების პროცედურები“.
- საქართველოს მაშტაბით 1 056 მანდატურმა და საჯარო სკოლის 569 სასწავლო ნაწილმა გაიარა ტრენინგი შემდეგ თემებზე: „ბავშვზე ძალადობის განმარტება და ფორმები“, „ძალადობა და კონფლიქტი“, ძალადობის გავრცელების ხელშემწყობი და დამცავი ფაქტორები“, „ძალადობის შედეგები“, „ძალადობაგანცდილი ან ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის ფიზიკური, ქცევითი და ემოციური ნიშნების ამოცნობა“, „ძალადობა სკოლაში“, „სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლი ბავშვი“, „ძალადობაგანცდილ ბავშვთან ურთიერთობის ძირითადი საკითხები“, „მულტიდისციპლინარული და მულტისექტორული თანამშრომლობა“, „ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები საქართველოში“, ასევე ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ბავშვებთან ურთიერთობა ფსიქოლოგიაში“ (გადამზადდა 20 მასწავლებელი);
- ფსიქოლოგიურ ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი) მომსახურება გაეწია 1 228 ბავშვს და მათ ოჯახებს, აქედან რეფერალთ სკოლიდან გადმომისამართდა 819 ბენეფიციარი, ხოლო თვითდინებით - 409 ბენეფიციარი;
- ფსიქოლოგიური ცენტრების მიერ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა ჯგუფური ფსიქო-კორექციული მუშაობა 146 ბავშვთან და მოზარდთან, 85 მშობელთან. ადგილზე დახმარება გაეწია 65 ბენეფიციარს. სოციალურმა მუშაკებმა სატელეფონო კონსულტირება გაუწიეს 58 მანდატურს. ინდივიდუალურად ბინაზე მომსახურების მიზნით საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ 20 ბენეფიციარის გადამისამართება ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში, სოციალური მომსახურების

სააგენტოში, ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ცენტრში, ფსიქიკური განვითარების ცენტრში, ფსიქიატრიულ კლინიკაში, ფსიქიატრიულ დისპანსერში და სხვა დაწესებულებებში;

- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით გადამზადდა და სერტიფიცირებულ იქნა 17 დამრიგებელი, მომზადდა პროფორიენტაციის 4 საგაკვეთილო მოდული და შევიდა ცვლილება 8 საგაკვეთილო მოდულში. ჩატარდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამის კვლევა, მოეწყო დაახლოებით 1 300 გაფართოებული შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან და თითქმის 1 630 ექსკურსია საწარმოებში, ორგანიზაციებში, უმაღლესსა და პროფესიულ სასწავლებლებში. ასევე, პროგრამის პილოტირების მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა რომელშიც ჩართული იყო 35 500 - მდე მე-9 კლასის მოსწავლე;
- საქართველოს 291 საჯარო სკოლაში ჩატარდა საპილოტე პროგრამის ეფექტურობის შესახებ კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 982 მეცხრე კლასის მოსწავლე და 117 პროგრამის განმახორციელებელი დამრიგებელი;
- მომზადდა ტრენერთა ტრენინგის (TOT) მოდულები და მასალები, რის მიხედვითაც გადამზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის 73 სპეციალისტი. აგრეთვე, მომზადდა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთა (მასწავლებელთა) მოსამზადებელი სატრენინგო მასალები, რის მიხედვითაც განხორციელდა 923 პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაზე პასუხისმგებელ პირთა (მასწავლებელთა) გადამზადება.

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

- X-XII კლასის მოსწავლეებისთვის ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე ჩატარდა ოლიმპიადები (მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა უსინათლო მოსწავლეებსაც მიეცათ) ქართული ენასა და ლიტერატურაში (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის), მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ისტორიასა და უცხოურ ენებში (ინგლისური, გერმანული, რუსული), სადაც გამოვლინდა 132 გამარჯვებული მოსწავლე, რომელთაც გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები;
- საერთაშორისო ოლიმპიადების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ოთხ ეტაპიანი შესარჩევი ტურები, რომლის შედეგების გათვალისწინებით მათემატიკაში, ფიზიკაში, ინფორმატიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდები (სულ 23 მოსწავლე). საერთაშორისო ოლიმპიადებში ქართველმა მოსწავლეებმა მოიპოვეს ერთი ვერცხლისა და შვიდი ბრინჯაოს მედალი, ერთი მოსწავლე დაჯილდოვდა საპატიო სიგელით;
- სასკოლო კონკურსების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ეროვნული ტურნირი ინფორმატიკაში სამ ასაკობრივ კატეგორიაში, სადაც გამოვლინდა 12 გამარჯვებული მოსწავლე. ასევე, ჩატარდა გუნდური კონკურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებში (ფიზიკა, ქიმია და მათემატიკა), სადაც თითოეულ საგანში გამოვლინდა 3-3 გამარჯვებული გუნდი. პირველ ადგილზე გასული გუნდების წევრი მოსწავლეები და პედაგოგები იმყოფებოდნენ შვეიცარიაში ცერნის ცენტრალურ ლაბორატორიაში;

- ევროპის კვირეულისადმი მიძღვნილი ვიდეორგოლების კონკურსში „ევროპა ჩემს ობიექტივში“ გამოვლინდა საუკეთესო ათეული და მათ შორის I, II, III ადგილებზე გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით, ხოლო ათეულში გასული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ წამახალისებელი სიგელებით;
- ვაჟა-ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილ თეატრალურ ფესტივალზე გამოვლინდა I, II და III ადგილებზე გასული სკოლები, ასევე ჟიურის ნომინაციაში გამარჯვებული სკოლა, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით, ხოლო საუკეთესო 10 სკოლას გადაეცა წამახალისებელი სიგელები;
- აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილი სასკოლო კონკურსში გამოვლინდა გამარჯვებულები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესაძენი, ასევე წიგნის მაღაზიის სასაჩუქრე ბარათებით, დიპლომებით/სიგელებით;
- ჩატარდა ესეების კონკურსი არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებისთვის „ჩემი კულტურა და ტრადიციები“, გამოვლენილია 80 მოსწავლე, რომლებსაც გადაეცათ სიგელები. ასევე, ჩატარდა ბლოგების კონკურსი „პლანეტა თამბაქოს კვამლის გარეშე“, მოსწავლეთა დღიურების კონკურსი, იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სასკოლო კონკურსი და ვიდეორგოლების კონკურსი „თანამედროვე გმირები“. გამოვლინდნენ გამარჯვებული მოსწავლეები, რომელთაც გადაეცათ სასაჩუქრე ბარათები;
- წარჩინებულ მოსწავლეთათვის გაიცა 1 150 ოქროს და 960 ვერცხლის მედალი;

4.1.5 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 32 02 05)

- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისა (2 285 ბავშვი) და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველი პირების (269 პირი) შეფასება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის მსურველ 250 პირს აღმოაჩნდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით სკოლის გამოსაშვები გამოცდებისათვის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ შეფასდა 150 - მდე მეთორმეტეკლასელი და 130 - ზე მეტი მეთერთმეტეკლასელი მოსწავლე;
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრების პროფესიული ზრდის მიზნით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების შეფასების ინსტრუმენტის (VINELAND, EDDT და MWRATR) გამოყენებისა და ინტერპრეტირების სწავლების მიმართულებით

განხორციელდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო 23 ინტერვიუერი და მულტიდისტიპლინური გუნდის 23 წარმომადგენელი;

- უსინათლო და მცირედმხედველი მოსწავლეებისათვის მომზადდა, დამუშავდა და დაიბეჭდა ქიმისა და ბიოლოგიაში ტაქტილით გამოხატული საგანმანათლებლო დამხმარე თვალსაჩინოებები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 60 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი უზრუნველყოფილ იქნა 36 დამხმარე სპეციალისტის მომსახურებით და ერთი გადაადგილების სირთულის მქონე სტუდენტი მექანიკური ეტლით;
- იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებულ ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებს მიეწოდათ საგანმანათლებლო სერვისი სსიპ - ქალაქ თბილისის 147-ე საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ;
- თბილისის 64-ე საჯარო სკოლაში ფუნქციონირებდა სმენის პრობლემების მქონე ბავშვებისათვის, ხოლო თბილისის 166-ე საჯარო სკოლაში, თბილისის 41-ე საჯარო სკოლაში, თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში, ქალაქ თელავის მე-9 საჯარო სკოლაში, ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლაში, თბილისის კლასიკური გიმნაზიასა და თბილისის N132 საჯარო სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ინტეგრირებული კლასები. აღნიშნული მომსახურებით საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 60 მოსწავლემ;
- „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ ღონისძიების ფარგლებში შემუშავდა საჯარო სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გადამზადების მიზნით სატრენინგო პროგრამის მოდული და 6 საჯარო სკოლების 46 მასწავლებელს და 6 ადმინისტრაციის წარმომადგენელს ჩაუტარდათ ტრენინგი. 6 საჯარო სკოლის 500-მდე მშობლისთვის განხორციელდა ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანია, დაიბეჭდა 500 ცალი საინფორმაციო ბროშურა. განხორციელდა ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ განათლების კომპონენტით უზრუნველყოფის ტრანზიტული პროგრამის პილოტირება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის ორ ცენტრში;
- „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში თბილისის N202 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებდა კითხვის კლუბი, სადაც თავს იყრიდნენ როგორც თბილისის N202 საჯარო სკოლის უსინათლო და სუსტად მხედველი მოზარდები, ასევე მათი თანატოლები თბილისის სხვა საჯარო სკოლებიდან (აქტივობაში ჩართული იყო 50 მონაწილე);
- ქვევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოზარდების რესოციალიზაციის მიზნით განხორციელდა ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლისა და ა(ა)იპ - კავშირი „ბერილუს“-ის მიერ ერთობლივად მომზადებული პროექტი „შეცვალე სამყარო“. აღნიშნულ სკოლაში, გაკვეთილების შემდგომ, ამუშავდა თეატრის, კითხვის, კულინარიისა და ცეკვის კლუბები. პროფესიულ კოლეჯში სწავლის მოტივაციის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა ვიზიტები ოთხ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროგრამის გაცნობის მიზნით.

აქტივობებში ჩართული იყო 40 მოზარდი (10 რთული ქცევების მქონე ბენეფიციარი და 30 მოხალისე);

- ბომა მოზარდების სასწავლო და სააღმზრდელო პროცესში ჩართვის მიზნით, განახლდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოზარდების მონაცემთა ბაზა. დღეისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში 186 ბომა მოზარდი არის დარეგისტრირებული;
- სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათ განვითარებაზე ზრუნვა.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

- განხორციელდა საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შვილების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების მიწოდება. საანგარიშო პერიოდში შეძენილ და გადაცემულ იქნა 2.0 მლნ - ზე მეტი სახელმძღვანელო და რვეული. ამ მიზნით სულ მიიმართა 5.6 მლნ ლარი.

4.1.7 საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

- „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შეირჩნენ მოსწავლეები, რომლებიც სამ ეტაპად გაემგზავრნენ დაბა წყნეთში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში მონაწილე მოსწავლეებიდან შეირჩა 36 მოსწავლე, რომლებიც გაემგზავრნენ დიდ ბრიტანეთში ორკვირიან ინგლისური ენის საზაფხულო კურსებზე;
- „მომავალ ლიდერთა საზაფხულო სკოლა“ ღონისძიების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში შეირჩნენ მოსწავლეები, რომლებიც გაემგზავრნენ დაბა ბაკურიანში;
- „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა ეთნიკური უმცირესობებისთვის“ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ესეების კონკურსის „ჩემი კულტურა და ტრადიცია“ საფუძველზე შეირჩა 50-50 მოსწავლე და მასწავლებელი. რომლებიც ორ ნაკადად გაემგზავრნენ დაბა ბაკურიანში.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

- განხორციელდა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება. (ბენეფიციართა რაოდენობა - 1 048 ერთეული). ამ მიზნით სულ მიიმართა 2.3 მლნ ლარი.

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

- პროგრამის ფარგლებში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდათ სპეციფიურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;
- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის, ექსტერნად დარეგისტრირდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მყოფი 17 მოსწავლე და გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 16-მა მსჯავრდებულმა, რომელიც დაძლია თექვსმეტივე მსჯავრდებულმა სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე;
- 2014-2015 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფმა 9 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა (დაძლია 5-მა მოსწავლე-პატიმარმა);
- N11 არასრულწლოვანთა სპეციალურ და სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრებიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 8 მსჯავრდებულმა/ბრალდებულმა მოსწავლემ. გამოცდა წარმატებით დასძლია და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 5 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი;
- „მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულთა, ასევე ტერიტორიულ ორგანოებში აღრიცხვაზე მყოფ პირობით მსჯავრდებულთა, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და თავისუფლებაშეზღუდულ მსჯავრდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა შვიდი სსიპ/ა(ა)იპ - საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი, სულ მომზადება გაიარა 418-მა ბენეფიციარმა.

4.1.10 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)

- სამინისტრომ 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში უზრუნველყო იმ 1 108 საჯარო სკოლის 58 426 მოსწავლის, ხოლო, 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 1 143 საჯარო სკოლის 63 960 მოსწავლის, უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც

ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია; ამ მიზნით სულ მიიძარტა 16.8 მლნ ლარი.

4.1.11 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

- ქვეპროგრამის „გალის რაიონის პედაგოგების გადამზადების და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება“ ფარგლებში ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცათ სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებული და დამხმარე სახელმძღვანელოები;
- გალის რაიონის პედაგოგების საგნობრივი წვრთნის მიზნით, ზუგდიდში მივლენილ იქნა ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც დაატრენინგეს 45 მასწავლებელი, 450-დე აბიტურიენტს ჩაუტარეს მოსამზადებელი სამუშაოები ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის;
- „სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 32 პროექტი;
- წარმატებული სკოლებისა და პედაგოგების წახალისების ღონისძიების ფარგლებში ფულადი პრიზებით დაჯილდოვდა 128 პედაგოგი;
- დაიბეჭდა და ზოგადსაგანმანათლებლო დასწესებულებებს დაურიგდა 37 450 - მდე სასკოლო ჟურნალი;
- „გაიცანი საქართველო“ ფარგლებში მე-9, მე-10, მე-11 კლასების მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო ექსკურსიები განხორციელდა სახელმწიფო მმართველობით ორგანოებში;
- „საერთაშორისო საგანმანათლებლო ექსკურსიების“ ფარგლებში პოლონეთში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში და შვეიცარიაში, ცერნში ექსკურსიებზე გაემგზავრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში, გუნდური პროექტების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები და მათი ხელმძღვანელები. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 48 პირმა (36 მოსწავლე და 12 გუნდის ხელმძღვანელი);
- „საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის) ტერიტორიაზე სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისა და სკოლის ექიმის საქმიანობის“ პროექტის ფარგლებში შეირჩა 289 საპილოტე სკოლა, სადაც მოეწყო/ადიჭურვა სამედიცინო კაბინეტები;
- ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით ჩატარდა 10 გასვლითი ღონისძიება (შეხვედრები/საჯარო ლექციები) საქართველოს რეგიონებში, სადაც განსაკუთრებით ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები (ლაგოდეხის, ბოლნისის და მარნეულის მუნიციპალიტეტები). ასევე, ჩატარდა კონფერენცია თემაზე „მშობლის მონაწილეობა განათლების პროცესში“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა, ფიქოლოგებმა, განათლების სფეროში მოღვაწე სპეციალისტებმა;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში არსებული ქართული სკოლებისათვის შეძენილ იქნა 5 937 სახელმძღვანელო და 100 ცალი სასწავლო თვალსაჩინოება;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იქნა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო ქვეპროგრამაზე ჩასარიცხი პირების სია (სულ 25 ბენეფიციარი), რომლებიც გადანაწილდნენ ქალაქ თბილისის N81 და ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლებში.

4.1.12 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (პროგრამული კოდი 32 02 10)

- შემუშავდა კლასში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ინსტრუმენტები, კერძოდ: გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა, შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა, მასწავლებლის გამოკითხვის ანკეტა, ინსტრუქცია მონიტორებისათვის, ანგარიშის ჩარჩო.
- მომზადებულია საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის (საათობრივი ბადის და საგნობრივი სტანდარტები) გადამუშავებული პირველადი ვერსია;
- მომზადებულია ქართული ენის ალტერნატიული (ფუნქციური) სასწავლო გეგმა, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს: ზეპირმეტყველება, წერა და კითხვა. შემუშავებულია ზეპირმეტყველებისა და კომუნიკაციის სტანდარტი, მომზადდა გზამკვლევი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“;

4.2 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

- განხორციელდა აბიტურიენტთა, მაგისტრანტობის კანდიდატთა და მასწავლებლების საგნის გამოცდების ფარგლებში მონაწილე მასწავლებელთა რეგისტრაცია, საგამოცდო ტესტების მომზადება და დაბეჭდვა, საგამოცდო ცენტრების მოძიება და გამოცდებისათვის მომზადება (ვიდეო-კამერების დამონტაჟება, საგამოცდო სექტორების მოწყობა შესაბამისი ინვენტარით), ადმინისტრატორების, კოორდინატორების, თანაშემწეების, მეთვალყურეების, კურატორებისა და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევა. ჩატარდა გამოცდები, გასწორდა ნაშრომები, ჩატარდა აპელაცია, სააპელაციო ნაშრომების გასწორების შემდეგ გამოცხადდა საბოლოო შედეგები. სულ აღნიშნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 69 825 პირი, გამოცდაზე გავიდა - 60 311;
- პროფესიული გამოცდების ფარგლებში მიმდინარეობდა სატესტო დავალებების აპრობაცია, საგამოცდო ტესტების მომზადება, ადმინისტრატორების, კოორდინატორების, თანაშემწეების, მეთვალყურეების, კურატორების და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევა. მოხდა ტესტირების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია, სულ საანგარიში პერიოდში რეგისტრაცია გაიარა 17 546 აპლიკანტმა, ჩაირიცხა 10 405 აპლიკანტი;
- განხორციელდა სკოლის გამოსაშვები გამოცდის დაგეგმვა, მეთვალყურეებისა და სხვა პირების შერჩევა, ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (The Program for International Student Assessment (PISA)) ფარგლებში ძირითად ტესტირებაში ჩართული იყო საქართველოს ყველა რეგიონის 300-მდე სკოლის 15 წლის 5 800 მოსწავლე, მათი მშობლები და სკოლის დირექტორები;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის ძირითად ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონის 161 სკოლის 9 000 მოსწავლემ, დირექტორებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა.
- წიგნიერების საერთაშორისო (Progress in International Reading Literacy Study (PIRLS)) კვლევების ფარგლებში საცდელ ტესტირებაში მონაწილეობდა 31 სკოლის 1 100 მოსწავლე, მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები. ჩატარდა აღნიშნული 31 სკოლის წარმომადგენელი კოორდინატორების ტრენინგი;
- სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო გამოკითხვის Teaching and Learning International Survey (TALIS) ფარგლებში მომზადდა TALIS-ის კვლევის ანგარიშის (სკოლის დირექტორები, მათი საქმიანობა, პროფესიული განვითარება და შეფასება) საბოლოო ვერსია.
- მათემატიკაში სახელმწიფო შეფასების ძირითად კვლევაში მონაწილეობა მიიღო 166 სკოლამ, 4 500-მდე მოსწავლემ, 300 მასწავლებელმა. შემუშავდა პირველადი ანგარიშის ელექტრონული ვერსია, რომელიც გაეგზავნა დონორ ორგანიზაციას კომენტარებისთვის.
- სახელმწიფო შეფასება ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში (მე-9 კლასი) და ქართულში, როგორც მეორე ენა (მე-7 კლასი) ღონისძიების ფარგლებში მასწავლებელთა სერტიფიცირებისა და შეფასების სისტემის გარდაქმნის მიზნით შეიქმნა გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა და მისი პირველადი პილოტირება 30 გაკვეთილზე დაკვირვებით;

- სკოლის დირექტორების შერჩევისა და შეფასების მიმართულებით სკოლის დირექტორების შერჩევის პროცედურებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგი;

4.2.2.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 01)

- გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 2013 – 2014 წლებში საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული 61 პროექტი, ასევე ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 2012-2014 წლებში საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 259 პროექტი;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით, ღონისძიების „სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება უცხოეთში“ ფარგლებში 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამოვლინდა 18 გამარჯვებული პროექტი, რომელთაგანაც დაფინანსდა 16 პროექტი. ასევე დაფინანსდა 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული 27 მეცნიერი;
- გამოვლინდა და დაფინანსდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული 87 მეცნიერი;
- „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 93 მეცნიერი, ასევე, დაფინანსდა 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული 13 მეცნიერი;
- „საკონფერენციო გრანტების“ ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 9 პროექტი, ასევე დაფინანსდა 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი;
- საგრანტო კონკურსის „საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ ფარგლებში დაფინანსდა 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი და 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 6 პროექტი;
- განხორციელდა სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის (JÜLICH) კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ერთობლივი 2012-2015 წლების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული 13 ახალგაზრდა მეცნიერის დაფინანსება;
- სამეცნიერო ფონდისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში (STCU) ერთობლივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2013-2014 წლების გამარჯვებული 20 პროექტი, გამოცხადდა 2015 წლის საგრანტო კონკურსი (გამოვლინდა 30-მდე პროექტი, გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე და გაიგზავნა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრში უკრაინაში);
- „ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობა“ ფარგლებში დაფინანსდა 2012-2013 წლის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული 21 პროექტი, „ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ 2012-2014 წლების საგრანტო კონკურსში

გამარჯვებული 40 პროექტი, ქართული ელექტრონული ლექსიკონის შექმნის მიზნით 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტი. ჩატარდა სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი და გამოვლინდა 11 გამარჯვებული პროექტი. მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 47 პროექტი. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი ფარგლებში გამოვლინდა და დაფინანსდა 2015 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 34 პროექტი. „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა შერჩეული 2 პროექტი;

- ქართველი მეცნიერთათვის ჩატარდა „ჰორიზონტი 2020“-ის კონკურსების საინფორმაციო დღეები, სადაც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დარგის 300-მდე მეცნიერმა და მისი ძირითადი მიზანი იყო ქართველ მეცნიერთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა ევროკავშირის ჩარჩო პროგრამაში „ჰორიზონტი 2020“ მონაწილეობისა და ევროკავშირის საერთაშორისო სამეცნიერო ქსელთან თანამშრომლობისთვის. „ჰორიზონტი 2020“ - ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამისათვის შეიქმნა ვებგვერდი და მოხდა მისი ტექნიკური მხარდაჭერა;
- ჩატარდა მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“. რომელშიც გამოვლინდა 4 გამარჯვებული პროექტი I, II და III ადგილზე გასული პროექტები და გრან-პრი. საპრიზო ადგილებზე გასული პროექტების ავტორები (11 მოსწავლე) დაჯილდოვდნენ ფულადი ჯილდოთი.

4.2.2.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 02 02)

- სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ გამოქვეყნდა 33 სტატია უცხოურ და 22 - ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, 49 სამეცნიერო თეზისი საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის მიზნით და 14 თეზისი საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის. ჩატარდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღეს, როგორც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, ასევე საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სტუდენტებმა;
- ცენტრში ჩატარდა VIII საერთაშორისო კონფერენცია „From Molecular to Cellular Events in Human Pathologies“, რომლის შემდგომ ცენტრი გაწევრიანდა ევროპულ საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმ GDR1 –ში;
- მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში ცენტრის ახალგაზრდა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს „სამეცნიერო-პოპულარული ლექციები მოსწავლეთათვის“ მსვლელობაში და წარმოადგინეს 3 საჯარო ლექცია თემაზე „კაცობრიობა და რადიაციული დაცვის თანამედროვე პრობლემები“;

- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა კვლევები სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების შემადგენლობაში არსებული ფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, იმუნოლოგიური და ბიოქიმიური შესწავლის მიზნით. განხორციელდა კვლევები ადამიანისა და ცხოველების სხვადასხვა ინფექციის, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ჰოსპიტალური ინფექციების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლის კუთხით. მომზადდა და გაიგზავნა სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო გამოცემებისათვის;
- სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობდა დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტებისა და საბიბლიოთეკო წიგნების დიגיტალური ვერსიების დამზადება, მათი დაცვისა და შენახვის მიზნით საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები, ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული კატალოგების მომზადება;
- გაიმართა სინას მთაზე ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციის შედეგების პრეზენტაცია და ფოტო გამოფენა, მოეწყო „ისტორიული საბუთების კორპუსის“ მე-3 ტომის, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონის, ალბომების: „ქართული ხელნაწერი“ (ინგლისური ვერსიის), „მოქვის სახარება“ და „ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები“ (ქართულად და ინგლისურად)“, „შუა საუკუნეების ხელნაწერების სამეცნიერო მიზნით გადაღება (დიგიტალიზაცია): სინას პალიმფსესტები და სხვა“, ახალი გამოცემის „საბაწმინდური ოთხთავი, პალიმფსესტი“, პროექტების: „ქართული პალიმფსესტები (ალბომი-კატალოგი, მონაცემთა ბაზა)“, „საზოგადო მოღვაწეთა შრიფტები“, „უძველესი ქართული მოჭედილი ძეგლების დიაგნოსტიკა (XI-XIII საუკუნეების ქართული ხელნაწერები)“, „საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები: მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)“, „ქართული დამწერლობა (მონაცემთა ბაზა, პალეოგრაფიული ალბომი)“, „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ მე-5 ტომის პრეზენტაციები, ჩატარდა კონფერენცია „ტექსტოლოგიური ძიებანი“, რომლის მიზანიც იყო ძველი ქართული ტექსტების გამოცემებისა და ტექსტოლოგიური კვლევების გააქტიურებისა და განვითარების ხელშეწყობა. ასევე, ჩატარდა პრეზენტაცია „ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში“ (ბეჭდური და ელექტრონული ენციკლოპედიური ლექსიკონი). საქართველოს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საზოგადოებას წარუდგინა პროექტი „იუნკერი ივანე ნანუაშვილი - საქართველოს უახლესი ისტორიის უცნობი ფურცლები“, რომლის ფარგლებშიც საზოგადოება გაეცნო ვანო ნანუაშვილის პირად არქივს. მოეწყო პროექტის „ასტრონომიული ხელნაწერები საქართველოში“ ფარგლებში შექმნილი ბეჭდური (კატალოგი, ბროშურები) და ელექტრონული (მონაცემთა ბაზა, ვებ-გვერდი) პროდუქციის პრეზენტაცია. გაიმართა საქართველოში მეხუთე საერთაშორისო საღვთისმეტყველო-სამეცნიერო და ილია აბულაძისადმი მიძღვნილი მე-5 სამეცნიერო კონფერენცია და

კრებულების: „მრავალთავი“ – 24-ე ნომრის, ქართველოლოგიის სეზონური (ზამთრის) სკოლა „ქართული ხელნაწერი“ პრეზენტაცია;

- სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში არასრულწლოვანთა სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარდა ლექციები თემაზე „ტაო-კლარჯეთი“ და „ივანე ნანუაშვილი - საქართველოს ისტორიის უახლესი ფურცლები“;
- ვაჟა-ფშაველას და აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 წლის აღსანიშნავად მოეწყო საგამოფენო-საგანმანათლებლო პროგრამა;
- მწერალთა სახლში გაიხსნა სამი ქართველი მოღვაწის - დიმიტრი ყიფიანის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საარქივო მასალების გამოფენა „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებიდან“;
- მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის ფარგლებში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა გამოფენა - ხელნაწერი კულტურის განვითარების ეტაპები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ზუსტი ასლები, VII-XVII საუკუნეების ხელნაწერები. სამეცნიერო ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო - სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეთათვის, სახალისო ექსპერიმენტები, თამაშები, ვიქტორინები, სამეცნიერო-პოპულარული ლექციები.

4.2.2.3 მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 03)

- გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ I-IV ტომები, ენციკლოპედია „საქართველოს“ მე-3 ტომი, აგრეთვე „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის სერიის“ პირველი და მეორე ნომრები, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე: ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების სერიის“ პირველი და მეორე ნომრები „ბიომედიცინის“, „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“, „საქართველოს მათემატიკური ჟურნალისა“ და „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ პირველი ნომრები;
- მომზადდა ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, ქართული წერილობითი წყაროების სანდო ტექსტური კორპუსი, ლემატიზაციის სპეციალური პროგრამა და კომპიუტერული საძიებო სისტემა;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა გამოფენა ინოვაციური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ნიმუშები“.

4.2.2.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 04)

- აკადემიის მიერ მომზადდა და გამოიცა 375 სამეცნიერო ნაშრომი (სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, შრომათა კრებული) და 39 ლიტერატურული ნაშრომი;
- გაიმართა სემინარები და ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები: „საქართველოს მცენარეთა მრავალწლიანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები“, „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში“, „ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირება და მისი გამოყენება ციტრუსების ინტეგრირებულ დაცვაში“, „საქართველოს მდგრადი განვითარება“, „მეხილეობისა და მებოსტნეობის თანამედროვე მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების შესახებ შიდა ქართლში“, „საქართველოს მცენარეთა მრავალწლიანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები“, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „საქართველოს მთის ტყეების დღევანდელი მდგომარეობა“ და საერთაშორიო კომფერენცია „გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება“;
- აკადემიამ უზრუნველყო სამეცნიერო შეხვედრები მრავალი მაგიდის ფორმატით მეთევზეობის პრობლემურ საკითხებზე, აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების, აგროლურ სფეროში მეცნიერებისა და მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადების არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების, საქართველოში ქარსაფარი ზოლების არსებული მდგომარეობის და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების, აგროსაინჟინრო სფეროში რაიონების საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების როლის გაზრდის, სეტყვისაგან დაზიანებული ვენახის მოვლისა და გარანტირებული დაცვის ღონისძიებების, სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების ექსპორტის თანამედროვე მდგომარეობის და რიგი სხვა პრობლემებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ;
- გამოცემული იქნა რეკომენდაციები: „ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები და ტექნიკური საშუალებები“, „ნამყენი ნერგების წარმოების მექანიზაცია ვაზის სანერგე მეურნეობაში“, „სამუშაოთა მექანიზაცია მევენახეობაში“, „მანდარინის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია“, „სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე ქარსაცავი ზოლების გაშენება და მოვლა“, „ქაცვის წარმოების, გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია“, „სასელექციო-სანაშენე საქმე მეფრინველეობაში“, ასვე გამოცემული იქნა ერთი მონოგრაფი „მევენახეობის ტექნოლოგია და სამუშაოთა მექანიზაცია“.

4.2.2.5 მეცნიერების აღდგენა და განვითარება (32 04 02 05)

- პროგრამის „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულ მიიმართა 20.5 მლნ ლარი;

4.2.3 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 03)

- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების და პროგრამული დაფინანსების მფლობელი სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ სწავლის დაფინანსებით;
- პრეზიდენტის სტიპენდია (150 ლარის ოდენობით) გამოეყო საქართველოს ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 790 - ზე მეტ სტუდენტს;
- „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების“ ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში დაფინანსდა 581 სტუდენტი და 2015-2016 სასწავლო წლის პირველ სემესტრში - 725 სტუდენტი. ამ მიზნით სულ მიიმართა - 1.9 მლნ ლარი;
- 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება მიიღო 1 367-მა სტუდენტმა, ხოლო მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა 71 მაგისტრანტი სტუდენტი;
- 2015–2016 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 40 სტუდენტი, ხოლო სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა ცხრა უცხო ქვეყნის მოქალაქის სწავლა;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა სამი სტუდენტი, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ სწავლა განაგრძეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასური დაუფინანსდა 56 ბენეფიციარს (საზღვარგარეთ 5 ქართველი სტუდენტი, საქართველოში მყოფი 51 უცხოელი სტუდენტი), „განათლების საერთაშორისო ცენტრი“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 14 ბენეფიციარი.

4.2.4 უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

- ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების ღონისძიების ფარგლებში ვებგვერდზე geofl.ge განთავსდა გასულ წელს შესრულებული B1.1 დონის სახელმძღვანელო (შემსწავლელის წიგნი, სამუშაო რვეული და მასწავლებლის წიგნი) კომპლექტი „აღმართი“, დასრულდა მუშაობა და ასევე ვებგვერდზე განთავსდა B1.2 დონის სახელმძღვანელო კომპლექტი. დასრულდა და ვებგვერდზე აიტვირთა A2 დონის მხატვრულად გაფორმებული ადაპტირებული საკითხავი წიგნი. დასრულდა მუშაობა A1 დონის ქართული ენის განმარტებით-თარგნით-აუდიო სასწავლო ლექსიკონზე და შეიქმნა სპეციალური პროგრამა ლექსიკონის ვებგვერდზე განსათავსებლად. დასრულდა 500 ლექსიკური ერთეულის მომზადება;
- დასრულდა მუშაობა ნაშრომზე „ქართული მწერლობის როლი და ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში“ და განთავსდა ვებგვერდზე geofl.ge. ამასთან, ქართულად ითარგმნა ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ცენტრის სპეციალური ვებგვერდი - ენების ევროპული დღე;
- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ ქვეპროგრამაში ჩაბმული საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურეობის გაწევაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციით.

4.3 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

4.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)

- შეძენილი იქნა 6 594 ერთეული კომპიუტერი, რომელიც გადაეცა 569 საჯარო სკოლას, საკლასო და სამედიცინო ოთახებისთვის;
- პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში შეძენილ იქნა 45.0 ათასამდე ერთეული პორტაბელური კომპიუტერი პირველკლასელებისა და მათი მასწავლებლებისათვის, აგრეთვე, შეძენილია 2.0 ათასამდე ერთეული კომპიუტერი წარჩინებული მოსწავლეებისათვის.

4.3.2 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02)

4.3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 01)

- დასრულდა ბულაშენისა და ზედა ვანის ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა და 507 საჯარო სკოლის სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- განხორციელდა 187 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობის სამუშაოები, ასევე, 190 საჯარო სკოლისთვის სამედიცინო ოთახის ინვენტარის შეძენა-გადაცემა;
- მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია თბილისის N105, N217 და N219 სკოლების, სოფლების: ბაილეთისა და ჯუმათის, იანეთის კორპუსის, დაბა ურეკის წვერმაღალას კორპუსის, ოზურგეთის №2 და №3, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდის, ხონის N3 და N4, ჭალის კორპუსის, სოფლების: სუფსის, ჩიბათის, კორმაღალის, ტოლების, სსიპ - სამტრედიის N7, დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლების, სტიქიისგან დაზიანებული 8 საჯარო სკოლის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარისას დამწვარი საჯარო სკოლის რეაბილიტაციის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი, აგრეთვე სოფლების: არალის, შუა ამალეების, იორ მულანლოს, მარნეულის N1, არგვეთას, ზემო კაჭრეთის, ზოტის, ზღუდერის, თბილისის N3, N14 და N158, თვალადის, თორტიზას, კაზრეთის N2, კასუმლოს, კვალითის, კასპის N1, ოსიაურის, ტყიბულის N7, ხოვლეს საჯარო სკოლების დემონტაჟის პროექტები;
- განხორციელდა თბილისის N200 საჯარო სკოლის სამზარეულოს მოწყობილობების ტექნოლოგიის კორექტირება და სკოლას გადაეცა სამზარეულოს ავეჯი;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით მიეცა დაფინანსება 179 საჯარო სკოლას;
- მომზადდა 18 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (სოფლების: ტაძრისის, ატოცის, ასურეთის, წილკანის, ყელქცეულის და ბარალეთის საჯარო სკოლები, თბილისის N165, N151, N198, N70, N191, N64, N123, N60, N165 საჯარო სკოლები და ფოთის N12 საჯარო სკოლის, ხაშურის N8 საჯარო სკოლის პროექტები და სოფელ იორმულანლოს საჯარო სკოლის კონსტრუქციული პროექტი);
- შესწავლილ იქნა საჯარო სკოლების გათბობის სისტემებში არსებული ხარვეზები და მომზადდა დაახლოებით 50 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- მომზადდა სოფელ ქისტაურის საჯარო სკოლის ავარიული სასწავლო კორპუსისა და სპორტ-დარბაზის გამაგრების პროექტი, სოფელ ლაჯანას საჯარო სკოლის სპორტ-დარბაზის გამაგრებისა და რეკონსტრუქციის პროექტი, თბილისის N53 საჯარო სკოლის, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის, სურამის N1 საჯარო სკოლის კონსტრუქციული

პროექტები, სოფელ ტუშურების საჯარო სკოლის (წინაფრის, კიბისა და პანდუსის) და შენობის ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტი, სოფელ ბუგეულის (წინაფრის, კიბის), სოფელ ლესიჭინეს (წინაფრის, კიბისა და პანდუსის) რეაბილიტაციის პროექტი;

- განხორციელდა 550-მდე საჯარო სკოლის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

4.3.2.2 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 02)

- 12 პროფესიულ კოლეჯში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მომზადდა პროფესიული კოლეჯების: „თეთნულდის“, „ოპიზარის“, „მერმისისა“ და „მოდუსის“, სამშენებლო კომპანიის მიერ არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების გამო დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისა და აღჭურვის მიზნით დაფინანსება მიეცა 30-მდე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებას, მათ შორის 15 პროფესიულ კოლეჯს;
- მომზადდა საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისის“ მიშენების, სოფელ კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „აისის“ მეფუტკრის დამხმარე სახელოსნოს მშენებლობის, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის (პროფესიული განათლების) ფილიალის შემოღობვისა და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდის“ რეაბილიტაციის პროექტები;
- დასრულდა საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ღობის მოწყობის სამუშაოები, პროფესიული კოლეჯის „ლაკადას“ და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდის“ დამხმარე შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები და პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ სპორტ-დარბაზის რეკონსტრუქციისა და გარე კეთილმოწყობის პროექტები, შესრულდა ხუთი პროფესიული კოლეჯის ლიფტის მოწყობისთვის აზომვითი სამუშაოები, მომზადდა ლიფტების მოწყობის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაცია. საზოგადოებრივი კოლეჯის „აისის“ ბაზაზე არსებული ტერიტორიული ერთეულის სოფელ ქვემო ალვანის შენობის ცენტრალური გათბობის სისტემის პროექტი, პროფესიული კოლეჯის „მოდუსის“ ღობის პროექტი;
- მოხდა პროფესიულ კოლეჯებში მოდულური სწავლების დაგეგმვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პრობლემების შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვნენ სხვადასხვა სახის ინვენტარით: 10 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 34 ერთეული პროექტორი, 8 პროფესიულ სასწავლებელს - 13 ერთეული ფოტოაპარატი, 2 პროფესიულ სასწავლებელს - 30 ცალი გრაფიკული დამუშავების პერსონალური კომპიუტერი, 2 ერთეული ვიდეო კამერა, 2 ცალი მაცივარი და სავენტილაციო დანადგარები. 7 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 135

ერთეული უწყვეტი კვების ბლოკი, 11 პროფესიულ სასწავლებელს - საოფისე ავეჯი და ფარდა-ქალუხები. პროფესიული კოლეჯებისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა სახანძრო მოწყობილობები;

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი 9 დაწესებულებისათვის შეძენილი და გადაცემული იქნა 250-მდე კომპიუტერი;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიურ ინსტიტუტსათვის შეძენილ და გადაცემულ იქნა საოფისე ავეჯი.

4.3.2.3 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 02 03)

- სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით მომზადდა პროექტები და მიეცა დაფინანსება 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას;
- განხორციელდა სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, დასრულდა ცენტრის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები და ცენტრს გადაეცა ვიდეო-სამეთვალყურეო მოწყობილობები;
- მომზადდა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეაბილიტაციის პროექტი;
- მომზადდა სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, სსიპ - რაფაელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დამხმარე შენობების რეკონსტრუქციის პროექტი, სსიპ - ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახურავისა და დაცვის ჯიხურის კონსტრუქციების პროექტი.

4.4 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (პროგრამული კოდი 32 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA - GEORGIA)

- დასრულდა 30 სკოლისათვის საპროექტო-სარეაბილიტაციო დოკუმენტაციის შემუშავება;
- ჩატარდა სარეაბილიტაციო სკოლების შენობების გეო-ტექნიკური და სტრუქტურული შედეგობის გამოკვლევები;
- შემუშავდა საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობის სისტემის განახლებული სამუშაო აღწერა;

- დასრულდა მუშაობა დამოუკიდებელ საკონსულტაციო კომპანია GOPA-სთან, რომელმაც შეიმუშავა სკოლის დირექტორთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და საკლასო შეფასების სისტემის პროექტის დიზაინი;
- ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს, საკონსულტაციო კომპანიისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობით მომზადდა „კერძო-საჯარო პარტნიორობის კონცეფციის“ სამუშაო ვერსია, „სექტორული საბჭოების ფუნქციონირების სექტორული ანალიზი“, ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში კვლევა (Fisability study), ჩატარდა „არაფორმალური განათლების აღიარების“ საკაბინეტო კვლევა, მომზადდა პროფესიული მასწავლებლის პროფესიული განვითარების სიტვაციური ანალიზი;
- ათასწლეულის ინოვაციების კონკურსში გამარჯვებული ახალციხის მე-6 საჯარო სკოლისა და კერძო სკოლის „მზექას“ მოსწავლეები (2 მოსწავლე) გაემგზავრნენ და საქართველოს სახელით მონაწილეობა მიიღეს NASA-ს კენედის კოსმოსურ ცენტრში კონრადის ფონდის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საერთაშორისო სამიტში;
- განხორციელდა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს 12-18 წლის მოსწავლეების ცნობიერების და ინტერესის ამაღლებას მეცნიერებაში, ტექნოლოგიებსა და ინჟინერიაში. ამასთან, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის გამარჯვებულმა და ფინალისტმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში და აშშ საელჩოს მიერ ორგანიზებულ ამერიკის დღეებში;
- სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაიწყო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ელექტრულ ინჟინერიაში, კომპიუტერულ მეცნიერებებში, ქიმიაში (ბიოქიმიის განხრით) და კომპიუტერულ ინჟინერიაში. აღნიშნულ პროგრამებზე დარეგისტრირებულია 81 სტუდენტი;
- სტუდენტების ინგლისურ ენაში სათანადო მომზადებისათვის, საერთაშორისო განათლების ცენტრთან თანამშრომლობით, SDSU-საქართველომ დააფუძნა ინგლისური ენის აკადემია (ELA), რომლის ფარგლებში 100-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა ინგლისური ენის კურსები.

4.5 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები;
- ✓ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

4.5.1 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)

- საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილი იყვნენ ვაუჩერული, პროგრამული და მიზნობრივი, პროგრამული დაფინანსებით. ამ მიზნით სულ მიიმართა 21.8 მლნ ლარი;
- „ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში ჩართული 23 ბენეფიციარი დაეუფლა პროფესიულ მოკლევადიან (სერტიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამებს;
- გამოცხადდა პროფესიული განათლების მსურველთა რეგისტრაცია (საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღება).
- განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა თუ რა ეფექტს ახდენს მიმდინარე ცვლილებები პროფესიული განათლების სისტემასა და მიზნობრივ ჯგუფებზე, შემუშავდა სანდო ინფორმაცია კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომი საქმიანობის (დასაქმება, თვითდასაქმება, სწავლის გაგრძელება და სხვა.) შესახებ.

4.5.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

- გადამუშავდა სახელმწიფო ენის სასწავლო პროგრამა საჯარო მოხელეებისათვის და სწავლება განხორციელდა A1-A2, B1 დონის სახელმძღვანელო და სასწავლო მასალებით;
- პროგრამებისათვის „საჯარო მართვლობა და ადმინისტრირება“ და „სახელმწიფო ენის სწავლება“ მომზადდა და დაიბეჭდა სასწავლო სახელმძღვანელოები;
- „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 8 რეგიონულ სასწავლო ცენტრში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთის რეგიონი) გადამზადება გაიარა დაახლოებით 1 690-მა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა - საჯარო მოხელემ;
- „საჯარო მართვლობა და ადმინისტრირება“ პროგრამაში ჩართვამდე ათ დღიანი სახელმწიფო ენის ინტენსიური კურსი გაიარა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა 19-მა საჯარო მოხელემ;
- მომზადდა და ჩატარდა ახალი დარგობრივი კურსები: „საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია“, „იმფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური უზრუნველყოფა და მართვა“ და „კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამა“ (სულ 48 მსმენელი). თითოეული კურსისათვის მომზადდა და დაიბეჭდა სასწავლო სახელმძღვანელოები;

- „საჯარო მართველობა და ადმინისტრირება“ პროგრამის ფარგლებში სწავლება გაიარა 360 საჯარო მოხელემ, საქართველოს მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან;
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში „საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (edocument) ოპერირების“ სასწავლო კურსის ფარგლებში გადამზადება გაიარა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში დასაქმებულმა 80-მდე ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელემ.

4.5.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

- საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მიზნით დასრულდა უსაფრთხოების ნორმების დანერგვა (Web/Content Filter, Application Firewall, IPS/IDS, AntiBot), ასევე დაინერგა ცენტრალიზირებული უსადენო ინტერნეტი (wifi) და ახალი ბილინგის სისტემა, არსებული VoIP სერვერების ვირტუალიზაცია, პროვაიდერებთან sip ტექნოლოგიით ჩართვა, განახლდა ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის ტოპოლოგია;
- განხორციელებულ იქნა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის მოდიფიცირება და სკოლების მართვის ახალ საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ინტეგრაციის უზრუნველყოფა, შემუშავდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით სქემაში განაწილებული მასწავლებლები უზრუნველყოფენ საკუთარი პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შემუშავდა და დაინერგა სტუდენტთა დასწრებისა და შეფასების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (eJournal). განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემის (eVet) პროგრამული ნაწილის სრულყოფა, რაც გულისხმობს ახალი, „დაფინანსების მოდულის“ შემუშავებას, ტესტირებასა და დანერგვას;
- განხორციელდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების მობილობისათვის საჭირო შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, სისტემის ტესტირება და მობილობის პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა;
- განხორციელდა XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დამღვევის მსურველ მოსწავლეთა, ასევე CAT გამოსაშვები და VI-IX კლასების და ათასწლეულია გამოწვევის ფონდ საქართველოს (MCA - GEORGIA) პროექტის ფარგლებში VIII-X კლასების მოსწავლეებისათვის ორგანიზებული ელექტრონული გამოცდების პროცესის პროგრამული და ტექნიკური მხარდაჭერა, ასევე სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღები გამოცდების ტექნიკური მხარდაჭერა (კომპიუტერული ტექნიკა, ვიდეო კამერები, ქსელი, პროგრამული უზრუნველყოფა);

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის IT აკადემიაში საანგარიშო პერიოდში თეორიული და სასწავლო პრატიკის კურსი დაასრულა 155 პროფესიულმა სტუდენტმა, მოკლევადიანი გადამზადების კურსი გაიარა 48 მსმენელმა;
- საბავშვო პორტატული კომპიუტერებისათვის (ბუკები) შემუშავდა საგანმანათლებლო ინტერაქტიული თამაშებისა და პროგრამებისაგან შემდგარი საინსტალაციო პაკეტი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე ჩატარდა კოლეჯების პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ტრენინგი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე: „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“ და „კომპიუტერული ქსლების ადმინისტრატორი“, სადაც მასწავლებლებს სატრენინგო მასალასთან ერთდ დაურიგდა შესაბამისი მოდულის სასწავლო მასალა;
- „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ 2015 წლის პროგრამის ფარგლებში მომზადდა პროგრამის ბენეფიციარების პროგნოზი, განხორციელდა სკოლებში არსებული ვარგისი სახელმძღვანელოების შესახებ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანის პროცესის ხელშეწყობა, ახალი 2015-2016 სასწავლო წლისათვის შეფასდა საჭირო და შესასყიდი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის რაოდენობები;
- UNDP-ის პროექტის ფარგლებში „განათლების ხარისხის და ელექტრონული მმართველობა“ ფარგლებში შემუშავდა განათლების ხარისხის მართვის საინფორმაციო სისტემა;

4.6 სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმია;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა კადეტთა გამოსაშვები ჯგუფების საატესტატო გამოცდა, განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები კადეტთა ახალი ნაკადის მიღებისათვის;
- განხორციელდა გამოსაშვები ჯგუფის მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის;
- გამოშვებული იქნა 84 კურსდამთავრებული, აქედან ერთი ჩაირიცხა ამერიკის „ვესტ პოინტის“ სამხედრო აკადემიაში, 83 კადეტმა მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 82 კადეტი, მათ შორის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 59, თურქეთის სამხედრო სახმელეთო აკადემიაში 2, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაირიცხა 21;

- ახალ სასწავლო კურსზე მიღებული იქნა 120 კადეტი;
- დაინერგა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა – ილიასი, დაიხვეწა მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესში სრულად ჩაერთო „Cisco“ ლაბორატორია, შეიქმნა ინფორმატიკის სასწავლო ლაბორატორია სხვადასხვა სასწავლო კურსებისათვის;
- გაუმჯობესდა საბაკალავრო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- განხორციელდა ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის ახალი ნაკადის (80 მსმენელი) უმცროს ოფიცერთა სკოლაში;
- განხორციელდა სამხედრო საკარიერო სკოლებში გამოსაშვები და მისაღები გამოცდების ორგანიზება და მონიტორინგი (გამოსაშვები და მისაღები გამოცდები კაპიტნის საკარიერო კურსებზე; მისაღები გამოცდები ოფიცრის საკანდიდატო კურსზე);
- კაპიტნის საკარიერო სკოლაში არსებულ კურსებზე განხორციელდა 2 ჯგუფის გამოშვება (176 მსმენელი);
- სამეთაურო-საშტაბო სკოლაში განხორციელდა კურსდამთავრებულთა ერთი (რიგით მეოთხე), გამოშვება. სულ 2015 წელს სასწავლო კურსი დაასრულა და შესაბამისად დიპლომი გადაეცა 29 მსმენელს;
- მიმდინარეობდა სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების პირადი შემადგენლობიდან დაკომპლექტებული ერთი ოცეულის (30 ს/მ) წვრთნა;
- დასრულდა კავშირგაბმულობის ოფიცერთა მომზადების კურსი, რომელიც მიზნად ისახავდა კავშირგაბმულობის ოცეულის მეთაურების და შტაბის ოფიცრების მომზადებას;
- კურსები საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობაში მოყვანილ იქნა „საქართველოს შეიარაღებული ძალების საგანმანათლებლო პროცესის პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად;
- გაიმართა 6 კურსი „კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების“ მესამე კურსი, კურსი გამიზნული იყო თავდაცვის სამინისტროს მმართველი რგოლის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებისთვის, რომლებიც უნდა გახდნენ „კეთილსინდისიერების ამაღლებისა და ანტიკორუფციული გარემოს მონიტორინგის საბჭო“-ს წევრები;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის 2-მა იუნკერმა მონაწილეობა მიიღო ამერიკის სამხედრო აკადემიის West Point-ის მიერ ორგანიზებულ უცხოური სამხედრო აკადემიების სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში;
- მიმდინარეობდა ISAF -ის მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ენობრივი მომზადება (მეკავშირე ოფიცრები, მთარგმნელ - თარჯიმანი);
- ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმიას მორაგბეებმა, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ, მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ ჩემპიონატში, კლუბი უზრუნველყოფილ იქნა საჭირო სპორტული აღჭურვილობით და სპორტული ფორმებით.

4.7 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის, ასევე მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით;
- შემუშავდა და დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი, ასევე შემუშავდა და დამტკიცდა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი;
- შეიქმნა საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შესახებ მონაცემთა ბაზა. აგრეთვე, შეიქმნა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საერთაშორისო ექსპერტთა მუდმივად განახლებადი ბაზა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 65 გადაწყვეტილება, მათ შორის, ავტორიზაცია მიენიჭა 26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 2 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა 6 დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 6 დაწესებულებას, 2 დაწესებულებას უარი ეთქვა კონტინგენტის გაზრდაზე, წარმოება შეწყდა 12 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და ცვლილება შეტანილ იქნა 2 გადაწყვეტილებაში;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 45 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 5 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 3 დაწესებულებას, წარმოება შეწყვეტა 3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 26 გადაწყვეტილება, პროგრამის დამატებაზე უარი ეთქვა 7 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ძალადაკარგულად გამოცხადდა 1 გადაწყვეტილება;

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 43 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 11 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა 3 დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუქმდა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 5 დაწესებულებას, პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 16 გადაწყვეტილება, პროგრამის დამატებაზე უარი ეთქვა 1 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, წარმოება შეწყდა 3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა 1 გადაწყვეტილება, ცვლილება შევიდა 2 გადაწყვეტილებაში;
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო 139 გადაწყვეტილება, მათ შორის: აკრედიტაცია მიენიჭა 128 საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციაზე უარი ეთქვა 7 საგანმანათლებლო პროგრამას, წარმოება შეწყდა 4 პროგრამის აკრედიტაციის გაუქმებასთან დაკავშირებით;
- საქართველოში გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 3 072 განცხადებით წარმოდგენილი იქნა 3 462 დოკუმენტი, 2 623 დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება;
- ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა 3 373 განცხადება. აპოსტილით დამოწმდა 2 778 დოკუმენტი, განხორციელდა 382 დოკუმენტის ლეგალიზება;
- ცენტრის მიერ განსახილველად შესული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, მომზადდა 7 248 უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (მათ შორის - 230 უარი); 424 ბრძანება განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე, 34 ბრძანება ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე, 440 ცნობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ;
- განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ენობრივი სისწორის შემოწმების მიზნით, ცენტრში შესული დიპლომის ფორმებიდან ენობრივად და იურიდიულად შეთანხმდა 152 ფორმა, რედაქტირება ჩაუტარდა 488 დოკუმენტს, ქართულ-ინგლისურად და ინგლისურ-ქართულად ითარგმნა 610 დოკუმენტი, დამზადდა და გაიცა 137 დიპლომი;
- გაიცა თანხმობები საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი სპეციალობის/სპეციალობების ჩამონათვალის შესაბამისობის თაობაზე. სულ შეთანხმდა 50 უმაღლესი დაწესებულების 487 სამაგისტრო პროგრამა;

- MCA-G პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ მხარდაჭერით შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია;
- მომზადდა სტუდენტის კრედიტის მინიჭების წესის პროექტი;
- შეირჩა და ტრენინგი ჩატარდათ 45 პროფესიული სტანდარტის მომზადების მიზნით დაქირავებულ განათლებისა და დარგის 120 ფასილიტატორს;
- შეიქმნა 101 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებელ ავტორთა ჯგუფები პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და შესაბამისი დარგის წამყვანი სპეციალისტების შემადგენლობით;
- მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩატარდა ტრენინგები, სადაც მონაწილეობდა 69 დარგის და 43 განათლების ფასილიტატორი, 663 სპეციალისტი 67 საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, 18 სასწავლო სატრენინგო ცენტრიდან და 131 სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციიდან;
- შემუშავდა საგანმანათლებლო გარემოსა და მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავების მეთოდოლოგია და ფორმატი. ნორმატივები შეიქმნა 170 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებისთვის;
- დარგობრივი საბჭოების რეკომენდაციის საფუძველზე დამტკიცდა 54 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი შესაბამისი მოდულებით (777 სავალდებულო და 150 არჩევითი პროფესიული მოდული);
- შემუშავდა პროფესიული სტუდენტის 51 სასწავლო სახელმძღვანელო და მასწავლებლის 7 გზამკვლევი;
- 52 მოდულური პროგრამისა და მათში შემავალი 748 სავალდებულო პროფესიული მოდულის დანერგვის ღონისძიებების ფარგლებში მომზადდა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების დოკუმენტი/გზამკვლევი;
- 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 2 418-მა სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 2007-მა; 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობაზე პორტალის მომსახურებით ისარგებლა 5 137 სტუდენტმა, აქედან მობილობის უფლება მოიპოვა 4 254 სტუდენტმა;
- საანგარიშო პერიოდში საქართველომ მონაწილეობა მიიღო ბოლონიის პროცესის განხორციელების ჯგუფის შეხვედრებში;

4.8 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები.

- ხელი შეეწყო: ევროპისა და აშშ-ს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში 43 მაგისტრანტის სწავლას, საერთაშორისო მუსიკალური კონფერენციას „მუსიკალური იდენტობა და კულტურული გზაჯვარედინი“, კამერული ანსამბლების მეორე ეროვნული კონკურსს, საგანმანათლებლო პროექტს „ეტალონი“, 5 დიპლომატი რეჟისორის მივლინებას რეგიონების თეატრებში დადგმების განსახორციელებლად. რეგიონებიდან შერჩეულ 10 მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებულ მოსწავლის სწავლას პანსიონის ხარჯით;
- განხორციელდა: სტუდენტური ქორეოგრაფიული ფესტივალი „ტერფსიქორე-2015“, „მეექვსე საერთაშორისო სტუდენტური სამუსიკისმცოდნეო კონფერენცია-კონკურსი“, და პროექტი „სერგო ქობულაძის სახელოსნოს ინვენტარიზაცია , კაბინეტის მოწყობა“. გაიმართა ღია და დახურული კონცერტები, მასტერკლასები და ვორქშოპები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლის ჩვენებები, შეირჩა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა კანდიდატურები.

4.10 სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მომზადება/გადამზადების კურსები გაიარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებმა და სამოქალაქო პირებმა, კერძოდ: სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უბნის ინსპექტორთა მომზადებაში გაიარა 265 პირმა, ხოლო პატრულ-ინსპექტორთა მომზადებაში - 141 პირმა; გადამზადდა 22 უბნის ინსპექტორი და 36 პატრულ-ინსპექტორი; წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 175 მოსამსახურემ, არასრულწლოვანთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალური სასწავლო კურსი დაამთავრა 43 თანამშრომელმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი სპეციალიზირებული პოლიციელის მომზადების პროგრამა გაიარა 327 თანამშრომელმა, ექსპერტების გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 73 თანამშრომელმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სპეციალური მომზადების, სპეციალისტთა და უმცროს ოფიცერთა მომზადების პროგრამა გაიარა 46 პიროვნებამ, იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესების მოკლევადიანი სპეციალური კურსი გაიარა 923 თანამშრომელმა, საქართველოს საბანკო მომსახურეობის საინკასაციო სამსახურის სპეციალური მომზადების კურსი დაამთავრა 38 პიროვნებამ, სააღსრულებო პოლიციის თანამშრომელთა საცეცხლე მომზადების კურსი გაიარა 36 პიროვნებამ, სსიპ - დაცვის

პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა გადამზადების კურსი გაიარა 195 თანამშრომელმა, ტექტიკურ და საცეცხლე მომზადებაში გადამზადების პროგრამა გაიარა უბნის ინსპექტორთა და პატრულ-ინსპექტორთა 1 354 თანამშრომელმა; კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ჯგუფებში გადამზადების პროგრამა გაიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს 315 თანამშრომელმა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, მანდატურთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა 215 პიროვნებამ; სსიპ - იუსტიციის სახლის და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომელთა სამგზავრო დოკუმენტების შემოწმებაში (პირველად ინსპექტირებაში) გადამზადების სასწავლო კურსი გაიარა 60 პიროვნებამ; გადამზადება გაიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის 87 და სახმელეთო დაცვის 109 თანამშრომელმა, ასევე სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს 10 ოფიცერმა; გადამზადდა შსს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის 90 თანამშრომელი; სპეციალური მომზადების კურსები გაიარეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს 28 და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 11 თანამშრომელმა.

- შსს აკადემიის საპოლიციო რეგულირების სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის კურსს გადიოდა 45 სტუდენტი, ხოლო საბაკალავრო პროგრამაზე - 110 სტუდენტი. შსს აკადემიამ გაიარა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის აკრედიტაცია.
- 2015 წლის განმავლობაში შეიქმნა პროფესიული სწავლების მართვის ელექტრონული სისტემა, როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, შემუშავდა დისტანციური სწავლების სისტემური და ტექნიკური მხარე.
- მოეწყო კრიმინალისტიკური კაბინეტი, 2 ახალი აუდიტორია და კომპიუტერული ცენტრი ტესტირებებისთვის, რომლებიც აღიჭურვა სპეციალური ინვენტარითა და მოწყობილობებით. განახლდა შსს აკადემიის ვებგვერდი, გაიზარდა საბიბლიოთეკო ფონდი;
- მომზადდა საარქივო დოკუმენტების ანოტაციები, განხორციელდა საარქივო ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეტანა, ხოლო დაზიანებულ საარქივო მასალებს ჩაუტარდა რესტავრაცია.
- მიმდინარეობდა ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემია“-ს დაფინანსება. კლუბმა მონაწილეობა მიიღო:
 - ✓ ქორქია-საკანდელიძის ტურნირში (I ადგილი);
 - ✓ საქართველოს ჩემპიონატში (სუპერ-ლიგა) მოპოვებულ იქნა საქართველოს ჩემპიონის ტიტული;
 - ✓ საქართველოს სუპერ-თასის გათამაშებაში გავიდა (I ადგილი);

4.11 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

- ტრენინგებში/პროექტებში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 5 000-მდე ერთეული. სამიზნე ჯგუფებს შეადგენდნენ როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის, ისე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები; ტრენინგები ჩატარდა რამდენიმე მიმართულებით:
 - ✓ სოციალური უნარების ტრენინგები – ჩატარდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (ახმეტა, ქარელი, ყვარელი, ხობი, გორი, ოზურგეთი, ახალციხე, თბილისის მერია), ასევე განხორციელდა 120-მდე განსხვავებული სასწავლო აქტივობა, რომლებშიც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 1900-ზე მეტი წარმომადგენელი;
 - ✓ იურიდიული მიმართულების ტრენინგები – 100 განსხვავებული სასწავლო აქტივობა, სადაც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 1600-მდე წარმომადგენელი. მონაწილეთა 75%-ზე მეტმა ტრენინგები შეაფასა დადებითად, ხოლო მონაწილეთა 90%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი/კომპეტენციის ზღვარი;
 - ✓ IT მიმართულების ტრენინგები – 80-ზე მეტი განსხვავებული სასწავლო აქტივობა, სადაც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 700-ზე მეტი წარმომადგენელი. მონაწილეთა 91%-ზე მეტმა ტრენინგები შეაფასა დადებითად, ხოლო მონაწილეთა 90%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი/კომპეტენციის ზღვარი. საბაზისო კომპიუტერული უნარების ტრენინგი გაიარეს ყვარლის, ახმეტის, ქარელის, ხაშურის, ხობის, მცხეთის, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს თვითმმართველობის თანამშრომლებმა (სულ ტრენინგი გაიარა 450-მდე თანამშრომელმა), ხოლო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ტრენინგი გაიარეს ახმეტის, ყვარლის, ქარელის, ხაშურისა და ხობის თვითმმართველობების თანამშრომლებმა (სულ ტრენინგი გაიარა 200-ზე მეტმა თანამშრომელმა). ასევე, ჩატარდა ინფორმაციული მართვის უსაფრთხოების სისტემისა და საოფისე პროგრამების ტრენინგი (სულ ტრენინგი გაიარა 80-ზე მეტმა თანამშრომელმა);
 - ✓ ფინანსური მიმართულების ტრენინგები - 6 განსხვავებული სასწავლო აქტივობა, სადაც ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის 100-ზე მეტი წარმომადგენელი. (ბუღალტრული აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის, სახელმწიფო შესყიდვების, საბიუჯეტო სისტემებისა და ფინანსური მენეჯმენტის, პროექტების მართვისა და ფინანსური სახსრების მართვის ზოგადი კურსის ტრენინგები);

- ✓ უცხო ენების (ინგლისური, რუსული, ფრანგული) შემსწავლელი კურსები - სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის (500-ზე მეტი მონაწილე). „ბრიტანეთის საბჭოს“ ადმინისტრირებით სისტემის თანამშრომელთათვის ჩატარებული ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების საფუძველზე დაკომპლექტდა ჯგუფები, ზემოაღნიშნულ პროექტებში მონაწილეთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 700 ერთეულამდე.
- შესრულდა სხვადასხვა ორგანიზაციის 40-ზე მეტი შეკვეთა და შემუშავდა 3 000-მდე ტესტური დავალება. ტესტური დავალებების შექმნასა და გადამოწმებაზე იმუშავა შესაბამისი სფეროს 40-ზე მეტმა ექსპერტმა, ტესტირების კოორდინაციის სამსახურის სერვისით ისარგებლა 20 000-ზე მეტმა აპლიკანტმა, ხოლო ყვარლის ფილიალში ადმინისტრირებული ტრენინგებისა და შეხვედრების მონაწილეთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 3 400-მდე.

4.12 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 64 ტრენინგი მოსამართლეებისთვის, ხოლო სასამართლოს სხვა მოსამსახურეთათვის 21 ტრენინგი;
- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 12 იუსტიციის მსმენელი;
- 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი 3 კონკურსი. იანვარში გასაუბრება შედგა 77 კანდიდატთან, ივნისში - 90 კანდიდატთან, ხოლო ოქტომბერში 100 კანდიდატთან. კონკურსის შედეგად გამარჯვებული კანდიდატები გამწესდნ მოსამართლეებად;
- 2015 წლის ივნისის თვეში შეფასდა 3 წლის ვადით გამწესებული 10 მოსამართლე, ხოლო ნოემბრის თვეში 12 მოსამართლე;
- პროექტის „სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში ქ. თბილისში სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მართლმსაჯულების სახლში აშენდა იმიტირებული სასამართლო პროცესის სხდომათა დარბაზი. რომელიც აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით, სხდომების ჩაწერის აუდიო და ვიდეო მოწყობილობებით, შესაბამისი ავეჯით. პროექტის ფარგლებში მართლმსაჯულების სახლში, ისევე როგორც ქ. წყალტუბოს და ქ. ბათუმის სასწავლო ცენტრებში დამონტაჟდა ვიდეოკონფერენციის სისტემები (უკვე ჩატარდა 2 დისტანციური ტრენინგი). მართლმსაჯულების სახლში ასევე დამონტაჟდა საჯარო ლექციების

ონლაინ (ვებ-გვერდის საშუალებით) ტრანსლირების სისტემა (უკვე ჩატარდა 2 ტრანსლირებული საჯარო ლექცია);

- იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ შეიძინა ქართულ და ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურა, უმთავრესად ადამიანის უფლებების სფეროს მიმართულებით და მოხდა აღნიშნული წიგნების ძირითადი ნაწილის ელექტრონიზაცია;
- იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ განახორციელა ტრენინგების ციკლი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ტრენინგ-პორტალის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ტრენინგი გაიარა 522-მა მომხმარებელმა (მოსამართლემ, მენეჯერმა, თანამშემწემ და სხდომის მდივანმა).

4.13 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

- შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამები: „სუიციდის პრევენცია“, „სასჯელაღსრულების სისტემის სპეციფიკა და პატიმრებთან მოპყრობის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“ სამედიცინო პერსონალისათვის, „კოგნიტურ ბიჰევიორული თერაპია“, არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან მომუშავე თანამშრომელთა მომზადება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მუშაობის/მოპყრობისა და მოშიშშილე ბრალდებულ/მსჯავრდებულებთან მუშაობის თავისებურებანი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; აკრძალული ნივთების აღმოჩენა და შემოწმების პროცედურები, პატიმართა და ვიზიტორთა დათვალიერება, პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით;
- სასწავლო ცენტრმა საანგარიშო პერიოდში მოამზადა და განახორციელა 149 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. სხვადასხვა პროგრამით ტრენინგები გაიარა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 3 398-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების - 2 867-მა, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო სააგენტოს - 415-მა, სასწავლო ცენტრის - 93-მა თანამშრომელმა და მოწვეულმა ტრენერმა, სამმა სტაჟიორმა, სხვა უწყებების - 20-მა წარმომადგენელმა;
- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 13 485 კაც/ტრენინგ/დღე, ხოლო ტესტირებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 93%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი.

4.14 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის კადრების სწორად შერჩევის, პროფესიული სწავლების, მომზადება/გადამზადებისა და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, აკადემიაში მიმდინარეობდა სასწავლო პროექტები;
- საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებისათვის სასწავლო პროექტების, საკანონმდებლო სიახლეების გაცნობისა და დამატებითი სერვისების შეთავაზების გზით - სხვადასხვა საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსები სხვადასხვა მიმართულებით;
- ჩატარდა ტრენინგები თემებზე: საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, საგადასახადო კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობა და აუდიტის განხორციელების პროცედურები, საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული კურსი, სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები და ფინანსური აღრიცხვა/ანგარიშგება საჯარო სექტორში, „ფინანსური ანალიზი, ანგარიშგება, მართვა“, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული რისკების შეფასება, ბუღალტრული კომპიუტერული პროგრამა ორისი, ფინანსური მოდელირება ექსელში, ფინანსური მენეჯმენტი, საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების გადახდა და საბიუჯეტო კლასიფიკაცია, ფინანსური მართვა და კონტროლი, საბიუჯეტო ორგანიზაციებში აქტივების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, საბაჟო გაფორმება და პროცედურები, ცალკეული გადასახადების დეკლარაციებისა და გაანგარიშების ფორმების შევსების პროცედურები, ორმაგი დაბეგვრის პრინციპები, სპეციალიზებული სასწავლო კურსი განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის თანამშრომლებისათვის, ეფექტიანობის აუდიტი, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა ორგანიზაციაში - შიდა აუდიტის როლი, სისტემური აუდიტი, “ინფორმაციის მართვა, თაღლითობა, კარგი მმართველობის აუდიტი”, სამუშაო შეხვედრა: რისკის მართვის სისტემის დანერგვა საჯარო დაწესებულებაში - საქართველოს ეროვნული ბანკის პრაქტიკა, სამართლებრივი წერა, ადმინისტრაციული წარმოება, ეფექტური პრეზენტაცია, პრეზენტაციის ჩატარების ტექნიკები, პროექტების პრაქტიკული მართვა, სახელმწიფო ენა და ეფექტური კომუნიკაცია, ლიდერობა და მართვა, კომუნიკაცია, ა.შ.
- აკადემიამ განხორციელა აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

დასაქმების სააგენტოს, აჭარის არ მთავრობის აპარატის, ააიპ აგროსერვის ცენტრისა და შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის შესარჩევი ეტაპის (პროფესიული მიმართულების, ინგლისური ენისა და რუსული ენის დონის დასადგენი ტესტირება) ორგანიზება და ჩატარება;

- აშშ-ის საელჩოსთან ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის უწყებებში შუა რგოლის მენეჯერების ლიდერობის უნარების განვითარების მიზნით ჩატარდა ტრენინგები თემაზე „ლიდერობა და მართვა“;
- სხვადასხვა სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის GIZ-ის ხელშეწყობით ჩატარდა ტრენინგები თემაზე „შიდა აუდიტის საფუძვლები“ და „სისტემური აუდიტი“. ასევე, სხვადასხვა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად 2016 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების მიზნით საქართველოს რეგიონების ააიპ-ების ფინანსური მიმართულების თანამშრომლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის“ გამოყენების შესახებ;
- გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით განხორციელდა ტრენინგები: „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა“, რომელიც ჩატარდა საქართველოს რეგიონების ააიპ-ების თანამშრომლებისთვის და „ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა“ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისათვის;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის თანამშრომლობით განხორციელდა რეგიონალური სასწავლო კურსები (მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკა, მაკროეკონომიკური მენეჯმენტი და ფისკალური შედეგების გამოწვევები), რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ეროვნული ბანკის წარმომადგენლები: „ფისკალური ანალიზი და პროგნოზირება“;
- მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, ასევე, ევროკავშირის თანადაფინანსებით აკადემიაში განხორციელდა კონფერენცია თემაზე: „საბიუჯეტო საკითხები და პოლიტიკა“ და „ფისკალური პროგნოზირება და პოლიტიკა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ბანკის, ევროკავშირის, ტაჯიკეთის, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის ყირგიზეთის, საქართველოს სხვადასხვა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის წარმომადგენლებმა;
- ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ჰოლანდიელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები თემებზე: “IT აუდიტი“ და ადამიანური რესურსების მართვა.

4.16. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

- განხორციელდა ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა, გამდიდრება. მიმდინარეობდა მუშაობა სასწავლო ცენტრის დამოუკიდებელი ვებ-გვერდის შესაქმნელად და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად. ევროკავშირის პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველო“ ფარგლებში ჩატარდა სასწავლო კურსები, გაიმართა ვიზიტები და შეიქმნა ახალი მოდულები.

4.17 სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი (61 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი

- საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში საზღვარგარეთ (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, იტალია, აშშ, პოლონეთი, ნიდერლანდები, რუსეთი, ესპანეთი, კანადა, ლიტვა, უნგრეთი, შვეიცარია, შვედეთი, ჩინეთი) სწავლა დაუფინანსდა საქართველოს 106 მოქალაქეს (საბაკალავრო პროგრამა - 22, სამაგისტრო პროგრამა - 68, სადოქტორო პროგრამა - 11, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა - 5).
- მედია-ტრენინგის საკონკურსო პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული პირები (14 ბენეფიციარი) ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში დაესწრნენ განათლების საერთაშორისო ცენტრისა და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მედია-ტრენინგს.
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობითა და ცენტრის კოორდინაციით დაბრუნებული 14 კურსდამთავრებულიდან პირველ ეტაპზე დასაქმდა - 12;
- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ნიუჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, გაფორმდა ჩარჩო ხელშეკრულება ნორვეგიის ეკონომიკის სკოლასთან (NHH) და დაიდო პარტნიორობის ხელშეკრულება უმაღლესი განათლებისა და საერთაშორისო მობილობის ფრანგულ სააგენტო „კამპუს ფრანსს“, საფრანგეთის საელჩოსა და ცენტრს შორის, რომლის თანახმადაც 2016-2017 სასწავლო წელს 17 სტუდენტი შეძლებს საფრანგეთში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებას;
- შეიქმნა საჯარო მოხელეთა სკოლის კონცეფცია, შესწავლილ იქნა საჯარო სამსახურის სფეროში განხორციელებული კვლევები და მომზადდა პრობლემების კატალოგი, განხორციელდა სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებული სასწავლო ცენტრების შედარებითი ანალიზი. შეიქმნა 100-მდე შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე პირის ბაზა, რომელიც პოტენციურად

ჩაერთვება საჯარო მოხელეთა სკოლის პროგრამების შექმნაში, შესწავლილ იქნა 10 ქვეყნის საჯარო მოხელეთა სკოლის ფუნქციონირების გამოცდილება და მიმდინარეობდა საჯარო მოხელეთა სკოლის ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა.

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

5.1 ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო
- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

5.1.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, მდგრადი განვითარების, ტრანსპორტის, მშენებლობის, საპენსიო სფეროს, ინვესტიციების და კომუნიკაციების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- განხორციელდა 2015 წლიური მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;
- მომზადდა სექტორული მიმოხილვები/პრეზენტაციები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და ანალიტიკური ცენტრების ანგარიშების/კვლევების ანალიზი და პრეზენტაციები;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სარეიტინგო კომპანიებთან, მათ შორის: Doing Business, Fitch, Standard and Poor's, Moody's;
- დაიწყო მუშაობა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგზე, განხორციელდა საქართველოს არსებული პოზიციის შეფასება, განხორციელდა თითოეული ინდიკატორის

მიმართ პრობლემების იდენტიფიცირება, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები პრობლემების მოგვარების მიზნით;

- დამტკიცდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2016-2019 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „SME Policy Assessment (SBA Index)“ შეფასების ინდიკატორების ცვლილება/დახვეწაში, „SME Policy Assessment“-ის მეორე რაუნდის შეფასებაში და დაასრულა პროექტის „SME Policy Assessment (SBA Index 2014)“ თვითშეფასების ნაწილი;
- სამინისტროს კოორდინაციითა და OECD-სთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიმდინარეობდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის (2016-2020 წლებისთვის) და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით, მომზადდა და გამოქვეყნდა საქართველოს კაპიტალის ბაზრის დიაგნოსტიკური კვლევა, შემუშავდა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- DCFTA-ს თაობაზე სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის ინფორმირების მიზნით, დაიბეჭდა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების თაობაზე საინფორმაციო ბუკლეტი და ასევე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა თემატური შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან;
- დაიბეჭდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2014 წლის ანგარიში და მომზადდა 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- მომზადდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) განხორციელების 2016 წლის სამოქმედო გეგმა;
- გაიმართა მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომები: საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ორმხრივი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლივი კომისიის მე-7 სხდომა; საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ორმხრივი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლივი კომისიის მე-4 სხდომა; საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მე-5 სხდომა; საქართველოსა და უნგრეთს შორის ერთობლივი მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მე-3 სხდომა; საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის პირველი სხდომა; საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას

შორის ეკონომიკური, სამრეწველო, სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-2 სხდომა;

- გაფორმდა შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: საქართველოს მთავრობასა და ლიტვის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის სამინისტროს ერთობლივი განცხადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გამართვის ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის დაწყების შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს შორის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის განვითარებისათვის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი; საქართველოს მთავრობასა და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმისა და ასევე, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება და სხვა;
- ხელმოსაწერად მომზადდა შემდეგი საერთაშორისო ხელშეკრულებები: სლოვენის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება; საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის და ასევე, საქართველოს მთავრობასა და უზბეკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკური რეგულირების, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები; საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის, საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის და ასევე, საქართველოს მთავრობასა და იორდანის ჰაშემიტური სამეფოს მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები და სხვა;
- გაიცა 5 442 საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი, მათ შორის: საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - 760 ერთეული, ხოლო საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - 4 682 ერთეული (ფორმა „A“ – 73 ერთეული და ფორმა CT-1 – 4 609 ერთეული);
- აღმოსავლეთ პარტნიორობის გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებების პანელის (EaP Panel on Environment and Climate Change) მიერ ინიცირებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-2 პლატფორმის „ეკონომიკური ინტეგრაცია და კონვერგენცია“ ფარგლებში დაიწყო მოქმედება პროექტმა „აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება“ (EaP Green). აღნიშნული პროექტის ფარგლებში გაიმართა: სამუშაო შეხვედრები, რომლებზეც წარმოდგენილი იქნა პროექტი „მცირე და საშუალო ზომის საწარმოების გარემოსათვის მისაღები ქმედებების ხელშეწყობა“; რესურსეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების შესახებ კონფერენცია (UNIDO); OECD ორგანიზებით სამუშაო შეხვედრები თემაზე „გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემების გაზიარება (SEIS) და მწვანე ზრდის კონცეფცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და ცენტრალურ აზიაში“ და სხვა. OECD-ის ინიცირებით განხორციელდა საქართველოში არსებული მიკრო, მცირე და საშუალო ზომის

- 400-მდე საწარმოს კვლევა, რომლის შედეგადაც შემუშავდა რეკომენდაციები საწარმოების მწვანე მიმართულებით განვითარებისა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების მიზნით;
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების შესაბამისად აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე, „EaP Green“ პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტის ფარგლებში, შემუშავდა „გარემოზე ზემოქმედების შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებს;
 - მიმდინარეობდა სამუშაოები დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიის (LEDS) შემუშავებასა და განხორციელებაზე, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას სათბური გაზების (GHG) ემისიების შემცირების ხარჯზე. „წინასწარ განზრახული ეროვნული კონტრიბუციის“ (INDC) ხელმოწერის შემდეგ ამოქმედდება „მწვანე კლიმატის ფონდი“, რომელიც დაეხმარება ქვეყნებს სათბური გაზების ემისიების შემცირებაში;
 - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და განვითარების პროექტის ტექნიკური და ფინანსური წინადადებების სათანადოდ მომზადების მიზნით, მიმდინარეობდა სამუშაოები RFP (Request for proposal)-ის ფარგლებში;
 - მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი საზღვაო ტრანსპორტის სფეროში;
 - საქართველო TRACECA-ს წევრ 6 ქვეყანასთან (სომხეთი, მოლდოვა, რუმინეთი, ტაჯიკეთი, თურქეთი, უკრაინა) ერთად ჩაერთო TRACECA-ს მრავალმხრივი ნებართვების სისტემაში;
 - ქ. ბათუმში გაიმართა ხმელთაშუა და შავი ზღვის ჰიდროგრაფიული სამსახურების მე-19 კონფერენცია (MBSHG 19) თემაზე „ხმელთაშუა და შავი ზღვების აკვატორიაში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა და საერთაშორისო სტანდარტების ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება“, რომელსაც დაესწრო 29 ქვეყნის 54 დელეგატი;
 - საქართველო გახდა „სატრანსპორტო საშუალებების რეგულირების შეთანხმების“ წევრი ქვეყანა, რაც იძლევა ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მისი სათადარიგო ნაწილების წარმოების და აწყობის დაწყების შესაძლებლობას;
 - „TBILISI SILK ROAD FORUM“-ის ფარგლებში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობას და სლოვენის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმებას;
 - ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმებას;
 - დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები „ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმებაზე და გადაეგზავნა ინდოეთის მხარეს;
 - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და ავსტრია-ხორვატიული საავიაციო ხელისუფლების მონაწილეობით მიმდინარეობდა საქართველოს საჯარო სამსახურების დამმობილების

(Twinning) პროექტი საავიაციო კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების კუთხით;

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ" უმასპინძლა ავიამიმართულებების განვითარების ფორუმს „Routes Silk Road 2015“, რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი დელეგატი (მათ შორის 40-ზე მეტი ავიაკომპანიისა და 50-ზე მეტი აეროპორტის ხელმძღვანელი პირი);
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა რეგულარული შიდა ფრენები მესტიის მიმართულებით;
- განხორციელდა სარეკრეაციო ტერიტორიებზე 193 პროექტის კომისიური განხილვა;
- განხილულ და შემუშავებულ იქნა შენიშვნები ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის წინასპროექტო კვლევისა და გეგმარებითი დავალების პროექტთან დაკავშირებით;
- შემუშავდა და შეთანხმდა ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, განაშენიანების რეგულირების წესები და კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკა;
- დამტკიცდა ხერთვისი-ვარძია-ოლოდას კულტურული ლანდშაფტის სივრცითი მოწყობის სქემა და ასპინძისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების 10 სოფლის მიწათსარგებლობების გენერალური გეგმა;
- შეთანხმდა ქ. დუშეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა;
- შეთანხმდა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ წილკანში ლუდსახარში ქარხნის მშენებლობისათვის წინასპროექტო კვლევისა და გეგმარებით დავალებასთან დაკავშირებით;
- განხილულ და შეთანხმებულ იქნა სოფელ საგურამოში სს „ალიანს ჯგუფი ლიზინგის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსისა და ტრენინგ ცენტრის მშენებლობისათვის წინასპროექტო კვლევა და გეგმარებითი დავალება;
- მიმდინარეობდა სამუშაოები ევროკოდების თარგმნა/რედაქტირებასთან დაკავშირებით;
- საპენსიო რეფორმის ფარგლებში: მიმდინარეობდა მუშაობა დონორებთან; უწყებათაშორის ჯგუფთან განხილულ იქნა საპენსიო რეფორმის ახალი დეტალები, ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს შორის მოხდა პოზიციების შეჯერება საპენსიო რეფორმის კონცეფციასთან დაკავშირებით; დასრულდა მუშაობა საპენსიო რეფორმის სტრატეგიაზე და სამოქმედო გეგმაზე; დაიწყო არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება; დაინტერესებული მხარეებისათვის/მიზნობრივი ჯგუფებისათვის მოეწყო საპენსიო რეფორმის სტრატეგიის წარდგენა/განხილვა; გაიმართა ფოკუს ჯგუფები;
- ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ქ. თბილისის მერიასთან და სს „საპარტნიორო ფონდთან“ ერთად მონაწილეობა მიიღო უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაზე „MIPIM 2015“ (ქ. კანი), სადაც წარადგინა უძრავი ქონების სფეროში ქვეყანაში არსებული საინვესტიციო პროექტები და პრეზენტაცია ქვეყნის შესახებ;

- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა საინვესტიციო კანონმდებლობის კუთხით. შევიდა ცვლილებები „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ კანონში;
- 180-ზე მეტ ინვესტორთან გაიმართა შეხვედრები წარმოების, ტურიზმის, სასტუმრო ბიზნესის, ლოგისტიკისა და სოფლის მეურნეობის სფეროების სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით;
- ქ. თბილისში პირველად ჩატარდა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“, რომელიც მიზნად ისახავდა ინვესტორებისათვის და კომპანიებისათვის ინფორმაციის მიწოდებას აბრეშუმის გზის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივების და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ, რეგიონული სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობას, თანამშრომლობის გამყარებას ტრანსპორტის, ენერჯეტიკის, ვაჭრობის, ტურიზმის, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. ფორუმის ფარგლებში გარდა 5 სადისკუსიო პანელისა გაიმართა 30-მდე ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრა სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებთან;
- გაიმართა საქართველოს ინდუსტრიული განვითარების ჯგუფის მიერ მომზადებული საინვესტიციო პროექტების პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდა კერძო სექტორის 100-მდე წარმომადგენელი;
- მომზადდა და გამოიცა საინვესტიციო კატალოგი „Investment Opportunities in Georgia“, რომელშიც თავმოყრილია კერძო და სახელმწიფო საინვესტიციო პროექტები;
- განახლდა და მომზადდა შემდეგი პრეზენტაციები: საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ (ინგლისურ ენაზე); ტურიზმის სექტორში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების თაობაზე; საცალო გაყიდვების სფეროში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ; აზარტული თამაშებისა და კაზინოს ინდუსტრიის შესახებ, რომელშიც განხილულია მსოფლიო ბაზრის ტენდენციები ამ მიმართულებით, საქართველოში არსებული მდგომარეობა და მომავალში მისი განვითარების პერსპექტივები;
- მიმდინარეობდა შემოსული განაცხადების განხილვა ქ. ფოთში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის განვითარების პროექტთან დაკავშირებით;
- ქ. თბილისში, არაბთა გაერთიანებული საამიროების დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, საგამოფენო ცენტრ „Expo Georgia“-ში ჩატარდა ბიზნეს ფორუმი, სადაც განხორციელდა საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოსა და ქვეყანაში მიმდინარე მსხვილი საინვესტიციო პროექტების გაცნობა;
- კატარის ტურიზმისა და უძრავი ქონების სფეროში მოქმედი კომპანიების „Urbacon Trading & Contracting“ და „Hotels & Resort Construction Private Limited“ წარმომადგენლების ვიზიტის ფარგლებში მიმდინარეობდა საპრივატიზაციოდ გამზადებული ქონების დათვალიერება და აქტიური მუშაობა რამოდენიმე პროექტთან დაკავშირებით;
- ესპანურ კომპანია „Mercado De San Miguel“ წარმომადგენლებთან მიმდინარეობდა მუშაობა ქ. თბილისში სავაჭრო ცენტრის/ბაზრის პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით;

- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო პროგრამებთან მოსახლეობისათვის უფასოდ წვდომის უზრუნველსაყოფად, გეოგრაფიულად და კლიმატურად რთულ პირობებში აეგო და ამოქმედდა თანამედროვე ტექნიკით და ტექნოლოგიებით აღჭურვილი სახელმწიფო ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელი, რომელიც შედგება 42 ძირითადი სატელევიზიო გადამცემისგან და მათი დამაკავშირებელი რადიოსარელეო ხაზებისაგან;
- შემუშავდა ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ფოსტის სფეროს ევროპულთან ჰარმონიზებული სტანდარტების ნუსხა, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს“;
- მომზადდა და დამტკიცდა კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ და მისი თანმდევი კანონების პაკეტი, რომელმაც ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ახლებურად დაარეგულირა მაუწყებლობასთან დაკავშირებული საკითხები;
- რეგიონალური (ადგილობრივი) მაუწყებლობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 21 რეგიონალურ (ადგილობრივ) მაუწყებელს, მათი თხოვნის თანახმად განსაზღვრულ არეალში, ციფრული მაუწყებლობის განსახორციელებლად სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ მიენიჭა საჭირო რადიოსიხშირული სპექტრი;
- უნივერსალური საფოსტო მომსახურების უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების შეფასების მიზნით, საერთაშორისო/საკონსულტაციო კომპანია KPMG-სთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დასრულდა საფოსტო ბაზრის კვლევა და გაიმართა მისი პრეზენტაცია;
- მიმდინარეობდა „მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით ღია დაშვების პრინციპზე დამყარებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მომსახურების მიწოდების შესახებ“ პროექტთან დაკავშირებული სამუშაოები;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ავსტრიის, მოლდოვის, უნგრეთის და კორეის რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებს შორის გაფორმდა ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ფოსტის და ინოვაციების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები/ ხელშეკრულებები;
- მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყანაში ელექტრონული კომერციის განვითარების და ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზის პროექტების მომზადების საკითხებზე;
- შპს „საქართველოს ფოსტის“ ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე ოპერატორებს შორის საბოლოო ანგარიშსწორების საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გაერთიანება „Post Europe“-ის მსოფლიო საფოსტო კავშირის წარმომადგენლებმა;

- მიმდინარეობდა მუშაობა ფოსტის სფეროს საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების პროექტების დახვეწის და შპს „საქართველოს ფოსტის“ მოდერნიზაციის საკითხებზე EBRD-ს ტექნიკური დავალებების ToR – 1 და ToR-2 შესამუშავებლად;
- მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მომზადებულ იქნა საქართველოში ფოსტის სფეროს რეფორმის და განვითარების კომპლექსური გეგმის (IPDP) პროექტი;
- მომზადდა საფოსტო მარკების ესკიზების პროექტები („ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი - თბილისი 2015“, „ევროპა 2015 - ძველი სათამაშოები“, „ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) - 150 წელი“, „აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 100 წელი“, „ბორის პაიჭაძის დაბადებიდან 100 წელი“), რომლებიც მოწონებულ იქნა საფოსტო მარკების გამოცემის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე;
- მონაწილეობა იქნა მიღებული მსოფლიო საფოსტო კავშირის 26-ე კონგრესის მოსამზადებელ ღონისძიებებში (მსოფლიო საფოსტო სტრატეგიის კონფერენციაში; ევროპისა და დსთ-ს ქვეყნების კონფერენციაში და სხვა).

5.1.2 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარეობდა თბილისის უბნებისა (ცხრა უბანის) და რეგიონების ინვენტარიზაცია. აღნიშნული სამუშაოების შედეგად თბილისში აღმოჩენილია 863 აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი (საერთო ფართი - 7 008. 6 ათ. კვ.მ), ხოლო რეგიონებში იდენტიფიცირებულია - 26 417 სახელმწიფო ობიექტი (საერთო ფართი - 2 550 051.8 ათ. კვ.მ);
- თბილისში სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 1 247 ობიექტი, ხოლო რეგიონული მომსახურების ცენტრებში - 7 121 ობიექტი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს შესაბამისად 657.4 ათ. კვ.მ. და 890 590.7 ათ. კვ.მ;
- სსიპ - იუსტიციის სახლთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სერვისების დელეგირების თაობაზე. საპილოტე რეჟიმში სააგენტოს სერვისები მიეწოდა მარნეულის იუსტიციის სახლს. ასევე, მიმდინარეობდა სერვისების დელეგირებისათვის საჭირო აქტივობებზე მუშაობა და განხორციელდა იუსტიციის სახლის 13 ფილიალის თანამშრომელთა დატრენინგება და ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოების საფუძველზე, სახელმწიფო ქონებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2015 წლის 2 ნოემბრიდან

განხორციელდა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისების დელეგირება სსიპ - იუსტიციის სახლისთვის;

- საქმიანობის სრულყოფის მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის დახვეწაზე;
- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ კონსოლიდირებულ რეაგირების პორტალში (CRP) ჩაერთო კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები და ასევე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი და მოეწყო პრეზენტაცია CRP პორტალის თემატიკაზე;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის მიზნით, დასრულდა გაკოტრების საქმის წარმოება 63 საწარმოზე, განხორციელდა 10 საწარმოს მართვის უფლებით გადაცემა, 34 საწარმოს შერწყმა;
- განხორციელდა 54 კონტრაქტის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოსგან;
- 447 სახელმწიფო უძრავი ქონება გადაეცა სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო 1 195 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცათ თანხმობა 808 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 6 978 იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახს გადასცა სახელმწიფო ქონება;
- „წარმოე საქართველოში“ პროგრამის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 16.4 მლნ ლარის ჯამური ღირებულების 59 უძრავი ქონების გადაცემა;
- ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შეფასება;
- განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, „სოფლიდან გაუსვლელად“ პროგრამის ფარგლებში, სააგენტომ საქართველოს რეგიონებში გაავრცელა 321 480 ცალი ფლაერი;
- საინფორმაციო პორტალ bpi.ge-ზე სააგენტომ უზრუნველყო 228 მიმდინარე აუქციონის შესახებ ინფორმაციის განთავსება, რომელიც პარალელურად ვრცელდებოდა სააგენტოს ვებ-გვერდსა და სოციალურ მედიაში;
- მიმდინარეობდა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია.

5.1.3 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

• საანგარიშო პერიოდში „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ, ხელშეკრულებები გაფორმდა 64 ბენეფიციარ კომპანიასთან საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით და ასევე, პროგრამის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში ქონება გადაეცა 21 ბენეფიციარს;
- ✓ მიმდინარეობდა მცირე და საშუალო საწარმოების პრობლემატიკის კვლევა მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით;
- ✓ ბენეფიციარი კომპანიების საწარმოო ხაზის გამართვის პროცესში განხორციელდა ტექნიკური დახმარების და საკონსულტაციო მომსახურების საჭიროებების ანალიზი, დაიხვეწა სააპლიკაციო ფორმა, რომლის მეშვეობითაც კომპანიები დააფიქსირებენ საჭიროებებს საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით;
- ✓ გაფორმდა ხელშეკრულებები სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით გათვალისწინებულ განმახორციელებელ ორგანიზაციებთან რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი); გაიხსნა რეგიონული სერვისცენტრები, სადაც ყველა პოტენციურ ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაცია და მიიღოს ტექნიკური მხარდაჭერა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში კონტრაქტორი ორგანიზაციების მხრიდან;
- ✓ „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამას დაემატა სასტუმრო ინდუსტრიისა და კინოინდუსტრიის მხარდაჭერის კომპონენტები;
- ✓ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და სასტუმროების ქსელ „მგზავრებს“ შორის, რომლის ფარგლებშიც სასტუმროს წარმომადგენლები დამატებით ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას გაუწევენ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან საოჯახო ტიპის სასტუმროს გამართვით;
- ✓ გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და ჰოლდინგ „თეგეტა მოტორს“ შორის, რომლის ფარგლებშიც ჰოლდინგი გაუწევს ტექნიკურ-საკონსულტაციო დახმარებას მიკრო და მცირე მეწარმეობის კონკურსში გამარჯვებულ ბენეფიციარებს, რომელთა ბიზნეს გეგმა დაკავშირებული იქნება კომპანიის საქმიანობის სფეროსთან (ავტო-მოტო მომსახურებასთან);

- ✓ სააგენტოს ინიციატივით გაიმართა რეგიონის მოსახლეობასთან საინფორმაციო ტიპის შეხვედრები;
- ✓ GIZ-ის მხარდაჭერით სააგენტომ წარმატებით გაიარა EFQM (ევროპის საზოგადოება ხარისხიანი მენეჯმენტისთვის) ვალიდაცია, რაც გულისხმობს სააგენტოში პროცესების მართვის მაღალი ხარისხის სტანდარტების წარმატებით დანერგვასა და აღნიშნული პროცესის სერტიფიცირებას;
- „Managerial Training Program: Fit for Partnership with Germany” პროექტის ფარგლებში, რომელსაც მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სამინისტროსა (BMZ) და GIZ-თან ერთობლივი თანამშრომლობით, დასრულდა კომპანიების შერჩევის პროცესი ბავარიის ბიზნეს-ტრენინგებზე გასამგზავრებლად;
- სსიპ - მეწარმეობის განვითარებისა და სსიპ - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოები ერთობლივი კონსორციუმით გაწევრიანდნენ „Enterprise Europe Network"-ში (EEN);
- ევროპული განათლების ფონდის (ETF) მხარდაჭერით მიმდინარეობდა მუშაობა ტრენინგის საჭიროების შეფასების ინდიკატორებისა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავების საკითხებზე, ხოლო იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) - „რეგიონალური განვითარების პროგრამის“ მიმართულებით;
- სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ბაზაზე ჩამოყალიბდა „Open-space” პრინციპით მოწყობილი მომსახურების ცენტრი, რომელიც დაინტერესებულ პირებს გაუწევს სხვადასხვა ტიპის მომსახურებას, ხოლო სააგენტოს სერვის ცენტრში შეიქმნა ბიზნეს ლიტერატურაზე ორიენტირებული ბიბლიოთეკა;
- სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიების მენეჯმენტის სტრატეგიული დაგეგმარებისა და მართვის უნარების გაძლიერების მიზნით გაიმართა „E&Y – Mini MBA” ტრენინგ-ციკლი;
- მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიულ სასწავლებლებში მეწარმეობის კურსების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- სააგენტოსა და EUROMONITOR-ის თანამშრომლობის მეშვეობით, დაინტერესებული კომპანიებისათვის მოთხოვნის შესაბამისად, მიმდინარეობდა მიზნობრივ ბაზრებზე კონკრეტული პროდუქტების კვლევა, რომლის საშუალებითაც კომპანიებს ეძლევათ აღნიშნულ ბაზრებზე გაყიდვების სტრატეგიის სწორად დაგეგმვის საშუალება;
- მომზადდა „პოლონეთში საქართველოს ღვინის ექსპორტის ზრდის პოტენციალის ანალიზი“;
- სააგენტომ ორგანიზება გაუწია საერთაშორისო საკვებისა და სასმელის გამოფენებს: „Gulfood 2015“, „Sial China 2015“, „Summer Fancy Food Show 2015“, „Riga Food 2015“, „Polagra Food 2015“, „Anuga 2015“ და „CPHI Worldwide 2015“;
- ორგანიზება გაეწია: „თბილისის მოდის კვირეული 2015“-ს; სლოვაკეთი-საქართველოს ბიზნეს ფორუმს; „Taste Georgia“-ს (ლონდონი); „Discover Georgia” (ნიუ იორკი); „Georgia-Making Business Easy“; ლატვიურ კომპანია „Elkor“-ის 2 სავაჭრო მისიას; არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან „Al Rawafed-Holding“-ის სავაჭრო მისიას თბილისში;

- გაიმართა ექსპორტის მენეჯერის სასერთიფიკატო კურსი, რომელზეც 43 ექსპორტის მენეჯერი გადამზადდა საერთაშორისო გაყიდვების წარმოების კუთხით;
- 150-მდე ქართულ კომპანიას და ინდივიდუალურ პირს გაეწია კონსულტაცია ექსპორტის პროცედურებსა და ტარიფებთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა სავაჭრო პორტალის „Tradewithgeorgia“ განახლება;
- სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სარეკლამო აქტივობები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- დასრულდა მუშაობა სააგენტოს ახალ ვებ-გვერდზე www.enterprise.gov.ge.

5.1.4 საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა (პროგრამული კოდი 24 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის მიზნით, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირისა (ITU) და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების კოორდინირებული საქმიანობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადამცემი DVB-T2-ის სტანდარტის სახელმწიფო მიწისზედა საეთერო-სამაუწყებლო ქსელის მშენებლობის სამუშაოები;
- განხორციელდა სახელმწიფო მულტიპლექს პლატფორმის მშენებლობის პროცესების მონიტორინგი და კოორდინაცია;
- ციფრული მიწისზედა სატელევიზიო „ქსელის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონული მონაცემების მიხედვით, ეტაპობრივად მოქმედებდა პარალელური მაუწყებლობის რეჟიმი (ე.წ. სიმულკასტი), რომელიც იძლევა მაუწყებელთა პროგრამების ანალოგურ და ციფრულ ფორმატში ერთდროულად გავრცელების საშუალებას;
- მიმდინარეობდა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის მშენებლობის მეორე ეტაპი, რომელიც მოიაზრებს გადამცემი სადგურების დამატებას ჩრდილოვანი ზონების დაფარვის მიზნით;
- მომზადდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფის წესი, რომლის მიხედვით ციფრული მაუწყებლობის სააგენტო და შპს „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მიერ შესყიდული ციფრული მიწისზედა სიგნალის მიმღები სერტიფიცირებული სეთ-თოფ-ბოქსების გაცემა/ჩაბარების პროცესს, მის მონიტორინგსა და კონტროლს;

- 1 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა საქართველოში ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა და ანალოგური საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ეტაპობრივი გათიშვა რეგიონების მიხედვით, რითაც შესრულდა ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია, კერძოდ: მომზადდა და მაუწყებლების სატელევიზიო არხებზე განთავსდა სარეკლამო ვიდეო კლიპები (20 მოკლემეტრაჟიანი ვიდეორგოლი უფასო სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსდა თითქმის ყველა სამაუწყებლო ბადეში, მათ შორის რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციაში გაწევრიანებული 24 ტელეკომპანიის სარეკლამო ბადეებში), ტიპოგრაფიულად დაიბეჭდა და მოსახლეობაში გავრცელდა საინფორმაციო ბუკლეტები და ასევე, რეფორმასთან დაკავშირებული სიახლეები გამოქვეყნდა ბეჭდურ და ონლაინ გამოცემებში;
- ამოქმედდა საინფორმაციო-საცნობარო ქოლცენტრი და მისი ცხელი ხაზი „1480“. 40-მდე ოპერატორი 24 საათიან რეჟიმში მოსახლეობას უწევდა ტექნიკურ დახმარებას და კონსულტაციას, ხოლო ოცამდე მობილური ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდა სახელმწიფო მულტიპლექს ოპერატორში დასაქმებული 200-ზე მეტი ინჟინერი, მოსახლეობას უფასოდ უწევდა ტექნიკურ დახმარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ხორციელდებოდა საგარანტიო მომსახურებისა და ვალდებულებების შესრულება სეთ-თოფ ბოქსებთან მიმართებაში;
- დაიწყო ფუნქციონირება სააგენტოს ოფიციალურმა ვებგვერდმა www.digitaltv.ge, სადაც ქვეყნდება რეფორმასთან დაკავშირებული მიმდინარე სიახლეები;
- ენერგოსადისტრიბუციო კომპანიების მეშვეობით, მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის 1 500 000-ზე მეტ ინდივიდუალურ აბონენტს დაურიგდა სააგენტოს მიერ მომზადებული საინფორმაციო ფლაერები, ხოლო რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს საინფორმაციო ფურცლები მიეწოდა სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორების სამხარეო ადმინისტრაციების დახმარებით.

5.1.5 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარეობდა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოები, რომელიც იძლევა თანმდევი მაღალტექნოლოგიური და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების პროტოტიპების, ინოვაციებზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკოსისტემის შექმნის შესაძლებლობას;
- ბათუმსა და ქუთაისში დამატებით სამრეწველო ინოვაციების 2 ლაბორატორიის (FAB LAB) და ინოვაციების 10 ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სამუშაოები საქართველოში პირველი ბიოტექნოლოგიური ცენტრის კონცეფციისა და ასევე, ტექნოლოგიური პარკის ბაზაზე სტარტაპების ხელშეწყობი ბიზნეს აქსელერატორის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- საქართველოში 2020 წლისათვის 40 000 პროგრამისტის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში გადამზადებული 50 ტრენერის მიერ გაიმართა უფასო 40 საათიანი ტრენინგები საიფორმაციო ტექნოლოგიების ექვსი მიმართულებით. საერთო ჯამში ტრენინგებში მიიღო მონაწილეობა 800-მდე ახალგაზრდამ;
- ჩატარდა: სტუდენტებზე გამიზნული ორთვიანი ტრენინგი თემაზე „ინოვაციებისა და ინიციატივების მართვა“; ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მათ საქმიანობაში ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგები თემაზე „ინოვაციების მართვა და ორგანიზაციული კულტურა“ და საჯარო ლექცია თემაზე „მენეჯმენტი თანამედროვე დაჩქარებულ მსოფლიოში“;
- ჩატარდა საგრანტო კონკურსი, ქვეყნის მასშტაბით ე.წ. ჰაკათონების, მეიქათონებისა და კრეათონების ტიპის ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობისათვის;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოში ინოვაციების სამართლებრივი ჩარჩოს შექმნასთან დაკავშირებით. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ჩარჩოს ფორმირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების მიზნით, სააგენტოს მხრიდან იდენტიფიცირებულ და მომზადებულ იქნა პროექტი „ჰორიზონტი 2020“;
- შედგენილ იქნა საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის მსოფლიო ბანკის სასესხო პროექტის კონცეფცია;
- დაიწყო მუშაობა: ევროკავშირის „FP7 Inconet“ პროგრამის დახმარებით საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის შეფასების დოკუმენტზე; ბიბლიოთეკების ბაზაზე 5 საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრის ფორმირებაზე;
- „ST-ART-UP მართონის“ ფარგლებში შეიქმნა 15 Startup კომპანია და მათი საკუთარი პროდუქტის რეალიზაცია განხორციელდა სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლში“;
- გაიმართა ღონისძიება „ინოვაცია არქიტექტურაში“ (მოიცავდა ლექცია-სემინარებს, პრეზენტაციებს, მოხსენებებს), რომელმაც დააკავშირა სფეროში მოღვაწე ბიზნესმენები, აკადემიური სექტორის წარმომადგენლები და კრეატიული ახალგაზრდები;
- სააგენტოს, კომპანია „Easy Soft“-ისა და ასოციაცია „CG Georgia“-ს ორგანიზებით ჩატარდა კომპიუტერული გრაფიკის საერთაშორისო ფესტივალი „ICG 2015“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო დონის სპეციალისტებმა;

- გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები: სააგენტოს, კომპანია „Potters“-სა და ვლადიმერ კომაროვის სახელობის N199 ფიზიკა-მათემატიკურ საჯარო სკოლას შორის სკოლის ბაზაზე ინოვაციების ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით და ასევე, სააგენტოს, კომპანია „ომედია“-სა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სასაწვლო ცენტრ „მზიურს“ შორის ცენტრის ბაზაზე ინოვაციების ლაბორატორიის შექმნასთან დაკავშირებით;
- შეიქმნა საქართველოს Startup აქსელერატორთა ქსელი, რომლის ფარგლებშიც სააგენტო ითანამშრომლებს საქართველოში არსებულ ყველა წამყვან უნივერსიტეტთან მათ ბაზაზე სტუდენტური სტარტაპ აქსელერატორების ჩამოყალიბების მიზნით და ასევე, ინოვაციურ პროექტებში ინვესტირებით დაინტერესებულ ქართველ ინვესტორთა კლუბი „ენჯელ“ (GAIC);
- სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებს ჩაუტარა ვორკშოფი თემაზე: „ციფრული ეკონომიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი როლი ქვეყნის პროდუქტიულობისა და ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესში“;
- გაიმართა ორთვიანი კურსი მიკროელექტრონიკაში, სადაც უფასოდ გადამზადდა 20 სტუდენტი-ტრენერი;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა ინოვაციური ტექნოლოგიების საღამო, სადაც მონაწილეებს მიეწოდა ინფორმაცია მსოფლიოსა და საქართველოს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციების, დისტანციურად დასაქმებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტივების შესახებ და ასევე, გაიმართა ინოვაციური პროდუქტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამოფენა;
- საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების პროექტის ფარგლებში: გადამზადდა 3 საპილოტე პროექტის (სოფ. ჭოპორტი, დაბა ხარაგაული და ქ. ოზურგეთი) მენეჯერი და ტექნიკური სპეციალისტი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები ინოვაციების ცენტრის მართვის, საოფისე პროგრამების, სოციალური მედიის, ელექტრონული ფოსტისა და ქლაუდ პლატფორმების საკითხებზე; გაიმართა შეხვედრები სოფელ ჭოპორტის, ხარაგაულისა და ოზურგეთის რაიონების მოსახლეობასთან სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო ღონისძიებების გაცნობის მიზნით; ჩატარდა მოსახლეობის გამოკითხვა სამომავლოდ მათთვის საინტერესო კურსების შეთავაზების მიზნით და მოეწყო გამოფენა ახალი ტექნოლოგიების შესაძლებლობებისა და საჭიროების გასაცნობად;
- სააგენტომ მიიღო მონაწილეობა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (FabLab) ყოველწლიურ კონფერენციაში Fab11, სადაც დამსწრე დელეგატებს მიეწოდა ინფორმაცია ქართული ფაბლაბების განვითარების შესახებ;
- სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა კონკურსი ბიზნეს აქსელერატორ TURN8-ის მონაწილეთა შესარჩევად. აღნიშნულის შედეგად შეირჩა სტარტაპ კომპანია, რომელიც მიიღებს ინვესტიციას 30 000 დოლარის ოდენობით და განაგრძობს ბიზნეს საქმიანობას ქ. დუბაიდან;
- ესტონეთის მთავრობის გრანტის ფარგლებში გაიმართა „ჰაკათონი“ ექსპო ჯორჯიაში, სადაც შეიქმნა 10 სტარტაპ კომპანია, რომლებსაც უკვე გააჩნია საკუთარი იდეის კონკრეტული

პროტოტიპი. საუკეთესო გუნდები პროდუქტზე მუშაობას განაგრძობენ თბილისში არსებულ აქსელერატორებსა და საერთო სამუშაო სივრცეებში.

- საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრების პროექტისათვის შეირჩა ცენტრების თანამშრომლები და დაიწყო მათი გადამზადება საოფისე პროგრამებსა და სოციალური მედიის მართვაში;
- „დაიწყე ბიზნესი FabLab-თან ერთად“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა „კრეათონი“, სადაც ჩამოყალიბდა 11 გუნდი და საქართველოს უნივერსიტეტის აქსელერატორში ტრენერებთან და მენტორებთან ერთად მიმდინარეობდა მათი მუშაობა „სტარტაპ ნესტი“ ბიზნეს მოდელის დახვეწაზე;
- დაბა ხარაგაულში გაიხსნა პირველი ინოვაციების ცენტრი. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის საფუძველზე გარემონტა ადგილობრივი ბიბლიოთეკები, განხორციელდა შტატის შერჩევა-გადამზადება და ცენტრის სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიებით აღჭურვა (3D პრინტერით, ლეგო რობოტიკსით, ლეპტოპებითა და დისტანციური სწავლებისათვის საჭირო მოწყობილობებით). ცენტრში სტარტი აიღო საოფისე პროგრამების ტრენინგმა, რომელიც გათვლილია საშუალო ასაკის ადგილობრივ მოსახლეობაზე;
- ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში გაიხსნა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და სააგენტოს მიერ ლაბორატორიებს გადაეცა დაზღვა-დანადგარები, მათ შორის: 3D პრინტერები, 3D სკანერები, ლაზერული მჭრელი, CNC მანქანა და ა.შ.
- მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (MIT) სპეციალისტების მონაწილეობით ჩატარდა საქართველოში ბიოტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე კვლევითი ინსტიტუტების პოტენციალის შესწავლა, რის შედეგადაც განხორციელდა გლობალურად დიდი პოტენცილის მქონე 12 პროექტის იდენტიფიცირება;
- ესტონური ორგანიზაცია „Garage48“-სთან თანამშრომლობით, მშენებარე ტექნოპარკში ჩატარდა კონკურსი დიზაინერებისა და ინჟინრებისათვის „Garage48 Hardware and Arts“, რომლის ფარგლებსიც შეიქმნა 10 ინოვაციური პროდუქტის პროტოტიპი, შეირჩა 3 გუნდი „Startup Bootcamp“-ში მონაწილეობის მისაღებად;
- სააგენტოს ორგანიზებით, ქ. თელ-ავივში გაიმართა ორკვირიანი ინტენსიური ტრენინგი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე ქართული სტარტაპებისათვის;
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტის საფუძველზე გორის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ინოვაციების ლაბორატორია ადგილობრივი მოსახლეობისათვის მობილური და ვებ-პროგრამირების სწავლების მიზნით და სტარტაპების განვითარების ხელშეწყობისათვის;
- დასრულდა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკის მშენებლობა;
- ამერიკის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან (NSF) და საქართველოს სამეცნიერო აკადემიასთან თანამშრომლობით სააგენტომ ჩაატარა რეგიონალური კონფერენცია ბიოტექნოლოგიების

საკითხთან დაკავშირებით. კონფერენციაზე განხილული იქნა რეგიონის პოტენციური ბიოტექნოლოგიების დარგში კომერციული პროექტების განვითარების კუთხით;

- ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მათ საქმიანობაში ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა ტრენინგი „ინოვაციების მართვა და ორგანიზაციული კულტურა“;
- ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „მენეჯმენტი თანამედროვე დაჩქრებულ მსოფლიოში“.

5.2 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

- გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ელექტრონული მომსახურების განვითარება, კერძოდ: დაინერგა ავტომობილების ექსპორტის ელექტრონული დასტურის მოდული, გემების აღრიცხვის ავტომატიზირებული ელექტრონული პროგრამა და კონტეინერების ელ. აღრიცხვის პროგრამული მოდული ფორმა 222, იმპორტირებული პროდუქციის აქციზური მარკების შემოწმების აქტების ელექტრონული ავტომატიზირებული შევსების პროგრამა; მიმდინარეობს ელექტრონული მომსახურების სერვისების სასწავლო გარემოს ეტაპობრივი მოწყობა; შშმ პირებისთვის შეიქმნა შემოსავლების სამსახურის საიტის (rs.ge) ადაპტირებული ვერსია;
- არაალკოჰოლური სასმელების იმპორტისა და წარმოების დარგი აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგების უზრუნველსაყოფად დაექვემდებარა სავალდებულო მარკირებას;
- თამბაქოს მწარმოებლებისა და იმპორტიორებისათვის აქციზური მარკების 108 ათას ცალიან შეფუთვებთან ერთად შემოღებულ იქნა 10,8 ათასიანი შეფუთვები, რამაც გაამარტივა აქციზური გადასახადის გადახდის პროცედურები;
- ტვირთის გაფორმების დროისა და ხარჯების შემცირებისათვის დეკლარირების პროცედურების გამარტივების მიზნით დაინერგა გაფორმების ახალი შესაძლებლობები - არაელექტრონული წინასწარი დეკლარირება, რომლის მეშვეობითაც გადასახადის გადამხდელს შესაძლებლობა აქვს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში გამოცხადების გარეშე, საქონლის წინასწარი დეკლარირება მოახდინოს მომსახურების დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სერვის ცენტრში;
- გაფორმების ეკონომიკურ ზონაში „თბილისი“ დაიხვეწა ყვითელ დერეფანში მოხვედრილი საქონლის გაფორმების პროცედურა, დეკლარანტს აღარ უწევს მომსახურების დარბაზის დატოვება და გაფორმების პროცედურის დასრულებისთვის სხვა შენობაში გადასვლა;

- საგადასახადო დავების მექანიზმების დახვეწის და მედიაციის საბჭოს ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით დაინერგა საბჭოს სხდომებში გადამხდელთა ონლაინ რეჟიმში სერვისის ცენტრებიდან ჩართვის უზრუნველყოფა;
- დაინერგა საერთო სახაზინო კოდი;
- საგადასახადო და საბაჟო მიმართულებით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სისტემატიურად ტარდებოდა ტრენინგები;
- გადამხდელთა დროული ინფორმირების მიზნით სისტემატიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების (ელ. შეტყობინებების გაგზავნა, საინფორმაციო ბროშურებისა და ბუკლეტების გავრცელება, მედია საშუალებებში ინფორმაციის გაშვება და ა.შ.) გამოყენება.

5.3 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
 - ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
- შემუშავდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამოქმედო გეგმა;
 - მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს 2014 წლის წლიური, 2015 წლის 3, 6 და 9 თვის შესრულების ანგარიშები;
 - საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს წარედგინა და დამტკიცებულ იქნა „საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების 2 პროექტი.
 - საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ინფორმაციის სახით წარედგინა 2015-2018 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი;
 - მომზადდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2016-2019 წლებისათვის“ დოკუმენტი;
 - ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხაზინის ერთიან ანგარიშის სისტემაში მოქცევისა და სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე გადმოყვანის რეფორმის ფარგლებში 2015 წლის პირველი იანვრიდან სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე სრულად გადმოვიდა ავტონომიური რესპუბლიკების ორი და ადგილობრივი თვითმმართველობის 76 ბიუჯეტი, ასევე - 560 მდე სსიპ და ა(ა)იპ;

- მიმდინარეობდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი ევროსაბჭოს 2011 წლის 21 ივნისის 2011/64/EU დირექტივასთან დაახლოების მიზნით, რაც გულისხმობს თამბაქოს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დანერგვას, გადასახადების ადმინისტრირების გამარტივებასა და თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გამკაცრებას;
- მომზადდა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი და მოქნილი ადმინისტრირებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფას, ცალკეული გადასახადის გადამხდელებისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების, ტექნიკური უზუსტობების და ბუნდოვანების აღმოფხვრას;
- სახელმწიფო ვალის მართვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოწვევით, საქართველოს ესტუმრა მსოფლიო ბანკის მისია. აღნიშნული მისიის ვიზიტის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროს დახმარება გაეწია ვალის მართვის შემდეგ საკითხებში: სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება; სახელმწიფო ვალის კანონის ცვლილების პროექტის მომზადება; მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. აღნიშნული მისიის წევრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახული შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია სახელმწიფო ვალის მართვის პროცესში;
- გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“. „Standard & Poor’s“ და „Fitch“ სარეიტინგო კომპანიების მეთოდოლოგიით საქართველოს შეუნარჩუნდა „BB-“ სტაბილური რეიტინგი, ხოლო „Moody’s“ მეთოდოლოგიით - „Ba3“ პოზიტიური რეიტინგი;
- დაგეგმილი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსების მიზნით, გრძელდებოდა მოლაპარაკებები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შეღავათიანი ფინანსური რესურსის მისაღებად;
- გაფორმდა 54 ხელშეკრულება, მათ შორის: 18 სასესხო, 7 საგრანტო, 2 ქვესასესხო, და 27 სხვა სახის;
- ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 36 აუქციონი, გამოშვებული იყო 842 996.0 ათასი ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები;
- ფულადი სახსრების ეფექტური პროგნოზირებისა და მართვის მიზნებისათვის, ჩამოყალიბდა ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის დეპარტამენტი. განხორციელდა სათანადო საკანონმდებლო აქტ(ებ)ის მომზადება/დამუშავება, რომლითაც უნდა განისაზღვროს თავისუფალი ფულადი სახსრების, რისკების, ბანკების, ფინანსური ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები;

- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სტრატეგიის ფარგლებში, განხორციელდა დარიცხვის მეთოდის IPSAS სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22-24) მოთხოვნების ასახვა აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურირების მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელ კომისიის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნა 16 საკითხი (მათ შორის საგადასახადო - 5 საკითხი, სასესხო - 11 საკითხი). აქედან, საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირების - 4 საკითხი (დაკმაყოფილდა ყველა); სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების - 6 საკითხი (დაკმაყოფილდა 4 საკითხი) სასესხო დავალიანების გრაფიკში ცვლილებაზე - 2 საკითხი; ვადამდე შეწყვეტა - 2 საკითხი;
- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ბელარუსის რესპუბლიკასთან, პორტუგალიასა და ისლანდიასთან, ასევე „საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ 2006 წლის 1 ივნისის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ოქმი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შეთანხმება კვიპროსთან, ხოლო ხელი მოეწერა შეთანხმებას ლიხტენშტაინთან. პარაფირებული იქნა შეთანხმების ტექსტები სამხრეთ კორეასთან, საუდის არაბეთთან და მაროკოსთან, ხოლო შეთანხმება განახლებული იქნა პოლონეთთან.

5.4 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- გატარდა ელექტრონული ბიუჯეტის სისტემის (eBudget) რეფორმა, რომლის მეშვეობითაც სსიპ-ებს, ააიპ-ებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს საკუთარი ბიუჯეტების დაგეგმვისა და შემდგომი დაზუსტებების საშუალება მიეცათ. გასწორდა რეფორმის ეტაპზე დაგროვილი ხარვეზების. ჩატარდა სისტემის წარმადობისა და რიგი ოპერაციების შესრულების ხანგრძლივობის გასაუმჯობესებელი ტექნიკური სამუშაოები, რის ფარგლებშიც აჩქარდა ოპერაციები, ხოლო 4-ჯერ შემცირდა დინამიურ ანგარიშგებათა გენერირების დრო;

- (eTreasury) - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა - დაემატა 10-ზე მეტი ახალი ანგარიშგება. გახორციელდა ორი მოდულის ტექნიკური რეფაქტორინგი და „გადასახადების ერთიანი კოდის“ რეფორმის პირველი, მეორე და მესამე იტერაციები;
- eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - დაიხვეწა და დაემატა ფუნქციონალი. განახლდა სექმები, მოდულები (ჯამში, 70-მდე კომპონენტი). დანერგილია 75-ზე მეტ ორგანიზაციაში. პრეზენტაცია ჩატარდა 20-ზე მეტ ორგანიზაციაში.
- eDMS – სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - დასრულდა მუშაობა და სამუშაო გარემოში განთავსდა ახალი ვერსია. შემუშავდა და ტესტირება ჩატარდა ინფორმაციის მიმოცვლის მოდულს. დაწყებულ იქნა სისტემის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერის პროცესი. განახლდა საშინაო ვალის მოდულის ვიზუალი და გამოთვლების ფუნქციონალი;
- eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - განხორციელდა სისტემის 8 მსხვილმასშტაბიანი განახლება. დაინერგა ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების 40-ზე მეტ ორგანიზაციაში. შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებთან ერთად მხარდაჭერილ საინტეგრაციო სერვის ინტერფეისში ჩაერთო 30-ზე მეტი ორგანიზაცია.
- eAuction - ელექტრონული აუქციონი - ვებპორტალს დაემატა „შეიძინეთ ახლავე“ (BuyItNow) ფუნქციონალი და მობილური აპლიკაცია (IOS პლატფორმა);
- სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:
 - ✓ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 105 ორგანიზაცია, 6673 მომხმარებელი, მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის 68 ორგანო, 4854 მომხმარებელი;
 - ✓ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury – 1 205 მომხმარებელი;
 - ✓ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) – 30 ორგანიზაცია, 106 მომხმარებელი.
 - ✓ საგარეო დახმარების ელექტრონული მართვის სისტემა (eAIMS) - 75 მომხმარებელი.

5.5 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა მართვის, სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა;
- შემუშავდა სტატისტიკური სამუშაოების პროგრამები, სტატისტიკური და მეთოდოლოგიური სტანდარტები.

5.6 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სავსე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების კომპიუტერში ჩაწერის სამუშაოები და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების გამოყენებით კითხვარების სამისამართო ნაწილის ლოგიკური კონტროლი და გეომონაცემთა ბაზასთან მიბმა. მოხდა კორექტირების პროგრამული პროდუქტის მეშვეობით ლოგიკურად გაუმართავი კითხვარების რედაქტირება.

5.7 სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 56 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

- განხორციელდა მონიტორინგის განმახორციელებელი პირებისგან კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღება, დამუშავება/ანალიზი და შესაბამის შემთხვევებზე კანონით გათვალისწინებული რეაგირება;
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, გაფორმდა ორმხრივი მემორანდუმები პორტუგალიის, უნგრეთის და თურქმენეთის შესაბამის სამსახურებთან;
- მომზადდა და ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა (Moneyval) კომიტეტს წარედგინა ანგარიშები საქართველოს მიერ 2012-2015 წლებში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციის მდგომარეობის შესახებ;
- საერთაშორისო (მათ შორის, ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული) რეკომენდაციების იმპლემენტაციის მიზნით, შემუშავდა შესაბამისი

საკანონმდებლო აქტების პროექტები და სამსახურის მიერ მიღებულ იქნა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;

- ჩატარდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიითა და შესაბამისი სამოქმედო გეგმით 2015 წელს დაგეგმილი ღონისძიებები.

5.8 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- დაგეგმილი იყო ქვეყნის საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაანგარიშება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია, ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში, კერძო და სახელმწიფო სექტორში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა, შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება, სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება, უცხოელ ვიზიტორთა კვლევისა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევების ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება, საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება.

5.10 ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- დასრულდა გონიოს ყოფილი სამხედრო პოლიგონის ტერიტორიაზე სანაპირო ზოლისა და მიმდებარე 315 ჰა ტერიტორიის საკურორტო ზონის განვითარების მიზანშეწონილობისა და საინვესტიციო პოტენციალის კვლევა;

- დასრულდა ქიმიური სექტორის დეტალური კვლევა, რომელიც მოიცავს ინდუსტრიის მიმოხილვას მსოფლიო ჭრილში, წარმოების ჯაჭვის და შესაბამისი ხარჯების აღწერას, რეგიონული ბაზრების/კონკურენტების ანალიზს, საინვესტიციო პროექტებსა და შეთავაზებებს საქართველოში საუკეთესო საინვესტიციო/წარმოების პოტენციალის მქონე ქვე-სექტორების/პროდუქტების შესახებ;
- შემუშავდა თბილის წარმოებისა და გადამუშავების საინვესტიციო პროექტი, რომელიც მოიცავს მსოფლიო და რეგიონის ბაზრების მიმოხილვას, წარმოების ჯაჭვის აღწერას და ფინანსურ გათვლებს/შეფასებას;
- ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ჩატარდა კვლევა საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ბათუმი) კონკურენტი ქალაქების (უცხო ქვეყნების) შესახებ;
- დასრულდა მუშაობა ბიზნეს-პროცესების აუტოსორსინგის (BPO) ბაზრის კვლევაზე, რის შედეგადაც გამოვლინდა საქართველოს განვითარების პოტენციალი outsourcing-ის შემდეგ ქვე-სექტორებში: ფინანსური და საბუღალტრო მომსახურება (F&A), კლიენტებთან ურთიერთობების მართვა (CRM), ადამიანური რესურსების მართვა (HR), მომსახურება ტელეკომუნიკაციების სექტორში, მომსახურება წარმოების სექტორში და მცირე პოტენციალი IT მონაცემთა ცენტრების განვითარებისთვის;
- მომზადდა პრეზენტაცია საქართველოში თევზის მეურნეობის სექტორის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, რომელიც მოიცავს თევზის ბაზრის მიმოხილვას, წარმოების ჯაჭვის აღწერას, თევზის ფერმის გასაშენებლად პოტენციური ადგილების შეფასებას და სხვა;
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში არსებული ბიზნესისა და საინვესტიციო გარემოს შეფასებას (კვლევაში მონაწილეობდა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 800 კომპანია);
- საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ გამართა შეხვედრები და გაუწია კონსულტაციები (ინფორმაციის მიწოდება სტატისტიკის, კანონმდებლობის, გადასახადების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო ორგანიზაციებთან) უცხოელ პოტენციურ ინვესტორებს, მათ შორის:
 - ✓ იაპონური ბანკის „Mizuho“-ს წარმომადგენლებს დიდი ჰიდროელექტროსადგურის პროექტებთან დაკავშირებით;
 - ✓ თურქულ კომპანია „Kaya Group“-ს, რომელიც დაინტერესებულია საქართველოში ბამბის ძაფის და ნაჭრის საწარმოების გახსნით;
 - ✓ იტალიური კომპანია „კოსმეტ 2000“-ის წარმომადგენლებს საქართველოში ლიფტების წარმოების შექმნასთან დაკავშირებით;

- ✓ აზერბაიჯანული კომპანია „ბენკონის“ წარმომადგენლებს საკონსერვო ქარხნის აშენებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა კომპანიამ 2015 წელს დაიწყო ბეტონისა და ასფალტის ქარხნების აშენება საქართველოში;
- ✓ კატარის კომპანია „ARTIC“-ის წარმომადგენლებს საქართველოში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს შექმნასთან დაკავშირებით;
- ✓ ჩინურ კომპანია „Avic International“-სა და ჰონგ-კონგურ საინვესტიციო ფონდ „Thai Fung“-ის წარმომადგენლებს ცემენტის საწარმოს აშენებასთან დაკავშირებით;
- ✓ გერმანულ კომპანია „BAU-NOW“-ის წარმომადგენლებს რკინა-ბეტონის კონსტრუქციების საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით;
- ✓ გერმანულ კომპანია „Arcin GmbH“-ის წარმომადგენლებს მატარებლების ვაგონების სამრეცხაოს მოწყობასთან დაკავშირებით;
- ✓ თურქულ-რუსულ კომპანია „დინამიკის“ წარმომადგენლებს ფოთში ლოჯისტიკური ცენტრის, სასაწყობე მეურნეობისა და ტრანსპორტირების ერთიანი სქემის შექმნასთან დაკავშირებით;
- ✓ „Hyndai construction and Engineering“-ის წარმომადგენლებს გარდაბნის 500 MW სიმძლავრის თბოსადგურის პროექტთან დაკავშირებით;
- ✓ ლიტვურ კომპანია „Enerstena“-ის დელეგაციას საქართველოში ბიომასის თბოსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით;
- ✓ იაპონური კომპანიების G-LION და „Natural Plus“-ის წარმომადგენლებს საქართველოში მანქანის ნაწილების წარმოებასთან დაკავშირებით;
- ✓ თურქულ კომპანია „Istanbul Textil“-ის წარმომადგენლებს კახეთის გზატკეცილზე ტექსტილის სასაწყობე ცენტრისა და შოუ-რუმის აშენებასთან დაკავშირებით და კომპანია „Kaamos Group“-ის წარმომადგენლებს თბილისი-რუსთავის მაგისტრალზე სამშენებლო მასალების სავაჭრო ცენტრისა და შოუ-რუმის მოწყობასთან დაკავშირებით;
- ✓ თურქული კომპანიების „Bayam“-სა და „Atomik Tekstil“-ის წარმომადგენლებს საქართველოში ქსოვილებისა და ტანსაცმლის ფაბრიკების გახსნასთან დაკავშირებით;
- ✓ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ჩართულ ქართულ-აზერბაიჯანულ კომპანია „Niu Plast“-ის წარმომადგენლებს პლასტმასის საწარმოს გაფართოებასთან დაკავშირებით;
- ✓ პოლონეთის საკონსულტაციო კომპანია „EURASIA“-ის წარმომადგენლებს სოფლის მეურნეობისა და წარმოების სექტორის საკითხებთან დაკავშირებით;
- ✓ კომპანია „Marpro Logistics Georgia LLC“-ს წარმომადგენლებს (აზერბაიჯანი, თურქეთი, გაერთიანებული ემირატები) საქართველოში საგზაო ტვირთების გადააზიდავი ტრანსპორტის ლოჯისტიკური ცენტრისა და მანქანის საბურავების მეორადი წარმოების შექმნასთან დაკავშირებით;

- ✓ ირანულ სასოფლო-სამეურნეო კომპანია „Rojin Taak Agro Industries Group“-ის წარმომადგენლებს საქართველოში საკონსერვე მეურნეობის შექმნასთან დაკავშირებით;
- ✓ თურქულ ლოჯისტიკურ კომპანია „Arlogic“-ის ქართულ წარმომადგენლობას რეინვესტირებასთან დაკავშირებით;
- ✓ თურქულ კომპანია „KICIMAN“-ის წარმომადგენლებს საქართველოში რკინის ბადეების წარმოებასთან დაკავშირებით;
- ✓ რუსულ კომპანია „ამურ“-ს, რომელიც დაინტერესებულია შენობების საჰაერო სისტემების (ვენტილაცია და სხვა) წარმოებით და ასევე, რუსული კომპანია „LSEG“-ის წარმომადგენლებს საქართველოში ჰიდროელექტროსადგურისა და ცემენტის წარმოების მშენებლობასთან დაკავშირებით;
- ✓ ქალის ფეხსაცმლის მწარმოებელ კომპანია „Carmens Holding“-ის წარმომადგენლებს საქართველოში ფეხსაცმლის საწარმოს გახსნასთან დაკავშირებით;
- ✓ საქართველოში ჩაის პლანტაციების გაშენებით და სასტუმროს ბიზნესში ინვესტირებით დაინტერესებულ ჩინურ კომპანიებს: „Sino Tekco Investment Company Limited, Qunfangzui Tea Industry Co.“, „Ltd, Huangshan Qimenxiang Tea Leaf Co.“, „Ltd, Huangshan City Council for the Promotion of Tea Economy, Qimen Black Tea Association“;
- ✓ უძრავი ქონების კომპანია M2-ის წარმომადგენლებს გუდიაშვილის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე (ძველი თბილისის რაიონში) საცხოვრებელი და სავაჭრო კომპლექსების და ასევე, სასტუმროების ზონის მოწყობის პროექტთან დაკავშირებით;
- ✓ თურქ ინვესტორს („Mersin Tourism-Leogrand hotel“) თბილისში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს და კაზინოს ბიზნესში ინვესტირებასთან დაკავშირებით, ხოლო კომპანია „Dephani“-ის წარმომადგენლებს - ბაკურიანსა და თბილისში სასტუმროს პროექტების ინვესტირებასთან დაკავშირებით;
- ✓ კატარის კომპანია „Pecunia Global“-ის წარმომადგენლებს საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის ინვესტირებასთან დაკავშირებით;
- ✓ კომპანია „Bosch“-ის წარმომადგენლებს საქართველოში საწარმოსა და შემნახველი მეურნეობის განთავსების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, იაპონურ კომპანია „MITSUBISHI“-ის წარმომადგენლებს საქართველოში აზოტოვანი სასუქების წარმოების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ხოლო კორეულ კომპანია „DAEWOO“-ს წარმომადგენლებს - საქართველოს ლოჯისტიკის სფეროში არსებულ საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- ✓ ანატოლიისა და ევროპის მომმარაგებელთა ასოციაციის (ATED) დირექტორს საქართველოში ასოციაციის წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით;

- ✓ აუთსორსინგ კომპანია „Arvato“-ის წარმომადგენელს საქართველოში მომსახურების ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით, სადაც პირველ ეტაპზე დასაქმდება 250-300 ადამიანი;
- ✓ თურქულ კომპანია „Ant Group“-ის წარმომადგენელს სახამებელის და ხორბლისგან წარმოებული სხვა პროდუქტების საწარმოს აშენებებასთან დაკავშირებით, ხოლო კომპანია „AS Group Investment“-ის დელეგაციას - საკვების გადამამუშავებელი საწარმოს გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებს მოამარაგებს გამოშვებული პროდუქციით;
- ✓ გაიმართა შეხვედრები პოტენციურ ინვესტორებთან, მათ შორის: სამხრეთ აფრიკელ ინვესტორთან, რომელიც დაინტერესებულია საქართველოში პომიდორის პლანტაციის გაშენებით და ტომატ-პასტის გადამამუშავებელი საწარმოს ინვესტირებით, შრი-ლანკელ ინვესტორთან საქართველოში რძის პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებით, შვედ ინვესტორთან ტურიზმის სფეროში ინვესტირებასთან დაკავშირებით, უნგრელ ინვესტორთან მესტიის სამთო კურორტზე ტურისტული საინვესტიციო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, გერმანელ ინვესტორთან გოდერძის სამთო კურორტზე ტურისტული საინვესტიციო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით, პაკისტანელ ინვესტორთან საქართველოში ტექსტილისა და ფარმაცევტული წარმოების გახსნასთან დაკავშირებით, პოლონელ ბიზნესმენტთან მინერალური წყლისა და ხილის არომატიანი სასმელი წყლის წარმოებასთან დაკავშირებით და პოლანდიის მოქალაქესთან ღვინის წარმოებაში ინვესტირებასთან დაკავშირებით.
- მსოფლიო ბანკისა და IFC-ის მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ დაიწყო ახალი „Aftercare“ პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა კომპანიების/ინვესტორების წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იყო კომპანიებში არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები, სამომავლო გეგმები და სხვა;
- საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმების ორგანიზებასა და პრეზენტაციების გამართვაში, მათ შორის:
 - ✓ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ორგანიზებულ საქართველო-ბელორუსის ბიზნეს-ფორუმსა და საქართველო-ბელგიის ბიზნეს-შეხვედრაზე მოეწყო პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და პროექტების შესახებ;
 - ✓ ქ. ბრიუსელში, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს (EUGBC) ორგანიზებით გამართულ „Georgia’s New Opportunities in Free Trade with the EU“ საერთაშორისო ბიზნეს-კონფერენციაზე სააგენტომ უცხოელ ბიზნესმენტებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებზე და პროექტების შესახებ;

- ✓ „EBRD 2015“-ის ყოველწლიური შეხვედრის ფარგლებში, პარლამენტის შენობაში სააგენტოს მიერ მოწყობილ სტენდზე, ღონისძიებაში მონაწილე ყველა პოტენციურ ინვეტორს/ბიზნესმენს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ცალკეულ სექტორებში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ საერთაშორისო საკონსულტაციო და აუდიტორული კომანია „KPMG“-ს მმართველი პარტნიორების მიერ გამართულ კონფერენციაზე (ქ. თბილისი), რომელსაც ესწრებოდა 85 მმართველი პარტნიორი სხვადასხვა ქვეყნიდან, სააგენტომ წარადგინა საინვესტიციო და ბიზნეს კლიმატის ამსახველი პრეზენტაცია და გამართა შეხვედრები სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში;
- ✓ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ავსტრიელ ბიზნესმენებთან გამართულ „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრაზე და ასევე, საქართველო-ავსტრიის ბიზნეს ფორუმზე მოეწყო პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ბიზნესის შესაძლებლობების შესახებ, მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებთან დაკავშირებით;
- ✓ ქ. სიენში (ჩინეთი) გამართულ საერთაშორისო საინვესტიციო და სავაჭრო გამოფენებზე (მათ შორის „აბრეშუმის გზის“ საერთაშორისო გამოფენაზე), სააგენტოს მიერ მოწყობილი სტენდის მეშვეობით, პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდა ინფორმაცია ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცალკეული სექტორების მიხედვით;
- ✓ ქ. ლონდონში, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია „Cushman Wakefield Veritas Braun“-ის ორგანიზებით ჩატარებულ უძრავი ქონების საინვესტიციო ფორუმზე „Invest in Georgian Real Estate“ მოეწყო საქართველოში არსებული ეკონომიკური და საინვესტიციო გარემოს გაცნობა;
- ✓ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე, მოეწყო პრეზენტაცია საერთაშორისო აუდიტორული და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია „BDO International“-ის მიერ ჩატარებული საინვესტიციო გარემოს შემსწავლელი კვლევის დეტალური შედეგების და ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო სიახლეების შესახებ;
- ✓ ჰონგ-კონგში გამართულ „GACCI – Confederation of Asia-Pacific Chambers of Commerce and Industry“-ის რიგით 29-ე ყრილობის ფარგლებში საინვესტიციო სააგენტოს წარმომადგენლების მიერ ჩატარდა სპეციალური სესია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობების შესახებ;
- ✓ საქართველო-სამხრეთ აფრიკის ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები პოტენციურ უცხოურ ინვესტორებთან;

- ✓ „Tbilisi Silk Road Forum” ფორუმის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები 20-მდე პოტენციურ ინვესტორ კომპანია/საერთაშორისო ორგანიზაციასთან („AL Shafar Group“, „Pamporovo“, „Bumtex International“, „Dubai Chamber of Commerce & Industry“ და ა.შ.);
- ✓ საქართველო-პოლონეთის ფორუმის და საქართველო-ნიდერლანდების ბიზნეს ფორუმის ფარგლებში გაიმართა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ.
- დასრულდა მუშაობა სააგენტოს ახალ ინგლისურენოვან ვებ-გვერდზე, სადაც განთავსებულია დეტალური ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო კუთხით ყველაზე მიმზიდველი სექტორების, ამჟამად მიმდინარე საინვესტიციო პროექტების, კანონმდებლობისა და ბიზნესის საქმიანობის პროცედურების შესახებ, სხვადასხვა ინტერაქტიული მოდულები და „Google Map“-ის პლატფორმაზე შექმნილი საქართველოს საინვესტიციო რუკა, რომელიც მომხმარებლებს აძლევს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების ნახვის საშუალებას.

5.12 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში დასრულდა სააგენტოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის რენოვაციის სამუშაოები, ხოლო მე-II ეტაპის ფარგლებში მიმდინარეობდა ტექნიკური დახმარების პროექტისა და სააგენტოს ეტალონური ბაზის განახლებისათვის შესყიდვის პროექტის განხორციელება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო დაჯილდოვდა 2014 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის;
- „ერთად შევეგებოთ ევროპას“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ქალაქებში (ქ. ქუთაისი, ქ. თელავი, ქ. მარნეული) გამართულ შეხვედრებში, რომელიც დაეთმო შემდეგ თემებს: ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA); ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში; ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურა, მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საკითხები;

- რთველის პროცესის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობისათვის, სააგენტოს თელავის რეგიონალური მომსახურების ცენტრის მიერ განხორციელდა ყურძნის მიმღებ საწარმოებში საავტომობილო სასწორების დამოწმება/დაკალიბრება;
- საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკის ერთობლივი სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობოთშორისი კომისიის მეორე სხდომის ფარგლებში გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას საქართველოსა და ლატვიის ეროვნული სტანდარტიზაციის უწყებებს შორის, გამოცდილებისა და განხორციელებული მიღწევების გაზიარებას;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის დაკალიბრების და გაზომვის შესაძლებლობების (CMC) ელექტრობის დარჩენილი 12 ჩანაწერი გამოქვეყნდა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მონაცემთა ბაზაში, რაც ნიშნავს აღნიშნულ სფეროებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრების და გაზომვების სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებას;
- ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს (BIPM) მიერ სააგენტოს მიეცა CMC მონაცემებით დაფარულ სფეროებში (ელექტრობა, მასა და ტემპერატურული გაზომვები) გაცემულ დაკალიბრებისა და გაზომვის სერტიფიკატებზე ურთიერთაღიარების შეთანხმების (CIPM MRA) ლოგოს დატანის უფლება;
- სააგენტომ აღიარებულ სფეროებში გაუწია მომსახურება სომხეთის აკრედიტებულ კერძო საგამოცდო ლაბორატორიას, რომელმაც სააგენტოს მომართა საწონებისა და თერმომეტრების დაკალიბრების და აღიარებული დაკალიბრების სერტიფიკატების მიღების მიზნით;
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს:
 - ✓ ქ. რიგაში გამართულ სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CEN) 43-ე, ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის (CENELEC) 55-ე გენერალურ ასაბლევაში და ასევე, ევროპის სტანდარტიზაციის მე-4 სამიტში. ღონისძიების მთავარ თემას წარმოადგენდა ევროპაში სამშენებლო სტანდარტების გაუმჯობესება და მათი დანერგვა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარებისათვის. ღონისძიების ფარგლებში, სტანდარტიზაციის სფეროში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და პოლონეთის სტანდარტიზაციის კომიტეტს შორის;
 - ✓ ქ. სეულში გამართულ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) 38-ე გენერალური ასამბლეაში, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა ISO-ს სტრატეგიის „ISO 2016–2020“ განხილვა წევრი ქვეყნების მიერ;
 - ✓ ქ.მინსკში გამართულ საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC-ის) 79-ე გენერალურ შეხვედრაში, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა

ახალი კონცეფცია „Smart city” და მასთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავების აუცილებლობა;

- სააგენტოს სხვადასხვა განყოფილებების სპეციალისტება მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის სხდომებში (ტკ 1.5 „სიგრძე და კუთხე“ (ქ. სტამბული), ტკ 1.9 „მინიზებული გამოსხივება“ (ქ. ბაქო), ტ.კ. 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ (ქ. მოსკოვი));
- სააგენტოს მასის ეტალონურ განყოფილებამ მომახურება გაუწია „საქართველოს რკინიგზას“, დამოწმდა სს „საქართველოს რკინიგზის“ კუთვნილი 150 ტონიანი სავაგონო სასწორი;
- მასის ეტალონურ განყოფილებაში ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ევროპელი ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგის პირველი ეტაპი „არაავტომატური სასწორების დაკალიბრება“, „ეტალონების შუალედური შემოწმება“, დაკალიბრება ე.წ. „sub-division“-მეთოდით;
- სააგენტოში პერმანენტულად ხორციელდებოდა ეტალონური ბაზის შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები;
- რადიოფიზიკის, ოპტიკის, აკუსტიკისა და ფიზ-ქიმიური გაზომვების ეტალონური განყოფილების ლაბორატორიები განთავსდა განახლებულ სათავსებში;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ყოველწლიური ანალიზი;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების მიერ დასრულდა „VIM მეტროლოგიის საერთაშორისო ლექსიკონი - ძირითადი და ზოგადი ცნებები და განმარტებები“ ლექსიკონის ქართულენოვანი პროექტის განხილვა;
- COOMET-ის „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებების“ პროექტის ფარგლებში სააგენტომ წამყვანი (პილოტი) ლაბორატორიის სტატუსით მონაწილეობა მიიღო გაზომვით სამუშაოებში;
- დამთავრდა COOMET-ის „სამრეწველო სიხშირის ცვლადი ძაბვის (1...150) კვ ელექტრული ტევადობის და დიელექტრიკული დანაკარგების კუთხის გაზომვის ეტალონური სისტემების დამატებითი შედარებების“ გაზომვითი სამუშაოები;
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ ლაბორატორიაში, სხვადასხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრების პროცედურების შემუშავების პროცესში, შემუშავებული და მიღებული იქნა შემდეგი პროცედურები: „სიგრძის საზომი რულეტები. დაკალიბრების პროცედურა“ და „მეტროჰოკები ნავთობპროდუქტების დონის გაზომვისათვის საცავებში. დაკალიბრების პროცედურა“;
- ჩატარდა სამრეწველო მრიცხველების დასაკალიბრებელი სტენდის მოდერნიზაციის სამუშაოები და განხორციელდა ლაბორატორიული პროცედურების გადამუშავება (ბუნებრივი აირის სამრეწველო მრიცხველების დაკალიბრების პროცედურა და საყოფაცხოვრებო მრიცხველების დასამოწმებელი სტენდის დაკალიბრების პროცედურა);
- სააგენტოს მაიონიზებული მეტროლოგიის განყოფილების მიერ დაკალიბრდა 36 ხელსაწყო და რადიაციული კვლევა ჩატარდა 48 ერთეულს;

- სააგენტოს რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურმა განყოფილებამ წარმატებით გაიარა გეგმიური შემოწმება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილების მიერ ჩატარდა საკონტროლო სალარო აპარატის გამოცდა,
- დარეგისტრირდა დაკანონებული გაზომვის საშუალების 26 ტიპი (ექსპერტიზა, აღიარება, რეგისტრაცია), განხორციელდა 188 913 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (მათ შორის: ელექტრომრიცხველები - 3 157 ცალი, გაზის მრიცხველები - 144 391 ცალი, წყლის მრიცხველები - 41 365 ცალი);
- სტანდარტების ტექნიკური კომიტეტების მიერ მიიღებულ იქნა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები: „საერთაშორისო ელექტროტექნიკური ლექსიკონი, თავი 601: ელექტროენერჯის წარმოება, გადაცემა და განაწილება - ზოგადი“; „გაზის ინფრასტრუქტურა - გაზის გადამცემი და გამანაწილებელი საკომპრესორო სადგურები - ფუნქციური მოთხოვნები“; „სათავგადასავლო ტურიზმი - ლიდერები - პერსონალის კომპეტენცია“; „გარემოს დაცვის მენეჯმენტის“ 8 სტანდარტი; „სამედიცინო ლაბორატორიები - მოთხოვნები ხარისხისა და კომპეტენციის“; „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“; მიკრობიოლოგიური გამოცდის მეთოდების 7 სტანდარტი და „წყალი ნატურალური მინერალური „ლიკანი“. ტექნიკური პირობები“; „დამცავი ვენტილაციის სისტემა აირის აფეთქების დროს“; „აფეთქების იზოლაციის სისტემა“; „ფეთქებადსაშიში გარემო - ფეთქებადობის პრევენცია და დაცვა - ნაწილი 1: ძირითადი კონცეფცია და მეთოდოლოგია“; „უსაფრთხოების ხელსაწყოები უსაფრთხოდ ფუნქციონირებადი აღჭურვილობისათვის, რომელიც ითვალისწინებს აფეთქების რისკს“ და სხვა;
- საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 400 ნოტიფიკაცია, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 4 ნოტიფიკაცია საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ და ასევე, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიეწოდა საქართველოს მიერ ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების 5 სრული ტექსტი;
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ დარეგისტრირდა სულ 1 737 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 628; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 811; სსტ იეკ (ელექტრო ტექნიკური კომიტეტის სტანდარტი) - 254; სსტ (საქართველოს სტანდარტი) - 26; სსტ უპუ (უნივერსალური საფოსტო კავშირი) – 12; სსტ სენ ტს (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური სპეციფიკაცია) – 3; სსტ სენ /სენელეკ Guide (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის საერთაშორისო დოკუმენტი) – 3;

- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ 308 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 220; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 43; გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) – 15; რსტ (რესპუბლიკური სტანდარტი) - 14; მი (მეთოდური ინსტრუქცია) - 7; სსტ სენ ტს (ევროპის სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ტექნიკური სპეციფიკაცია) – 2; სსტ სენ/ტრ (ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის ტექნიკური ანგარიში) - 1; სსტ (საქართველოს სტანდარტი) – 6.

5.14 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტებულ იქნა 36 შესაბამისობის შემფასებელი პირი (მათ შორის: საგამოცდო ლაბორატორია - 25; საკალიბრებელი ლაბორატორია - 2; ინსპექტირების ორგანო - 7 (დაკანონებული გაზომვის საშუალების დამმოწმებელი პირი - 4 და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი - 3); სამედიცინო ლაბორატორია - 1 და პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 1);
- გეგმური მონიტორინგი გაიარა 88-მა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა (მათ შორის: საკალიბრებელი ლაბორატორია - 6; პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 4; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 4; ინსპექტირების ორგანო - 22; საგამოცდო ლაბორატორია - 52);
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა დარღვევის გამო, აკრედიტაცია შეუჩერდა ერთ აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიას და ერთ აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიას შეუმცირდა აკრედიტაციის სფერო;
- განხორციელდა 12 აკრედიტაცია დამატებით სფეროში (მათ შორის: საგამოცდო ლაბორატორია - 11 და საკალიბრებელი ლაბორატორია - 1);
- აკრედიტაციის მოწმობის ვადის აღდგენის მიზნით ჩატარდა 1 პროდუქტის (პროცესის) სერტიფიკაციის ორგანოს არაგეგმიური მონიტორინგი;
- აკრედიტაციის ცენტრმა განახორციელა ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის სფეროს გაფართოება, რაც ითვალისწინებს მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების პერიოდული ინსპექტირების სფეროში აკრედიტაციის გზით კერძო სექტორზე ინსპექტირების უფლებების დელეგირებას (მთავრობის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტების თანახმად).
- ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების (CIB) პროგრამის ფარგლებში აკრედიტაციის ცენტრში მიმდინარეობდა „აკრედიტაციის სისტემის

განვითარების შემდგომი მხარდაჭერა; ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“ პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინტენსიური ტრენინგების პროგრამის შემუშავება და იმპლემენტაცია; აკრედიტაციის ახალი სქემების იმპლემენტაცია; შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციაში ხელშეწყობა ახალი და გლობალური დირექტივების შესაბამისად; სასწავლო ვიზიტები ევროკავშირის ქვეყნებში გამოცდილების გაზიარების მიზნით;

- საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და აკრედიტაციის ცენტრის EA-ში (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) წევრობის სტატუსის თანახმად, აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EA-ს ყოველწლიური ლაბორატორიული, ინსპექტირების და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტებისა და ასევე, EA-ს გენერალური ასამბლეის მუშაობაში;
- აკრედიტაციის ცენტრში განხორციელდა წინასწარი კოლეგიალური შეფასება EA-ს მხრიდან, რის შედეგადაც აკრედიტაციის ცენტრმა მიიღო დადებითი შეფასება.

6. ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

6.2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი
- ✓ სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

- საანგარიშო პერიოდში სულ განხორციელდა 128 აუდიტი, მათ შორის: 118 ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, 10 ეფექტიანობის აუდიტი. გადამზადდა 12 თანამშრომელი ეფექტიანობის აუდიტის მიმართულებით;
- მსოფლიო ბანკსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შორის გაფორმდა გრანტის ხელშეკრულება პროექტზე „სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განვითარება“, რომლის მთავარი ამოცანაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის დანერგვა და განვითარება;
- დასრულდა პირველი IT აუდიტის ანგარიში „სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების ეფექტიანობის აუდიტი“, რომელიც პარალელურად ჩატარდა 11 სხვადასხვა უმაღლეს აუდიტორულ ორგანოსთან კოორდინირებულად;

- ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა სახელმწიფო ვალის მართვის ინფორმაციული სისტემების კოორდინირებულ პარალელურ აუდიტთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) სახელმწიფო ვალის სამუშაო ჯგუფისა და უკრაინის საანგარიშო პალატის კოორდინაციითა და ორგანიზებით;
- შედგა შეხვედრა, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (INTOSAI) IT აუდიტის სამუშაო ჯგუფის ელექტრონული მთავრობის ქვეკომიტეტში, სადაც განხილულ იქნა ინოვაციური ინსტრუმენტი - „CUBE“, ეს არის მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე IT აუდიტის შედეგების ინფორმაცია.
- მონაცემთა ანალიზში შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ტრენინგი MS-EXCEL - ის გამოყენებით, რომელშიც 27- მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.
- ჩამოყალიბდა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის ჯგუფი, რომლებმაც ინტენსიური ტრენინგი და პრაქტიკული კურსი გაიარა მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებში და შესაბამისად მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტში;
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) ინოვაციების რიგით მესამე ბროშურაში დაიბეჭდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (სას) მიერ მომზადებული სტატია, რომელიც მიმოიხილავს სას-ის ინოვაციურ მეთოდებს, რომელთა მთავარ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობა;
- ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების Global Integrity და Sunlight Foundation მიერ შედგენილ რეიტინგში, პოლიტიკური ფინანსების საკითხის მოწესრიგების კუთხით (Money, Politics and Transparency) საქართველომ დაიკავა პირველი ადგილი მსოფლიოში;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ჩაატარა 14 ანგარიშის ხარისხის კონტროლის შემოწმება;
- განხორციელდა აუდიტორული საქმიანობის შედეგად სას-ის მიერ 2012-2014 წლებში გაცემული 745 რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე მოხსენების მომზადების ფარგლებში ჩატარდა სამინისტროების საპილოტე მიმოხილვა სარეიტინგო სისტემისათვის შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, რომლის პირველადი შედეგები აისახა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში;
- სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა საჯარო სექტორის აუდიტორების სერტიფიცირება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა კანდიდატმა. ასევე, ჩაატარა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო პროცესის პრაქტიკის ტრენინგი (გადამზადდა 27 მონაწილე), საგადასახადო აუდიტის ჩატარების წესის ტრენინგი (გადამზადდა 26 მონაწილე), სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესწავლის ტრენინგი (გადამზადდა 50 მონაწილე);
- საქართველოს პარლამენტში გაიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 3 აუდიტის ანგარიშის საკომიტეტო მოსმენა, გაიგზავნა სას-ის 203 აუდიტის ანგარიში.

- სას-მა მონაწილეობა მიიღო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომებში, გამართა შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლის ძირითადი მიზანი იყო სას-ის მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის გაცნობა;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც განხილულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტები;
- აუდიტის სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების ელექტრონულ სისტემას დაემატა რამდენიმე მოდული. ასევე, სისტემაში სრულად არის ასახული ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩატარებულ აუდიტების შესაბამისი ინფორმაცია;
- TWINNING-ის პროექტის „საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერება“ ფარგლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში გაიმართა შეხვედრები მოკლევადიან ექსპერტებთან, რომლებმაც შეიმუშავეს რეკომენდაციები.

6.3 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 11 საარჩევნო სუბიექტი (პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, საქართველოს კონსერვატიული პარტია, პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია), ხოლო ამავე კანონის 30' მუხლის შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებები დაფინანსდნენ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით;
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 43-ე მუხლის საფუძველზე 2015 წლის სენაკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოს, ასევე

№11 საგარეჯოსა და №65 მარტვილის საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოების შუალედური არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების უზრუნველსაყოფად დაფინანსდა 3 საარჩევნო სუბიექტი:

- ✓ ბლოკი „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- ✓ ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- ✓ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“.

- საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 12,2 მლნ ლარამდე;
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსების საფუძველზე შეირჩა და დაფინანსდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი 37 საგრანტო პროექტი.

6.4 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- გაიმართა 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის პრეზენტაცია, რომელიც 4 ძირითად სტრატეგიულ პრიორიტეტს მოიცავს: ინსტიტუციური გაძლიერება, სამოქალაქო და ამომრჩეველთა განათლება, საარჩევნო გარემო და საარჩევნო ოპერაციები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით;
- მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის და ასევე, საარჩევნო პროცესებში საზოგადოების მონაწილეობის ზრდის მიზნით;
- საარჩევნო უბნების გეოგრაფიული მდებარეობის მონაცემების ხელმისაწვდომობის მიზნით შეიქმნა და ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსდა ინტერაქტიული რუკა, სადაც აღნიშნულია 43 საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალი 2 245 საარჩევნო უბნის გეოგრაფიული კოორდინატები. მიმდინარეობდა მუშაობა დანარჩენი საარჩევნო უბნების კოორდინატების სისწორის დასადგენად;
- სამოქალაქო ჩართულობის გაზრდისა და ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა საპილოტე პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ თემებზე: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა. პროექტმა მოიცვა 10 საარჩევნო ოლქი (თელავი, სიღნაღი, ახალციხე, მარნეული, გორი, რუსთავი, ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი და ბათუმი).

6.5 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

- დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2014 წლის პროგრესის ანგარიში, განახლებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და შემუშავდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის პროექტი;
- დამტკიცდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები;
- მიღებულ იქნა მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებსა და ღონისძიებებში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;
- მომზადდა კანონპროექტი პროკურატურის რეფორმის შესახებ, რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს და გაიგზავნა ექსპერტიზისთვის ვენეციის კომისიაში, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისსა და ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის დირექტორატში. ვენეციის კომისიის შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით მიღებული იქნა კანონპროექტის საბოლოო ვერსია;
- შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სტამბულის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ასევე, ჩატარდა შედარებით-სამართლებრივი კვლევა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმასთან დაკავშირებით და მომზადდა შესაბამისი კანონპროექტი;
- პარლამენტის მიერ მიღებული იქნა მოწმის დაკითხვის ინსტიტუტის რეფორმასთან დაკავშირებით შემუშავებული კანონპროექტის საბოლოო რედაქცია.
- ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განახლებული ეროვნული სტრატეგია, 2015-2016 წლების ახალი სამოქმედო გეგმა და ანტიკორუფციული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ახალი მეთოდოლოგია; განახლდა 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, გაიწერა ქვეღონისძიებები და დაზუსტდა დაფინანსების წყაროები. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; მომზადდა ანგარიში 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის პირველი ექვსი თვის პროგრესის შესახებ; მიმდინარეობდა მუშაობა ანტიკორუფციული რეფორმების შესახებ

საინფორმაციო ბროშურის მომზადებაზე და პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით, განახლდა ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

- განხილულ იქნა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტი;
- მომზადდა ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) საქართველოს შეფასების მესამე რაუნდის შეფასების ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ სიტუაციური ანგარიში და წარედგინა „GRECO“-ს სამდივნოს. კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის პლენარული სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს მესამე რაუნდის შესრულების შეფასების ანგარიში, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფოს მესამე და მეოთხე რაუნდების შესრულების შეფასების ანგარიშები. სხდომაზე საქართველომ წარმოადგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში. კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის შეფასების მიხედვით, საქართველოს არცერთი რეკომენდაცია არ აქვს შეუსრულებელი, კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით გაცემული 5 რეკომენდაციიდან ყველა ითვლება სრულად შესრულებულად, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით გაცემული 10 რეკომენდაციიდან 3 ითვლება სრულად, ხოლო 7 რეკომენდაცია – ნაწილობრივ შესრულებულად;
- წარმატებით დასრულდა ვიზალიბერალიზაციის პირველი და მეორე ფაზები;
- დასრულდა „ღია მმართველობა – საქართველოს“ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, შემუშავდა და „OGP“-ის სამდივნოს წარედგინა სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების შუალედური ანგარიში;
- შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში;
- მომზადდა ტრეფიკინგთან ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის პროექტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის წარსადგენად;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში დამტკიცდა ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების საკითხთან დაკავშირებით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და მომზადდა ტრეფიკინგის საქმეებთან დაკავშირებული ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელშიც შესულია როგორც სამართალდამცავთა მიერ წარმოდგენილი მონაცემები, ისე ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მიერ სერვისებით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია;
- მომზადდა ნარკომანიასთან ბრძოლის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმების პროექტი, რომელიც დამტკიცდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან განხილვის შემდგომ და შემუშავდა ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი;
- შემუშავდა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპით გათვალისწინებული საკანონმდებლო პაკეტი; საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მოსამართლეობის

კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, მათი მახასიათებლები და სხვ. ამ ეტაპზე საკანონმდებლო პაკეტის განხილვა საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს;

- შემუშავდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი პროექტი, რომელიც დაიხვეწა მასში ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების ასახვის თვალსაზრისით. ასევე, მომზადდა აღსრულების კოდექსის ახალი პროექტი თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიმართულებით;
- შევიდა ცვლილებები „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც სანოტარო საქმიანობა გავრცელდა მაღალმთიან დასახლებაში ან ისეთ დასახლებაში, სადაც სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის; ასეთ დასახლებებში დანიშნული ნოტარიუსებისათვის კი უზრუნველყოფილ იქნა საქმიანობის ხელშემწყობი პირობები;
- მომზადდა „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად.

6.6 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

- განხორციელდა ჟენევაში, გაერო-ს განყოფილების ბიბლიოთეკაში დაცული, „ერთა ლიგაში“ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელ ხარიტონ შავიშვილის პირადი არქივის დასკანირება და ციფრულ მატარებლებზე შენახვა და ელექტრონული ასლების ეროვნულ არქივში ჩამოტანა;
- რუსთავეში, თელავსა და აბაშაში ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე, კონდიციონერ-ვენტილაციისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე სისტემებით აღჭურვილმა, განახლებულმა არქივებმა;
- დასრულდა ზუგდიდში სამეგრელოს რეგიონული არქივის შენობის სამშენებლო/სარემონტო, საჭირო სისტემებითა და შესაბამისი ინვენტარით მოწყობის სამუშაოები, ხოლო ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის შენობის მშენებლობისა და ქ. თბილისის ეროვნული არქივის საგამოფენო და შემეცნებითი სივრცის მშენებლობის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები;
- მოქალაქეთა მომსახურებისა და საარქივო დოკუმენტების დაკომპლექტების გაუმჯობესების მიზნით გაიხსნა ადგილობრივი წარმომადგენლობები გარდაბნის, მარნეულის, დმანისის,

ბორჯომის, ყაზბეგის, ბაღდათის, ახმეტისა და წალკის რაიონებში, ასევე, სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღიჭურვა არქივის ოფისები;

- დასრულდა კახეთის, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის რეგიონული არქივის საცავებში საარქივო მასალების გადაზიდვისა და განთავსების სამუშაოები სხვადასხვა ადგილობრივი არქივიდან (გარდაბანი, ბოლნისი, გურჯაანი, თელავი, აბაშა);
- სამუშაოები ჩატარდა შემდეგი პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და გაუმჯობესებისათვის:
 - ✓ მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემა;
 - ✓ საარქივო დოკუმენტების (ფოტო/ვიდეო/ფონოდოკუმენტების, ტექსტური დოკუმენტების, რუკების) ელექტრონული კატალოგები;
 - ✓ მოქალაქეთა მომსახურების პროგრამის პარამეტრები;
 - ✓ ონლაინ მომსახურების რეჟიმი, რაც გულისხმობს განცხადებების მიღებას და ცნობების გაცემას ვებგვერდის საშუალებით.
- განხორციელდა ეროვნული საარქივო ფონდის ციფრულ მატარებლებზე გადატანა, ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. დასკანირდა საარქივო მასალები (865 ათას გვერდზე მეტი), განხორციელდა ელექტრონულად შენახული ფაილების აწყობა-დამუშავება, ტექნიკური და შინაარსობრივი შემოწმება. ელექტრონულად შენახულ იქნა 8 400 ერთეულზე მეტი ფოტოდოკუმენტი, 390 ერთეულამდე კინოდოკუმენტი და 24 ერთეული აუდიოკომპაქტდისკი; ასევე, განხორციელდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საარქივო დოკუმენტების (1 420 ათას გვერდზე მეტი) დასკანირება და ელექტრონულად შენახვა. ციფრულ მატარებლებზე იქნა გადატანილი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური ფონდის 188 000-ზე მეტი ფაილი, მათ შორის ფართოფორმატიანი რუკები 2 100 ერთეულზე მეტი;
- მიმდინარეობდა შემდეგი სისტემების შემუშავება, დანერგვა და დახვეწა: სკანირების აპარატურის კალიბრაციისა და ოპერირების პროგრამა, სკანირების პროცესის მონიტორინგის სისტემა, სკანირებული დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი, ელექტრონული საარქივო დოკუმენტების ანოტირების სტანდარტები, ელექტრონულ რეესტრში სკანირებული მასალის კატალოგი;
- დასრულდა ხანძარსა და ავტომატური სისტემის სამონტაჟო სამუშაოები თბილისში მდებარე სამი ცენტრალური არქივის საცავებში (უახლესი ისტორიის, საისტორიო არქივისა და კინო/ფოტო/ფონო/არქივების).

6.7 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

- გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო 10 საზოგადოებრივმა ცენტრმა (აქედან 2 - განახლებული ბიბლიოთეკა/საზოგადოებრივი ცენტრი) - ხიდისთავის (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი), ნუკრიანის (სიღნაღის მუნიციპალიტეტი), კორბოულის (საჩხერის მუნიციპალიტეტი), ღორემას (ხარაგაულის მუნიციპალიტეტი), დაბა კაზრეთის (ბოლნისის მუნიციპალიტეტი), შილდას (ყვარლის მუნიციპალიტეტი), ორსანტიას (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ქვემო ნატანების (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი), კაბალის (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი) და ლენტეხის (ლენტეხის მუნიციპალიტეტი). სულ 2015 წლის ბოლოსთვის ფუნქციონირებს 27 საზოგადოებრივი ცენტრი. დასრულდა 5 საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა შემდეგ სოფლებში/დაბებში: მარტყოფში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი), სადახლოში (მარნეულის მუნიციპალიტეტი), ხრეთში (ჭიათურის მუნიციპალიტეტი), დიდ ჯიხაიშში (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) და ჩაქვში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი). დაიწყო საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა იორმულანლოში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი); საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომი გახდა სსიპ „საქართველოს ნოტარიუსთა პალატისა“ და სსიპ „იურიდიული დახმარების ცენტრის“ სერვისები;
- შიდა ქართლის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის რეგიონებში ამოქმედდა „ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრები“. 32 ექსპრეს საზოგადოებრივი ცენტრი მოემსახურება 700-ზე მეტ სოფელს; ტრენინგი ჩაუტარდა შიდა ქართლის, კახეთის, ქვემო ქართლის, სამეგრელო/ზემო სვანეთის, რაჭა/ლეჩხუმის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონის 140-ზე მეტ ოპერატორს;
- 9 საპილოტე მუნიციპალიტეტში (ქარელის, ხაშურის, ხობის, ახმეტის, ყვარლის, ჩხოროწყუს, მცხეთის, გორისა და ზუგდიდის) ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზნით, შესრულდა მოსამზადებელი სამუშაოები;
- დამისამართების სისტემაში დაინერგა გლდანის რაიონის სამისამართო ერთეულები, საველე სამუშაოები დასრულდა ჩუღურეთის რაიონში. განხორციელდა მოსახლეობის იდენტიფიცირება 17 ქალაქში: ბათუმი, ზუგდიდი, თელავი, გორი, ლანჩხუთი, ბოლნისი, ფოთი, სამტრედიისი, ქობულეთი, სენაკი, ოზურგეთი, ზესტაფონი, ახალციხე, გურჯაანი, საგარეჯო, ხაშური და მცხეთა;
- ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში რისკების მართვის მიზნით შეიქმნა მეთოდოლოგია და მონაცემთა ბაზა, რომელიც სააგენტოს რისკების მართვის მეთოდოლოგიის შესაბამისად იძლევა „ნარჩენი რისკების“ დათვლის საშუალებას. ასევე, მოხდა მონაცემთა კარგვის და არასანქცირებული გადინების პრევენციის სისტემის (DLP) დანერგვა, რაც სააგენტოს საშუალებას მისცემს მონიტორინგი გაუწიოს კორპორაციული ინფრასტრუქტურულიდან ინფორმაციის გასვლის პროცესებს და ასევე, უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვა;

- „საარჩევნო სიების სრულყოფის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ გარდაცვლილ და არასრულწლოვან პირთა გაორებული ჩანაწერების აღმოჩენა და აღმოფხვრა;
 - ✓ მონაცემთა ბაზაში სავარაუდოდ გარდაცვლილ პირთა აქტიური ჩანაწერების შემცირება;
 - ✓ მონაცემთა ბაზაში უსურათო/უხარისხო ჩანაწერების შემცირება;
 - ✓ საკონსულო არქივების დიგიტალიზაცია (პირველი ეტაპი).
- შემოწმდა 947 000-მდე მოქალაქის ჩანაწერი; ტერიტორიული სამსახურების მიერ გასწორდა 290-მდე გაორებული ჩანაწერი; შედგა 190-მდე გარდაცვალების ოქმი; 370-ზე მეტ მოქალაქეს დაუმზადდა პირადობის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი, ხოლო 100-ზე მეტ მოქალაქეს მიეცა ფოტოსურათის (პირადობის მოწმობის ალების გარეშე) გადაღებისა და სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში განთავსების შესაძლებლობა. ასევე, საკონსულო არქივებში მოძიებულ იქნა 500-მდე მოქალაქის ფოტო;
- სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაციის პროექტის ფარგლებში, რაც წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს, სააგენტოს მიერ დიგიტალიზებული და ციფრულ ფორმატში გადაყვანილ იქნა 1 142 300-ზე მეტი აქტი;
- ორგანიზაციული ცოდნის დაგროვების მიზნით, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ცოდნის დაგროვების ელექტრონული ინსტრუმენტი, ცოდნის ბაზა. კერძოდ, შემუშავდა ვებპორტალი, სადაც 2016 წელს წინასწარ განსაზღვრული და შემუშავებული ფორმატით განთავსდება ორგანიზაციისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რის შემდეგაც მოხდება თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გაზიარების კულტურის დანერგვა;
- საანგარიშო პერიოდში სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაახლოებით 780 თანამშრომელს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის ტრენინგი (პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, იდეების ყუთის პორტალის დანერგვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, მომსახურების სტანდარტები ქორწინების სახლების თანამშრომლებისთვის, ტრენინგი სამოქალაქო აქტების შესახებ და სხვ.);
- ტერიტორიული სამსახურების გარემოს გაუმჯობესებისა და შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით, ბათუმისა და სიღნაღის ქორწინების სახლებსა და ასევე, ასპინძისა და ხარაგაულის ტერიტორიულ სამსახურებში დასრულდა სარემონტო სამუშაოები;
- შემუშავდა კანონპროექტი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“. შეიქმნა ციფრული შტამპის პორტალის საპილოტე ვერსია; შემუშავდა ციფრული შტამპის ადმინისტრირების პორტალის საწყობის ფუნქციონალი და ციფრული ხელმოწერის პორტალის საბაზისო ვერსია, მიმდინარეობდა მისი პილოტირება;
- „ID ბარათის ახალი მიდღვეარის“ პროექტის ფარგლებში (ID-ბარათის გამოყენების გაადვილებას მომხმარებლის პერსონალურ კომპიუტერზე), შემუშავდა შესაბამისი პროგრამული პაკეტები „Windows“, „Linux“ და „Mac OS X“ გარემოსთვის. მიმდინარეობდა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება და ტესტირება სხვადასხვა სისტემაში (მათ შორის, „My.Gov.Ge“ პორტალზე) გამოსაყენებლად;

- დაგეგმილი აქციების ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიცა 441 000-მდე პირადობის ელექტრონული მოწმობა და 20 000-მდე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი;
- გაიზარდა სააგენტოს მიერ წარმოებული დისტანციური სერვისების რაოდენობა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (კერძოდ, ყრუ და სმენადაქვეითებული) პირებისათვის;
- „დიპლომატთა დოკუმენტების მართვის სისტემის“ პროექტის ფარგლებში, დასრულდა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვის პროცესი. შეიქმნა საქმისწარმოების ავტომატიზირებული სისტემა. სისტემაში ჩაერთო საქართველოს შემოსავლების სამსახური. დასრულდა დიპლომატთა დოკუმენტების ბეჭდვის მოდულის ტესტირება;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების თაობაზე ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდება სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის“, სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მეშვეობით;
- განხორციელდა ინფორმაციის გაცვლის სერვისების ავტომატიზაცია (თავშესაფრის მაძიებელთა (ლტოლვილი, ჰუმანიტარი) რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია უწყებებს შორის იცვლება ავტომატურად, რაც გამორიცხავს დოკუმენტების გაყალბებას და პირზე დოკუმენტების გაცემის საფრთხეებს);
- დაინერგა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაზღვევის სერვისი: საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის, პირადობის ელექტრონული მოწმობის, მუდმივი და დროებითი ბინადრობის ელექტრონული მოწმობების, მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტისა და ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტის დაკარგვის, დაზიანების ან ძარცვის შემთხვევაში, „ჯიპიაი ჰოლდინგი“ დაფარავს საბუთის აღდგენის ღირებულებას და მოქალაქე მას უფასოდ მიიღებს;
- დამტკიცდა 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია;
- მიღებულ იქნა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი; დასრულდა და გამოქვეყნდა ლეგალური მიგრაციის ორენოვანი გზამკვლევის ემიგრაციისა და იმიგრაციის ნაწილი; შემუშავდა საქართველოს 2015 წლის მიგრაციის პროფილი;
- დასრულდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მე-2 ფაზით გათვალისწინებული მე-2 ბლოკის ღონისძიებები.

6.9 საქართველოს სახალხო დამცველის (პროგრამული კოდი 41 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2014 წლის ანგარიში;
- სახალხო დამცველის აპარატის ორგანიზებით და მონაწილეობით ჩატარდა სხვადასხვა სახის შეხვედრა და ღონისძიება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხებზე.
- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე განხორციელდა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგი, ასევე იხილებოდა და რეაგირება ხორციელდებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებებთან დაკავშირებით;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები;
- საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით გაიმართა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში შშმ პირთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია;
- მონაწილეობა მიღებულ იქნა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობისა და აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებულ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში როგორც საქართველოს მოსახლეობასთან, ისე სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან;
- ტოლერანტობის ცენტრის მიერ განხორციელდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- მიმდინარეობდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება;
- განხორციელდა რელიგიური კონფესიების ბავშვთა სახლებში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია;
- გაიმართა შეხვედრა ლგბტ პატიმრების უფლებების მონიტორინგის კუთხით;
- გამოქვეყნდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ბიულეტენი;
- მომზადდა და გაიგზავნა სახალხო დამცველის კომენტარები წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშთან დაკავშირებით;
- მოეწყო სპეციალიზებულ დაწესებულებებში ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია;
- მონიტორინგი განხორციელდა N9, N15 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში, მიგრაციის ცენტრში, ჰაუპტვახტებში, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში;
- გამოიცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საინფორმაციო ბიულეტენი;

**6.10 ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება
(პროგრამული კოდი 26 06)**

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

- IT-სერვისების სრული სპექტრით მომსახურებაზე აყვანის მიზნით ხელშეკრულებები გაფორმდა 35 ორგანიზაციასთან (მათ შორის: 4 სამინისტროსთან, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატთან, 13 სსიპ-თან, 14 მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, 1 სააქციო საზოგადოებასთან და 1 შპს-სთან);
- ბრიტანულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულდა საქართველოს სამთავრობო ქლაუდის სისტემის შექმნაზე მუშაობა და გაეშვა სატესტო რეჟიმში;
- აშენდა სასერვერო ოთახის ძირითადი კონსტრუქცია, დასრულდა სარემონტო და აღჭურვის სამუშაოები, ჩატარდა მიგრაციის სამუშაოების ნაწილი;
- შეიქმნა და დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფა „სმართ დოკი“, რომლის საშუალებითაც პროგრამის მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, სამუშაო დოკუმენტები განათავსონ/შექმნან/ დააკორექტირონ ვებპორტალზე წინასწარ განსაზღვრული უფლებების მიხედვით;
- დასრულდა დანაშაულის პრევენციის ცენტრისთვის ბენეფიციართა აღრიცხვის პროცესების ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროექტი.

6.11 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩაერთო 25-ზე მეტი ახალი ორგანიზაცია, ხოლო ტრანზაქციების რაოდენობამ გადააჭარბა 55 მილიონს;
- შეიქმნა ელექტრონული სააღსრულებო წარმოების სერვისის ფუნქციონალი. ასევე, ქონების პრივატიზაციის სერვისების შექმნის სამუშაოების ფარგლებში შეიქმნა მუნიციპალიტეტების ელექტრონული სერვისების ფუნქციონალი. მოქალაქის პორტალზე დარეგისტრირდა 6 600-ზე მეტი მომხმარებელი;
- My.gov.ge პორტალის მეშვეობით სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის სერვისით საჯარო დაწესებულებებში გაიგზავნა 600-მდე წერილი, ხოლო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით - 344 000-ზე მეტი ოფიციალური ელექტრონული დოკუმენტი;
- განახლდა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის განვითარების პროცესი, სისტემის ხელახალი ტესტირება. კონტეინერების იმპორტთან ერთად ხდებოდა ექსპორტის პროცესის რეალიზებაც,

სადაც ჩართულნი არიან შემოსავლების სამსახური, რკინიგზა, პორტები, საზღვაო ხაზები, ტერმინალები, ექსპედიტორები. ჩატარდა ტრენინგი ექსპედიტორებისათვის;

- ღია მონაცემების პორტალზე (data.gov.ge) მიმდინარეობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან მონაცემების, ცხრილების და მეტამონაცემების მიღება, დამუშავება, ანალიზი და მათი გამოქვეყნება. განახლდა პორტალის ფუნქციონალი; გაიზარდა მონაცემთა ცხრილების რაოდენობა;
- პორტალზე (data.gov.ge) ატვირთულია 200-ზე მონაცემთა ცხრილი, ხოლო ჩამოტვირთვების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 20 000-ზე მეტი ერთეული;
- დასრულდა სერვისების კატალოგის ვებგვერდის ტექნიკური დიზაინის პროცესი. შეიქმნა სოლიდარობის ფონდის ვებგვერდი;
- აღწერილი იქნა iChange (ონლაინპეტიციების სისტემა) სისტემის ზედა დონის მოთხოვნები. დასრულდა სისტემის დეტალური ფუნქციონალური ანალიზის დოკუმენტისა და ვიზუალური დიზაინის შექმნის სამუშაოები;
- დასრულდა ვებგვერდის „help.justice.gov.ge“ ფუნქციონალის დოკუმენტის შექმნის ეტაპი და შეიქმნა „my.gov.ge“-ს ადმინისტრირების მოდული, ასევე, „my.gov.ge“-ზე ორგანიზაციის პროფილის დამატებითი სერვისი;
- შეიქმნა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ ონლაინწიგნების მაღაზიისა და საპროკურორო საბჭოს ვებგვერდები; შეიცვალა მოქალაქის პორტალზე ინტეგრირებული ჯანდაცვის სოციალური სააგენტოს სერვისები;
- შეიქმნა კიბერინციდენტებზე სახელმძღვანელოები, რომლებიც მოიცავს კიბერშეტევების მიმართულებების აღწერას და მათზე რეაგირების გზების დასახვას და DNS სერვისების შემმოწმებელი სისტემა, რომელიც აწარმოებს ქართული ვებგვერდების IP მისამართების მონიტორინგს, არასწორი/შეცვლილი IP მისამართების გამოვლენას; გაეშვა Check My IP სისტემის განახლებული ვერსია;
- „CERT.GOV.GE“-ს სერვერულ საცავში „Arbor Networks“-ის სერტიფიცირებული უცხოელი სპეციალისტების დახმარებით მოხდა ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობა „PRA NSI – 5100“ სერიის ინსტალაცია და ტესტირება. „PRA NSI – 5100“ სერიის მოწყობილობა უზრუნველყოფს ქსელური ნაკადების მეშვეობით მავნე პროგრამებისა და ე. წ. ჰაკერული შეტევების დაფიქსირებას. დღეის მდგომარეობით, „CERT.GOV.GE“-ს მიერ ანალიზდება 11-მდე სამთავრობო ორგანიზაციის ქსელური ნაკადი. გამოვლენილ იქნა 182 000-ზე მეტი ინციდენტი; ასევე, დამატებით მომზადდა და გაეშვა დომენების შემოწმების სისტემა (Checknet.ge), მავნე კოდის ანალიზის სისტემა, შეტევების აღმოჩენის სისტემა (ე. წ. HoneyPot), დაემატა ახალი ტიპის სენსორი, პაკეტების ღრმა ანალიზი;
- ჩატარდა „საქართველოს ელექტროსისტემის“ ინფორმაციული სისტემების აუდიტი ISO 27001 და COBIT სტანდარტებთან შესაბამისობაზე, გამოვლინდა, რამდენად გამართულად მუშაობს და რამდენად დაცულია ორგანიზაციის ინფორმაციული სისტემები;

- ჩატარდა 2 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნასა და დანერგვაში, მონაწილეობა მიიღეს როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების (იუსტიციის სამინისტრო, საჯარო რეესტრი და ა.შ. ჯამში, 15 ორგანიზაცია), ისე სხვა ორგანიზაციების, მათ შორის, კიბერუსაფრთხოების ბიუროს, წარმომადგენლებმა – ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებმა, კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტებმა.

6.12 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

- ინსპექტორის აპარატის მიერ განხორციელდა საჯარო და კერძო პირების კონსულტირება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში გაიცა 1215 კონსულტაცია, მათ შორის 1073 ზეპირი და 142 წერილობითი;
- ტრენინგი ჩატარდა 1 300-მდე მეტ საჯარო მოსამსახურესა და 172 კერძო სექტორის წარმომადგენელს;
- ჩატარდა 54 ინსპექტირება, მათ შორის განხორციელდა 38 კერძო დაწესებულების შემოწმება. ინსპექტირებების შედეგად გამოვლინდა 64 სამართალდარღვევის აქედან, 41 შემთხვევაში ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა ან მიეცა გაფრთხილება;
- განხორციელდა სხვა სახელმწიფოში მონაცემთა გადაცემის შესახებ 5 განცხადების განხილვა. მომზადდა რეკომენდაცია 7 საერთაშორისო შეთანხმების პროექტზე; 4 საერთაშორისო ორგანიზაციასა და სახელმწიფოში შეფასდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები;
- განიხილულ იქნა 120 მოქალაქის განცხადება. მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნით მოხდა მონაცემთა დაბლოკვა, მათი ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველყოფის მონაცემთა დამმუშავებელ ორგანიზაციებს მიეცათ რეკომენდაციები და მითითებები;
- კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ფარგლებში განხორციელდა ზედამხედველობა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე და მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სიახლეების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და ინსპექტორის აპარატის საქმიანობის საზოგადოებისათვის გასაცნობად 2015 წლის განმავლობაში სისტემურად ხდება ინფორმაციის განთავსება აპარატის ვებ-გვერდზე www.personaldata.ge და სოციალურ ქსელებში. 2015 წელს აპარატის ვებ-გვერდის ვიზიტორების რაოდენობამ 23 725 შეადგინა;

- აპარატის მიერ მომზადდა 3 რეკომენდაცია ინტერნეტ მომხმარებლებისთვის, ინტერნეტ მომსახურების გამწევი ორგანიზაციებისათვის და ბიომეტრულ მონაცემთა დამუშავების შესახებ;
- საქართველოში იმყოფებოდა ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის შემფასებელი მისია, რომლის მიზანი იყო ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობის შეფასება. მისიის ვიზიტი წარმატებით დასრულდა და პერსონალური მონაცემების დაცვის ნაწილში ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა შესრულებულად ჩაითვალა;

6.13 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში დამტკიცდა 2015 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად თანმიმდევრულად მიმდინარეობს იმ საკითხების შესრულება, რომელიც გაწერილია დაზღვევის ნაწილში შესაბამისი დირექტივების მიხედვით;
- საქართველოს მიერ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ ევროკომისიის მე-3 ანგარიშის ერთ-ერთი მოთხოვნის შესაბამისად სამსახურში ჩამოყალიბდა ფულის გათეთრების მონიტორინგის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც აქტიურად შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას;
- დამტკიცდა სიცოცხლის და არასიცოცხლისა დაზღვევის, გადაზღვევის ლიცენზიის ფორმები და მოხდა მათი გადაცემა საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებისათვის;
- დასრულდა მუშაობა სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის მარჯის შემოღებასთან დაკავშირებით;
- მსოფლიო ბანკის/სავალუტო ფონდის მიერ ფინანსური სექტორის შეფასების ფარგლებში (FSAP) გრძელდება მუშაობა დაზღვევის სექტორის სამოქმედო გეგმის მიხედვით.
- სამსახურის მიერ განხორციელდა კომპანიებში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების ადგილზე შესწავლა, შემოწმებულ იქნა სულ 7 კომპანია. დაასრულა 6 სადაზღვევო კომპანიის ფინანსური აუდიტი, ასევე ერთი სადაზღვევო კომპანია შემოწმდა თემატურად საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით;
- საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის“ შესახებ ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც გაფართოვდა სარეგისტრაციო

კრიტერიუმები და პირობები ამავე ნორმატიული აქტით, ასევე, დაიხვეწა რეგისტრაციის გაუქმების პირობები, აქვე დაკონკრეტდა სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლები.

- სადაზღვევო ბროკერების სისტემატიზაციისა და მათი საქმიანობის ერთიან სარეგულაციო ჩარჩოში მოქცევის მიზნით, მოხდა რეგისტრირებული ბროკერების შესახებ ინფორმაციის განახლება, ასევე რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერიდან 8 კომპანიას გაუუქმდა რეგისტრაცია იმ მიზეზით, რომ ისინი არ აწარმოებდნენ სადაზღვევო საქმიანობას, ხოლო რეგისტრაციაში გატარდა 3 საბროკერო კომპანია;
- სამსახურის უფროსის ბრძანებით გამოიცა ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც გაიზარდა მოთხოვნები ლიცენზიის მსურველი კომპანიის მინიმალური კაპიტალის მიმართ, ხოლო მოქმედ სადაზღვევო კომპანიებს მიეცათ ვადა კაპიტალის გაზრდისთვის 2016 წლის 31 დეკემბრამდე შემდეგი ოდენობით:
 - ✓ სიცოცხლის დაზღვევა– 2 200 000 ლარი;
 - ✓ დაზღვევა–(არა–სიცოცხლის)–2 000 000 ლარი;
 - ✓ გადაზღვევა – 2 200 000 ლარი.

6.17 ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
- ითარგმნა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, ასევე, მათში შეტანილი და შესატანი ცვლილებების პროექტები;
- „ქართულიდან ინგლისურად იურიდიული თარგმნის უნარის განვითარება“ პროექტის ფარგლებში გადამზადდა 25 თანამშრომელი, გაიარეს მოსამზადებელი კურსი და წარმატებით ჩააბარეს გამოცდა „ILEC“-ში (საერთაშორისო სერტიფიკატი იურიდიულ ინგლისურში);
- ჩატარდა ტრენინგი მთარგმნელობითი კომპიუტერული პროგრამა “SDL Trados Studio”-ს გამოყენებაში ევროკავშირის პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქართველოში“ ფარგლებში;
- „SDL Trados Studio“-ს სერვერზე განთავსდა ერთიანი მთარგმნელობითი მეხსიერება (TM) და ერთიანი ტერმინოლოგიური ბაზა (TB). ხდება მათი პერიოდული განახლება.

6.18 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარებისა და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- საქართველოს 11 უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის, ასევე პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (მედიის სკოლა) სტუდენტებისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი საარჩევნო სამართალში, რომელიც ითვალისწინებდა აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართლის დარგში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. სასწავლო კურსი გაიარა 497 სტუდენტმა;
- ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სასწავლო პროგრამა 8 პატრნიორ უნივერსიტეტში, მომზადდა ელექტრონული პრეზენტაციები, დაიბეჭდა დამხმარე სახელმძღვანელოები ლექტორებისა და სტუდენტებისთვის. მონაწილეობა მიიღო 500 სტუდენტმა;
- ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ტრენინგები და ასევე, სასერტიფიკაციო გამოცდები. გამოცდების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, დამზადდა და მედია სივრცეში განთავსდა სარეკლამო რგოლი. გამოცდაზე დარეგისტრირდა 7 088 მსურველი, გამოცხადდა 2 172 მონაწილე. გამოცდა წარმატებით ჩააბარა 254 მონაწილემ.

6.19 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

- დაინერგა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სერვისი (მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ერთ სივრცეში მიიღონ სახელმწიფო უძრავი და მოძრავი ქონების, წილებისა და აქციების პირდაპირი მიყიდვის ან აუქციონის ფორმით პრივატიზების, ასევე, ქონების სარგებლობაში ან მართვის უფლებით გადაცემის მომსახურება);
- დაინერგა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ვიზების გაცემის სერვისი;
- განხორციელდა სამუშაო პროგრამების ოპტიმიზაცია ოპერატორების მიერ შესრულებული ტრანზაქციების დროის შემცირებისა და მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის მიზნით. შესწავლილ იქნა თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის სერვისები, ჩამოყალიბდა ინსტრუქციებისა და იუსტიციის სახლში მოცემული სერვისების მომხმარებლებისთვის მიწოდების შესაბამისი პროცედურა. თითოეული სერვისის მომხმარებლებისთვის მიწოდების პროცედურაში მომზადდნენ თბილისის იუსტიციის სახლის წინა ხაზის ოპერატორები;

- ტექნიკურად და პროგრამულად, საბოლოო სახით, გაიმართა „ჯასთ დრაივი“ (მომხმარებლებისთვის მზა დოკუმენტების მიღების ერთ-ერთ ალტერნატიულ ინოვაციური მეთოდი), შეიქმნა და დაინერგა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა მომხმარებელთან უკუკავშირის სისტემის აღრიცხვიანობისა და პროექტის მართვის გაუმჯობესებისათვის;
- განხორციელდა მომსახურების ხარისხის სტანდარტის გადახედვა/დამუშავება მისი გაუმჯობესების მიზნით, დამტკიცდა დოკუმენტის განახლებული ვერსია. სატელეფონო მომსახურების სამსახურისათვის მომზადდა დატვირთულობის სტანდარტი;
- გაეშვა იუსტიციის სახლის ახალი და ინოვაციური ვებგვერდი, რისთვისაც მომზადდა აფხაზურენოვანი ინტერფეისი. ახალი ვებგვერდის სრულყოფის მიზნით დაიხვეწა და მომზადდა რუსულ და ინგლისურენოვან ვერსიები, ასევე, მოხდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა“ და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ 50-მდე ონლაინსერვისის ადაპტაცია. დასრულდა ვებგვერდის შინაარსობრივი ნაწილის გამართვა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- გადამზადდა ბათუმის, ქუთაისის, გორის, ფოთისა და ყაზბეგის ფილიალებში წინა ხაზის თანამშრომლები მომხმარებლების პორტალზე (my.gov.ge) რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ხოლო თბილისის, მარნეულისა და რუსთავის ფილიალების თანამშრომლები - რუსულ და ინგლისურ ენებში;
- განხორციელდა უფასო ID-ბარათების და საქართველოს მოქალაქის პასპორტის პიარ და მარკეტინგული კამპანია;
- გაიხსნა ფოთის იუსტიციის სახლი;
- დასრულდა თბილისის იუსტიციის სახლის გადახურვის მე-9 პეტალის ქვედა მოსახვის და ლითონკონსტრუქციების კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები; გაძლიერდა ზედა მოსახვის კონსტრუქციები. საექსპლუატაციო პირობების გათვალისწინებით, მოხდა საავარიო კარების დამატება. სახურავში დამონტაჟდა ძალოვანი კაბელი, რომელიც მომავალში იქნება გამოყენებული როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოებისას, ისე განათების მოსაწყობად. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მოეწყო პანდუსი და ღია ავტოსადგომი, ხოლო ღია ავტოსადგომზე – საგზაო ნიშნები და მოძრაობის შემზღუდველი ბარიერები;
- ქუთაისის იუსტიციის სახლში დასრულდა საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო და გზის გაფართოების სამუშაოები. მარნეულის იუსტიციის სახლის ცენტრალურ შესასვლელთან გაკეთდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ასასვლელი პანდუსი შესაბამისი შესასვლელი კარით. მესტიის ფილიალში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც ფილიალს დაემატა სასაწყობე ფართი და დამატებითი ოთახები, შეიცვალა დაზიანებული მინაპაკეტი;
- დასრულდა ახალი იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოები ყაზბეგსა და თიანეთში, ასევე საზოგადოებრივი ცენტრი ლენტეხში. მიმდინარეობდა აღჭურვა საჭირო ავეჯით, ტექნიკით და ინვენტარით;

- მიმდინარეობდა ონის, ბორჯომისა და ლაგოდეხის იუსტიციის სახლების სამშენებლო სამუშაოები. დასრულდა ონის იუსტიციის სახლის ლითონკონსტრუქციების სამონტაჟო და გადახურვის სამუშაოები, ბორჯომის იუსტიციის სახლის შენობის კარკასის და გადახურვის სამუშაოები და ლაგოდეხის იუსტიციის სახლის მზიდი კონსტრუქციების სამშენებლო სამუშაოები.

6.20 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს შუალედური არჩევნები №64 სენაკის და №67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქების №64.13 ფოცხოს და №67.11 ერგეტის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში. არჩევნებში სულ მონაწილეობა მიიღო 1 710 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 69,31%-ია, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 850 ქალმა ამომრჩეველმა (49,71%) და 860 კაცმა ამომრჩეველმა (50,29%);
- ჩატარდა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N11 საგარეჯოსა და N65 მარტვილის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში საქართველოს პარლამენტის შუალედური და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების ჩაილურის თემის N11.12, დიდი დმანისის თემის N24.06, ზედა ვანის თემის N53.07 და გურიფულის თემის N66.06 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გასამართი საგარეჯოს, დმანისის, ვანისა და ხობის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები;
- 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის საგარეჯოს, მარტვილის, დმანისის, ვანისა და ხობის საარჩევნო ოლქებში შეიქმნა 95 საარჩევნო უბანი, მათ შორის საგარეჯოში შეიქმნა ერთი გამონაკლისი საარჩევნო უბანი; არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 31 254 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 37,56%-ია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 13 651 (43,68%) ქალმა ამომრჩეველმა და 17 603 (56,32%) კაცმა ამომრჩეველმა;
- ცესკოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა როგორც ამომრჩეველთა ერთიანი სიის, ისე არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა გენდერული სტატისტიკა; ორივე შუალედურ არჩევნებს აკვირდებოდა 29 ადგილობრივი ორგანიზაციის 741 წარმომადგენელი და 4 საერთაშორისო ორგანიზაციის 22 დამკვირვებელი. კენჭისყრის პროცესები წარიმართა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩეველს ჰქონდა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობა, მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ ჰქონია;
- შუალედურ არჩევნებზე სულ მიიმართა 1,4 მლნ ლარამდე.

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

7.1. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ოჯახების გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად:
 - ✓ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შექმნილი იქნა საცხოვრებელი სახლები;
 - ✓ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია, სადაც გადაყვანილ იქნა დევნილთა ოჯახები;
 - ✓ განხორციელდა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების გამოსყიდვა;
 - ✓ მენაშენებისაგან და ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ ახლადაშენებულ კორპუსებში შექმნილი იქნა საცხოვრებელი ბინები;
 - ✓ მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ფულადი დახმარება;
- 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებულ დევნილ ოჯახებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები.

7.2. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა როგორც 2015 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე 2015 წლის განმავლობაში დაწყებული ახალი პროექტების

განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ინფრასტრუქტურისა და ბინების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა რეაბილიტაციას და ა.შ.

7.2.1 დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი) (პროგრამული კოდი - 25 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

- საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმის მხარდასაჭერად პროექტის მიზანია: ა) იძულებით გადაადგილებულ პირებისთვის პირობების შექმნა საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის და ბ) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და მათი ადგილობრივი გაერთიანებებისათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა და მათი საზოგადოებრივი მონაწილეობის მხარდაჭერა. პროგრამის მიზანს წარმოადგენს, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას გააუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, შეუქმნას ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობები და დაეხმაროს მათ ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაში.
- მიმდინარეობდა ქალაქ ფოთში, მალთაყვის უბანში იძულებით გადაადგილებულ პირთა 32 საცხოვრებელი კორპუსის გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა.

7.2.2 იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ ქალაქ ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 10 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა სულ - 320 ბინა. აქედან, 24 ბინა - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის;
 - ✓ ქალაქ ზუგდიდში, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი უბნის გარე საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
 - ✓ დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება ქალაქ წყალტუბოში, ყოფილი „ელექტრო მეურნეობა“, სანატორიუმის შენობაში, ქალაქ ქუთაისში ყოფილი პანსიონის მუსიკალური სკოლის შენობაში და ქალაქ ფოთში ყოფილ პანსიონში „აიტი“;
 - ✓ ქუთაისში, ფოთსა და ზუგდიდში იძულებით გადაადგილებულ პირთა თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისათვის ასაწყობი საოფისე შენობების მოწყობა;

- ✓ საცხოვრებელი სახლების შესყიდვა დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით;
- ✓ დასავლეთ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების საგანგებო სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საინჟინრო-საზედამხედველო მომსახურება;
- ✓ მოეწყო ქალაქ ზუგდიდისაგან დამოუკიდებელი წყალსადენი და საკანალიზაციო სისტემები.

7.2.3 ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო) (პროგრამული კოდი - 25 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები:
 - ✓ მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა სამ კოტეჯური ტიპის დასახლებაში (სოფლები: ფრეხეთი, მოხისი, წილკანი) სანიტარული და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და დრენაჟის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ექვს კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში;
 - ✓ ტირიფონისა და სალთვისის საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია;
 - ✓ ქალაქ ქუთაისის ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების, რვა ყოფილი საავადმყოფოს, რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის დიზაინი, სატენდერო პაკეტის შემუშავება და საზედამხედველო მომსახურება;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, 28 კოლექტიური ცენტრის რეკონსტრუქციის დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას საინჟინრო ზედამხედველობა;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად, ექვსი ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტაციისა და 22 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის მიმდინარე სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება;
 - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი ბინების მოსაწყობად სხვა საზედამხედველო და საკონსულტაციო მომსახურება.

7.3 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
 - ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები
- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის N996 განკარგულების შესაბამისად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა საცხოვრებელი სახლების აზომვითი სამუშაოები და ოჯახების აღწერა/მონიტორინგი. მომზადდა სახლების საკადასტრო ნახაზები და მათ საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული იქნა საცხოვრებელი სახლები და მიწის ნაკვეთები. პროექტის ფარგლებში დასრულდა 1 235 საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის აზომვითი სამუშაოები და აღნიშნულ სახლებში განსახლებული ოჯახების აღწერა/მონიტორინგი. ასევე, მიმდინარეობდა მომზადებული საკადასტრო ნახაზების საფუძველზე საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად;
 - საცხოვრებელი სახლის მოძიების განაცხადი შემოვიდა სტიქიით დაზარალებული 975 ოჯახისგან და დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეირჩა განსასახლებელი 91 ოჯახი და მათთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეძენილ იქნა საცხოვრებელი სახლები. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, დაზარალებული ოჯახებისათვის შეძენილი იქნა 53 საცხოვრებელი სახლი;
 - „მობილურობის ცენტრის“ მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში:
 - ✓ 40 ბენეფიციარს აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოფილ იქნენ მედიკამენტებით;
 - ✓ 29 ბენეფიციარს დაუფინანსდა პროფესიული სწავლება;
 - ✓ 127 დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო მცირე ბიზნეს-გრანტი, ხოლო თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით საჭირო ხელსაწყოებით უზრუნველყოფილი იქნა 80 ბენეფიციარი;
 - ✓ 27 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნა დროებითი საცხოვრებლით;
 - ✓ 89 ბენეფიციარისთვის შეძენილი იქნა საყოფაცხოვრებო ნივთები.
 - „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში გაიცა გრანტი 14 მიმართულებით (სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების დაფინანსება, პროფესიული სწავლება, სოციალური პროექტების დაფინანსება, ანაზღაურებადი სტაჟირება, იურიდიული დახმარება და საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამების დაფინანსება) 6 არასამთავრობო ორგანიზაციაზე ქ. თბილისსა და საქართველოს 5 რეგიონში:

- ✓ 31 ბენეფიციარს გაეწია სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოფილ იქნენ მედიკამენტებით;
 - ✓ 14 ბენეფიციარი ჩაერთო პროფესიული სწავლების კურსებში;
 - ✓ 36 ბენეფიციარს დაუფინანსდა სოციალური პროექტები შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით;
 - ✓ 18 ბენეფიციარი ჩაერთო ანაზღაურებად სტაჟირებაში;
 - ✓ 7 ბენეფიციარს გაეწია იურიდიული დახმარება.
- ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მამიებელთა აპლიკაციების განხილვა. საანგარიშო პერიოდში აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 878 პირს, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 69 პირს, ხოლო თავშესაფრის (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი) მინიჭებაზე უარი განეცხადა 315 პირს. საქმის წარმოება პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა 412 პირზე, ხოლო პროცედურებზე გამოუცხადებლობის გამო - 342 პირზე;
 - შევსებულ იქნა დევნილთა უძრავი ქონების 48 დეკლარაცია, მოხდა 115 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა. მიმდინარეობდა უძრავი ქონების დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ინტეგრაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების შესწავლა-შეჯერება და დევნილთა მონაცემთა ბაზასთან ინტეგრაციის პროცესი. სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის მიმდინარეობდა წარმოსადგენი გვერდის ტესტირება.

7.4. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მართავდა ინტენსიურ შეხვედრებს და მჭიდროდ თანამშრომლობდა პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან. ასევე, იმართებოდა ორმხრივი შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ეუთოს, ევროსაბჭოს და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან;
 - შემუშავებულ და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქნა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის ახალი სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
 - სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიითა და 2015 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მომზადდა და სახალხო დამცველის

აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარდგინა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2014 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;

- ევროკავშირის შემფასებელი მისიის ექსპერტებთან ერთად განხილულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკის ახალი სტრატეგიის მიმართულებები ეროვნული უმცირესობების მიმართ;
- გაიმართა „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით“ შექმნილი სამთავრობო კომისიის სხდომა, რომლის შედეგად შემუშავდა ქართული მხარის ხედვები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აფხაზური და ოსური საზოგადოებისათვის შესათავაზებელი შესაძლო სარგებლისა და შესაძლებლობების შესახებ;
- დაიწყო პროექტი „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრა „1+4“ პროგრამის მონაწილე სტუდენტებთან, ლექცია-სემინარი და საინფორმაციო შეხვედრა შსს-ში;
- ქ. მარნეულში გაიმართა მულტიეთნიკური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ეთნიკურად ქართველმა და არაქართველმა ახალგაზრდებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან;
- აპარატი აქტიურად იყო ჩართული რუსეთის ე.წ. სასაზღვრო ძალების მიერ მავთულხლართების გავლებისა და ღობეების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და საერთაშორისო რეაგირების მობილიზებაში. მონაწილეობა იქნა მიღებული „კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების“ სტრატეგიის მომზადებაში;
- გაიმართა შეხვედრა საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შემფასებელი მისიის ექსპერტებთან და განხილულ იქნა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეული შედეგები და გამოწვევები;
- განხორციელდა საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის შესასრულებელი სამუშაოები;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან ერთად გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე ფერმერთა სამიზნე ჯგუფთან მარნეულში, ახალქალაქსა და ახალციხეში;
- აპარატის თანამშრომლები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ და მონაწილეობდნენ ქალთა უფლებების დამცველ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადებულ შეხვედრებში;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განხორციელდა: ქართველი და ოსი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების შეხვედრა ვენეციაში კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სემინარში მონაწილეობის მისაღებად; ქართველი და აფხაზი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების შეხვედრა სარაევოში, სადაც მოხდა საარქივო მასალების

გადაცემა და აფხაზეთის რეგიონში ვიზიტის დაგეგმვა; ქართველი და აფხაზი ახალგაზრდა ექსპერტების სასწავლო ვიზიტი სტრასბურგში კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის საკითხებზე; ლონდონში სახელმწიფო მინისტრის მონაწილეობით, გაიმართა შეხვედრა-დიალოგი, რომელიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსა და სამშვიდობო პროცესს მიეძღვნა;

- ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხები. ინციდენტების პრევენციის მიზნით სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობასთან;
- ჩატარდა ჟენევის დისკუსიების 34-ე რაუნდი. აპარატი აქტიურად მონაწილეობდა მეორე სამუშაო ჯგუფში, რომელშიც რეგულარულად განიხილებოდა გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ ხელოვნური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის წარმოქმნილი მძიმე ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევები, სამხრეთ ისეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები, განსაკუთრებით გალის მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევის ფაქტები, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და სხვა ჰუმანიტარული საკითხები.

7.5. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

- განხორციელდა დევნილთა ჩართვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამებით დადგენილ აქტივობებში და იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ინფორმირება მოთხოვნად პროფესიებზე, ასევე პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში დახმარება;
- განხორციელდა დევნილთა რეგისტრაცია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში და მიეწოდათ ინფორმაცია მათი კვალიფიკაციის შესაბამისი ვაკანტური პოზიციის შესახებ;
- დევნილთა დასაქმების მიზნით განხორციელდა შეხვედრები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან;

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

8.1 ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები

- მონაწილეობა იქნა მიღებული: სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებმა და ააიპ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაციამ „შავფაროსნები“ საქართველოში აკრედიტებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ელჩებისა და მათი მეუღლეების აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში; სსიპ - კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ქ. მინსკში, საერთაშორისო თეატრალურ ფორუმზე „TEART“, ანსამბლმა „შვიდკაცა“ ქ. მილანში კულტურულ ღონისძიებებში და სხვა.
- ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც საქართველო ევროკავშირში პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ წევრი გახდა,
- ჩატარდა პოლონურ-ქართული სემინარი. სემინარის მთავარი თემები იყო: კულტურის მენეჯმენტის დაფინანსება, კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და პოლონეთის რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები;
- შემუშავდა კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და კულტურის პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ მიზნებსა და ამოცანებს. მუშაობის პროცესში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან გამართულ საჯარო შეხვედრებზე, დედაქალაქსა და რეგიონებში;
- საანგარიშო პერიოდში გაიმართა 11 რეგიონული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1128 მოქალაქემ, 17 შეხვედრა თბილისში, კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთან და მიზნობრივ ჯგუფთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 460-მა მოქალაქემ, გაიმართა სამუშაო შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან. ჩატარდა უწყებათაშორისი კომისიისა და სამუშაო ჯგუფის 3 შეხვედრა.
- შემუშავდა კულტურის სტრატეგიის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ სპეციალური კითხვარი და ჩატარდა ინტერნეტ გამოკითხვა. შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ოფიციალური წერილები გაიგზავნა სხვადასხვა სამთავრობო უწყებასთან, საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, კულტურის სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანიზაციასთან, პოლიტიკურ პარტიასა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან. კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია გასაჯაროვდა და ხელმისაწვდომი გახდა ელექტრონული საშუალებებით (ვებ-გვერდი, ვიკიპედია, ელ.ფოსტა);

- კულტურის პოლიტიკის საკითხებზე ევროკავშირის წამყვანმა ექსპერტებმა გამოცდილება გუზიარეს და ტრენინგი ჩაუტარეს სამინისტროს თანამშრომლებს. კულტურის სფეროში 2015 წელს გაფორმდა თანამშრომლობის სხვადასხვა გეგმა - 1, ურთიერთგაგების მემორანდუმი - 2, რიგი ღონისძიებების განხორციელების პროგრამები, შეთანხმებები და სხვა - 6.
- ჩატარდა: ქ. გდანსკში ქართული კვირეული, შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, ჯანსუღ კახიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი, „Kavkaz Jazz Festival 2015“, „ბათუმის მუსიკალური ფესტივალი“, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ლამის სერენადები“, თბილისის ჯაზ-ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის X ფესტივალი, „თბილისი 2015 თანამედროვე მუსიკის საღამოები“, „თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი“, „თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი 2015“, „ბაროკოს ეპოქის მუსიკის ფესტივალი“, თბილისის XVIII საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები“, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „სითი საუნდი“, UNESCO-ს მიერ დაწესებული ჯაზის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრში რონ კარტერის ბენდის „Golden Striker Trio“ კონცერტი, სსიპ -საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის პროექტი „გია ყანჩელის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კონცერტი ბრიუსელში“; თბილისის მე-9 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“, „საავტორო კინოს ბათუმის X საერთაშორისო ფესტივალი“, საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს პეპელა - 2015“, ანიმაციური ფილმების მე-5 საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“, თბილისის მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალი, მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალი „წმინდა ანდრეას ჯვარი“, საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი „CineDOC-Tbilisi“, ოპერატორთა ფესტივალი „ოქროს თვალი“, „თბილისის ფოტო ფესტივალი 2015“, ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“; მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, „თბილისის მეორე საერთაშორისო ტრიენალე - თვითორგანიზებადი სისტემები“, ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი „Fest I Nova“, სსიპ -საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „ერისიონი“ კონცერტი; ანსამბლის „ქართული ხმები 2“ კონცერტები ლიტვა, ლატვიასა და ესტონეთში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით; ქ. კიევში თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით „თეატრალური კვარტეტის“ კონცერტი; თამარ ივერის საქველმოქმედო კონცერტი 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად; ნინო მაჩაიძის კონცერტი; სსიპ - ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის წინასახალწლო კონცერტი, ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდის „იავნანა“ საქველმოქმედო გალა კონცერტი ქ. სტრასბურგში;
- ქ. თბილისში გაიმართა რეგიონალური კონფერენცია - „თემების მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიული ქალაქებისთვის (COMUS) და ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურისა და კრეატიულობის პროგრამა“. ღონისძიების ფარგლებში

თბილისის ესტუმრნენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების კულტურის სამინისტროების ხელმძღვანელი პირები, პროექტში ჩართული ისტორიული ქალაქების (სოროკა, ლუცკი და ჟოვკვა, მსტისლავი, გიუმრი და გორისი) მერები, პროგრამის კოორდინატორები, ჟურნალისტები, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის წარმომადგენლები. თბილისის წიგნის მე-17 საერთაშორისო ფესტივალი 60-ზე მეტი გამომცემლობის მონაწილეობით; თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი ქართველი, პოლონელი, ფრანგი, იტალიელი, ბელორუსი, ავსტრიელი, ამერიკელი, ბრიტანელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ლიტველი, ხორვატი, კანადელი, რუსი, ირანელი მწერლების მონაწილეობით, ჩატარდა 3 ლიტერატურული კონკურსი; ბორის პასტერნაკისადმი მიძღვნილი კვირეული; მესხეთის თეატრში ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა; ხელოვნების სასახლეში იაკობ ტრიპოლსკისადმი მიძღვნილი გამოფენა; დაიდგა 42 სპექტაკლი ; შეიქმნა ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიისა და დრამის თეატრის საიმიჯო-საპრეზენტაციო ფილმი, გაიმართა 5 თეატრის გასტროლი საქართველოს რეგიონებში და 2 გასტროლი უცხოეთში.

- ნ.დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლი ახალციხეში;
- კონკურსი „ახალი საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებები“; რ. ბარძიმაშვილის საიუბილეო საღამო-კონცერტი; კომპოზიტორ ს. ცინცაძის საიუბილეო კონცერტი; კომპოზიტორ ჯ. სეფიაშვილის შემოქმედებითი კონცერტი, საახალწლო თეატრალური კარნავალი, მომზადდა მხატვრულ-დოკუმენტური სპექტაკლი „აკაკი“, თბილისში გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. სამინისტრომ გასცა პრემიები ნომინაციაში „წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები“ და „წლის საუკეთესო მუსიკათმცოდნეობითი ნაშრომი“;
- განხორციელდა: ქუთაისის ხანდაზმულთა ფოლკლორული ანსამბლის „ბერმუხა“ გასტროლი ქ. ათენში; სსიპ კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები ბრატისლავა, სიბიუსა და სკოპიეში; სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებსა (ქ. ნიუ-იორკი) და რუმინეთში (ქ. ბუქარესტი); სამეფო უზნის თეატრის გასტროლი ბრიუსელში, სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გასტროლი ქ. ლონდონში, ნინო ქათამაძის ჯგუფის „ინსაითი“, ანსამბლის „შვიდკაცა“ და ნიკოლოზ რაჭველის გასტროლი უკრაინის სამ ქალაქში, თბილისის ყოვლადწმინდა საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის გასტროლი შვეიცარიასა და გერმანიაში, პროექტი „წერილები“; პროექტი „მზე და ზღვა“; სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროექტი „დრეზდენის საერთაშორისო პლენერი, პრაქტიკა, მასტერკლასი“; სსიპ - ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის პროექტები - „ქართული ნაციონალური ბალეტი პირამიდების ფონზე“ და „საგასტროლო ტური ამერიკის შეერთებულ შტატებში“ ; პროექტი „ქართული მრავალხმიანობის ფენომენი“; სსიპ - ჯ. კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის პროექტი „რწყილი და ჭიანჭველა“; პროექტი „ექსტრემალური ტერიტორიები“ (სადაც მონაწილეობას

იღებდა საქართველოდან, საფრანგეთიდან და უკრაინიდან 18 ხელოვანი სტუდენტი); პროექტი „მშვიდობა კავკასიაში“ სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ოცნებების რეალიზაცია თოჯინების თეატრთან ერთად“; სსიპ "მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი"-ს პროექტები „ნინო ხარატიშვილის სპექტაკლი მრისხანება" და უილიამ შექსპირის „მეფე ლირი“, სსიპ - თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის პროექტი „მოდრაობის ტექნიკის ვორკშოფი“; პროექტი „ქართული ქვილთის აღორძინება და მისი პოპულარიზაცია საზღვარგარეთ“, სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის პროექტი: „ქართული ფილმების რეტროსპექტივა ტორონტოში“; საქართველოს პრეზენტაცია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 39-ე სესიის ფარგლებში, ა(ა)იპ - ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პროექტი „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“, ეთნო ჯაზ-ჯგუფის „ირიას“ პოლონეთში სტუდიური ალბომის ჩაწერა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლობით პროექტი ზოგადი ინგლისური ენის კურსი ხელოვნებისა და კულტურის მენეჯერებისთვის. საქართველომ მიიღო მონაწილეობა პრადის კვადრიენალე 2015 ნაციონალური პავილიონით - „ქალის ხმა“ (ა(ა)იპ - ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირი).

- გამოიკა სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის პროექტები „ახლად ილუსტრირებული აკაკი წერეთლის კრებული“ და „აკაკი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში“;
- შემუშავდა კულტურის სტრატეგიის გზამკვლევი; ჩატარდა კონფერენციები კულტურის სტრატეგიის შემუშავების პროცესთან დაკავშირებით თბილისში და საქართველოს 8 რეგიონში.
- ჩატარდა სსიპ - ილ. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის სახ. ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის კონცერტი 70 წლისთავთან დაკავშირებით; ფოლკლორული ანსამბლის „საგალობელი“ საიუბილეო კონცერტი; გიული ჩოხელი 80 წლის საიუბილეო კონცერტი; დათო ევგენიძის კონცერტი; ჯემალ ჭკუასელის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონცერტი; დათო ხუჯაძის საქველმოქმედო კონცერტი; პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული კონცერტი; საქველმოქმედო კონცერტი „ნინო ქათამაძე და მეგობრები“; ევგენი კისინის საქველმოქმედო კონცერტი; პროექტი „ფენიქსი“; პროექტი „გალაკტიონობა - 2015“; პროექტი „თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მე-3 საერთაშორისო ფესტივალი“; ანსამბლ „ორერას“ 55 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო გასტროლი; ნუკრი კაპანაძის კონცერტი; ა(ა)იპ - პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი იავნანას პროექტი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი; პროექტი „თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთ კავკასიური ფესტივალი თბილისში“; სსიპ - ი. სუხიშვილისა და ნ.

რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის საკონცერტო ტურნე რეგიონებში; პროექტი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საესტრადო ორკესტრის სახელობითი ვარსკვლავის გახსნა“; პროექტი გამოფენა საქართველო ორ-ორ სურათად; პროექტი „კომედიის ფესტივალი“; სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონის“ 130 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს რეგიონებში კონცერტები, საქველმოქმედო მარათონი 13 ივნისის სტიქიით დაზარალებულების მხარდასაჭერად, სახალხო ფესტივალი „არტ გენი“; რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი. ააიპ - ნინო სურგულაძის ფონდის „ნატურის ხე“ საქველმოქმედო მარათონი.

- განხორციელდა გ. ხაინდარავს ფილმის „ოცნებების სასაფლაო“ ციფრულ ფორმატში გადაყვანა და ფირის საქართველოში დაბრუნება; ანსამბლ „ცისფერი ტრიო“-ს შესახებ შექმნილი დოკუმენტური ფილმის ტირაჟირება და ალბომის პრეზენტაცია; კინოპროექტები „ისტორიები საოჯახო ალბომიდან“ და „სიმღერით გამთბარი მიწა“; ჟანრი ლოლაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა; პროექტი „სმენით აღქმულის სუბლიმაცია ვიზუალურ ხელოვნებაში“; ოსური კლასიკური მუსიკის სადამო; გამოფენა „სერგო ფარაჯანოვი -XXI საუკუნის სიზმარი; საქველმოქმედო კონცერტი აუტისტების დასახმარებლად, საქველმოქმედო კონცერტი უსინათლოების დასახმარებლად; ქართული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა; პროექტი „მინიატურები ევროპულ ღირებულებებზე“; მანანა მენაბდის და გურამ ბზვანელის შემოქმედებითი სადამოები;
- გაგზავნილ იქნა შემოქმედებითი ჯგუფი „ოსკარის“ ცერემონიალზე;
- გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთვისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, პროექტი „კიბერ - გალაკტიონი“, კონცერტების ციკლი „ქართული კამერული მუსიკის პანორამა“. საქველმოქმედო სატელევიზიო აქცია-კონცერტი ჯაბა ბოჯგუას დასახმარებლად „სიყვარულით ვაკეთოთ კეთილი საქმე“; სულხან ცინცაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის საგანმანათლებლო კონცერტები საქართველოს რეგიონებში; „LOUDspeakers“-ის საიუბილეო კონცერტი; X საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან აღდგომამდე“; იოსებ ნონეშვილის 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამო; პროექტი „სახელოვნებო სკოლები დევნილთა დასახლებებში“; პროექტი „ოტია იოსელიანის სახელობის საკვირაო სკოლა“; პროექტი - „ცოცხალი წიგნები“; ხობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“; კომპოზიტორ გიორგი ცაბაძის საიუბილეო სადამო; ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტი.
- სსიპ - საქართველოს ფოლკლორის ცენტრის“ პროექტები: „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების მოძიება-დაფიქსირება“; „ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნა; „ხალხური სიმღერების, საკრავიერი და ქორეოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება-საარქივო მასალების შექმნა“; „ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის სადამო - ლექსო არ დაიკარგები“; „ქართული საგალობლების სანოტო ხელნაწერთა მონაცემთა ბაზა და

აღწერილობა“; „საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი“; „სვანური ზარი“, როგორც სამგლოვიარო წეს-ჩვეულების ნიმუში“;

• მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში:

- ✓ სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“ - ვატიკანი და ჩინეთი (ქ. პეკინი და ქ. სიანში);
- ✓ სსიპ - თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლელი“ - გერმანია (ქ. აახენი);
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - პოლონეთი (ქ. გდანსკი)
- ✓ სსიპ – თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი - მალტა (ქ. ვალეტა);
- ✓ სსიპ - ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - ლიტვა (ქ. იონავა);
- ✓ სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრის დასი - ავსტრალია (ქ. პერთი);
- ✓ სსიპ – ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი - რუსეთი (ქ. სანკტ-პეტერბურგი) და უკრაინა (ქ. ხერსონი);
- ✓ სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - ჩეხეთი (ქ. ბრნო, თურქეთი, მოლდოვეთი);
- ✓ სსიპ – ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი - აშშ (ქ. კოლორადო);
- ✓ სსიპ – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეები - იტალია (ქ. ბარი) და რუმინეთი (ქ. ტინიშოარა);
- ✓ სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები - ინგლისი (ქ. ლონდონი), ჩეხეთი (ქ. პრაღა);
- ✓ სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის 3 სტუდენტი - იტალია (ქ. კრისპიანო);
- ✓ სსიპ – საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“ - გერმანია (ქ. ბერლინი);
- ✓ ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ – იტალია (ქ. რომი);
- ✓ გალერეა „Container“ – ლიტვა (ქ. ვილნიუსი);
- ✓ ანსამბლი „ქორული“ - მაკედონია (ქ. სკოპიე), ავსტრია (ქ. ვენა), ჩეხეთი (ქ. პრაღა) და გერმანია (ქ. დრეზდენი);
- ✓ ეთნო ჯაზ-ჯგუფი „ირიაო“ - ინდონეზია (ქ. ჯაკარტა);
- ✓ მუსიკალურმა ჯგუფმა „ETC“ - ნორვეგია (ქ. ოსლო);
- ✓ ჯგუფი „The Quintessence“ - აშშ (ქ. ნიუ-იორკი);

- ✓ ქალთა გუნდი „იალონი“ - ლიტვა (ქ. ვილნიუსი);
 - ✓ თითების თეატრი - თურქეთი (ქ. იზმირი);
 - ✓ სამეფო უზნის თეატრი - რუმინეთი (ქ. სიბიუ);
 - ✓ „რკინის თეატრი“ - თურქეთი (ქ. ტრაბზონი);
 - ✓ იტალიაში, ქ. ვენეციის 56-ე საერთაშორისო გამოფენაში პროექტით „მცოცავი საზღვარი“ (ქ. ვენეცია);
 - ✓ ტალინის მე-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე „Tallinn Black Nights Film Festival“(ესტონეთი);
 - ✓ ქართველი მხატვრების გამოფენა ისრაელში;
 - ✓ სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის გასტროლი (ქ. ვინიცა და ქ. პოლტავა, ქ. ვანაძორი);
 - ✓ სსიპ თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის მონაწილეობა ალმა-ატის მე-4 საერთაშორისო თოჯინების ფესტივალში.
 - ✓ სტამბოლისა და კიევის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეებში „ზღვის წყალი - ფიქრის ფორმის თეორია“ და „კიევის სკოლა“ გამოფენით „ფიქრის ფორმის მანიფესტი - გაუჩინარების გზა“
 - ✓ ლონდონში ქართული ფილმების რიგით მე-4 ფილმების ფესტივალი „კინოში ასახული ცხოვრება;
 - ✓ Gallery 11 თანამედროვე ხელოვნების გამოფენა (შვეიცარია, ქ. ციურიხი);
- ხელი შეეწყო: ჟურნალების, კრებულების, წიგნებისა და აუდიო-დისკების გამოცემას. „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩები-ტრადიციის შენარჩუნებას“; საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრისა და საქართველოს ყრუთა კავშირის საქმიანობას; უსინათლო შშმ პირებისათვის ქართული ლიტერატურის ნიმუშების აუდიო ჩანაწერების გამოცემას, პროექტს „შშმ პირების ოცნებების რეალიზაცია თოჯინების თეატრთან ერთად“ და ასევე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს.
 - რეაბილიტაცია ჩაუტარდა: თეატრი - 10; მუსიკალური და სხვა ცენტრების რეაბილიტაცია - 2; სასწავლებელი -3; მუზეუმი- 4; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - 4;
 - მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია: თეატრი- 3; სასწავლებლები - 3; ცენტრისთვის - 1;
 - სხვადასხვა ტექნიკით (განათების აპარატურა, ბოლის აპარატი, ქარის აპარატი, კვამლის აპარატი, პროექტორი, ხელის დისტანციური მიკროფონი, იატაკის მიკროფონები, გახმოვანების მიქსერი და სხვ.) აღჭურვილი თეატრები - 4; ანსამბლი - 1;

8.2. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

- საქართველოს რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე. მოპოვებულია 2015 წლის ევროპის ჩემპიონის ტიტული;
- ქალ მორაგბეთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ათენის საერთაშაროსიო ტურნირში და გახდა ტურნირის ჩემპიონი;
- საქართველოს მორაგბეთა თვრამეტწლამდელეთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატში, სადაც მოიპოვეს ვერცხლის მედლები;
- საქართველოს მორაგბეთა ოცწლამდელთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო 2015 წლის მსოფლიო ალაფის გათამაშებაში, მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული და 2106 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური;
- საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრები ჩაერთო რაგბის მსოფლიო თასის გათამაშებაში და მოიპოვა 2019 წლის მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება;
- საქართველოს კალათბურთის ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ხორვატიასა და საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, დაძლია ჯგუფური ეტაპი და მოიპოვა მერვედფინალში ასპარეზობის უფლება.
- ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში „ვორალბერგი-ლიხტენშტეინი - 2015“ (სნოუბორდი, სამთო-სათხილამურო სპორტი, ფიგურული ციგურაობა) და პირველ ევროპულ თამაშებში „ბაქო-2015“ (ბაქოს თამაშებზე საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა 16 მედალი, აქედან 2 ოქრო, 6 ვერცხლი და 8 ბრინჯაო);
- სპორტის პოლიტიკის და მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: სამოყვარულო ლიგა კალათბურთში, ტრადიციული სამთო-სათხილამურო ტურნირი „ლადოს თასი 2015“-ი (ბაკურიანი), სასკოლო სპორტული ოლიმპიადა (რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის მასშტაბით და ჩართული იყო 15 000 მონაწილე), კუს ტბაზე სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება (5 აპრილი), საქველმოქმედო გარბენი ყვარელში („world run“);
- ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივი ძალისხმევით სკოლებში დაინერგა ჭადრაკის სწავლების პროგრამა. საპილოტე პროექტში მონაწილეობდნენ თბილისის, იმერეთის, კახეთის,

სამეგრელო-ზემო სვანეთის და აჭარის საჯარო სკოლები. მასწავლებლებმა მომზადება გაიარეს იმერეთის 72, აჭარის 44, თბილისის 66, კახეთის 42 და სამეგრელო-ზემო სვანეთის 85 საჯარო სკოლაში.

- სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის მცირეფასიანი სპორტული ინვენტარი. შეძენილ იქნა სპეციალური აღჭურვილობა მთამსვლელთა ფედერაციისათვის. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“- ჩატარებასთან დაკავშირებით, თბილისში აშენდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მულტიფუნქციური სპორტის სასახლე და საცურაო აუზი;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (13 ქალაქში) დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობები.
- პროგრამა „ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი - 2015“-ის ფარგლებში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატები (ფრენბურთი, ხელბურთი) და სარეიტინგო პირველობა ძიუდოში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა ყველა ის სპორტსმენი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ოლიმპიური ფესტივალისათვის მზადებაში (გოგონები, ვაჟები). მოეწყო ნაკრები გუნდების სასწავლო საწვრთნელი შეკრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში (სპორტული ტანვარჯიში 4, ველოსპორტი 3, ძიუდო 2, მძლეოსნობა, ხელბურთი 3). ოსტატობის ამადლების და საშეჯიბრო გამოცდილების მიღების მიზნით საერთაშორისო ტურნირებზე და ტესტ-მატჩებზე მივლინებულ იქნენ ხელბურთის, ფრენბურთის, ძიუდოს, ველოსპორტის, ჩოგბურთისა და ტანვარჯიშის ნაკრებები;
- განხორციელდა სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში“ რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;
- სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმში“ სპორტის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა 35-მდე ღონისძიება, რომელიც მოიცავდა გამოჩენილ სპორტსმენტთა საიუბილეო საღამოებს, გამოფენებს და გამოჩენილ მოქმედ და ვეტერან სპორტმენტებთან შეხვედრებს. მუზეუმის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა საიუბილეო საპრეზენტაციო ბუკლეტი;
- 2015 წელს საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს. ფესტივალში ევროპის 51 ქვეყნის 3000-ზე მეტმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. საქართველოს დელეგაციამ გუნდურ ჩათვლაში მე-10 ადგილი დაიკავა (მოპოვებულია 10 მედალი: 4 ოქრო, 6 ბრინჯაო);
- სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯში შეიქმნა ახალი მოდულური პროგრამა, რომლის მოთხოვნის შესაბამისად შეძენილ იქნა სავალდებულო ინვენტარი.

- ქართველმა პარაოლიმპიელებმა წარმატებით იასპარეზეს 2015 წლის აგვისტოში პარაფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატზე (1 ვერცხლი) და სექტემბერ-ოქტომბერში კუალა-ლუმპურში (მალაიზია) გამართულ მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 1 ბრინჯაო);
- ე. თბილისში ჩატარდა მსოფლიო გრან-პრის გათამაშება ვაჟთა შორის ჭადრაკში, ხოლო ჩინეთის ე. ჩენგდუში ჩატარდა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი ქალთა შორის, სადაც საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული;
- ე. თბილისში ჩატარდა ძიუდოს გრან-პრის ეტაპი, ხოლო პოლონეთში ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობის ევროპის 23 - წლამდელთა ჩემპიონატი (საერთო ჩათვლაში საქართველოს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრებმა მოიპოვა ოქროს, ხოლო თავისუფალი ჭიდაობის ნაკრებმა გუნდმა ვერცხლის მედალი).

8.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- ✓ სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები.

8.4.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

- დასრულდა შემდეგი სამუშაოები: სსიპ დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საგვარეულო ბიბლიოთეკისთვის სტელაჟების დამზადება; სსიპ მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის ფონდსაცავის მოწყობისა და მეორე სართულის რემონტი; სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისთვის ტენიანობისა და ტემპერატურის მარეგულირებელი დანადგარების შექმნა; სსიპ - ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის ტექნიკური აღჭურვა; სსიპ - საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება; საქართველოს მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-კონსერვაცია (320 ექსპონატი); სსიპ - ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზების ჭერის კაპიტალური რემონტი; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ღია ცის ქვეშ მუზეუმში ოსური სახლის რეაბილიტაცია (I ეტაპი).

- გამოიცა: ააიპ - ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გზამკვლევი; სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ მომზადებული წიგნი - „პირველი ქართველი მესურათხატე ალექსანდრე როინიშვილი და მისი მუზეუმი“; „სახელმძღვანელო გიდებისთვის“.
- განხორციელდა: სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლის ქართული კინოს დარბაზის რეაბილიტაცია, კომპიუტერული ქსელის შექმნა, ფოტოფონდისთვის სტელაჟების დამზადება და სარესტავრაციო სახელოსნოსთვის გილიოტინის შექმნა; სსიპ - აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დედისეული შენობის (სასტუმრო სახლი) რეაბილიტაცია; სსიპ - ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის სამუშაოები; სსიპ - ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო სივრცისა და ფონდსაცავის კონდიცირება; სსიპ - ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის პროექტი - დარბაზის და საფონდო ოთახის სარემონტო სამუშაოები და კარადების შექმნა; სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის მიერ სერგო ქობულაძის საოპერო ფარდის აღდგენისათვის საჭირო საარქივო და სამუზეუმო მასალის მოძიება;

8.4.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასება, რეაბილიტაციის საკვლევი საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფა
- მომზადდა: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია: ნორაშენის ტაძარი; ზემო სვანეთის კოშკები; აწყურის ღვთისმშობლის ეკლესია და ციხე; თბილისი, აღმაშენებლის ქ. N103 თოჯინების თეატრი (I ეტაპი); ქ. ზუგდიდი, დადიანების სასახლის ბოტანიკური პარკი; მცხეთის ჯვრის ქვის კონსერვაცია; თბილისი, აღმაშენებლის ქ. N127 რკინიგზელთა სახლი; თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. N49 ჭაბუკიანის საბალეტო სკოლა; თბილისი, რუსთაველის ქ. N19 თეატრალური ინსტიტუტი. თბილისი, უმანგი ჩხეიძის ქ. N8 ყოფილი პოლიტექნიკური კოლეჯი; ქ. სიღნაღი, თამარ მეფის ქ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი; გრაკლიანი გორის დაზვერვითი არქეოლოგიური კვლევა; ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურულ კომპლექსში ბერთაყანების დაზვერვითი არქეოლოგიური კვლევები; აბულმუგის ეკლესია; წოფის დარბაზული ეკლესია; თბილისი, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის დაზიანებული გუმბათის გადახურვა; თბილისი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებული საცხოვრებელი სახლი; თბილისი, ახალგაზრდობის სასახლე; ხობის მონასტრის სასახლე; მაჭის ციხე, დარბაზული ეკლესია; წყაროსთავის ეკლესია; ქ. თბილისი, ზემო ბეთლემის ეკლესია;

მარტყოფის ღვთაების მონასტრის ჩრდილოეთის მკლავის საძირკვლის გამაგრება; სოფ. ხოვლე, აკვედუკის რეაბილიტაცია; ციხე დიდი (ძეგვი) არქეოლოგიის დამცავი გადახურვა; სოფ. ნადიბაანი. ღვთისმშობლის ეკლესია; მეორე ტოლა, დარბაზული ეკლესია; კაწარეთის სამების დაზიანებული სვეტების კონსოლიდაცია; ზემო სვანეთის 5 კოშკის რეაბილიტაცია; სოფ. ბორითი, წმ. გიორგის ეკლესია; ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი; სოფ. დართლო, შენობა N70, წმ. გიორგის ეკლესია; სოფ. სხვიტორში მდებარე აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის შენობა (როსტომისეული სასახლე) და მის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია; ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსი; კუმურდოს გუმბათიანი ეკლესია;

- მომზადდა წინა მოსამზადებელი ეტაპი: კვიპროსში ღალიის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიისა და ქ. ლარნაკის შემოგარენის ისტორიულ ნაწილის ინვენტარიზაცია; კვიპროსში ღალიის სამონასტრო კომპლექსის 3D ლაზერული სკანირება და არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომების მომზადება;
- ქ. მცხეთა, სამთავროს მაცხოვრის ტაძრის საკურთხევლის ფერწერა; ჭელიშის უდაბნოს ღვთისმშობლის ეკლესია. გელათის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური ობიექტის გადახურვის მოწყობა;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის კედლის მხატვრობის კონსერვაცია;

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით დასრულდა 2015 წელს დაგეგმილი შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა: ვარძიის კომპლექსის საკვლევ-საექსპოზიციო ბაზის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები; დავით გარეჯის დოღო რქის სამონასტრო კომპლექსის ახალგამოვლენილი დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაციის პირველადი გადაუდებელი სამუშაოები; ქ. მცხეთა, ბებრის-ციხის სუბსტრუქციის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი); არმაზისხევის პიტიანხევის კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები; ბაგინეთის არქეოლოგიური სამუშაოები; ალავერდის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილი ნაშთების კონსერვაცია; ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელების ფარგლებში გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოები; სოფ. კვირიკეს ჯამეს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გონიოს ციხის ტერიტორიაზე არსებული წმ. მატათას საფლავის მოწყობა; კაცხის ეკლესიის სამრეკლოს სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; „გრაკლიანი გორას“ სატაძრო კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები; წმინდა დოღო გარეჯელის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები; სოფელ ზიარის „ადგილი ქოდალო“-ს არქეოლოგიური სამუშაოები; ხვამლის მთის არქეოლოგიური სამუშაოები; გეგუთის სასახლის არქეოლოგიური სამუშაოები; „დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგიური სამუშაოები; ქ.

სიღნაღი, თამარ მეფის ქ. N10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის პირველადი გადაუდებელი ღონისძიებები; ალავერდის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები; „გრაკლიანი გორის“ კომპლექსის არქეოლოგიური სამუშაოები; და გამოვლენილი ნამოსახლარის კონსერვაცია; „ბერიკლდეები“-ს არქეოლოგიური სამუშაოები; ატენის სიონის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში ტაძრის სამხრეთ ფასადის ქვის კონსერვაცია და სამხრეთ კონქის დროებითი სახურავის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის სამუშაოები; ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები; სოფელ ზემო მსხალგორის ნაქალაქარის და ეკლესიის არქეოლოგიური სამუშაოები; ნოქალაქევის არქეოლოგია; სვანური კოშკების და მაჩუბების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. თბილისი, ანჩისხატის ტაძრის რეაბილიტაცია (II ეტაპი); უშგულის თემი, სოფ. ჩაჭაში არსებული ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი); სოფ. ზედა ციხესულორის არქეოლოგიური სამუშაოები; დოლოჭოპის არქეოლოგია და კონსერვაცია (II ეტაპი); სქურის რეაბილიტაცია (II ეტაპი); ნოღას ციხის რეაბილიტაცია (I ეტაპი); მუცოს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);

- ქ. თბილისი, მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიის ფასადების რეაბილიტაცია (II ეტაპი); ადიშის ლაჩანაშის წმ. გიორგის ეკლესიის სახურავის რეაბილიტაცია; „გრაკლიანი გორის“ არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა (I ეტაპი); კლდისუბნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია (I ეტაპი); დადიანების კომპლექსი, ნიკო დადიანის სასახლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია (I ეტაპი); შორეთის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია (I ეტაპი); ატენის სიონის ტაძრის გარშემოსავალ ბაქანზე ლითონის მოაჯირის მოწყობა; სოფ. დიდი ჯიხაიში ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (I ეტაპი); ქ. სენაკი, აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის რეაბილიტაცია (I ეტაპი); დაბა თიანეთი, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია; თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაცია; საფარის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძრის რეაბილიტაცია (II ეტაპი); ნაბახტევის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია (III ეტაპი); სოფ. თაიას „ოსინდალე“-ს ეკლესიის ცენტრალური დარბაზის ინტერიერის ქვის საპირე წყობის გადაუდებელი რეაბილიტაცია; დაბა მესტიის ლეხთაგის უბანში მდებარე ხერგიანების საგვარეულო საცხოვრისის გალავნის გადაუდებელი-სარეაბილიტაციო სამუშაოები; კაცხის სვეტზე არსებული სატრაპეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნოქალაქევის ნაქალაქარის არქეოლოგიური სამუშაოები; ბოდბის წმ. გიორგის (წმ. ნინოს) ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (იატაკის მოწყობა II ეტაპი); სოფელ გვალდას მთაზე არსებული ეკლესიის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამთავროს მონასტერში, ღირსი მამა გაბრიელის აღმსარებლის და სალოსის წმინდა ცხედრის საბოლოო განსასვენებლის მოწყობის სამუშაოები; გუდაბერტყას არქეოლოგიური სამუშაოები.

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის კვლევით და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებები

- საერთაშორისო უმაღლესი რანგის ექსპერტების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს: ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის კომპლექსური კვლევა - მონიტორინგის II ეტაპის განხორციელება.
- უკვე შემუშავებულია წყლის აცილების მართვის პროექტი; საშიში უბნების გამაგრების პროექტები; გრძელდებოდა ვარძიის გეოლოგიური მდგრადობის კვლევა-მონიტორინგი მეტეო და სეისმო დანადგარების მეშვეობით, ასევე, ვარძიის ამგები ქანების ფიზიკო-ქიმიური კვლევა;

UNESCO - ს კონვენციების ინპლემენტაცია და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;

- მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრმა მიაწოდა მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფი ძეგლების (მცხეთის ისტორიული ძეგლები, ბაგრატის საკათედრო ტაძრისა და გელთის მონასტერი) კონსერვაციის მდგომარეობის შეფასების ანგარიშები;
- მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში რეგიონალური განვითარების მეორე პროექტის ფარგლებში გელათის სამონასტრო კომპლექსში დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისთვის მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და შესაბამისი რეკომენდაციების მიღება. მუდმივ რეჟიმში გრძელდებოდა მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციით განსაზღვრული წესისამებრ შესაბამისი დოკუმენტაციის იუნესკოს ცენტრისათვის მიწოდება;
- დასრულდა ევროკავშირის დახმარების პროგრამის, TWINNING-ის პროექტის განხორციელება;
- კედლის მხატვრობის კონსერვაციის სფეროში მსოფლიოში აღიარებული ორგანიზაციის - ლონდონის უნივერსიტეტის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტის აქტიური მონაწილეობით და თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციისა და ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტთან თანამშრომლობით, 2015 წელს დასრულდა ვარძიის ღმრთისშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის წინასაპროექტო კვლევითი სამუშაოები. ამ სამუშაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტების სწავლება და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება კედლის მხატვრობის კონსერვაციის განხრით.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მართვა, ინვენტარიზაცია და პოპულარიზაცია

- საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული რეალობის გათვალისწინებით, აგრეთვე ქართველებისთვის ენის, როგორც კულტურის ფუნდამენტისა და კულტურის მატარებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე „ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალ კულტურას“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის კატეგორია მიენიჭა და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური მემკვიდრეობის ნომინაციაზე წარსადგენად;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური კავშირის საანგარიშო კონფერენციაში, სადაც საქართველო მიიღეს აღმოსავლეთ-ევროპის კავშირის წევრად.
- დასრულდა უფროსკლასელთა კონკურსი „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“. გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, მომზადდა და დაიბეჭდა ილუსტრირებული ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“;
- მიმდინარეობდა მუშაობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად შემდეგ ელემენტებზე: „ვეფხისტყაოსნის ზეპირად გადმოცემის ტრადიცია“; ჩურჩხელა - დამზადების ტექნოლოგია; კახური ქუდის დამზადების ტექნოლოგია; დედას პური - დამზადების ტექნოლოგია; სვანური ქალთა ფერხულები; სვანური ხალხური საკრავის ჩანგის - დამზადების ტექნოლოგია; ოჯახის უფროსი - „ქორამახშვის“ ინსტიტუტის ტრადიცია სვანეთში; ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტრადიციები ზემო სვანეთში - სასარგებლო წყლები; დაკრძალვისა და მიცვალებილისადმი პატივის მიგების ტრადიცია ზემო სვანეთში; დასრულდა პროექტი „ასპინძის მუნიციპალიტეტში ხერთვისი-ვარძია-ოლოდას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პირველადი ინვენტარიზაცია“.
- დასრულდა 2015 წელს დაგეგმილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული მრავალფეროვანი მემკვიდრეობის, კერძოდ, გერმანული კოლონიების ისტორიული დასახლებების, მათი ურბანული ქსოვილის, საკულტო და საერო, მათ შორის საზოგადოებრივი, ინდუსტრიული თუ საცხოვრებელი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშების ინვენტარიზაცია-დოკუმენტირება; ასევე, იმ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება, რომელთაც გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევები ესაჭიროებათ;
- განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ოსმალური ძეგლების მონიტორინგი; 2015 წელს გაგრძელდა პროექტი „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა“ და საინფორმაციო სისტემების არქივის მონაცემთა ბაზის შევსება.
- ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი ეროვნული სივრცითი მონაცემთა ბაზის და ნორვეგიის მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზების შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზეც გამოიყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი სამომავლოდ მონაცემთა ბაზის განვითარების მიმართულებით;
- მიმდინარეობდა კულტურული მემკვიდრეობის გის მონაცემთა ბაზაში მონაცემების (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები/ობიექტები, მოძრავი ძეგლები/ობიექტები, კედლის მხატვრობა და ქვაზე კვეთილობა) შეყვანა და მუდმივ რეჟიმში გამოცდა;

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მონაწილეობდა ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) შექმნაში.
- ჩატარდა ტრენინგი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამსახურების, მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებისთვის კულტურული მემკვიდრეობის ბაზასთან მუშაობის მიმართულებით.

მუზეუმ-ნაკრძალები და სამუზეუმო ექსპოზიციები;

- დასრულდა ქ. ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის შენობის სარემონტო და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები (II ეტაპი); მომზადდა არმაზისხევი, პიტიახშთა კომპლექსში საექსპოზიციო დარბაზის პროექტი; მირზაანში ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში განხორციელდა საგამოფენო დარბაზების რეაბილიტაცია; ქ. გორში გაიხსნა დიდი ლიახვის ხეობის მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობა და მის ბაზაზე კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი. შენობაში მოწყობილია ექსპოზიცია, რომელიც დიდი და პატარა ლიახვის აუზის მდიდარ ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს წარმოაჩენს.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განაგრძობდა გამოცემების სერიას სახელწოდებით – „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი“, 2015 წელს აღნიშნული სერიის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა: „ნიკო ფიროსმანაშვილის პირადი საქმე“, „ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი“.
- ფიროსმანის სარესტავრაციო ნამუშევრებზე „შოთა რუსთაველი“ და „ქალი სააღდგომო კვერცხებით“, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ძეგლებზე, შედგა კვლევითი და საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა აღდგენითი სამუშაოები. რესტავრირებული სურათები დაბრუნდა მირზაანში.
- მოეწყო შემდეგი გამოფენები: „ძველსა და ახალ ბორჯომში“; „ფიროსმანი მირზაანის მუზეუმის კოლექციიდან“; ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დაცული მასალების გამოფენა; „ბორჯომი“;
- დასრულდა ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფიროსმანის ორი ნამუშევარის – „შოთა რუსთაველი“ და „ქალი სააღდგომო კვერცხებით“ რესტავრაცია;
- დასრულდა დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის გვიანბრინჯაოს ხანის საცხოვრებელი კომპლექსისა (სამთავროს ნამოსახლარი) და მცხეთის მუზეუმში დაცული ექსპონატების სკანირება და ვირტუალური რეკონსტრუქცია (II ეტაპი).
- დასრულდა ქართულ დასურათებულ ხელნაწერთა (IX- XIXსს) გაფორმებაში ჩართული მინიატურების მონაცემთა ბაზის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებების II ეტაპი; ნოქალაქევეში მოეწყო არქეოლოგიური ველი და მომზადდა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამა „საბავშვო არქეოლოგია“; განხორციელდა პროექტი „კახეთის მხარის მოსწავლეები-კულტურული მემკვიდრეობის დესკანები“.
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით მომზადდა და დაიბეჭდა შემდეგი გამოცემები: კატალოგი „წიგნის ილუსტრაცია XX საუკუნეში“, ყოველწლიური ჟურნალი

მველი ხელოვნება დღეს“ მორიგი ნომერი, წიგნი „ქუთაისის არქეოლოგია“; ელექტრონული ჟურნალი „ონლაინ არქეოლოგია“, კრებული „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014-2015 წლის ანგარიში“.

- „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში (149,5 ათასი ლარი) განხორციელებული ღონისძიებები: 2015 წელს განხორციელდა შემდეგი პროექტები: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის სისტემისა და კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული სისტემის (GIS) შექმნა და შემდგომი განვითარება (ეტაპი), შედეგად, დასრულებულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი გეოსაინფორმაციო პორტალის მომზადება, საცდელ რეჟიმში აეწყო კავშირი და მონაცემთა მიმოსვლა ცენტრალურ მონაცემთა ბაზასა და გარე მომხმარებელს შორის.
- ვორქშოფები პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, კერძოდ: ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მართვის გეგმის განვითარების, ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ნანგრევების კონსერვაციისა და ნოქალაქევის „ხის სახლის“ აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით.
- მცირე და საშუალო ისტორიული ქალაქების მართვის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში გაიმართა 2 საერთაშორისო კონფერენცია - ქ. ჭიათურასა და თბილისში, რომელიც შეეხო: ინდუსტრიული მემკვიდრეობის მართვისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი დარღვევების აღმოფხვრის მექანიზმებს.

8.6 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
 - ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
 - ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
 - ✓ სსიპ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე
- „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობდა „მოხალისეობის განვითარების“, „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის“, „ახალგაზრდული ჟურნალისტიკის განვითარების“, „საერთაშორისო თანამშრომლობის“, „მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობის“, „რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის“, „მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის“, „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის

განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის“ პროგრამების განხორციელება;

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის“ პროგრამის ფარგლებში 70-მდე შშმ პირი გადამზადდა სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით, 40-მდე შშმ პირი დასაქმდა დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად საინფორმაციო საიტებსა და ქართულ ვიკიპედიაში.
- „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მოეწყო 400-კაციანი ერთობლივი საერთაშორისო საზაფხულო სკაუტური ბანაკი, რომელშიც სამინისტროს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 18-დან 26 წლამდე ასაკის 7 რეგიონის (კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, სამცხე-ჯავახეთი) 112-მა მონაწილემ. ბანაკის მოწყობის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება სკაუტური მოძრაობით, მათი თავისუფალი დროის რაციონალური და სწორი ორგანიზება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დასვენება.
- „არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში“ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მსჯავრდებულებთან ხორციელდება რაგბისა და ფეხბურთის, ასევე ხეზე კვეთის, ხის დიზაინის, მხატვრული დამუშავების, მინანქარის სწავლება;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა „სტუდენტური დღეები - 2015“, სადაც მონაწილეობა მიიღო 52 უმაღლესი სასწავლებლის 5 000-მდე სტუდენტმა. „სტუდენტური დღეები - 2015“-ის ფარგლებში ჩატარდა სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური შეჯიბრებები;
- განახლდა „მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი პროფსაკონსულტაციო ვებგვერდი www.myprofession.ge, 2015 წელს ვებ-გვერდს www.myprofession.ge დაემატა პიროვნების საკვლევი ახალი ფსიქოლოგიური ტესტი, 30 ვიდეორგოლი სხვადასხვა პროფესიების შესახებ, შემუშავდა სარეკომენდაციო მასალა ახალგაზრდებისა და მათი მშობლებისათვის. ვებ-გვერდის უნიკალურ ვიზიტორთა რაოდენობამ 80 000 მომხმარებელს გადააჭარბა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის მიმართულებით, 2015 წელს სპეციალური პროგრამა განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც მოეწყო 18 გასვლა ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ძეგლების გაწმენდის, არქეოლოგიურ და სარეაბილიტაციო სამუშაოებში: ვარძიაში, ახალქალაქში, ლაგოდეხში, კოდაში. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 220-მა სტუდენტმა;
- განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ჩაატარა პირველი საგრანტო კონკურსი და კავშირების მიერ წარმოდგენილი 146

საკონკურსო პროექტიდან დააფინანსა 43 პროექტი. ამ პერიოდისათვის დასრულებულია 7 პროექტი, ბენეფიციართა საერთო რაოდენობა 778 (მათ შორის 31 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი);

- პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდული ცენტრმა უზრუნველყო დაბა ანაკლიაში 14-18 წლის ასაკის მოზარდების (საჯარო სკოლების წარმატებული მოსწავლეები) შინაარსიანი და გონივრული დასვენების ორგანიზება (პროგრამა განხორციელდა ექვს ნაკადად და გათვლილი იყო 1 728 მონაწილეზე, ასევე განხორციელდა ქვეპროექტი „ნორჩ მაშველთა კლუბი“);
- პროგრამა ახალგაზრდული ფესტივალი 2015-ის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდული ეროვნული ცენტრის მიერ ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის და სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების, ჩართულობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები: „ფანARTი“ (პირველი მრავალჟანრობრივი ფესტივალი, რომელიც აერთიანებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებს), „იცხოვრე სპორტით“, „მინიკალათბურთის ფესტივალი“, „ქუჩის კალათბურთი“, „ქუჩის ფეხბურთი“, „სასკოლო დემოკრატია“, „მოხალისეთა კლუბი“, „გადლიერდი და შეცვალე“ (შშმპ პირთა უფლებები და დაცვის მექანიზმები - სამიზნე ჯგუფი შშმპ ბავშვთა მშობლები), „ცვლილებები თანასწორობისთვის“, „ახალგაზრდული კვირეული“, „ჩვენი თავგადასავალი“ (კონკურსი დამწყები პროზაიკოსებისათვის) და სხვა.

8.7 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აპარატი.

- კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია. ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა; საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება; საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კულტურის კერებისა და ფონდების შექმნა; კულტურულ ღირებულებათა დაცვა, მათი შესწავლა და პოპულარიზაცია.

8.8 სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით; მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 360 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო ყოველთვიურ დახმარება; საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენტა სტიპენდიების ფარგლებში სტიპენდია გაეცა 750 სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე.

8.9 სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- დაფინანსდა ადმინისტრაციული ხარჯები სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

9.1. საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მათ შორის ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების კუთხით. გაიმართა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მაღალი დონის ვიზიტები და ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები. გაფართოვდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ქსელი და ქვეყნების გადაფარვის არეალი.

9.1.1. საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შესანარჩუნებლად. მიმდინარეობდა მუშაობა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ რეზოლუციის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. შედგა ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების ვიზიტი საქართველოში და გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებები. გრძელდებოდა კონსულტაციები ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებთან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით, შედგა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შემფასებელი ექსპერტთა მისიების ვიზიტები საქართველოში, რომლებმაც დადებითად შეაფასეს საქართველოს პროგრესი საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის მიმართულებით, რის შედეგადაც ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ იქნა რიგით მეოთხე საბოლოო ანგარიში;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ნატოში ინტეგრაციის კუთხით. გაიმართა ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრიალი, ქ.ბუდაპეშტში შედგა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა, საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე;
- მიმდინარეობდა კამპანია გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მაქსიმალური საერთაშორისო მხარდაჭერის და კენჭისყრის დროს წევრი სახელმწიფოების მხრიდან მხარდამჭერი განცხადებების უზრუნველყოფის მიზნით. ამ კუთხით, გაერო-ს გენერალურმა ასამბლემ მიიღო მორიგი რეზოლუცია „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში და მიმდებარე ზონებში არსებული მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით, წლის განმავლობაში არც ერთ ქვეყანას არ უღიარებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ „დამოუკიდებლობა“;

- საქართველოს ვიზიტით ეწვია წამების საკითხებზე გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი და გაერო-სთან აკრედიტებულ მუდმივი წარმომადგენლები შემდეგი ქვეყნებიდან: გვინეა, გრენადა, იამაიკა, კაბო-ვერდე, ტიმორ-ლესტე, ტონგა, უგანდა.
- გრძელდებოდა მუშაობა გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭოში საქართველოს გაწევრიანების მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში განსაზღვრული მიმართულებების განხორციელების საკითხებზე ინტენსიური მუშაობა. დაიგეგმა და განხორციელდა ორმხრივი მაღალი დონის ვიზიტები; შედგა საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის კომისიის ოთხივე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
- სამინისტრო მუშაობდა სავაჭრო-ეკონომიკური და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავებაზე და სხვადასხვა ეკონომიკური სფეროების განვითარების ხელშეწყობაზე. გრძელდებოდა მუშაობა შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფარგლებში. სამინისტრო აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის შეხვედრებსა და ფორუმებში. ამის გარდა, სამინისტრო აქტიურად მუშაობდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციაზე და ინვესტიციების მოზიდვაზე;
- სამინისტრო მუშაობდა UNESCO-ს მმართველ და დამხმარე ორგანოებსა და კომიტეტებში. ამის გარდა, სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას;
- დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები ტონგას სამეფოსთან, ბელიზთან და ნამიბიასთან. ასევე, გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის არეალი;
- გაიხსნა საქართველოს საელჩო კუბის რესპუბლიკაში;
- გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები ომანთან, თუნისთან, სამხრეთ კორეასთან, ისრაელთან, ონდონეზიასთან, თურქმენეთთან, ბელარუსთან (2 ჯერ), უზბეკეთთან, პანამასთან, ჰონდურასთან და პერუსთან;
- ქ.თბილისში გაიმართა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეხვედრა - ამბასადორიალი - 2015;
- მიმდინარეობდა მუშაობა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებების და ინტერესების დაცვის კუთხით, რაც გულისხმობს ადგილსამყოფელი სახელმწიფოების სასჯელადსრულებით დაწესებულებებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მონახულებას, მათ სასამართლო პროცესებზე დასწრებას და გარდაცვლილთა გადმოსვენების პროცესის ორგანიზებას და საქართველოს მეზღვაურთათვის დახმარების აღმოჩენას;
- საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონულ სისტემაში ფორუმის მოდულში ჩაირთო ე.წ. ქვეყნის პროფილის ფუნქციონალი, რომლის მეშვეობითაც თავი მოეყრება საკონსულო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება საკონსულო საქმიანობის ჯეროვნად შესრულებაში იმ პირებს, რომლებიც

ფუნქციებს დროებით ასრულებენ ანდა რომელთაც უფლებამოსილების განხორციელება ახალი დაკისრებული აქვთ;

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საფრანგეთის რესპუბლიკის შესაბამისმა სამსახურმა დაიწყო რეადმისიის მართვის ელექტრონულ პროგრამის გამოყენება. ასევე, მაისიდან საკონსულო დეპარტამენტში გამოყოფილ იქნა თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებიც უფლებამოსილნი არიან უზრუნველყონ სატელეფონო კონსულტაციების გაწევა (დაინერგა ე.წ. call center).

9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

- განხორციელდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა. ბიურომ უზრუნველყო საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი უცხოელი კოლეგებისა და დელეგაციების ერთობლივი პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების სინქრონული თარგმნა და ასევე, საზვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთა შეხვედრა-ამბასადორიალის სინქრონული თარგმნა.

9.2 ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- დასრულდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. სახელმწიფო მინისტრის აპარატი მონაწილეობდა საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის შესახებ მიმდინარე დიალოგის ფარგლებში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის შესრულებაში;
- შედგა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტები დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, უკრაინაში, პოლონეთში, ბელგიაში, საბერძნეთში, კვიპროსში, უნგრეთში, ესპანეთსა და ფინეთში. ვიზიტების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან, სახელმწიფო მოხელეებთან, პარლამენტარებთან, ასევე სამეცნიერო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან;
- რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპაციის პირობებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;
- ჩატარდა აქტიური ღონისძიებები საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის ხელმოწერილი 2014-2017 წლების ევროკავშირის ერთიანი დახმარების ჩარჩო პროგრამის (Single Support Framework - SSF) ფარგლებში გათვალისწინებული დახმარების განსახორციელებლად, კერძოდ: ხელი მოეწერა 4 საფინანსო შეთანხმებას;
- საქართველოში დონორთა კოორდინაციის ერთიანი მექანიზმის შემუშავების მიზნით, კონსულტაციები დაიწყო ევროკომისიის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად მონაწილეობდა საჯარო სამსახურის რეფორმის ახალი კანონმდებლობის მომზადებაში, რაც მომავალში საფუძვლად დაედება საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებას;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის პროგრამა HORIZON 2020-ს ასოცირებული წევრის სტატუსით მონაწილეობასთან დაკავშირებით გამართულ მოლაპარაკებებში. აღნიშნულ პროგრამაში ასოცირებული წევრის სტატუსით მონაწილეობა საქართველოს გაუხსნის დამატებით შესაძლებლობებს მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ახალ და მრავლისმომცველ ინიციატივებში განათლების სფეროში;
- წარმატებით გამართული მოლაპარაკებების საფუძველზე საქართველოსთვის ხელმისაწვდომი გახდა ევროკავშირის ინიციატივა „Creative Europe“-ში მონაწილეობა, რაც

ახალ და ბევრად ფართო შესაძლებლობებს იძლევა საქართველოს კულტურის სფეროს განსავითარებლად;

- ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, სადაც ქართულმა მხარემ 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამა წარადგინა. ალიანსის 28 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეფორმათა გეგმა და აღნიშნა, რომ დოკუმენტი ყოვლისმომცველი და რეალისტურია. ასევე, ხაზი გაესვა რეფორმების განხორციელების საქმეში საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს;
- სახელმწიფო მინისტრი მართავდა სამუშაო ვიზიტებს ნატო-ს შტაბ-ბინაში და ალიანსის წევრ სახელმწიფოებში. აღნიშნული ვიზიტების მთავარ მიზანს ალიანსისა და წევრი ქვეყნების მიერ საქართველოს ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერის გაძლიერება, ნატო-ს 2016 წლის ვარშავის სამიტისათვის საქართველოს მზადებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ნატო-ს მხრიდან დადებითი პოლიტიკური გადაწყვეტილების მოსაპოვებლად;
- ქ. ბათუმში გაიმართა რიგით მე-12 საერთაშორისო კონფერენცია „საქართველოს ევროპული გზა“. აღნიშნული კონფერენცია მიემდგნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტის შედეგების, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების და მისი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების საკითხების განხილვას. ასევე, რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში უსაფრთხოების გამოწვევებს. კონფერენციას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა მასში მონაწილე საქართველოს პარტნიორი ქვეყნებისა თუ ორგანიზაციების მხრიდან;
- საქართველოს მიერ „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ (VLAP) განხორციელების შესახებ 2015 წლის 8 მაისს გამოქვეყნებული ევროკავშირის მესამე ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად, 2014-2017 წლებისთვის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის ფარგლებში შემუშავდა „ევროკავშირი-საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა“.
- მინისტრის აპარატმა და ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა ერთობლივად შეიმუშავეს ნატოს შესახებ საზოგადოების ინფორმირების 2015 წლის სამოქმედო გეგმა. საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო ცენტრმა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გამართა 400-ზე მეტი შეხვედრა (სულ: 20,000-ზე მეტი მოქალაქის მონაწილეობით).

- საქართველოს მიერ მიმდინარეობდა აქტიური მონაწილეობა რეგიონალურ ინიციატივებში ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ფარგლებში, მათ შორის აღსანიშნავია ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა (EaPTCP), რომელიც ისახავს საქართველო-სომხეთის და საქართველო-აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონების განვითარებას ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სფეროებში.

9.3 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დაესწრო სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგიას“ მიერ ორგანიზებულ ქართული კულტურის მეექვსე ფესტივალის გახსნას, რომლის ფარგლებში აღინიშნა „გეორგიას“ დაარსებიდან 5 წლის იუბილე;
- დიასპორის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა:
 - ✓ პირველი პროფესიული დიასპორული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. ფორუმის მიზანს წარმოადგენდა უცხოეთში მოღვაწე წარმატებული თანამემამულეების მოწინავე პროფესიული გამოცდილების გაზიარება, მათი პოტენციალის მოზიდვა ქვეყნის სამსახურში, პროფესიული კავშირების გაღრმავება, პერსპექტივების გაანალიზება ერთობლივი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის და საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველ სპეციალისტთა ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებრივ, პროფესიულ და კულტურულ სივრცეში;
 - ✓ აპარატის ორგანიზებით გაიმართა უცხოეთში მოღვაწე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, ლიტერატურული კონკურსის - „ემიგრანტის წერილი 2014“ -ისა და ფუტზალის „ისტორიული დიასპორის თასის“ გათამაშებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება;
 - ✓ საქართველოში ჩამოსული თანამემამულეებისათვის მოეწყო გასვლითი ტური საქართველოში დანერგილი ინოვაციების გასაცნობად. დიასპორის დღეებში მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოში მოწვეულმა თანამემამულეებმა მოინახულეს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის მშენებარე ობიექტები და ორი საწარმო - სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ხელშეწყობით აშენებული მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა და ამავე პროგრამის დაფინანსებული კომბინირებული საკვების ქარხანა GEOFEED დაათვალიერეს.

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, 13 ივნისს ქ. თბილისში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევდა უცხოეთში მცხოვრები ქართული დიასპორის მიერ შემოწირულობების გადმორიცხვას სტიქიისაგან დაზარალებულთა დახმარების მიზნით, ასევე - ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოტანას საქართველოში;
- დაიწყო პროექტი „დიასპორული სტაჟირება 2015“, რომელიც გულისხმობს ოთხი სამუშაო კვირის განმავლობაში ქართველი სტუდენტების, რომლებიც საზღვარგარეთ იღებენ განათლებას სამთავრობო სტრუქტურებში პრაქტიკის გავლას. მიმდინარე წელს სტაჟირება გაიარა 36-მა სტუდენტმა;
- აპარატის ორგანიზებით, ანაკლიაში არსებულ „მომავლის ბანაკში“ დაისვენა საზღვარგარეთ მცხოვრებმა 135-მა თანამემამულემ. პროექტის მიზანია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან დაახლოება და საქართველოში მცხოვრებ მათ თანატოლებთან ურთიერთობის გაღრმავება;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბელგიის სამეფოსა და საფრანგეთის რესპუბლიკაში. ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თანამემამულეებთან შეხვედრები და მსჯელობა ადგილსამყოფელ ქვეყანაში მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე, აგრეთვე, მათთვის საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება.
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელის სახელმწიფოში, პოლონეთის, კვიპროსის, ავსტრიისა და ჩეხეთის რესპუბლიკებში, სადაც შეხვდა დიასპორის წარმომადგენლებს, მოინახულა საკვირაო სკოლები და ისაუბრა აპარატის საქმიანობის შესახებ. ასევე, იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკაში ქალაქ ნიცასა და პარიზში, სადაც გამართა შეხვედრები დიასპორის წარმომადგენლებთან, მიიღო მონაწილეობა ლევილის მამულში ჩატარებულ ქართულ-ფრანგული კულტურის დღეებში და ასევე, სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით საქართველოს საელჩოში ჩატარდა ლევილის შატოს მამულისა და ქონების საქართველოსათვის გადმოცემის და მისი შემდგომი ფუნქციის განსაზღვრის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა.
- ქართული დიასპორული კვირეულის ფარგლებში (2015 წლის ოქტომბერი) ღონისძიებები ჩატარდა საზღვარგარეთსა და საქართველოში, მათ შორის:
 - ✓ დიასპორული ეკონომიკური რეგიონული ფორუმი, რომლის მიზანი იყო ქართული დიასპორის მონაწილეობა სამშობლოში მიმდინარე პროცესებში;
 - ✓ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, „დიასპორის საინფორმაციო დღე“, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებისა და დიასპორის წარმომადგენლების ინფორმირებას ევროინტეგრაციის პროცესში, მიგრაციისა და დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- ✓ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში, უცხოეთში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების კონცერტი;
- ✓ ინფორმაციული ტური კახეთში, სადაც კვირეულის მონაწილეებმა საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის (IOM) მიერ დაფინანსებული ემიგრანტების მცირე ბიზნესები მოინახულეს.

10 სოფლის მეურნეობა

10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
 - ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“;
 - ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“;
 - ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“;
- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის მიზნით შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალის გასაზრდელად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერჯის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით მიმართული თანხებით განხორციელებულია სარწყავი და დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულებულია სამუშაოები 44 ობიექტზე, ხოლო 21 ობიექტზე მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, შეძენილია სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა და ჩატარებულია სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებები.
 - მონაწილეობა იქნა მიღებული: ქალაქ ბერლინში „მწვანე კვირეული“, ქ. ბაქოში აზერბაიჯანის კვების მრეწველობის 21-ე და სოფლის მეურნეობის მე-9 „კასპიან აგრო“ საერთაშორისო გამოფენებში. საფრანგეთში ქ. ლიონში გამართულ ყოველწლიურ გამოფენაში, ქ. ასტანაში რიგით მე-5 გაერთიანებულ საერთაშორისო გამოფენაში, ქ. ტალინში გამოფენა „Tallinn FoodFair 2015“ - ში, ქ. მინსკში გამართულ საერთაშორისო გამოფენა „ProdExpo 2015“- ში და ქ. მადრიდში კულტურათა საერთაშორისო საშობაო გამოფენაში.
 - 853 კოოპერატივს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2015 წელს გაცემულია 3 950 სესხი.
- მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის სია განისაზღვრა 767,0 ათასი ბენეფიციარით, სარგებელი მიიღო 622,5 ათასმა ბენეფიციარმა. ჯამში დამუშავდა 225,2 ათასი ჰა მიწის ფართობი.
- აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში 2015 წელს გაიცა 7,6 ათასი პოლისი, დაზღვეულია 40 218,8 ათასი ლარის ღირებულების მოსავალი და 4,9 ათასი ჰა მიწის ნაკვეთი.
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 18 პროექტი. 2015 წელს აღნიშნული თანადაფინანსებიდან გაცემულია 5 606,3 ათასი ლარი. ექსპლუატაციაში შევიდა 8 საწარმო, დასრულების პროცესშია 3 საწარმო, ხოლო მიმდინარეობს სამუშაოები 7 საწარმოში.
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დასრულდა დოეს-გრაკალის და ყარაღაჯის არხის სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხების I და სხვა რიგის გამანაწილებელების შიდასამეურნეო ქსელების, ლომა-ტურციხის საირიგაციო სისტემისა და ძვერა-შერთულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია.
- მანდარინის (არასტანდარტული) რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში ჩართული 4 ხილის გადამამუშავებელი კომპანიის მიერ შესყიდულია 10 358 ტონა არასტანდარტული მანდარინი.
- „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში 2015 წელს ჯამში 117 ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი სადაც სააგენტოს ჯამური თანადაფინანსება ნერგებსა და სარწყავ სისტემებზე შეადგენს 4.4 მლნ ლარს. აღნიშნული პროექტების განხორციელებით გაშენდა/ან გაშენების პროცესშია 835.9 ჰექტარი ახალი მრავალწლიანი სხვადასხვა კულტურის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური თანამედროვე ტიპის ბაღები.
- 2015 წლის რთველის პროცესში შესყიდულია 45 009,7 ათასი კგ ყურძენი.

10.1.3 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

- შეძენილია სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა, კერძოდ: 6 ერთეული სხვადასხვა სიმძლავრის ნასოს-აგრეგატი; 2 ერთეული ურდული ელექტროძრავით; 4 ერთეული სხვადასხვა სახის ელექტროძრავი; 37 ერთეული ტრანსფორმატორი; 1 ერთეული დიზელის გენერატორი; 122 ერთეული იზოლატორი; 8 ერთეული ვაკუუმტუმბო; 2 ერთეული კომპლექსური სატრანსფორმატორო ქვესადგური; 6 ერთეული ტუმბო და სხვადასხვა სახის ტუმბო-აგრეგატი კომპლექტში ჩარჩოთი; 8 ერთეული სხვადასხვა სიმძლავრის ასინქრონული ძრავის 2 საფეხურიანი გამშვები ელექტრო მართვის კარადა კომპლექტი; 2

ერთეული კომპლექსური სატრანსფორმატორო ქვესადგური; 22 ერთეული დრელი; 30 ერთეული ბეტონის ვიბრატორის კომპლექტი; 42 ერთეული ბარგალკა და ბარგალკა აკუმულატორზე დამტენით; 15 ერთეული დრელი და დრელი აკუმულატორზე დამტენით; 30 ერთეული ბეტონის ვიბრატორის კომპლექტი; 100 ერთეული ბალახის სათიბი ცელი; 19 ერთეული პერფორატორი; 15 ერთეული სანავიგაციო მოწყობილობა; 10 ერთეული IVECO ტუმბო კომპლექტი; 1 ერთეული საწვავის ხარჯშომი იმპულსური გამოსასვლელით; 1 ერთეული გეოდეზიური GPS მიმღები GS08 კომპლექტში და სხვა, ამასთან შეძენილია სატრანსპორტო საშუალებები, კერძოდ, 7 ერთეული FORD FIESTA და 9 ერთეული Hyundai Elantra 1.6 M/T.

- 2015 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები დასრულდა 44 ობექტზე, კერძოდ:
 - ✓ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის თბილისის წყალსაცავზე, ქვემო მაგისტრალური არხის და II რიგის გამანაწილებლების (გ-5, გ-5-1, გ-6, გ-15 და გ-16 7120 ჰა-ზე) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ფილტრაციული მონაკვეთის რეაბილიტაცია;
 - ✓ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის, ზემო მაგისტრალურ არხზე მოწყობილი საცხენისის და თეთრიხევის სწრაფდინების სარეაბილიტაციო სამუშაოები და ქვემო მაგისტრალური არხის წყალმიმღები კოშკის გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლეჟბადინში მდებარე სატუმბი სადგურის გარე ელექტრომომარაგება;
 - ✓ ქარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხვედურეთში მდებარე სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლების ზაკი-ხანდო-კოთელიას და ზრესის სატუმბი სადგურების შიდა და გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ვაქირის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ ქობულეთის მუციპალიტეტში, ჩოლოქის დასახლებაში მდებარე სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ ოფელ ატენის სავარგულების მოსარწყავად „ფურნის“ და „ჯებირის“ სატუმბი სადგურების გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ სოფელ ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგება;
 - ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ბაკურციხის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგება;

- ✓ ქალის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია მდინარე მტკვარზე გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობით, სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან მდებარე მერეთის თემის სოფელ მერეთის, ქერეს და კარბეს (ნაწილი) სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა წყლის თვითდინებით მიწოდებით მდინარე ნიკრულადან მკვებავი არხის მოწყობით;
- ✓ სასირეთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის, მდინარე თეძამზე უკაშხლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის ორი ავარიული მონაკვეთის (პკ107+46÷პკ107+94 და პკ109+74÷პკ110+52) და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლეჟბადინის სატუმბი სადგურის საპროექტო სიმძლავრეზე აღდგენა-რეაბილიტაცია ხრამ-არხის სარწყავი სისტემის ზონაში 1 400 ჰექტარი სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ტირიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ (264+27 დან პკ358+14 მდე) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ გორის მუნიციპალიტეტში ცხინვალის გამყოფ ხაზთან მდებარე ზედდულეთის თემის სოფლების კირბალის და ბერშუეთის, ახალუბნის თემის სოფლების ახალუბნის და აძვის სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა სტაციონარული სატუმბო სადგურის მოწყობა;
- ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის შტოს N1, I და სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია და მაგისტრალური არხის და შტოს N1 დამატებითი კვება მდინარე ნარეკვავიდან;
- ✓ ცისკრის, ბაგრატის და დებედას არხის სარწყავი სისტემების მაგისტრალური არხების, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მდინარე დებედაზე უკაშხლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობის მოწყობა;
- ✓ დმანისი-განთიადის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების, იაკუბლოს და პანტიანის წყალსაცავების სათავე ნაგებობების, შემავსებელი და წყალმიმყვანი არხების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის გ-9-ის, მისი მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;

- ✓ აღმალო-მუჯახეთის სარწყავი სისტემის აღმალოს სატუმბო სადგურის, მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ სოფ. ფლავისმანთან ტირიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის პკ166+93÷პკ183+37 ლ=1644მ ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოები;
- ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის (პკ39+30-დან პკ42+30-მდე; პკ44+00-დან პკ46+15-მდე; პკ51+43-დან პკ52+40-მდე; პკ52+80-დან პკ70+20-მდე და პკ73+60-დან პკ80+10-მდე, პკ104+60 დან პკ105+00 მდე, პკ107+00-დან პკ107+60მდე, პკ108+60-დან პკ109+20მდე) შტო N1-ის (პკ3+00-დან პკ4+50-მდე, პკ28+00-დან პკ28+50-მდე,) ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების და მაგისტრალურ არხზე მოწყობილი გალერეის (პკ70+20-დან პკ73+60-მდე) დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა;
- ✓ რიონი-ხობის მდინარეთა შორის მასივზე ჭალადიდის დამშრობი სისტემის N1 და N2 სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ატენის სავარგულების მოსარწყავად „ფურნის“ და „ჯებირის“ სატუმბო სადგურების აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ✓ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ზრესის და ზაკი-ხანდო-კოთელიას სატუმბო სადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია (I ეტაპი)
- ✓ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში (სოფელ ვაჩნაძიანი) წყალმიმყვანი მილსადენისა და მცირე წყალსატევარის მოწყობა (მიწათმოსარგებლების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიებით ვენახების მოსარწყავად);
- ✓ სკრა-ქარელის მაგისტრალურ არხზე მოწყობილი ხვედურეთის სატუმბო სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ✓ მდინარე პიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების(წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია პკ0+00 დან პკ49+50-მდე (I რიგი);
- ✓ ხობი უტორის მასივზე (სოფ თორსა ხამისყური) მაგისტრალური წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების და შიდასამეურნეო დამშრობი არხების რეაბილიტაცია;
- ✓ აბაშის მუნიციპალიტეტში „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I რიგი);
- ✓ კავთისხევის N1 და N2 აწევის სატუმბო სადგურების შენობების და სადაწნეო მილსადენის ერთი ხაზის აღდგენა (I რიგი);
- ✓ დედაბერა-ნიგვზიანის და სუფსის დამშრობი მასივის, მთისძირა არხის (წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა)

და მასზე მოწყობილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია (11 კმ.);

- ✓ სოფელ დვანის სავარგულების მოსარწყავად სალოვისის სარწყავი სისტემის გამანაწილებლის მონაკვეთის რეაბილიტაცია;
 - ✓ ტაშისკარი გ-1-4 გამანაწილებლების მონაკვეთის კვ 136+00 დან 151+09-მდე აღდგენა-რეაბილიტაცია;
 - ✓ თბილისის წყალსაცავის პატარა ზღვის ქვაბულის ნაწილის დანალექისაგან გაწმენდა (კომპურა წყალმიმღებში წყლის მისაღებად);
 - ✓ მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის მიწების (რიონი-ხობის მასივი) დამშრობი სისტემის N2 სატუმბი სადგურის მიმდებარე MD-2 არხისა და მასში შემაველი კოლექტორების ნაწილის რეაბილიტაცია.
- 2015 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა 21 ობექტზე, კერძოდ:
 - ✓ რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორისო მასივზე სოფ. ნატანების დამშრობი სისტემის (სისტემის გარეთ დამშრობი მასივი) რეაბილიტაცია (I რიგი);
 - ✓ მთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;
 - ✓ იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);
 - ✓ აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ მაშველის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-1-8 (კვ0+00-დან კვ32+00-მდე), გ-1-9, გ-1-10, გ-1-10-1 და გ-1-11 გამანაწილებლების, გეგუთის არხის (გ-2-7 გამანაწილებლიდან ბოლომდე), გ-2-2, გ-2-3, გ-2-5, გ-2-6, გ-2-7 და მათი მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდა სამეურნეო სარწყავი ქსელის (4750 ჰა ბრუტო II რიგი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ✓ ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები;
 - ✓ კასპის მუნიციპალიტეტში კავთისხევის I და II აწევის სატუმბი სადგურის შიდა და გარე ელექტრომომარაგების სისტემისა და მექანიკური ნაწილის რეაბილიტაცია;
 - ✓ ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაცია;
 - ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I რიგი);

- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ბაკურციხის სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაცია მიწათმოსარგებლების მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიებით ვენახების მოსარწყავად (I ეტაპი) და ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (I რიგი);
- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია, წყალმიმღები კვანძი და სატუმბი სადგურის მოწყობა (II ეტაპი);
- ✓ კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის (პკ78+10დან პკ100+02მდე);
- ✓ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე, სოფელ აკურაში მდებარე დიუკერის აღდგენა-რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე, სოფელ აკურაში მდებარე დიუკერის აღდგენა-რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დაბა ჟინვალთან „300 არაგველის“ ობელისკის მიმდებარე 0.2 ჰექტარი ტერიტორიის გამწვანება და შემდგომი 5 წლიანი მოვლა-პატრონობის მომსახურება;
- ✓ მდინარე პიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების(წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია პკ49+50 დან -პკ 166+20-მდე (II რიგი);
- ✓ აბაშის მუნიციპალიტეტში „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ კეთილარში (II რიგი);
- ✓ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ციხე-სულორის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ დარჩელის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I რიგი);
- ✓ სოფლების ონანურის და ჭაბუკიანის დამშრობი კოლექტორის რეაბილიტაცია.

10.1.4 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- გერმანიის ქალაქ ბერლინში ჩატარდა სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეზღვეობის საერთაშორისო გამოფენა „მწვანე კვირეული“. აღნიშნულ გამოფენაზე ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო 20-მდე ქართული კომპანიის პროდუქცია, კერძოდ: ქართული ღვინო, ჭაჭა, ლუდი, ლიმონათი, წვენი, ჩაი, 25 სახეობის ყველი, ჩურჩხელა, გოზინაყი, ტყლაპი, ტყემალი, ჯემი, თხილი და სხვა. ასევე წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო და დამზადდა ქართული ტრადიციული კერძები. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების პროდუქცია: „ქიმერიონი“, „ჩელითი“, „ტიბანელი“, „ზადაგონი“, „მილდიანი“, „კორპორაცია ქინძმარაული“, „შუხმან ვაინსი“, „კახური“, „ლომისი“, „კულა“, „ლივო“, „გეოჰაუსი“, „მაკოვსკი რუსა“ და სხვა;
- ქალაქ ბაქოში ჩატარდა კვების მრეწველობის 21-ე საერთაშორისო და სოფლის მეურნეობის მე-9 საერთაშორისო გამოფენა „კასპიან აგროზე“, სადაც გაიმართა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო 10-მდე ქართული კომპანიის პროდუქცია, კერძოდ: ქართული ღვინო, წვენი, ჩაი, ყველი, ჩურჩხელა, ტყლაპი, ტყემალი, ჯემი, თხილი და სხვა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცა ჯილდო ნომინაციაში „ქვეყნის საუკეთესოდ წარმოჩენისთვის“;
- ქალაქ ლიონში ჩატარდა ყოველწლიური გამოფენა - საკონსულო ზეიმი, სადაც მოეწყო ქართული პავილიონი და გაიმართა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კომპანიების პროდუქცია, კერძოდ: „თელავის ღვინის მარანი“, „Kindzmarauli Marani" LLC, „ღვინის კომპანია შუმი“, „შუხმან ვაინსი“, კოოპერატივი „ალვანი“, კოოპერატივი „სოფლის იმედი“ და სხვადასხვა სახეობის ყველი;
- ქალაქ ასტანაში გაიმართა რიგით მე-5 გაერთიანებული საერთაშორისო გამოფენა KazFood 2015 და Kazashstan International Halal Expo 2015. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული, კომპანიების პროდუქცია: „კულა“, „ლივო“, სს „ქართული ლუდის კომპანია“, სს „წყალი მარგებელი“, შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“, „Georgian Export Group“;
- ქალაქ ტალინში, კომპანია Profexpo-ს ორგანიზებით, გაიმართა გამოფენა Tallinn FoodFair 2015, ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების პროდუქცია: სს „ქართული ლუდის კომპანია“, შპს „ქიმერიონი“, შპს „კულა“, შპს „ლივო“, შპს „ქართული სახლი“;
- ქალაქ მინსკში გაიმართა საერთაშორისო გამოფენა „ProdExpo 2015“. ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული კომპანიების პროდუქცია: „კულა“, „ლივო“, „დუგლამის ღვინის კომპანია“, „გომი“, „თელავის ღვინის მარანი“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „ჰერეთის ღვინის მარანი“;
- ქალაქ მადრიდში გაიმართა კულტურათა საერთაშორისო საშობაო გამოფენა, აღნიშნულ ღონისძიებაზე განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია. სადაც წარმოდგენილი იქნა შემდეგი ქართული კომპანიების პროდუქცია: „თელავის ღვინის

მარანი“, „თელედა“, „ქართული ღვინო“, „შატო მუხრანი“, „ბადაგი“, „კერნელი“, კოოპერატივი ალვანი და სხვა.

10.1.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 853 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. სულ საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 1 264 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.
- 461 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 1 370 მოტობლოკის კომპლექტი და დამატებით 55 ხელის სათესი.
- ქალაქ ბერლინში, „მწვანე კვირეული 2015-ის“ ფარგლებში პირველად იქნა წარდგენილი ქართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროდუქცია. აღნიშნულ ღონისძიებაზე კოოპერატივებმა „საჩვენებელი საფუტკრე“, აგრო აპი“, „ვაშლარა“ და „ორიენტ ლაბორამ“ მათ მიერ წარმოებული თაფლი წარმოადგინეს.
- სააგენტოს მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში აშენდა და შესაბამისი ტექნიკა-დანადგარებით აღიჭურვა თხილის საშრობი და სასაწყობე ინფრასტრუქტურა. საწარმო იძლევა ყოველდღიურად 24 ტონა თხილის გაშრობის შესაძლებლობას, ხოლო საწყობი გათვლილია ერთდროულად 500 ტონამდე თხილის შესანახად. აღნიშნული ინფრასტრუქტურა 5 წლიანი იჯარით სარგებლობაში გადაეცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „დარჩელის თხილი“, რომელიც აერთიანებს 589 მეპაიეს და აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 98-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა გამოთქვა სურვილი სკების შესყიდვაზე. მათ მიერ მოთხოვნილი სკების რაოდენობამ 7 588 ერთეული შეადგინა.
- საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ტერიტორიაზე ჩატარდა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-15 საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილ იქნა 40-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ წარმოებული პროდუქცია - თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები, ჩაი, თხილი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი, მწვანილი, ბოსტნეული, ხილი. გამოფენას ესწრებოდა საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსული 2 300-მდე ფერმერი. ფერმერები გამოფენის ფარგლებში გაეცნენ ინფორმაციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემების, არსებულ კოოპერატივებში მიმდინარე აქტივობებისა და სამუშაო პროცესების შესახებ.

- თანამედროვე აგრო ტექნოლოგიების გამოყენების (მემცენარეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა, მეფრინველეობა), ნიადაგების დამუშავების, გადამამუშავებელი ტექნოლოგიების, მცენარეთა დაცვის, სურსათის უვნებლობის, ბიოწარმოების და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა თემატურ (საგადასახადო, იურიდიული) საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარების შედეგად კვალიფიკაცია აუმაღლდათ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების მეპაიეებს.

10.1.7 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტი მოიცავს შემდეგ ფინანსურ პროდუქტებს: 1. საბრუნავი საშუალებების კომპონენტი; 2. ძირითადი საშუალებების კომპონენტი; 3. შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტი 4. სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას შემდეგი განაკვეთებით:
 - ✓ საბრუნავი საშუალებების კომპონენტისთვის - 8%;
 - ✓ ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის - 11%;
 - ✓ შეღავათიანი აგროლიზინგი - 12%;
 - ✓ აწარმოე საქართველოში - 10% (სესხის გაცემიდან 24 თვის მანძილზე).

10.1.8 მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები სარგებელს იღებენ სასოფლო-სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქულების სახით, რომლის მეშვეობით მოსარგებლეს შეუძლია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესლე მასალა, სანერგე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები) შეძენა მომწოდებლებისგან, ხოლო ხვნის ბარათი გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხვნის სამუშაოების სერვისის მისაღებად;

- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის სია განისაზღვრა 767.0 ათასი ბენეფიციარით.
- საოკუპაციო ხაზის საზღვრისპირა 44 სოფელში მაცხოვრებლებს, რომლებსაც თავთავიანი მარცვლეული კულტურა არაუმეტეს 5 ჰექტარ მიწის ფართობზე ჰქონდათ დათესილი, შპს „მექანიზატორი“ მოსავლის აღებაში უსასყიდლოდ მოემსახურა. მოსავლის აღების ხარჯების სუბსიდირება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ განახორციელა. შედეგად, 1 503 ბენეფიციარს გაეწია მომსახურება, ჯამში 1 764 ჰექტარზე განხორციელდა თავთავიანი კულტურების აღება.
- 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში სეტყვის შედეგად ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში დასეტყვილი სოფლების მოსახლეობის დახმარების მიზნით მოსახლეობას, კერძოდ, 1 510 ბენეფიციარს უსასყიდლოდ გადაეცა სპილენძის შემცველი პრეპარატები მრავალწლიანი ნარგავების შესაწამლად.

10.1.9 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 01 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში სრულად იქნა დაფარული (2015 წლის) ვალდებულებები და შესყიდული ტექნიკით შპს „მექანიზატორის“ მიერ საანგარიშო პერიოდში დამუშავებულია 300.0 ათას ჰექტრამდე მიწის ფართობი.

10.1.10 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში გაიცა 7 634 პოლისი და დაზღვეულია 40.2 მლნ ლარის ღირებულების მოსავალი და 4 944 ჰექტარი მიწის ნაკვეთი;
- საანგარიშო პერიოდში სადაზღვევო კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალის ოდენობა შეადგენა დაახლოებით 9.3 მლნ ლარს. დარეგულირებული ზარალის ოდენობამ შეადგინა

3.4 მლნ ლარი, ხოლო დასარეგულირებელი ზარალის ოდენობამ (შეფასებული, მაგრამ თანხა გამოანგარიშების პროცესშია) – 2.4 მლნ ლარი.

10.1.11 აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება (პროგრამული კოდი 37 01 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დასრულდა შემდეგი საირიგაციო არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები:
 - ✓ დოეს-გრაკალის სარწყავი სისტემის I და სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია (III ეტაპი), სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელია 1 535 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის მორწყვა;
 - ✓ ყარაღაჯის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელების რეაბილიტაცია, მდინარე თემამზე უკაშხლო გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობების მოწყობით, შედეგად წყალუზრუნველყოფილი იქნება 592 ოჯახი და 295 ჰექტარი;
 - ✓ ლომა-ტურცხის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, შედეგად შესაძლებელია 1 134 ჰექტარი ფართობის წყალუზრუნველყოფა;
 - ✓ ძევერა-შერთულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია, შედეგად შესაძლებელია 2 654 ჰექტარი ფართობის წყალუზრუნველყოფა;
- საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა 2015 წლის სარწყავი სეზონის დასრულების შემდეგ, შესაბამისად 2015 წელს მოირწყა მხოლოდ 1 200 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა და სარწყავი წყლით ისარგებლა 6 145 ოჯახმა.
- პროექტის სალიზინგო მომსახურების კომპონენტში მონაწილეობდა მხოლოდ თი-ბი-სი ლიზინგის კომპანია, მთლიანად პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 15 ქვეპროექტი საერთო თანხით 1.7 მლნ აშშ დოლარი. 2015 წელს ახალი ქვეპროექტი არ დაფინანსებულა.
- სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი (AMMAR) ეფექტური გახდა 2015 წლის ივნისში. პროექტის ფარგლებში თბილისსა და ბათუმში ჩატარდა შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ხურმის, ვაშლის, ატმის, ქლიავის და კივის მწარმოებელი ფერმერები, სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობების მეპატრონეები, გადამზიდავ-ექსპორტიორები, სუპერმარკეტების წარმომადგენლები. შეხვედრაზე გამოიკვეთა აღნიშნული კულტურების წარმოების მთლიან ციკლში არსებული პრობლემები და აგრეთვე, დაისახა ამ პრობლემების პროექტის მხრიდან გადაწყვეტის გზები.

- საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი WB (კომპონენტი I) ეფექტური გახდა 2015 წლის მარტის თვეში. პირველი საერთაშორისო ტენდერი ქვემო სამგორის, ზედა რუსა და ტბისი-კუმისის საირიგაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაიხსნა 2015 წლის 15 სექტემბერს, 17-მა კომპანიამ წარმოადგინა წინადადებები. სატენდერო კომისიის მიერ გადაწყდა ტენდერის ხელახალი გამოცხდება, რადგან კომპანიები, რომლებმაც წარმოადგინეს იაფი წინადადებები დისკვალიფიცირებულ იქნენ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო, თუმცა მსოფლიო ბანკი არ დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და სატენდერო კომისიას მიეცა მითითება კომპანიებისათვის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე.

10.1.12 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 37 01 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში სულ 2014-2015 წლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 29 პროექტი, ჯამური ღირებულებით 18.7 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 6.6 მლნ აშშ დოლარს. ხელშეკრულება გაფორმებულია 18 კომპანიასთან. 2014-2015 წლებში სახელმწიფო თანადაფინანსების სახით გაცემულია 3.5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. 2015 წელს აღნიშნული თანადაფინანსებიდან გაცემულია 5.6 მლნ ლარი. პროექტის ფარგლებში ექსპლუატაციაში შევიდა 8 საწარმო, დასრულების პროცესშია 3 საწარმო, ხოლო 7 საწარმო მიმდინარეა.

10.1.13 მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 19)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- მანდარინის (არასტანდარტული) რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ხილის გადამამუშავებელი 4 კომპანია;
- პროექტის ფარგლებში, არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც სამრეწველო გადამამუშავების მიზნით, ფიზიკური პირებისგან 1 კვ.

არასტანდარტულ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდოდნენ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას გაცემდა. პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ 2014/15 წლებში შეადგინა 10.4 ათასი ტონა.

10.1.14 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 37 01 20)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში სულ შემოსულია 123 განაცხადი. მათ შორის 4 განაცხადი იყო სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტის, ხოლო 119 განაცხადი მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში. საანგარიშო პერიოდში ჯამში 117 ბენეფიციარს დაუმტკიცდა განაცხადი, სადაც სააგენტოს ჯამური თანადაფინანსება ნერგებსა და სარწყავ სისტემებზე შეადგენს 4 399.9 ათას ლარს. აღნიშნული პროექტების განხორციელებით გაშენდა/ან გაშენების პროცესშია 835.9 ჰექტარი ახალი მრავალწლიანი სხვადასხვა კულტურის ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური თანამედროვე ტიპის ბაღები.

10.1.15 ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 21)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- 2015 წლის რთველის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სს „აკურა“-ს მიერ 2015 წლის რთველის პროცესში შესყიდულია 45.0 ათასი კგ ყურძენი.

10.2 სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“

✓ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის - სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო წესით ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა;
 - ✓ სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნეს ოპერატორთა ინსპექტირება და მათი დოკუმენტური შემოწმება;
 - ✓ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია;
 - ✓ ცხოველების (ძაღლი, კატა) ცოფის საწინააღმდეგო პრევენციული ვაქცინაცია;
 - ✓ ჯილეხის დაავადებაზე არსებული და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვის და კენტჩლიქიანი ცხოველების პრევენციული აცრები. ჯილეხის და ცოფის დაავადებების გამოვლინების შემდგომ კერებში დაავადების ლოკალიზაცია/ლიკვიდაციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის ამთვისებელი ცხოველების იძულებით/პროფილაქტიკური ვაქცინაცია;
 - ✓ რისკის ზონებში მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია; წვრილფეხა პირუტყვის პროფილაქტიკური ვაქცინაცია ცხვრისა და თხის ყვავილის დაავადებაზე არსებული და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით;
 - ✓ ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგოდ რისკის ზონებში ცხოველების, მათი სადგომებისა და სამოვრების ინსექტოაკარიციდული საშუალებებით დამუშავება;
 - ✓ მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
 - ✓ წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცესის დაწყება საპილოტე რეგიონებში.
 - ✓ ბიოუსაფრთხოების პუნქტის მშენებლობა;
 - ✓ ცხოველთა დაცემის ადგილებში და ინფექციის კერებში დაავადების აღმძვრელის მოსპობის მიზნით დეზინფექციების ჩატარება;
 - ✓ სადიაგნოსტიკო კვლევები შემდეგ დაავადებებზე: ცოფი, ჯილეხი, ბრუცელოზი, პასტერელოზი, ემკარი, პიროპლაზმიდოზები, ღორის აფრიკული ცხელება, ღორის კლასიკური ჭირი, ფრინველის გრიპი, ნიუკასლის დაავადება, აუესკის დაავადება, ბრადზოტი, ენტეროტოქსემია, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტი, ცხვრისა და თხის ყვავილი;
 - ✓ ცოფის პროფილაქტიკური ვაქცინაციის შემდგომ პოსტვაქცინალური იმუნიტეტის შესწავლის მიზნით აცრილი ძაღლებიდან სისხლის ნიმუშების აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა;

- ✓ ფიტოსანიტარული მონიტორინგი საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების დადგენის მიზნით;
- ✓ საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- ✓ სარეალიზაციო ქსელში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი;
- ✓ ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი;
- ✓ სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევების, ჩასატარებლად შემოსული იყო დაახლოებით - 294.1 ათასი ნიმუში, მათ შორის ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, მრპ-ს პათმასალა, ტყავისა და ნიადაგის გამოკვლევა ჯილეხზე, ცოფი, სალმონელოზი, პასტერელოზი, ბრადზოტი, ემკარი და სხვა);

10.3 მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

- ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელდა მედია ტურები საქართველოში, გაიმართა ქართული ღვინის დღეები, სხვადასხვა ქართულმა კომპანიამ მონაწილეობა მიიღო ღვინის საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენა-დეგუსტაციებში, ასევე განხორციელდა საიმიჯო და სარეკლამო სტატიების განთავსება მიზნობრივი აუდიტორიისთვის და ასე შემდეგ;
- ქართული ღვინის ხარისხის კონტროლის გაუმჯობესების მიზნით ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნა ლაბორატორიული მოწყობილობა;
- შეიქმნა ღვინის ხარისხის კონტროლის, ანგარიშგებისა და სერტიფიცირების ერთიანი ელექტრონული პროგრამა, რაც პროდუქციის მოძრაობისა და ნაშთებზე ეფექტური კონტროლის განხორციელების გარანტიაა;
- ინსპექტირების პროცესში აღებულ იქნა ნიმუშები 30 სხვადასხვა კომპანიიდან;
- განხორციელდა საინფორმაციო-საცნობარო ბაზის კომპიუტერული ვერსიის შერჩევა, შექმნა და დაინსტალირება სააგენტოს სერვერებზე. გარდა ამისა, საპილოტე პროექტის ფარგლებში შესრულდა ვენახების აგეგმვითი სამუშაოები რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში.
- საქართველოს მთავრობის თანახმად კახეთის რეგიონში მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი მეწარმე სუბიექტებისათვის (ღვინის კომპანიებისათვის) ჩაბარებული 1 კგ ყურძნისათვის ყურძნის ჩამბარებულ ფიზიკურ პირებზე გაიცა სუბსიდია შემდეგი

ოდენობით: რქაწითელისათვის 0,35 ლარი, კახური მწვანისათვის 0,35 ლარი, საფერავისათვის 0,15 ლარი;

- მარნეულის რაიონში, სოფელ იმერთან მდებარე ნეოლითურ ნამოსახლარზე ჩატარებულ იქნა არქეოლოგიური გათხრები და საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ჯგუფის მიერ მოპოვებულ იქნა მევენახეობა-მელვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური არტეფაქტები - კერამიკა და ვაზის წიპწები. ჩატარებული გათხრების დროს მოპოვებულ კერამიკის ნაშთებზე აშშ-ის პენსილვანიის მუზეუმის არქეოლოგიურ ლაბორატორიაში კვლევების შედეგად დაფიქსირდა ორგანული ნივთიერების კვალი, რომლის სახეობრივი შემადგენლობა ზუსტდება შემდგომი ანალიზების საშუალებით, იმავე და ნასას ლაბორატორიაში ამ ნიმუშების გაღრმავებული შესწავლის შედეგად. მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ბიოარქეოლოგიისა და ეკოლოგიის ცენტრის მკვლევარის სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ერთობლივი კვლევები ქართველ პალეობოტანიკოსებთან, არქეობოტანიკოსებთან და ამპელოგრაფებთან ერთად. ამ კვლევის ფარგლებში შეირჩა მუზეუმის მიერ სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების დროს ვაზის წიპწები, კოპენჰაგენის (დანია) GeoGenetics ლაბორატორიის ხელმძღვანელთან მიღწეულია შეთანხმება არქეოლოგიური წიპწების დნმ ანალიზის ჩატარების შესახებ მათი რადიოკარბონატული დათარიღების შემდეგ. შექმნილია პროექტის სამუშაო ვებ-გვერდი, რომელიც აერთიანებს მის განხორციელებაში ჩართულ ქართველ და უცხოელ მონაწილეებს და საშუალებას აძლევს ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და საკუთარი მოსაზრებები პროექტის მიმდინარეობის შესახებ. ძველი დნმ-ის შესწავლის პარარელურად განხორციელდა კვლევები საფრანგეთის აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) მკვლევარის რ. ბაჩლიერის მიერ ვაზის ქართული ჯიშების და ველური ვაზის 120 გენოტიპის იმავე მოლეკულური მეთოდებით შესწავლის მიმართულებით;

10.4 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

- მიმდინარეობდა კვლევები მრავალწლოვანი კულტურების მიმართულებით, მოძიებული იქნა ვაზის ახალი ჯიშები, გაშენებულია ხეხილის სადემონსტრაციო ნაკვეთები. დამყნობილია ხეხილის პერსპექტიული ჯიშები საკვლევად. ქარსაფრების მოწყობასთან დაკავშირებით გაკეთდა ანალიზი საქართველოს პირობებისთვის ქარსაფრების დაგეგმვის, სტრუქტურის სახეობრივი შემადგენლობის შერჩევისათვის. ასევე ჩატარდა კვლევები

ერთწლოვანი კულტურების მიმართულებით, საკვლევად დაითესა და მიღებულ იქნა ერთწლოვანი კულტურების სხვადასხვა კულტურები. ჩატარდა ბოსტნეულის სხვადასხვა კულტურების მცნობა;

- აგროსაინჟინრო კვლევის ფარგლებში დამუშავდა თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები.
- მიმდინარეობდა მეთესლეობის სექტორის ფერმერთა რეგისტრაცია და თესლის სერთიფიცირების რეგლამენტზე მუშაობა;
- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის ფარგლებში შეიქმნა „ტყის ფიტოსანიტარული კონტროლის ტექნიკოსის“ პროფესიული სტანდარტი. შემუშავდა სხვადასხვა კულტურების ორგანიზმებისაგან დაცვის ფენოკალენდარული სქემები;
- ბიოაგროწარმოების კვლევის ფარგლებში საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მოეწყო ბიომეურნეობის მოდელები, დაითესა და აღებულია სხვადასხვა კულტურები;
- მიმდინარეობდა მუშაობა ახალი ბიომასერტიფიცირებელი ორგანოს და შეგროვდა მონაცემები ბიოფერმერთა შესახებ ელექტრონული ბაზის შესაქმნელად;
- ნიადაგის ნაყოფიერების მიზნით შესწავლილ იქნა ნიადაგის ნიმუშები. პროექტის „ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონის („ჯუგანის მიწები“, სოფელ ტიბანის) ნიადაგების ინვენტარიზაცია და მათი რაციონალური გამოყენება“ განხორციელების მიზნით აღებულია ნიადაგის ნიმუშები;
- სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევის ფარგლებში ჩატარდა ღვინომასალების კვლევა. შემუშავდა ფუნქციონალური და კვებითი დანიშნულების გადამუშავებული პროდუქტების მიღების ტექნოლოგია;
- შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით მოძიებულია საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, ფრინველები და მწერები, მიმდინარეობს შესაბამისი კვლევები. ლიფსიტების მასობრივი დახოცვის საწინააღმდეგოდ განხორციელდა კომპლექსური სამკურნალო ღონისძიებები;
- დაინტერესებულ პირებს გაეწიათ კონსულტაციები. გამოიცა საინფორმაციო ბროშურები. გამოქვეყნდა სტატიები.

11. სასამართლო სისტემა

11.1 საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 09 01, 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

- განხორციელდა 24 სასამართლოს შენობის სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო, მცხეთის, ზუგდიდის, სენაკის, სამტრედიის, გურჯაანის, ცაგერის, ბოლნისისა და ახალციხის რაიონული, თიანეთის, აბაშის, ხობის, წალენჯიხის, ხონის, ტყიბულის, წყალტუბოს, ლენტეხის, ახმეტის, დმანისისა და გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოებში. გურჯაანისა და მარნეულის მაგისტრატ სასამართლოებში ასევე, მოეწყო საპატიმრო საკნები;
- თბილისის საქალაქო ორ სხდომის დარბაზში დამონტაჟდა აუდიო-ვიდეო ჩამწერი აპარატურა; 6 სასამართლოს 12 დარბაზისათვის შეძენილ იქნა აუდიო გახმოვანების სისტემა;
- საერთო სასამართლოების მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომლებისათვის შეძენილ იქნა ავეჯი, 169 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, 130 ცალი ლეპტოპი და 250 ცალი პრინტერი;
- 119 ნაფიცი მსაჯული უზრუნველყოფილ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;
- სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა სიახლეების გაცნობის მიზნით, რადიო მაუწყებლების საშუალებით განხორციელდა რეგიონალური სასამართლოების შესახებ იმერეთისა და აჭარის რეგიონის მოსახლეობის ინფორმირება, ხოლო - ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე მომზადებული სატელევიზიო გადაცემებით.

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- გაიმართა სამუშაო შეხვედრები და სემინარები;
- ივნისში შეფასდა 3 წლის ვადით გამწესებული 10 მოსამართლე, ხოლო ნოემბერში - 12 მოსამართლე;
- ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი. კონკურსის შედეგად გამარჯვებული კანდიდატები გამწესდნ მოსამართლეებად.

12 გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

12.1 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- შემოწმდა 174 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობა, ასევე, მოქალაქეთა საჩივრების, სამართალდარღვევის შესახებ „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაციის, ორგანიზაციების მომართვების, წინა ინსპექტირების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით, განხორციელდა 114 რეგულირების ობიექტის არაგეგმიური შემოწმება;
- ჩატარებულ იქნა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 299 გემის ინსპექტირება ნარჩენების (მ.შ. იზოლირებული ბალასტური წყლების) აღრიცხვისა და უტილიზაციის, გამწმენდი დანადგარების მუშაობისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის შესწავლის მიზნით;
- გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10 331 ფაქტი. მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 9 908 ფაქტი, სისხლის სამართლის - 423 ფაქტი, სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 4 032 108 ლარი;
- დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ შემოვიდა 7 707 ზარი, მათ შორის, დაფიქსირდა 1 383 შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე;
- შემუშავდა და დაინერგა მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების საამქროების ელექტრონული მართვის ონლაინ-სისტემა, რომელიც განთავსდა პორტალზე emoe.gov.ge. შედეგად, 2015 წლის 1 დეკემბრიდან სახერხი საამქროს მფლობელი ყველა მეწარმე-სუბიექტი უზრუნველყოფს მრგვალი ხე-ტყის (მორის) მიღებისა და გადამუშავების პროცესების ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხვას;
- რეგიონებში გაიმართა შეხვედრები და სასწავლო სემინარები სახერხი საამქროების მფლობელთათვის, ელექტრონული მართვის სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით;
- გარემოსდაცვითი სწრაფი რეაგირების მობილური ჯგუფების სათანადოდ აღიჭურვა. შეძენილ იქნა: მცურავი საშუალებები, კატარღა, სპეციალური ხელსაწყოები, ლაბორატორიული რეაქტივები, ვიდეოკამერები, ვიდეო-რეგისტრატორები, ავარიული ციმციმები, ფანრები, პლანშეტური კომპიუტერები, უნიფორმა და სპეცტანსაცმელი. განახლდა დეპარტამენტის ავტოპარკი;
- განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა თემებზე, სულ გადამზადდა 27 თანამშრომელი.

12.2 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

- მიმდინარეობდა სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, ასევე მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარება;
- მომზადდა ტყის აღდგენის პროექტი 2 რეგიონში ტყის დროებითი სანერგეების მოწყობის უზრუნველსაყოფად;
- ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნის ტბის სატყეოსა (0,5 ჰა), ბაკურიანის სატყეოს (0,17 ჰა) ტერიტორიებზე მოწყობილ სანერგეებში ჩატარდა თესვის ღონისძიებები;
- განხორციელდა ნიადაგის მომზადების სამუშაოები ხაშურის სატყეო უბნის ტერიტორიაზე (0,2 ჰა) მოწყობილ სანერგეში და მოვლის სამუშაოები 2014 წელს მოწყობილ სანერგეებში (მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია)
- გაშენდა აკაციის პლანტაცია 6,5 ჰა-ზე კახეთის რეგიონში;
- 2013-2014 წლებში ნახანძრალ ტერიტორიაზე მიმდინარეობდა (78 ჰა) ნარგაობის მოვლისა და შევსების (დაირგო 33 000 ნერგი) სამუშაოები;
- ფერომონიანი მწერსაჭერებისა და ავიაციის გამოყენებით სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში განხორციელდა მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებები, განთავსდა 4 995 ფერომონიანი მწერსაჭერი და განადგურდა 3 მლნ-მდე მავნე მწერი, ასევე დაზუსტდა თბილისის გარშემო ტყის ფონდში მავნებელთან ბრძოლის ფართობები და დამუშავდა 681 ჰა ფართობი;
- შემუშავდა ხანძარსაშიშ ადგილებში განსათავსებელი 500 ერთეული გამაფრთხილებელი ნიშანი. შეძენილ იქნა ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი ხელის იარაღები (კომპაქტური მაქრები);
- ახალციხისა (33000 ჰა) და ასპინძა-ახალქალაქის (20500 ჰა) სატყეო უბნების ინვენტარიზაციის სამუშაოების განხორციელების მიზნით, შესრულდა მოსამზადებელი სამუშაოები;
- სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით განხორციელდა - 166,028 ჰა ფართობის საველე და კამერალური შესწავლა;
- ტყითსარგებლობის (იჯარა), წიაღითსარგებლობის და ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების დადგენის მიზნით შესწავლილი იქნა შესაბამისად: 228,5 ჰა, 583,3 ჰა და 3 810,71 ჰა ტყის ფართობი;
- გამოყოფილი მერქნული რესურსის ასათვისებლად დაპროექტებული იქნა სულ 216,62 კმ გზა, მათ შორის: ახალი გზა - 44,466 კმ, ხოლო სარეაბილიტაციო - 172,15 კმ;
- მოწყობილი/რეაბილიტირებული იქნა სატყეო-სამეურნეო გზები საქართველოს 9 რეგიონში სულ 123,091 კმ-ზე მათ შორის მოეწყო ახალი გზა - 30,927 კმ, რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 92,164 კმ-ს;

- მოსახლეობის და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია ტყეკაფები 700,4 ათასი კუბური მეტრის ოდენობით, დამზადების ბილეთებით გაცემულია 540,0 ათასამდე კუბური მეტრი ხე-ტყე, მოსახლეობაზე გაცემულია 36,4 ათასი კუბური მეტრი მერქნული რესურსი, ასევე, გადაუდებელი აუცილებლობით - 2.4 ათასი კუბური მეტრი I ხარისხის მერქნული რესურსი;
- სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული და გაყიდულია 3,8 ათასი კუბური მეტრი მერქანი;
- გაფორმდა „ტყითსარგებლობის შესახებ“ ხელშეკრულებები მობილურ ოპერატორებთან 197 საკომუნიკაციო ანძის ტყის ფონდში განთავსების თაობაზე;
- შემუშავდა ტექნიკური დავალებები ტყის ფონდის ტერიტორიაზე ბზის კორომების სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის ორგანიზების მიზნით;
- მომზადდა ბზის კორომების სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის ტექნიკური დავალება;
- მომზადდა ტყის აღდგენის პროექტი შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში;
- მომზადდა და დამტკიცდა ტყის აღდგენის პროექტი 0,5 ჰა ფართობზე;
- განხორციელდა 0,5 ჰა ფართობის შეღობვის და ნიადაგის მომზადების სამუშაოები;
- შემოდგომის სეზონზე დაითესა ფოთლოვანი სახეობების თესლი;
- შიდა ქართლში მომზადდა 0,2 ჰა ფართობზე ტყის დროებითი სანერგის მოწყობის პროექტი;
- იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საგაზაფხულო სეზონზე დაითესა შესაბამისად 12 კგ და 9 კგ შავი ფიჭვი;
- განხორციელდა დამატებით 87 ჰა ფართობის შესწავლა, ტყის აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად.
- დაპროექტებული იქნა სულ 216,62 კმ სატყეო-სამეურნეო გზა;
- განისაზღვრა განსახორციელებელი ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების სახეები, მოცულობები და ადგილმდებარეობები
- შემუშავდა საინფორმაციო დაფების ნიმუში და შექმნილია 500 ერთეულამდე ნიშანი;
- დაზუსტდა ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და ინვენტარის ნუსხა, განხორციელდა პირველადი ხელის იარაღების (ხანძარსაწინააღმდეგო სტენდები, აირქაფოვანი ცეცხლმაქრები, ზურგის კომპაქტური მაქრები) შექმნა;

12.3 დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

- პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა:

- ✓ ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;
 - ✓ დაცულ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი სახეობების, მათ შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილი და გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა და მცენარეთა რიცხოვნობისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის სრულყოფა;
 - ✓ ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ღონისძიებები;
 - ✓ ტყის მერქიანი მცენარეების დაავადებების გამომწვევი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
 - ✓ ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენის, განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად;
- სააგენტომ მონაწილეობა მიიღო 4 საერთაშორისო გამოფენაში;
 - ლაგოდების დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ფოტო ტური;
 - დაიბეჭდა ტურისტული რუკები, დამზადდა საგამოფენო სტენდი, ასევე ბილბორდები, რომლებიც განთავსდა ქვეყნის საზღვრებზე აეროპორტებში და საქართველოს მსხვილი ქალაქების ცენტრალურ ქუჩებზე;
 - ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში დამონტაჟდა ჰელიო სისტემები;
 - განხორციელდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ლაგოდების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოები;
 - დასრულდა ალგეთის ეროვნული პარკის დემარკაციის საველე სამუშაოები;
 - ჩატარდა ტყის მერქიანი მცენარეების დაავადებების გამომწვევი მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, შეძენილი იქნა ფერომონები.
 - დასრულდა და KfW-სთან შეთანხმდა ალგეთის და ყაზბეგის ეროვნული პარკების ადმინისტრაციული შენობების დიზაინის სამუშაოები, სატენდერო დოკუმენტაცია გადაგზავნილია KfW-სთან შესათანხმებლად;
 - ალგეთის, ყაზბეგისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები აღჭურვილია GPS მოწყობილობებით;
 - დაიწყო დამხმარე ზონის პროგრამა (თანამონაწილეობითი მიდგომა) ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

12.4 გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- ხორციელდებოდა გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, მიმდინარეობდა გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა;
- შეფასდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკები და მომზადდა დასაბუთებული საექსპერტო დასკვნები;
- მიმდინარეობდა ღონისძიებები გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით;
- ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით, მონიტორინგის ფარგლებში მიმდინარეობდა ქვეყნის ტერიტორიაზე 50 წყალსატევის შესწავლა.
- ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა და გაიცა დასკვნები შემდეგ საქმიანობებზე: ჰიდროელექტროსადგურის განთავსება - 8, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება - 7, ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა - 7, ასფალტის წარმოება - 5, მაღალი ძაბვის ქვესადგურის განთავსება - 5, ნარჩენების აღდგენა - 5, საავტომობილო გზის მშენებლობა - 6, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება - 4, ქიმიური მრეწველობა - 4, ხიდის აგება - 4, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა - 4, მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა - 4, ცემენტის წარმოება - 2, გაჯის წარმოება - 2, კირის წარმოება - 2, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსება - 1, კაშხლის მშენებლობა -1, მეტალურგიული წარმოება - 1, მეტროპოლიტენის მშენებლობა - 1, ნაგავსაყრელის მოწყობა - 1, ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავების მოწყობა - 1.
- ნარჩენების მართვის კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, ასევე ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის დაკისრებული ჯარიმების ოდენობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, გაზეთ „კვირის პალიტრაში“ განთავსდა 70 000 პოსტერი;
- ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული კამპანიის „ეს მარტივია, იზრუნე გარემოზე!“ ფარგლებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა 3 სოციალური ვიდეო-რგოლი, რომელიც განთავსდა საქართველოს სხვადასხვა სატელევიზიო არხებზე. ასევე დაიხატა 300-მდე სტენსილი იმავე კამპანიის ფარგლებში აღინიშნა მტკვრის დღე, მეტეხის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, დასუფთავების აქცია გაიმართა მტკვარზე;
- ჩატარდა გარემოსდაცვითი აქცია „დედამიწის საათი 2015“, აღინიშნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღე და გაიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიება, კიკვიძის პარკში დაირგო ტუიას სახეობის 100-მდე ნერგი;
- 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, მოეწყო „მწვანე ქალაქი“. 1 600 კვადრატულ მეტრზე გადაჭიმულ ხელოვნურ მწვანე საფარზე მოეწყო სამინისტროს

სტრუქტურული ერთეულებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობის ამსახველი საინფორმაციო სტენდები;

12.5 სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა

- გამოყვანილ იქნა მაღალი ხარისხის სარგავი მასალა (ნერგები) ტყისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქგამწვანებისათვის;
 - მიმდინარეობდა დასკოლებული ნერგების, კონტეინერული ნერგების და ნათესების მოვლითი ღონისძიებები;
 - ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენებით დაითესა სხვადასხვა ჯიშის ხემცენარეები: იფანი, სოჭი, ნუში, საპნის ხე, თრიმლი, წითელი ტყემალი, ბაღლოჯი, ცხენის წაბლი, მინდვრის ნეკეჩხალი და სხვა;
 - დაითესა წითელი ნუსხის მცენარეთა რვა სახეობის ნერგები, გამოყვანილ იქნა წითელი ნუსხის სახეობათა სხვადასხვა ჯიშის თესლები, მოეწყო თესლის ბანკი მაცივარ-საყინულეებით, იშვიათი სახეობის თესლების ხანგრძლივი პერიოდით შენახვის მიზნით.
 - სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე გაკეთდა 4 500 კუბური მეტრის მოცულობის სარეზერვო აუზი და 7000 კვ.მ ღია საკონტეინერო ორდონიანი ბაქანი, რომელზეც დაპროექტდა დაჩრდილვისა და რწყვის კონსტრუქცია;
 - დამზადდა თელადუმის თესლი და დაითესა 150 მლ კონტეინერებში;
 - დაითესა წაბლი ღია გრუნტში 0,5 ჰა-ზე, იმერული მუხა 0,25 ჰა-ზე და ჭალის მუხა 0,1 ჰა;
 - კონტეინერებში დაითესა ძელქვა 7 000 ცალი, მუხა იმერული 30 000 ცალი, მუხა კოლხური 100 ცალი, ბალამწარა 100 ცალი, ძელქვა 5 000 ცალი და კაკალი 90 ცალი, წაბლი 75 000 ცალი;
 - დამზადებულია სხვადასხვა ჯიშის თესლები. მოეწყო თესლის ბანკი 4 მაცივარ-საყინულით იშვიათი სახეობების თესლების ხანგრძლივი პერიოდით შენახვის მიზნით;
 - მოწესრიგდა მეურნეობის ინფრასტრუქტურა და აღდგა შიდა მისასვლელი გზები;
 - „მწვანე მომავლის“ პროექტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით უსასყიდლოდ გაიცა ნერგები;
- 12.6 გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)**

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

- შეიქმნა ელექტრონული გარემოსდაცვითი ლექსიკონი. ლექსიკონი მოიცავს 5 000-ზე მეტ გარემოსდაცვით ტერმინს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე.
- შეიქმნა ონლაინ ბიბლიოთეკის ფუნქციონალი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მნიშვნელოვან საძიებო (ბეჭდური/ელ. წიგნების, ბეჭდური/ელ. ჟურნალების, აუდიო/ვიდეო მასალების, ფასის, პოპულარულობის) ფილტრს;
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებ-რუკაზე განთავსდა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში გაცემული 70 ნებართვის კოორდინატები და თანდართული საჯარო დოკუმენტაცია (გზმ ანგარიში, ეკ. ექსპერტიზის დასკვნა და სხვ.);
- ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით შექმნილია ატმოსფერულ ჰაერის ანგარიშგების ელექტრონული სისტემა;
- შემუშავდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მობილური აპლიკაციის ფუნქციონალი, ბიზნეს სექტორისათვის და იმ პირებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გარემოსდაცვით სფეროში მიმდინარე მოვლენებით;
- მიმდინარეობდა ბიოდეგრადირებადი პარკებისათვის სტანდარტის შემუშავებ. ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით ხდებოდა პოლიეთილენის პარკების ჩანაცვლება ბიოდეგრადირებადი პარკებით;
- დაიწყო ახალი ინოვაციური პროექტი, ლანდშაფტის, დაცული ტერიტორიების, ბიომრავალფეროვნების, ფოტოგრაფიისა და ვებ-ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიზნით;
- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ჩატარდა სემინარები გარემოსდაცვით თემებზე: ორჭუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა, ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, მწვანე ეკონომიკა და სხვა. სემინარებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა უნივერსიტეტის დაახლოებით 600-მდე სტუდენტმა და 1500-მდე მოსწავლემ. ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ საჯარო საწილებს გაეცნო 80 პედაგოგი;
- დონორების დახმარებით ჩატარდა სასწავლო კურსები, ლექციები და ტრენინგები, გადამზადდა 284 თანამშრომელი, მ.შ. 210 ტყის მცველი და დაცული ტერიტორიები სააგენტოს 74 თანამშრომელი. კომუნიკაციის ფსიქოლოგიის შესახებ სემინარი ჩატარდა 39 თანამშრომელს.
- ტყითა და წიაღისეულით სარგებლობის სამართლებრივი აქტებთან დაკავშირებით გაიმართა 4 საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც მუნიციპალიტეტებიდან 123 წარმომადგენელი ესწრებოდა;
- მომზადდა სტანდარტის ძირითადი ჩარჩო დოკუმენტი „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის“;
- შემუშავდა ახალი სასწავლო პროგრამა „გარემოსდაცვითი მმართველი“, რომლის მიზანია კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების

გათვალისწინებით კომპანიებისთვის შესაბამისი კადრის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. გადამზადდა 71 მონაწილე;

- გაიმართა გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანია „ბაღის ფრინველთა საათი“;
- წლის განმავლობაში აღინიშნა გარემოსდაცვითი მწვანე დღეები, მათ შორის დედამიწის დღე, ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო დღე, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე, ხის დარგვის საერთაშორისო დღე და ა.შ;
- მოეწყო დასუფთავების აქცია ალგეთისა და თბილისის ეროვნულ პარკებში, სადაც მონაწილეობდა თბილისის ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრისა და სკოლის 40 მოსწავლე.
- მოეწყო მოსწავლეთა ნახატების კონკურსი ველურ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის თემაზე. კონკურსში მონაწილეობდა 300-მდე ნახატის ავტორი.
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა მწვანე სივრცე-„ეკოჰაბი“, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ ყოველი თვის განმავლობაში დაესწრონ საჯარო ლექციებს, დისკუსიებს და კინოჩვენებებს გარემოსდაცვით თემებზე;
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან - ეკოხედვა/ECOVISION, GENN - თანამშრომლობით ეკობანაკების მონაწილეებს ჩაუტარდათ გარემოსდაცვითი ლექცია/სემინარები.

12.7 გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

- რეგულარულად, დღედამურ რეჟიმში ტარდებოდა დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუშაგოებზე;
- ჩატარდა საქართველოს მდინარეების ზემო წელში თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები;
- კავკასიონის ცენტრალური გამყინვარების ენგურისა და ცხენისწყლის სათავის 3 მყინვარზე (მესტია-ჭალა, შხარა და ყორულდაში) ჩატარდა გლაციოლოგიური ექსპედიციური სამუშაოები;
- ოპერატიულად წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების კოდირება, მათი შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გავრცელება, ასევე ამინდის პროგნოზის მსოფლიო ცენტრებიდან გლობალური სინოპტიკური პროდუქციის მიღება და ანალიზი;

- ყოველდღიურად ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე და საშუალოვადიანი სპეციალიზებული დანიშნულების პროგნოზები;
- მომზადდა გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი;
- საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზებული პროგნოზები, გაფრთხილებები გზის გასწვრივ, ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- მთა-მყინვარწყვის ჩრდილო - აღმოსავლეთ კალთაზე განთავსდა დროებითი სტაციონარი, რომლის გამოყენებითაც და გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მონაწილეობით ხდებოდა დევდორაკის მყინვარისა და მდინარე ამაღის ხეობის მონიტორინგი;
- მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ (წლის გასულ პერიოდში გაიცა 69 გაფრთხილება);
- რეგულარულად ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მეთოდური ზედამხედველობის სამუშაოები. მოწმდებოდა დაკვირვებების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ფასდებოდა შესაბამის მონაცემთა ხარისხი;
- კლიმატის ადაპტაციის ფონდის პროექტის ფარგლებში განხორციელდა მასალების მოძიება-დამუშავება, ჩატარდა სავლე კვლევები, ინფორმაციის დამუშავება, შეიქმნა მონაცემთა ბაზები;
- განხორციელდა ჰიდროლოგიური და ჰიდრაულიკური მოდელირება ბუნებრივი საფრთხეების ეფექტური ადრეული შეტყობინების სისტემის ამოქმედებისათვის;
- გაფართოვდა მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების, ჰიდროლოგიური საგუშაგოების ქსელი. დაინსტალირდა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური დაკვირვების ავტომატური ხელსაწყო-დანადგარები (5 ერთეული მეტეოროლოგიური სადგური, 20 ერთეული მეტეოროლოგიური საგუშაგო და 10 ერთეული ჰიდროლოგიური საგუშაგო);
- დაინსტალირდა აგრომეტეოროლოგიური სადგურები. ძირითადად დამონტაჟდა ავტომატური სისტემები;
- დაინსტალირდა საგზაო მეტეოროლოგიური სპეციალიზებული სადგური ტრასეკას რიკოთის მონაკვეთის მეტეოროლოგიური უსაფრთხოებისათვის. სადგური ზომავს სტანდარტულ და სპეციალიზებულ მეტეოროლოგიურ პარამეტრებს;
- შემუშავდა და დანერგვის სტადიაშია სპეციალური პროგრამული საშუალება, რომელიც იძლევა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური ავტომატური გამზომი საშუალებებიდან მონაცემების ოპერატიულად მიღების და ვიზუალიზაციის საშუალებას;
- საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოსდაცვითი პროგრამის პროექტის ფარგლებში აჭარის რეგიონში ამოქმედდა და ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ერთიან ქსელში ჩაერთო მდ. ჭოროხზე, აჭარისწყალზე, მაჭახელასა და კინტრიშზე დამონტაჟებული 6

ავტომატური წყლის დონის და 2 ერთეული ატმოსფერული ნალექების რაოდენობის მზომი ხელსაწყო;

- მდ. კაბალსა და დურუჯზე დამატებით დამონტაჟდა 4 ერთეული მდინარეში წყლის დონის და ატმოსფერული ნალექების რაოდენობის მზომი ხელსაწყო;
- მდ. ვერეს აუზში (ქ. თბილისის ფარგლებში) ჩატარდა ჰიდრომეტრული და ტოპოგრაფიული სამუშაოები, რის შედეგად განხორციელდა წყალდიდობა-წყალმოვარდნების შედეგად შესაძლო დატბორვის არელების განსაზღვრა და მათი კარტირება. მდ. ვერეს აუზში დამონტაჟდა 2 ნალექმზომი და 1 წყლის დონის მზომი ხელსაწყო.
- მომზადებულია 2 სპეციალიზებული ავტომატური აგრომეტეოროლოგიური და 1 თოვლსაზვავე სადგური დასამონტაჟებლად;
- მომზადდა მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიის, ლენჯერის, ჭუბერის, მულახის, ბეჩოსა და ნაკრას თემების ტერიტორიებისათვის წყალდიდობის, ღვარცოვის, მეწყერის, ქვათაცვენისა და თოვლზვავების საფრთხეების რუკები. მომზადდა რეკომენდაციები გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგი წარმოებდა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზესტაფონსა და ბათუმში განთავსებულ რვა სადამკვირვებლო პუნქტზე;
- რეგულარულად წარმოებდა საქართველოს მდინარეებისა და ტბების დაბინძურების მონიტორინგი, წარმოებდა მიწისქვეშა წყლების ხარისხის კონტროლი 14 ჭაბურღილზე;
- ყოველდღიურად ხდებოდა 15 მეტეოროლოგიური სადგურიდან რადიაციული ფონის შესახებ შემოსული ინფორმაციის შეფასება და საინფორმაციო ბიულეტენში განთავსება, ხოლო აბასთუმნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სადგურზე მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერისა და ნალექების სინჯების აღება და ოზონის მონაცემთა რეგისტრაცია;
- მიმდინარეობდა საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ნიადაგის სინჯების აღება და მათში მძიმე ლითონების კონცენტრაციების განსაზღვრა;
- მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ტარდებოდა ელ.მაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივის, ხმაურის დონის და ატმოსფერული ჰაერში დამაბინძურებელი ინგრედიენტების კონცენტრაციების გაზომვები;
- ჰაერის ხარისხის შესაფასებლად ქალაქებში: თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, ხარაგაული, ახალციხე, თელავი და გორი ჩატარდა ერთჯერადი ინდიკატორული გაზომვების ორი ეტაპი, შედეგების საფუძველზე მომზადდა საინფორმაციო რუკა და განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზე;
- წყლის დაბინძურების მონიტორინგის გაძლიერების მიზნით ამოქმედდა სინჯების ამღები 3 ავტომატური სისტემა მდ.მაშავერაზე, კაზრეთულასა და ყვირილაზე;
- განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 15 ტბასა და წყალსაცავზე, რომლის მიზანი იყო წყალსატევების ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მეთევზეობის სტატუსის შეფასება, რეკომენდაციების მომზადება სალიცენზიო განკარგვის მიზნით.

- სხვადასხვა რეგიონების მუნიციპალიტეტებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით შედგენილი იქნა 153 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასდა 378 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 1014 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მდგომარეობა სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული საშიშროების რისკის განსაზღვრით და გაიცა რეკომენდაციები საგანგებო სიტუაციაში მოქცეული ცალკეული მოსახლისათვის გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად;
- ყოველწლიური სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) შეფასების მიზნით, რეგიონული ხასიათის გეომონიტორინგი განხორციელდა საქართველოს 10 რეგიონში. მონიტორინგის დროს შეფასდა 931 დასახლებული პუნქტი;
- დამუშავდა და წლის დასაწყისში ინფორმაციული ბიულეტენის სახით გამოიცა - „საქართველოში 2014 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2015 წლისთვის“, შესაბამისი სპეციალური რუკებით და საღონისძიებო-საადაპტაციო ტექნოლოგიების დასახვით;
- განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და მომზადდა 44 დასკვნა, სადაც მოცემულია ინფრასტრუქტურული ობიექტების, საინჟინრო ნაგებობების, დამაბული უბნების ტერიტორიის გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური შეფასება;
- ფორს-მაჟორულ ვითარებაში მომზადდა ვიზუალური საინჟინრო-გეოდინამიკური დასკვნა დიდი თბილისის ტერიტორიაზე - დაბა წყნეთის, სოფ. ახალდაბისა და წვერის ტერიტორიებზე, 2015 წლის 13-14 ივნისს სტიქიური გეოლოგიური მოვლენებით შექმნილი მდგომარეობის შესახებ, შეფასებულ იქნა მაღალი და საშუალო საშიშროების რისკის კატეგორიის ქვეშ მყოფი 51 მოსახლის საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი, ასევე ინფრასტრუქტურული ობიექტები და გეოდინამიკურად დამაბული უბნები - სულ 300-მდე ობიექტი;
- მომზადდა თბილისის ტერიტორიაზე გეოლოგიური საშიშროების ზოგადი ანალიზი და 2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს აუზში განვითარებული მდგომარეობის წინასწარი შეფასება;
- დასრულდა საველე გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები ქვემო ქართლის და შიდა ქართლის რეგიონის (თბილისის ფურცელი) ტერიტორიაზე;
- მომზადდა ქ. ჭიათურის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიური პირობების ზოგადი შეფასება;
- შვეიცარიის კოოპერაციის და განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომელიც ეხება გეოლოგიური საფრთხეების რუკების მომზადებას მესტიის მუნიციპალიტეტისათვის, შედგენილი იქნა „მესტიის მუნიციპალიტეტში მეწყერის, ღვარცოფის და ქვათაცვენის საფრთხის შეფასების და ტერიტორიის ზონირების გეოლოგიური ანგარიში“;

- რიონის პროექტის („წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავება მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად საქართველოში“) ფარგლებში, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში 3 მეწყრულ უბანზე განხორციელდა მონიტორინგული კვლევები;
- მომზადდა ინფორმაცია მიწის ნაკვეთების წიაღზე დამაგრება/არ დამაგრების შესახებ - 2373 ობიექტი;
- მომზადდა გეოსაინფორმაციო პაკეტები და ა4 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკები წიაღით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ წარმოდგენილ 1173 ობიექტზე, ასევე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების მიზნით 241 ობიექტზე, ხოლო 103 ობიექტზე სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო ინფორმაციის მომზადება არ ჩაითვალა მიზანშეწონილად;
- დასკანერებულია უკვე დასრულებული გეოსაინფორმაციო პაკეტების შესაბამისი წიაღით სარგებლობის ობიექტების მსხვილ და საშუალო მასშტაბიანი (1:5000, 1:10000, 1:50000) 142 ჰიდროგეოლოგიური რუკა;
- განხორციელდა თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხის და ყვარლის რაიონებში დადებითი (9) და უარყოფითი (4) პიეზომეტრული დონეების მქონე 13 ჭაბურღილის დათვალიერება–შერჩევა, ავტომატურ, უწყვეტ რეჟიმში შესაბამისი დასაკვირვებელი აპარატურით აღჭურვა და მონიტორინგის ქსელში ჩართვა. მონიტორინგის ფარგლებში მონაცემების მიღება და დამუშავება ხორციელდებოდა აღნიშნული რაიონების 18 ჭაბურღილიდან;
- განხორციელდა განახლებული ჰიდრომონიტორინგული ქსელის მოსაწყობად ადრე შეფასებული წყალპუნქტებიდან 30 სავარაუდო წყალპუნქტის კატალოგის შედგენა-დამუშავება;
- დაიწყო და მიმდინარეობდა საქართველოს მიწისქვეშა წყლების და ნახშირმჟავა აირების ბალანსის (2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) შედგენის სამუშაოები;
- ჩატარდა საქართველოს შიდა წყლების, შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების იქთიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური კვლევები. ერთჯერადი იქთიოლოგიური კვლევები წარმოებდა საქართველოს 20-მდე შიდა წყალსატევზე;
- სამ ეტაპად განხორციელდა კვლევები შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე იქთიოფაუნის ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგისა და თევზების მარაგების შეფასების მიზნით;
- წარმოებდა ჰიდრობიოლოგიური და მიკრობიოლოგიური კვლევები შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს 6 კონტაქტურ წყალსატევზე წელიწადში;
- ქალაქ ქუთაისში გაიხსნა სააგენტოს რეგიონალური ოფისი;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ჩატარდა 48 აუქციონი, გაიცა 710 ლიცენზია.